გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

# შრომათა კრებული

# COLLECTION OF THE WORKS

# №7

2014

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)
ა–846

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის წინამდებარე შრომათა კრებულში ქვეყნდება აღნიშნული ცენტრის მიერ 2014 წლის 22 თებერვალს ჩატარებული დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი
რედკოლეგია:
მეუფე ანდრია (გვაზავა)
ზაზა ალექსიძე
ბუბა კუდავა
ლია მელიქიშვილი
აპოლონ სილაგაძე
გიორგი სოსიაშვილი
ნოდარ შენგელია
დავით ყოლბაია

კორექტურა: თამარ გოგოლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

კრებული გამოიცა შპს ,,საარის“ სტამბაში

ISSN 1512-4657

The Educational Research Center for History and Archaeology of Gori State Teaching University publishes the materials of the international scientific conference dedicated to David Aghmashenebeli (David The Builder) held on February 22, 2014.

**Editor:** Eldar Mamistvalishvili

**Editorial Board:**

Metropolitan Andrea (Gvazava)
Zaza Aleksidze
Buba Kudava
Lia Melikishvili
Apolon Silagadze
Giorgi Sosiashvili
Nodar Shengelia
David Kolbaia

**Reviewer:** Tamar Gogoladze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

# შინაარსი სტატიები
# CONTENTS Articles

*იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი* - ნადირ-შაჰის დაღესტანში ლაშქრობათა პოლიტიკურ-ეკონომიკური შედეგები ქართლისათვის *6*
***Ioseb (Soso) Alimbarashvili* –** NADIR-SHAH’S INVASION IN DAGESTAN AND IT’S POLITICAL - ECONOMIC RESULTS FOR KARTLI

*თამარ გოგოლაძე* - დიდგორის ბრძოლის ერთი ეპიზოდის ინტერპრეტაცია სხვადასხვა ეპოქის მხატვრულ ტექსტში *22*
***Tamar Gogoladze* -** AN INTERPRETATION OF AN EPISODE OF DIDGORI STRUGGLE IN A FICTION OF VARIOUS EPOCHS

*იგორ კეკელია* - აფხაზეთის ,,ალანეთი“ ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომისა და რუკების მიხედვით *33*
***Igor Kekelia* -** ABKHAZIA ,,ALANIA“ IN VAKHUSHTI BATONISHVILI’S WORK AND MAPS

*ელდარ მამისთვალიშვილი* - დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების ურთიერთობის ისტორიიდან *60*
***Eldar Mamistvalishvili* -** FROM THE HISTORY OF THE RELATIONS BETWEEN DAVID THE BUILDER AND CRUSADERS

*გიორგი ნარიმანიშვილი* - შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიის ისტორიისათვის *71*
***Giorgi Narimanishvili* -** FOR A HISTORY OF GEORGIAN DIPLOMACY IN THE MIDDLE AGES

*ზურაბ ოქროპირიძე* - დავით აღმაშენებელი და შიდა ქართლი (ოქროპირიძეებისადმი გაცემული წყალობის წიგნის გამო) *92*
***Zurab Okropiridze* -** DAVIT AGMASHENEBELI AND SHIDA KARTLI (FOR THE PATENT GIVEN TO OKROPIRIDZES)

*ზურაბ პაპასქირი* - ე.წ. ,,ბიზანტიური თანამეგობრობის“ არსისა და ამ თანამეგობრობაში ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ადგილის გარკვევის საკითხისათვის *116*

**Zurab Papaskiri** - THE CONCEPT OF THE SO CALLED “BYZANTINE COMMONWEALTH” AND THE PLACE OF THE GEORGIAN CULTURAL-POLITICAL WORLD IN THIS “COMMONWEALTH”

***გიორგი სოსიაშვილი*** - აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ *135*
**Giorgi Sosiashvili** - ABRAHAM VALENTINE WILLIAMS JACKSON AND HIS NOTES ABOUT GEORGIA

***გივი ღამბაშიძე*** - „აღმოსავლეთის პატრიარქის მელქიზედეკის“ წარწერა ქართულ-ინგუშური ტყობია-ერდას ტაძრიდან *(რუსულ ენაზე)* *185*
**Givi Ghambashidze-** INSCRIPTION FROM THE CHURCH TKOBIA-YERDA (INGUSHETIA) OF “PATRIARCH OF ORIENT MELKIZEDEK” *(in Russian)*

***სვეტლანა ცებოტარი*** – რუსეთის ფედერაციის გეოსტრატეგიული ინტერესები აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ სახელმწიფოებში *(ინგლისურ ენაზე)* *201*
**Svetlana Cebotari** - GEOSTRATEGIC INTERESTS OF THE RUSSIAN FEDERATION IN MEMBER STATES OF THE EASTERN PARTNERSHIP *(in English)*

***ოთარ ჯანელიძე*** - ერთა ყრილობა კიევში 1917 წელს და საქართველო *223*
**Otar Janelidze** - THE 1917 ASSEMBLY OF THE NATIONS IN KIEV AND GEORGIA

***მამუკა ჯოლბორდი*** - „ოქროს ხანის“ ქართველ მემატიანეთა წიგნიერებისა და მსოფლმხედველობის შესწავლისათვის („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“) *248*
**Mamuka Jolbordi** - LITERACY AND WORLDVIEW OF THE GEORGIAN CHRONICLERS OF “THE GOLDEN AGE” (“LIFE OF DAVID IV, KING OF KINGS OF GEORGIA”)

*იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*
*ასოცირებული პროფესორი*

# ნადირ-შაჰის დაღესტანში ლაშქრობათა პოლიტიკურ-ეკონომიკური შედეგები ქართლისათვის

XVIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში სამხრეთ კავკასიაში გავლენის სფეროების გადანაწილებისათვის სპარსეთ-ოსმალეთის ტრადიციულ დაპირისპირებაში რუსეთის მძლავრი იმპერიაც ჩაერთო.

პეტრე I-მა მიზეზად მოიდო სპარსეთის ქვეშევრდომის - სურხაი-ხან ყაზი-ყუმუხელის მიერ შემახაში რუსი ვაჭრების გაძარცვისა და დახოცვის ფაქტი და 1722 წელს ზუბოვის მეთაურობით ლაშქრობა წამოიწყო კასპიისპირეთში[1]. 1723 წლის 12 სექტემბერს შაჰ თამასპმა მთელი კასპიისპირეთი: ასტრაბადიდან - დარუბანდამდე რუსეთს ,,სამუდამო მფლობელობაში“ დაუთმო, მათ შორის, ძირითადი სააბრეშუმო რაიონებიც[2].

მოვლენებს არც ოსმალეთი ჩამორჩა და, რაკი სპარსეთს თავისი მემკვიდრეობის დაცვის თავი აღარ ჰქონდა, შირვანის ცენტრში შემახა აიღო, დაღესტან-შირვანის მმართველად ჰაჯი დაუდი დასვა და დაავალა, ყოველგვარი საშუალებით განედევნა კასპიისპირეთიდან რუსეთი, რადგან იგი ყოვლად მიუღებელი იყო

[1] **А. К.** Материалы для истории Дагестана (Казикумухские и Кюринские ханы). *Сборник сведений о Кавказских горцах,* вып. II, Тифл., 1869, 9-10

[2] **Петрушевский И. П.,** Сборник: ,,История Ирана с Древнейших времен до конца XVIII века,, Л., 1958, 314

მისთვის[1]. მართლაც, პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქრობის მოშლამ, რუსების მოიმედე ვახტანგ VI უიმედო მდგომარეობაში ჩააგდო და ოსმალეთმა თანმიმდევრულად ხელში ჩაიგდო საქართველოს, სომხეთისა და ჩრდილო აზერბაიჯანის ის ტერიტორიები, რომლებიც თავის დროზე პეტრე I-მა ვერ დაიკავა[2].

ყოველმხრივ შევიწროებულ ქართლის მეფეს საკუთარ ქვეყანაში აღარ დაედგომებოდა და 1724 წლის 15 ივლისს 1200 კაციანი ამალით რუსეთს გაემგზავრა, ხოლო უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანაში 1735 წლამდე ,,ოსმალობა" მძვინვარებდა.

რუსეთმა ოსმალეთის წინააღმდეგ სპარსეთის გამოყენება სცადა და ,,ბრწყინვალე პორტასთან" წინააღმდეგობის სანაცვლოდ მის მიერ დაკავებული კასპიისპირა ტერიტორიების დათმობაც შესთავაზა[3]. ამასობაში ნადირ-ხან ავშარიც ძალებს იკრებდა. 1733 წელს ბაღდადთან ახლოს მან სულთანის არმია გაანადგურა და ოსმალთა მიერ აღმოსავლეთ კავკასიაში მიტაცებული ტერიტორიები, მათ შორის, ქართლისა და კახეთის სამეფოები სპარსეთის ხელთ გადავიდა. განჯის ტრაქტატით (1735 წ.) რუსეთმა ბაქო-დარუბანდი ისევ სპარსეთს დაუბრუნა და იქ მყოფ ქართველ ემიგრანტებს ვახტანგ VI-ის მეთაურობით ,,სამშობლოში დაბრუნების იმედის ნაპერწკალიც ჩაუქრო"[4].

1735 წელს ქართლში ,,ოსმალობა" ,,ყიზილბაშობამ" შეცვალა.

---

[1] **Джевдет паша.** Описание событии в Грузии и Черкасии по отношению к Оттоманской империи от 1192 года по 1202 год хиджри. (1775-1784). Перевод на русск. язык ***М. А. Гамазова***. *– Русский Архив.* кн. I. № 3. М., 1888. 372.

[2] **ბერძენიშვილი ნ.,** *საქართველოს ისტორიის საკითხები.* ტ. VI, თბ., 1973, 160.

[3] **ბერძენიშვილი ნ.,** *საქართველოს ისტორიის საკითხები.* ტ. VI, 168.

[4] **მეგრელაძე დ.**, ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, 444.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისა და კასპიისპირეთის საკითხს ნადირ-შაჰის საგარეო პოლიტიკაში დიდი ადგილი ეკავა. შაჰმა იცოდა, რომ ჩრდილო კავკასიის დაპყრობის გარეშე ქართლ-კახეთის სრული დამორჩილება შეუძლებელი იყო, ამიტ-ომ, შეეცადა ეს საკითხი ისევ ქართველების ხელით გადაეწყვიტა. მან, ჯერ კიდევ 1734 წელს შეუსია კახურ-სპარსული მხედრობა ჭარს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია[1].

1735 წლის ნოემბერ-დეკემბერში ნადირ-ხანმა კვლავ ილაშქრა სურხაი-ხან ყაზიყუმუხელის წინააღმდეგ, რომელმაც შექმნილი მომენტით ისარგებლა და შემახა დაიკავა, ყიზილბაშებს დაუწვავთ სახლები კატეხში, ჭარში, თალაში, დაუნგრევიათ ჭარის ციხეები და გაუჩეხიათ ხილის ბაღები და ვენახები, მოსახლეობის ნაწილი მთებში გახიზნულა[2]. ყაზიყუმუხელებს ნადირთან საპატიო პირები მიუგზავნიათ სრული მორჩილების პირობით, თანაც უცნობებიათ, რომ სურხაი-ხანი ოჯახთან ერთად ავარიაში გაქცეულიყო. შეთავაზებული პირობებისა და მოახლოვებული ზამთრის გამო, სპარსეთის მბრძანებელი დაკმაყოფილდა და უკან გაბრუნდა[3].

ამ ლაშქრობის დროს კახეთის მეფე - თეიმურაზ II-ს ნადირ-შაჰისათვის დიდი დახმარება გაუწევია: ,,მერმე ნადირ-შა დაღისტნიდამ მობრუნდა და კარგათ ვემსახურენით და მივეგებე-

---

[1] **Петрушевский И. П.,** Джаро-белаканские вольные общества в первой трети XIX столетия. Тифл., 1934, 15.

[2] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს. *ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ.* ***ავთანდილ იოსელიანმა,*** თბ., 1980, 20-21.

[3] **А. К.** Материалы для истории Дагестана (Казикумухские и Кюринские ханы), 11-12.

ნით და ქართველთ ბატონობა გვიბოძაო“, - ამბობს იგი ერთ საბუთში[1].

ნადირ-ხანის ფავორიტი თეიმურაზ კახთა მეფის ქართლში გაბატონებას (1737 წ.)[2] ქართლის დიდი თავადები: შანშე ქსნის ერისთავი, ბეჟან არაგვის ერისთავი, გივი ამილახვარი და სხვები არ შეურიგდნენ და აქტიური ბრძოლა წამოიწყეს თეიმურაზისა და ყიზილბაშთა ბატონობის წინააღმდეგ. შანშე ერისთავი წერილს წერილზე უგზავნის რუსეთში გახიზნულ ვახტანგ VI-ს და სთხოვს, თვითონ თუ არ ჩამოვა, ბაქარ ბატონიშვილი მაინც გამოაგზავნოს ქართლში, რადგან ,,ამაზე უკეთესი დრო აღარ იქნება აქაო“[3].

თეიმურაზსა და მის ვაჟს - ერეკლეს დიდი ძალისხმევა მოუხდათ აბდულა ბეგ იესეს ძის, შანშე ქსნის ერისთავისა და გივი ამილახვრის წინააღმდეგობების დასაძლევად. ისინი ყიზილბაშთა ბატონობის წინააღმდეგ მუდმივად იწვევდნენ ლეკებსა და ოსმალებს. ამ წლებში (1735-1743 წწ.) ქართლი მუდმივი ბრძოლის ცეცხლშია გახვეული[4].

1737-1739 წლებში ნადირ-ხანი ინდოეთში ლაშქრობს და დაღესტნისა და ჭარ-ბელაქნის წინააღმდეგ ბრძოლა ნადირის

---

[1] *Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею,* т. I. Тифл. 1866, 40.

[2] 1736 წელს ნადირ-შაჰმა კახეთში ალექსანდრე (ალი-მირზა), ხოლო ქართლში აბდულაბეგი გაამეფა, თუმცა, ისინი სეფი ხანთან ვერ მორიგდნენ. 1737 წელს ალიმირზა შაჰნადირთან წავიდა და ირანშივე გარდაიცვალა, ხოლო აბდულაბეგი ამავე წელს დედაქალაქიდან უკანვე გაიწვიეს და თბილისში მჯდომი ირანელი ხანის მრჩევლის ფუნქციას ასრულებდა. (იხ: საქართველოს ისტორიის ქრონიკები, 70; *Акты...* т. I, 39) რეალურ ძალაუფლებას იმ დროისათვის ქართლ-კახეთში თეიმურაზ II ფლობდა.

[3] **Броссе М.,** Переписка на иностранных языках Грузинских царей с Росийскими государиями от 1659 г. по 1770 г. СПБ., 1861, 205.

[4] **ალიმბარაშვილი ი.,** ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011, 66-83.

ძმამ, აზერბაიჯანის სპასალარსმა - იბრეიმ ხანმა ითავა. 1738 წლის შემოდგომაზე იგი ჭარ-ბელაქნის ,,უბატონო თემების დასასჯელად“ გამოემართა და მხარდასაჭერად თეიმურაზს მოუწოდა. ქართლ-კახეთისა და ყიზილბაშთა ჯარები ჭარში შევიდნენ, მაგრამ ჭარელებმა ქართულ-ყიზილბაშური კოალიციის დამარცხება მოახერხეს, იბრეიმ-ხანი ბრძოლაში დაიღუპა. ჭარელებმა ამით ისარგებლეს და შექიც დაიკავეს[1].

იბრეიმ ხანის ვაჟმა ბიძამისთან (ნადირ-ხანთან) იჩივლა, რომ მამამისის სიკვდილი სამად-ბეკ თავრიზელის ბრალი იყო, რადგან თავრიზელს საკუთარი ქონების გადარჩენის ჯავრი ჰქონდა და მუდმივად მოუწოდებდა იბრეიმ-ხანს აჯანყებული ჭარელების წინააღმდეგ ლაშქრობისაკენ. ,,გაცეცხლებულმა“ ნადირმა სამად-ბეკ თავრიზელის ქონების სრული კონფისკაცია ბრძანა. მას ჩამოართვეს მთელი უძრავი და მოძრავი ქონება, 160 ათასი თუმანი ფულად, 220 ათასი სული ცხვარი, 30 ათასი ფაშატი ცხენი თავისი კვიცით, 20 ათასი ხარი, 7 ათასი აქლემი და სხვ[2].

ინდოეთში ლაშქრობის შემდეგ, ნადირი კვლავ მიუბრუნდა კავკასიის საკითხს და ჭარის დასაპყრობად დაიძრა. მას თეიმურაზიც შეუერთდა, რადგან მათი ინტერესები ჭარის საკითხში იმ დროისათვის ერთმანეთს ემთხვეოდა. ჯერ ჭარისა და შემდეგ დაღესტნის დამორჩილებით სპარსეთს რუსეთის წინააღმდეგ ხელსაყრელი პლაცდარმის შექმნა სურდა, ქართველი მოღვაწეები კი ჭარის დამორჩილებით ,,ლეკიანობის“ მოსპობას ფიქრობდნენ[3].

1738 წლის მიწურულს ნადირ-შაჰმა მუქარით სავსე წერილი გაუგზავნა ყაიტაღის უცმის აჰმედ-ხანს, რომლითაც აფრ-

---

[1] **История Азербайджана,** с древнейших времен до начала XX века, под ред. И. Алиева, Баку 1995, 258.

[2] **Петрушевский И. П.** Очерки по истории феодальных отношений в Азербаиджане и Армении в XVI- начале XIX вв. Ленинград 1949, 115-116.

[3] **მეგრელაძე დ.**, ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, 449.

თხილებდა, რომ განვლილ წლებში დაღესტანში ლაშქრობისას ,,უზენაესის ამალის" მიერ ,,ლმობიერების" გამოჩენა, მიზნად ისახავდა, რათა ადგილობრივები ,,სიმართლისათვის მიეჩვია და წესი და რიგი ესწავლებინა", ,,მაგრამ ურყევი ჭეშმარიტებაა, რომ დაღესტნის მცხოვრებლები ცხოველებს ჰგვანან, რომ მათ თავისდა საზიანოდ უგვანო საქმეები ჩაიდინეს და ამიტომ დიდი სასჯელის ღირსნი არიან. ამის საფუძველზე ჩვენი უზენაესი ბატონი თვითონ, რჯულის დამცველი ურიცხვი ლაშქრის თანხლებით წამოვა დაღესტნისაკენ, სადაც შეთქმულებაა მოწყობილი, ორი-სამი წელი იმ მთებში დადგება ავარეთისა და ჩერქეზეთის საზღვრებამდე და ღვთის შეწევნით აჯანყებულების ისე დასჯას ბრძანებს, რომ ამის კვალი ქვეყნიერების მოსპობამდე დარჩეს იალბუზის თავზეო"[1].

მართლაც, ნადირ-ხანმა და თეიმურაზმა 1739 წელს მძიმე დამარცხება აგემეს დაღესტნელთა გაერთიანებულ მხედრობას მალაჩი ბელადის მეთაურობით. ამ საკითხზე დაწვრილებითი ინფორმაციის მომცემია თავად ელიზბარ ერისთავის მიერ რუსეთის იმპერატრიცა ანნა იოანეს ასულისადმი 12 ნოემბერს დარუბანდიდან გაგზავნილი წერილი: ,,...ელიზბარ წიგნით მოახსენებს იმპერატრიცა ანნა ივანოვნას საქართველოს ამბავს და აუწყებს, ამ ანკენისთვის თ [=9] დარუბანდის სულთანს მოუვიდა სარდლიდამ მახარობელი. სარდლის რაყამები მოიტანა და ამცნო ყიზილბაშთა ლეკზედ გამარჯვება. ყიზილბაშთა ჩფ [=1500] ლეკის თავი მოუჭრიათ, ეს საქმე ასე იყო. ლეკის ჯარი გარდასულა, ი [=10] ათასი ცხენოსანი და ზ [=7] ათასი ქვეითი - ჩერქეზი, ჩაჩანი, ავარი და შამხალიც. თვითონ ხომ არ იტყვიან რომ შამხალნიც იყვნენ და სხვა ხალხნი სრულებით [იზ] ათასი გულხადარას კაცი, რო-

[1] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წიგნი I, ნაკვეთი IV, *ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო **ვლ. ფუთურიძემ,*** თბ., 1977, 39-40.

მელსაც მალაჩი ჰქვიან, ის ყოფილა თავი ამ ლაშქრისა: ეს ლეკის ჯარი რომ გადასულა საქართველოში ოთხად გაყოფილან. ზოგი ქართლისაკენ წასულან, ზოგი ერევნისკენ, ზოგი ყირბულახისკენ, ზოგი ყარსისაკენ, ეს ამბავი სეფი ხან სარდალს[1] მოუვიდა, თავს დასცემია ლეკთა და აუოტნიათ, და მრავალი ტყვე და საქონელი უშოვნიათ, მრავალი ლეკი დაუტყვევებიათ და სხვანი ტყეში დაფანტულან ...ყიზილბაშთა სულ გზები შეუკრავსთ, სადაც ლეკის გამოსავალი იყო. ქალაქი ხომ ერთ-ხანად დიაღ შეწუხებული ყოფილა. რაც რამ ქალაქის ახლო-მახლო სოფლები ყოფილა იქაურნი მცხოვრებნი ლეკის შიშით ქალაქში შესულან, ერთი ლიტრა პური აბაზათ გამხდარაო“[2].

ცხადია, რუსები თვალს ყურადღებით ადევნებდნენ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს და მათ სასურველ კალაპოტში მოქცევას ცდილობდნენ. ელიზბარ ერისთავიც დარუბანდში საგანგებო დავალებით უზით, რათა ინფორმაცია დროულად მიიღონ და შესაბამისად იმოქმედონ.

ნადირ-ხანის დაღესტნის წინააღმდეგ ლაშქრობა ქართლსაც ძვირად დაუჯდა. ხანმა სპარსეთის ჯარისათვის ქართველებს დიდძალი სურსათი შეაწერა, თანაც ამ სურსათის გადასატანად პირველად 3 ათასი უღელი ხარი მოითხოვა, რომელთაც განჯიდან პური უნდა აეკიდათ და დაღესტანში მიეტანათ. ისინი რომ ვეღარ დაბრუნდნენ, მეორე ჯერზე - 3 ათასი შებმული ურემი კიდევ მოითხოვა, მოგვიანებით ისევ 2 ათასი ხარი, რის შემდეგ

---

[1] სეფი ხანი - ნადირ ხანის მიერ დანიშნული ქართლის გამგებლი 1736-1441 წლებში.

[2] **Броссе М.,** Переписка на иностранных языках Грузинских царей с Росийскими государиями от 1659 г. по 1770 г. СПБ., 1861, 226-227.

,,აღარ დარჩა ქართლში ხარი“[1]. 300 ათასი კოდი პური ცალკე გაიგზავნა[2], რამაც ქართლის მოსახლეობა ულუკმაპუროდ დატოვა. ერეკლეს მდივან-მწიგნობარი - იესე ბარათაშვილი ამ ამბებთან დაკავშირებით წერს: ,,ექვსი მინალთუნი მალუჯათი იყო და ამისი პური ასე წაგვართვეს. დიაღ ბევრი შეიქნა ეს სარგებელი. სამი წელიწადი გვემართა. მერმე კამბეჩები გვთხოვეს, მერმე ხარები ითხოვეს ...მერმე სურსათი ითხოეს. მერმე მუმიაზი[3] მოვიდა, მალუათს[4] ერთს ორად, ზოგან ერთს სამად აწერდაო“[5]. გასაკვირი არ არის, რომ გაზრდილ გადასახადებს ხელახალი აჯანყება მოჰყვა. ამის გამო, შაჰი ,,განძვინდა საქართველოსა ზედა და განიგულა აყრა მათი და მოწყვეტა ქართლ-კახეთისა ერისა“[6]. პრობლემის მოგვარება საკუთარ თავზე აიღო თამარ დედოფალმა (თეიმურაზ II-ის მეუღლემ), რომელიც ნადირ შაჰს დაღესტანში ეახლა, ,,ქრმის“ უცოდველობა და ძის ერთგულება აცნობა და ,,ევედრა აუყრელობასა ქართლ-კახეთისასა“[7]. როგორც ჩანს, დედოფლის ხლებამ შაჰის მრისხანება დააცხრო, ,,ლმობიერ იქმნა მძლავრი იგი და პატივ-ჰსცა, ვ(ითარც)ა დედასა“[8], მაგრამ მდგომარეობა კვლავ გამწვავდა მას შემდეგ, რაც 1741 წელს ნადირ-

[1] **ორბელიანი პ.,** ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ***ელენე ცაგარეიშვილმა.*** თბ., 1981, 55.

[2] **კაკაბაძე ს.**, საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ.), ტფ., 1922, 162.

[3] მუმეიზი - ხარკის ამკრეფი მოხელე.

[4] მალუათი - მალუჯათი - ყიზილბაშთა მიერ ქართლის მოსახლეობაზე დაკისრებული ხარკი.

[5] **ბარათაშვილი ი.,** ცხოვრება-ანდერძი, ქართული პროზა, ტ. V. თბ., 1983, 567.

[6] **ხერხეულიძე ო.**, მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989, 42.

[7] **ხერხეულიძე ო.**, მეფობა ირაკლი მეორისა, 42.

[8] **ხერხეულიძე ო.,** მეფობა ირაკლი მეორისა, 42.

შაჰის ბრძანებით ყიზილბაშებმა მთელი ქართლი აღწერეს და მძიმე გადასახადები დაადვეს. ამის გამო, ,,ბევრი ადგილი უმეტესად აოჴრდა. მრავალი კაცი ვენახსა და ბაღებსა თავისი ჴელით კაფდის და აოჴრებდის“[1]. პურის შოვნა ქართლში იმდენად გაძნელებულა, რომ ,,ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდენ და იმას სჭამდენ“[2]. მძიმედ დადგა დემოგრაფიული საკითხიც, რადგან ,,მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა. ურუმის ქვეყანა ქართლის კაცით აივსო“[3].

ნადირ-ხანმა აჯანყებულ ქართველებთან ბრძოლა თბილისს მჯდომ ხანს მიანდო, თვითონ კი კვლავ დაღესტნის დასაპყრობად დაიწყო მზადება. 1742 წლის ივნისში ირანის სამხედრო ძალები შირვანიდან ყაზიყუმუხისაკენ დაიძრნენ და 2 ივლისს დაიკავეს იგი. სურხაი-ხანი კვლავ ავარიაში გასაქცევად ემზადებოდა, მაგრამ იგი მეუღლესთან ერთად შეიპყრეს და დერბენტში გამოკეტეს. თუმცა, ნადირ-შაჰმა შემდგომი წინსვლა მაინც ვეღარ გააგრძელა, რადგან აგვისტოში ტურჩიდაღთან ავარებისა და ანდიელების გაერთიანებულ მხედრობასთან დამარცხდა. ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სურხაი-ხანის ვაჟი - მურთუზალი.

ნადირი იძულებული იყო 1743 წლის ზამთარი დერბენტის დასავლეთით, 18 ვერსის მოშორებით, სოფ. დარვაჰის მახლობლად გაეტარებინა, სადაც მისი მხედრობა მუდმივად განიცდიდა ყაიტაღელების, ტაბასარანელებისა და აკუშინელთა წვრილწვრილი რაზმების მარბიელ თავდასხმებს. ამას ემატებოდა პროვიანტისა და ფურაჟის სიმცირე, რაც გამოუვალ მდგომარეობაში

[1] **ორბელიანი პ.,** ამბავნი ქართლისანი, 46.
[2] **ორბელიანი პ.,** ამბავნი ქართლისანი, 48.
[3] **ორბელიანი პ.,** ამბავნი ქართლისანი, 49.

აგდებდა სპარსელებს. მოგვიანებით ამ ადგილს ,,ირან-ხარაბი“, ანუ ,,სპარსეთის უბედურება“ (Несчастье Персии) ეწოდა[1].

შაჰი შეეცადა ლეკები შიმშილით გაეტეხა და მასზე დამოკიდებულ ქვეყნებს დაღესტანისათვის პურის მიყიდვა აუკრძალა, მაგრამ ვერც ამ ზომამ გაჭრა. ყიზილბაშებისაგან ფარულად ლეკები უხვად შოულობდნენ პურს შირვანსა და კახეთში, რადგან ამ ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილის სიმპათიები ამ ომში ლეკების მხარეს იყო[2].

1744 წელს ნადირ-ხანი უკანასკნელად დაიძრა დაღესტნისაკენ. მან თავისი მხედრობა ოთხ ნაწილად გაჰყო და ბრძანება გასცა, აეკლოთ და გაენადგურებინათ ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ[3], ეს ლაშქრობა მთელ წელს გაგრძელებულა და ორივე მხარე უმძიმეს მდგომარეობაში ჩაუგდია. როგორც ამბების თანამედროვე ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: ,,შანადირ ბრძოდა ლეკთა ერთ წელ, შეამჭირვა და შეაძრწუნვა ფრიად, რამეთუ ჰყიდდნენ შვილთა თჳსთა და სჭამდნენ ჴორცსა ღორისასა. არამედ იყო სიყმილი ძლიერი სპათაცა შორის შაჰ ნადირისათა, რამეთუ ოთხი კოდი პური სამ თუმნად იყიდოდა, ამისთჳს უკუნიქცა შაჰნადირ და წარვიდა სპარსეთად“[4].

---

[1] **А. К.** Материалы для истории Дагестана (Казикумухские и Кюринские ханы), 12.

[2] **ბოცვაძე თ.**, ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში (XV-XVIII სს.), თბ., 1990, 327.

[3] **А. К.** Материалы для истории Дагестана (Казикумухские и Кюринские ханы), 13.

[4] **ბატონიშვილი ვ.**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება* IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***სიმონ ყაუხჩიშვილის*** მიერ. თბ., 1973, 519

სხვა ცნობებით, ნადირი იმდენად სამარცხვინოდ დამარცხდა[1], რომ დაღესტანში მიატოვა ძვირფასი გვირგვინი[2], სამეფო ტანსაცმელი, უბრალო კაცის ცხენზე გადაჯდა და დაიძახა: ,,წყეულ იყვეს ჩემს შთამომავლობაში ის, ვინც როდისმე განიზრახოს მოსვლა ამ საშინელ ალაგებშიო"[3].

დაღესტნიდან მობრუნებულმა ნადირმა ქართველებს ამაგი ,,დაუფასა" და 1744 წლის ივლისში თეიმურაზ მეორის ქართლის, ხოლო ერეკლე მეორის კახეთის მეფედ ქრისტიანული წესით კურთხევას დათანხმდა[4]. ას წელზე მეტს გაევლო, რაც ქართლ-კახეთის ტახტს ქრისტიანი მეფე აღარ ღირსებოდა. ეს იყო ირანის წინააღმდეგ ქართლ-კახეთის მრავალწლიანი ბრძოლის ლოგიკური შედეგი. მიუხედავად ნადირ-შაჰის მზაკვრული გეგმისა, მამა-შვილის ერთობლივი გამეფებით მათ შორის შუღლი ჩამოეგდო, შაჰმა მიზანს ვერ მიაღწია. პირიქით, ისინი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ,,აქვნდათ მათვე ორთავ მეფეთა ვიდ-

[1] ,,ქრონიკების" ცნობით, ნადირ-ხანს ჯარი ისე დაემშა, რომ ორი უზბაში თავისი ჯარებით ლეკების მხარეს გადავიდნენ (იხ: *საქართველოს ისტორიის ქრონიკები, 77*) ხოლო, ,,ჭარის ომების ქრონიკის" ავტორი, ნადირ-შაჰის მარცხს შემდეგ შეფასებას აძლევს: ,,С уцелевшей частью своего войска вступил в Дербенд позором, так как не мог отомстить дагестанцам"-ო (***Хроника войн для Джара***. *под ред.* ***В. Хулуфлу*** *и с прим.* ***Е. Пахомова****, Баку 1931, 36*).

[2] მოგვიანებით ნადირ შაჰის ძვირფასი გვირგვინი, გაძარცვულ მდგომარეობაში შამილს ჩავარდნია ხელთ და ინახავდა მას მოკრძალებით, როგორც ალაფს, დავლას დაღესტნის სასახელოდ, თუმცა, გვირგვინისათვის ხეირი არც შამილის ცოლებს დაუყრიათ და ხანჯლებით სათითაოდ ჩუმად აცლიდნენ ბრილიანტებს.

[3] გაზ. ,,დროება", 17. 12. 1877 წ. №219.

[4] **ორბელიანი პ.,** ამბავნი ქართლისანი, 85.

რე უკანასკნელ დღედმდე მეფის თეიმურაზისა ურთიერთისადმი სამაგალითო კეთილი მამაშვილობა“[1].

ნადირ-შაჰს ზემოხსენებული თანხმობა მხოლოდ ერეკლე-თეიმურაზის ,,სიყვარულით“ არ განუცხადებია. საქმე ისაა, რომ ნადირის დამარცხება დაღესტნელებთან ნაწილობრივ რუსეთის აქტიურმა პოლიტიკამაც განაპირობა. საიმპერატორო კარმა შაჰის დაღესტანში ლაშქრობის წამოწყებისთანავე ყიზლარში 10 ათასი მანეთი გამოაგზავნა იმ დაღესტნელთა საჩუქრებისათვის, ვინც ნადირ შაჰის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიდოდა. ყაბარდოში გამოიგზავნა კაზაკთა რაზმებით პოლკოვნიკი კნუტოვი და რუსეთის სამსახურში შესული, უკვე არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი ბაქარ ვახტანგის ძე[2].

ჩრდილო კავკასიაში ქართლის ტახტის მემკვიდრის ბაქარ ვახტანგის ძის მოყვანა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ, რუსეთი ფაქტობრივად უმეფო საქართველოში მათთან თავშეფარებული ბაქარის ტახტზე დასმას ხელს შეუწყობდა[3].

ასტრახანში გამაგრებულ ბაქარ ბატონიშვილთან გივი ამილახორს ბარძიმ არაგვის ერისთავის ვაჟი გაუგზავნია პირობით: ,,რათა მოვიდეს და დაიპყრას ქართლი“[4].

თ. ბოცვაძის შეფასებით, დაღესტანში ლაშქრობით ნადირ შაჰი ჩრდილო კავკასიაში ისეთი ბარიერის შექმნას ცდილობდა, რომელიც რუსეთსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს დააცილებდა და მასთან ერთად უზრუნველყოფდა მის უცილობელ და ხანგრძლივ

---

[1] *ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოსა შ~ა აღწერითა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ.* ***სარგის კაკაბაძის*** გამოცემა. ტფ., 1914, 25.

[2] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, 76.

[3] **ლომსაძე შოთა.** სამცხე-ჯავახეთი, (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბ., 1975, 57.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი**, 515.

ბატონობას მთელს ამიერკავკასიაში, რაც წარმატების შემთხვევაში მართლაც არ იყო გამორიცხული[1]. ბუნებრივია, დაღესტანში დამარცხების შემდეგ, ნადირ შაჰს ქართლ-კახეთის ტახტზე სპარსული ორიენტაციის, თუნდაც ქრისტიანი ერეკლე-თეიმურაზი ერჩია, ვიდრე ჯერ ოსმალთა სამსახურში მყოფი, შემდეგ ,,გარუსებული" გენერალი ბაქარ ვახტანგის ძე, ამიტომ ზემოხსენებულ აქტს საჩქაროდ დასთანხმდა.

არც გივი ამილახვრისა და შანშე ქსნის ერისთავის აჯანყებებს ჩაუვლიათ უკვალოდ. მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, მათ თავიანთი საქმე გააკეთეს. როგორც ნ. ბერძენიშვილი წერდა: ,,ქართლის აჯანყების მეთაური თავადები დამარცხდნენ და დაისაჯნენ, მაგრამ ამით ქართლის ბრძოლა არ დამარცხებულა. პირიქით, აჯანყებულთა მხნე ბრძოლამ აიძულა ნადირშაჰი სავსებით უარეყო თავისი პირვანდელი გეგმა საქართველოს მიმართ და ,,ყიზილბაშობა" აქ თანდათანობით ,,ქართველობით" შეეცვალა"[2].

ნადირ-ხანის ჩრდილო კავკასიაში მარცხით ქართველებს ეკონომიკური სარგებელიც მიუღიათ. დაღესტნელებს ზავი შეუკრავთ თეიმურაზ II-სთან და მისთვის მძევლებიც მიუციათ. როგორც ,,ჭარის ომების ქრონიკის" ავტორი გადმოგვცემს, ზავის დადების შემდეგ, ქართველებსა და ლეკებს შორის კარგი ურთიერთობა დამყარებულა და ლეკები ხშირად ჩამოდიოდნენ კახეთში ხორბლის, სიმინდისა და მარილის შესაძენად[3].

---

[1] **ბერძენიშვილი ნიკო.** *საქართველოს ისტორიის საკითხები.* ტ. VI თბ., 1973, 174.

[2] **ბერძენიშვილი ნიკო.** XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან. – *საქართველოს ისტორიის საკითხები.* ტ. II თბ., 1965, 182.

[3] **Хроника войн для Джара**, 36

**დამოწმებანი:**

**ალიმბარაშვილი ი.,** ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველო-ში, თბ., 2011

**ბარათაშვილი ი., ცხოვრება-ანდერძი** - ქართული პროზა, ტ. V. თბ., 1983.

**ბატონიშვილი ვ.,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება* IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***სიმონ ყაუხჩიშვილის*** მიერ. თბ., 1973.

**ბერძენიშვილი ნ.,** XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან. – *საქართველოს ისტორიის საკითხები.* ტ. II თბ., 1965.

**ბერძენიშვილი ნ.,** *საქართველოს ისტორიის საკითხები.* ტ. VI თბ., 1973.

**ბოცვაძე თ.,** ჩრდილო კავკასიის ხალხები საქართველოს საგარეო პოლიტიკაში (XV-XVIII სს.), თბ., 1990.

გაზ. ,,დროება", 17. 12. 1877 წ. № 219.

*ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოსა შ~ა აღწერითა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ.* ***სარგის კაკაბაძის*** გამოცემა. ტფ., 1914.

**კაკაბაძე ს.,** საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ.), ტფ., 1922.

**ლომსაძე შ.,** სამცხე-ჯავახეთი, (XVIII საუკუნის შუაწლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბ., 1975.

**მეგრელაძე დ.,** ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

**ორბელიანი პ.,** ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ***ელენე ცაგარეიშვილმა.*** თბ., 1981.

**პაპუაშვილი თ.,** საინგილოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 2008.

საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს. *ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ.* ***ავთანდილ იოსელიანმა,*** თბ., 1980.

სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წიგნი I, ნაკვეთი IV, *ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ,* თბ., 1977.

**ხერხეულიძე ო.**, მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989.

**А. К.** Материалы для истории Дагестана (Казикумухские и Кюринские ханы). *Сборник сведений о Кавказских горцах,* вып. II, Тифл., 1869.

*Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею,* т. I. Тифл. 1866.

**Броссе М.,** Переписка на иностранных языках Грузинских царей с Росийскими государиями от 1659 г. по 1770 г. СПБ., 1861.

**Джевдет паша,** Описание событий в Грузии и Черкесии по отношению к Оттоманской империи от 1192 года по 1202 год хиджри. (1775-1784). Перевод на русск. язык ***М. А. Гамазова***. – *Русский Архив*. кн. I. № 3. М., 1888.

**Петрушевский И. П.,** Джаро-белаканские вольные общества в первой трети XIX столетия. Тифл., 1934.

**Петрушевский И. П.,** Сборник: ,,История Ирана с Древнейших времен до конца XVIII века,, Л., 1958.

**Петрушевский И. П.,** Очерки по истории феодальных отношений в Азербаиджане и Армении в XVI-начале XIX вв. Ленинград, 1949.

**Хроника войн для Джара**, под ред. В. Хулуфлу и с прим. Е. Пахомова, Баку, 1931.

**История Азербайджана,** с древнейших времен до начала XX века, под ред. И. Алиева, Баку, 1995.

***Ioseb (Soso) Alimbarashvili***

*Gori State Teaching University, Associate Professor*

**NADIR – SHAH'S INVASION IN DAGESTAN AND IT'S POLITICAL - ECONOMIC RESULTS FOR KARTLI**

**RESUME**

The article describes the situation in the eastern Caucasus at the 20ies of XVIII century. Iran - Ottoman and the Russian fight to establish in the Caspian region. Kingdom of Kartli at the beginning of 20ies, Vakhtang VI-'s futile struggle to improve the situation in the country with Russian support and his emigration to Russia, "Osmaloba"and "Kizilbashoba", the fight against to invaders of the nobles of Kartli.

Nadir Shah's 10-year invasions in 1734-1744, the reasons of this invasions and participating in the process of Kartli, Iran Shah's tax politics and rebellions, caused of this politics, the results of Nadir – Shah's invasion in Dagestan and its impact on the political and economic situation of Kingdom of Kartli.

*თამარ გოგოლაძე*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*
*პროფესორი*

# დიდგორის ბრძოლის ერთი ეპიზოდის ინტერპრეტაცია სხვადასხვა ეპოქის მხატვრულ ტექსტში

რეალური ისტორიული ფაქტი, მხატვრული ტექსტის სახით, მისი შექმნის სხვადასხვა პერიოდში, ძირითადად მსგავსი ან განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგება. ამას განსაზღვრავს ფაქტის მონაწილის, თვითმხილველისა თუ, საერთოდ, ისტორიების მთხრობელის, მეხსიერება, ფანტაზია ეპოქის შუქზე, სახელმწიფოს პოლიტიკის, ლიტერატურული მიმართულების, მიმდინარეობის ესთეტიკური კრედო და სხვ. ამ თვალსაზრისით ჩვენი შესწავლის ობიექტია დიდგორის ბრძოლის ერთი რეალური ეპიზოდის ინტერპრეტაცია XII საუკუნიდან დღემდე რამდენიმე მხატვრული ტექსტის მაგალითზე.

დიდგორის ბრძოლის შესახებ შემორჩენილია ძველი ისტორიკოსების (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, მატთეოს ურჰაეცის, იბნ ალ-ჯაუზისა და იბნ ალ-ასირის, ალ-ფარიკის, გოტიე-კანცლერის) ცნობები და თაობიდან თაობაზე გადაცემული ლეგენდები.

თავად დავითის ისტორიკოსი მოკრძალებით აღნიშნავს, რომ დიდ ადამიანთა საქმეთა აღწერისას (ომიროსის, არისტოტელეს, ოისიპოს ებრაელის) მხატვრულ ოსტატობას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რადგან სწორედ ამით წარმოჩინდება დიდი პიროვნება. რაც შეეხება დავით აღმაშენებლის საქმეთა აღწერას, „ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამ

ჟამამდე იყო, და ვერცა პირველსა კვეთებასა შეუძლეს წინადად-გომად. ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინღამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანს ქებასა და ესენი - ესეოდენ".[1] ამ მოკრძალებული წერის მანერით დავითის ისტორიკოსის ტექსტი უკიდურესად შეკუმშული, ლაკონურია, მაგრამ წარმოდგენილია ყველაფრისმთქმელი და დამტევი ფრაზებით.

XII საუკუნიდან მოყოლებული დიდგორის ბრძოლის შესახებ ისტორიული ინფორმაცია არაერთხელ გამხდარა ისტორიკოსთა (ივ. ჯავახიშვილი, თ. დადეშკელიანი, ს. კაკაბაძე, შ. მესხია, რ. მეტრეველი) შესწავლა - კვლევის საგანი. განსაკუთრებულად ყურადღება მახვილდება დიდგორის ბრძოლის (1121 წლის 12 აგვისტოს) დაწყების მომენტზე: „1982 წელს გამოვიდა ს. კაკაბაძის წიგნი „დიდგორის ომი" - აღნიშნავს რ. მეტრეველი, - სადაც მეცნიერი შეეხო აღნიშნულ საკითხს და დააზუსტა ზოგიერთი გარემოება. კერძოდ, განმარტა, რომ მისი აზრით (და ამასვე ვწერდით), დიდგორის ომში გადამწყვეტი როლი შეასრულეს მძიმედ შეიარაღებულთა რაინდებმა, რომელთაგან ორასი ევროპელი იყო და 1-2 ათასი ქართველი"[2].

ჩვენი ნაშრომის თემაც სწორედ ამ ეპიზოდს უკავშირდება, რამდენადაც იგი გვხვდება როგორც დავითის ისტორიკოსის თხზულებაში (XII ს.), ისე ალექსანდრე ორბელიანის დრამაში და კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგიაში „დავით აღმაშენებლი" (1962 წ.).

ეპიზოდი დიდგორის ბრძოლის დასაწყისისა მეტად მნიშვნელოვანია როგორც ისტორიულად, დავით აღმაშენებლის

---

[1] უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, „ქართული პროზა", წ. III, თბილისი, 1982, 134.

[2] მეტრეველი რ., დავით აღმაშენებლი, თბილისი, 1990, 203.

სტრატეგიული ნიჭის ნათელსაყოფად, ისე ლიტერატურული თვალსაზრისით. სწორედ ამის ახსნის მცდელობაა დავით აღმაშენებელზე მომავალი ფილმისათვის დათო ტურაშვილის კინოსცენარის, „ტყეების მეფე“, შესავალში („სანამ ფილმს გადაიღებდენ“): „ჩვენი აზრით, საკუთარი ისტორიის საუკეთესო და საამაყო ფურცლებს უნდა ვეცნობოდეთ არა როგორც მუზეუმის ექსპონატებს, არამედ როგორც გამოცდილებას, რომელიც სახელმძღვანელო უნდა იყოს ძლიერი სახელმწიფო ფორმირების გზაზე“[1]. „როცა ქართული და სელჩუკური ჯარები 1121 წლის აგვისტოში დიდგორის ველზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, შეტაკების დაწყებამდე არავინ იცოდა, თუ როგორ გასრულდებოდა ეს ომი - ომი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ბედი და არსებობა გადაწყვიტა. ყოფნა-არყოფნის და გადარჩენა - განადგურების საკითხი ამ ბრძოლის წინ იმდენად მძაფრი და საგრძნობი იყო, რომ დიდგორთან დაბანაკდნენ არამხოლოდ ისინი, ვისაც უნდა ებრძოლა, არამედ ისინიც, ვინც მაშინდელ ისტორიას წერდნენ, ამიტომაც არსებობს დიდგორის ომის რამდენიმე წყარო, რომლებშიც ამ ბრძოლის უმნიშვნელო დეტალებიც კი, სხვადასხვა ავტორის მიერ აღწერილი, ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ <u>არის მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც განსაკუთრებულად ჰყვებიან ჟამთააღმწერლები.</u>

ყველა მემატიანე ადასტურებს, რომ <u>ომის დაწყებამდე ქართველების ლაშქარს გამოეყო დაახლოებით ორასამდე ადამიანი, რომლებიც მოწინააღმდეგის მთავარი ბანაკის მიმართულებით დაიძრნენ; მტერთან მიახლოებისთანავე ისეთი მოულოდნელი თავდასხმითი შეტევა განახორციელეს, რომ სელჩუკების უზარმაზარ ლაშქარში</u> საშინელი პანიკა და არეულობა გამოიწვიეს: „ამ თავგანწირულმა დასაწყისმა განაპირობა კიდეც დიდგორის

[1] ტურაშვილი დ., ტყეების მეფე, თბილისი, 2013, 9.

ომში ქართველების გამარჯვება“[1]. - წერს ქვემოთ დ. ტურაშვილი (ხაზი ჩვენია - თ.გ.).

რ. მეტრეველი, მიმოიხილავს რა მემატიანეთა თუ ისტორიკოსთა ნააზრევს, რამდენადმე ემხრობა ს. კაკაბაძის თვალსაზრისს, რომელმაც „გოტიეს ცნობაში მოცემული „ორასი ფრანგის“ მონაწილეობა დიდგორის ბრძოლის დროს გადამწყვეტ მომენტად ჩათვალა ქართველთა ლაშქრის გამარჯვებაში, ერთგვარად კითხვის ნიშანს სვამს: „გაურკვეველია, საიდან (წყაროებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი) აიღო მეცნიერმა ქართველ რაინდთა (ორასი ევროპელის გარდა - თ.გ.) (მძიმედ შეიარაღებულ რაინდებს მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა) რაოდენობა“.[2]

პროფ. გურამ კუტალიას მიერ, ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში მიკვლეულ ქემალ ად-დინის ცნობაზე დაყრდნობით, დიდგორის ომში დავით აღმაშენებელმა „ გამოიყენა მტერზე არა უეცარი თავდასხმის ტაქტიკა, რომელსაც მოჰყვა მუსლიმების გაქცევა და განადგურება, არამედ ის ტაქტიკური ხერხი (ჰუნური ანუ მონღოლური ტაქტიკა), რომელიც უცხო არ იყო აღმოსავლეთის სამხედრო ხელოვნებაში“[3].

ამ ცნობით პირველად მუსლიმებმა დაამარცხეს ქართველები, „მხოლოდ „მარცხისა“ და გაქცევის შემდეგ შემოუბრუნდნენ ქართველები, რომლებსაც „ხოცავდნენ და ატყვებდნენ“. „არ გამოვრიცხავთ, 200 კაციანი ყივჩაღთა რაზმის (თუ ქართველთა უფრო მსხვილი შენაერთის) მაჰმადიანთა წინა რიგებში გამოჩენას, ე.ი. მოულოდნელ თავდასხმას, რომელმაც ერთხანს მტრის რიგებში არეულობა გამოიწვია, უნდა მოჰყოლოდა მა-

---

[1] ტურაშვილი დ., ტყეების მეფე, 10.

[2] მეტრეველი რ., დავით აღმაშენებლი, 203.

[3] კუტალია გ., კიდევ ერთი ცნობა „ძლევაის საკვირველის“ შესახებ, გსსუ ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებულში №4, 2013, 41.

თი გონზე მოსვლა და იერიშზე გადასვლა“. „ამაში ვხედავთ სხვა არაფერს, თუ არა მოწინააღმდეგის პროვოცირებას, შეტევის ერთგვარ იმიტაციას, რომელსაც ჩასაფრებაში შეტყუება უნდა მოჰყოლოდა“[1] - ასკვნის გ. კუტალია.

ამრიგად ისტორიკოსი (მხედველობაში გვაქვს თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი) ემყარება, ეთანხმება, წყაროებზე დაყრდნობით, 200 ევროპელს, მაგრამ საეჭვოდ მიიჩნევს ქართველი რაინდების მონაწილეობას ომის საწყის ეტაპზე.

დავითის ისტორიკოსის ტექსტში ამაზე არ არის საუბარი, მხოლოდ მტრის ბანაკში აღრევას ღვთის ძალას და წმინდა გიორგის ჩარევას მიაწერს, „რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი და მათი ივლტოდა, რამეთუ ხელი მაღლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას და წმიდა გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა იგი უსჯულოთა მათ წარმართთა“.[2]

მოცემულ ნაწყვეტში მოჩანს ავტორის რწმენა წმ. გიორგის სასწაულისა, რომელიც არაიშვიათად ჩნდება ფოლკლორში მატიანეებსა, თუ მხატვრულ ტექსტებში გადამწყვეტი ომების დროს (მაგ.: აკაკი. წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ და სხვ.).

XX საუკუნეში ქართული ისტორიული პროზის დიდოსტატის კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგიის „დავით აღმაშენებლის“ დასასრულს, ავტორს მოჰყავს ისტორიკოს გოტიეკანცლერის ცნობა. იგი სულ ორიოდე გვერდს უთმობს დიდგორის ბრძოლს, სადაც ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდზე ტექსტის ნაწილი მხოლოდ გოტიე-კანცლერის ციტირებაა: „...არც დაუგვიანდა, მეფემ თითოეული რაზმი დაარიგა და ორასი ფრანკი მე-

---

[1] კუტალია გ., კიდევ ერთი ცნობა „ძლევაის საკვირველის“ შესახებ, 42.

[2] უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 133.

ომარი, რომელიც თანა ჰყავდა, მტერზე მიუშვა პირველ დაკვრათა მოსახდენად“.[1]

ვფიქრობთ, 25 წლის მანძილზე გაწელილი ტეტრალოგიის ბოლო გვერდები რამდენადმე შეკუმშულადაა წარმოდგენილი, რასაც ავტორი ასე ხსნის: „ხანდახან ვშიშობდი კიდევაც, ვაი, თუ სიკვდილმა მიწიოს - მეთქი. როცა ჯერ კიდევ პირველ წიგნს ვწერდი და კალამს ვიალმასებდი შემდეგი წიგნების დასაწერად, მე უკვე ვიცოდი, რომ ჩემი ეპოპეის უკანასკნელ თავს უნდა რქმეოდა „უკანასკნელი ომი“[2]. დიდგორის ბრძოლაც სწორედ ამ უკანასკნელი თავის წინაა. ამდენად მოყვანილი გოტიე-კანცლერის ციტირება აშკარად გამოხატავს სხვადასხვა წყაროების შეჯერებისას ამ უკანასკნელზე დაყრდნობის მცდელობას.

ყველაზე ფართო, ისტორიული დრამის I და II მოქმედებებში შლის დავით აღმაშენებლის მზადებას ტფილისის გასათავისუფლებად რომანტიკოსი მწერალი, ერეკლე II შვილიშვილი, 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი, ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869). დრამაზე „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი“ მკვლევართა ძირითადი ნაწილი (ჯ. ჭუმბურიძე, ე. ევგენიძე) ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას, მხოლოდ ა. გაჩეჩილაძე და აპ. მახარაძე მსჯელობენ ალ. ორბელიანის დრამატურგიაზე.

აღნიშნული ნაწარმოები ალ. ორბელიანს შეუქმნია 1846 წელს. შენიშვნაში ავტორი წერს: „მე უფრო წასაკითხათ დავწერე თუ ნამდვილი ისტორიულითა რამე გადასცდეს ამ დრამასა,

[1] გამსახურდია კ., თხზულებანი, ტ. IV, თბილისი, 1962, 767.
[2] გამსახურდია კ., თხზულებანი, ტ. IV, 806.

მოგვიტეონ. ამგვარები უამისოდ არ დაიწერება“[1]. დრამა ცალკე წიგნად გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ 1891 წელს.

დრამა შედგება 4 მოქმედებისაგან. როგორც ლიტერატურათმცოდნე ამბერკი გაჩეჩილაძე აღნიშნავს: „რაში მდგომარეობს ამ დრამის ისტორიული ხასიათი? როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელს წილად ხვდა საქართველოს მიწა-წყლის განთავისუფლება თურქ-არაბ დამპყრობთაგან. მან განსაკუთრებული მამაცური და მოხერხებული ბრძოლა გამართა თბილისის განთავისუფლებისათვის.

დრამაში შეუძლებელი იყო დავით აღმაშენებლის დიდი და ხანგრძლივი საქმიანობის ისტორიული პროცესის გაშუქება. მით უმეტეს, რომ მწერალი მიზნად არ ისახავდა გადმოეცა მარტო ისტორიული ვითარებანი.

ა. ორბელიანმა დრამას საფუძვლად მხოლოდ დიდგორის სახელოვანი ბრძოლა დაუდო“.[2] მკვლევარი მართალია. I და II მოქმედებებში სწორედ დიდგორის ბრძოლისათვის მზადება და დავით აღმაშენებლის სტრატეგიაზეა საუბარი, მესამე და მეოთხე (თუმცა ისტორიულად 1 წელი გავიდა დიდგორის ბრძოლიდან ტფილისის განთავისუფლებამდე) მოქმედებები კი ტფილისის გათავისუფლებას ეძღვნება.

ვეთანხმებით მკვლევარ ა.გაჩეჩილაძის აზრს, რომ ეს დრამა ალ. ორბელიანის თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებას გადმოსცემს ალეგორიულად და გამოძახილია 1832 წლის შეთქმულების სულისკვეთებისა.

---

[1] ორბელიანი ა., დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი, კრებ. ,,ახალი ქართული ლიტერატურა‘‘, ტ. I (ქრესტომათია), თბილისი, თსუ, 1979, 403-404.

[2] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1969, 224.

მაგრამ ჩვენი მიზანი მაინც იმ ერთ ეპიზოდს უკავშირდება დიდგორის ბრძოლისა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელიც სწორედ ამ ნაწარმოებში მიგვანიშნებს, ვინ უნდა ყოფილიყო ის 200 კაცი, რომელთაც აღრევა შეიტანეს მტრის ჯარში. სამწუხაროდ, უცნობია, კიდევ რა წყაროებს, იქნებ ბაგრატიონთა საგვარეულოში თაობიდან თაობაზე გადასულ ლეგენდებს, ემყარებოდა ალექსანდრე ორბელიანი, რაზეც თავადაც მიგვანიშნებს. მაგრამ ფაქტი მხატვრულ ტექსტში არა ფრანკთა 200 კაციან რაზმზე მეტყველებს, არამედ ბერებზე, რომლებიც ბერული სამოსის ქვეშ მალავდნენ იარაღს, ტექსტში ეს დავით მეფისა და სერაფიმ ბერის დიალოგშია გადმოცემული:

„დავით მეფე - მეც მეყოლება ოცდა ხუთი ათასიანი, დიახ, ჩინებულნი, გამოცდილნი ვაჟკაცნი და ეხლა ხომ დედოფალიც მოგვეშველა თხუთმეტი ათასი ქალით. სულ ერთიან, რაც ეხლა მხედრობა გვყავს, რომ ვიანგარიშოთ (პატარა ხანს დაფიქრდება და მას უკან იტყვის) ოთხმოცდათოთხმეტი ათასია სწორეთ. - ეხლა თათბირი მოვახდინოთ, რომლის რიგით შევებნეთ თურქ-არაბებსა?

სერაფიმ ბერი - ჩემო ხელმწიფევ! ჩვენ ბერები მოწინავეთ დავდგებით და დანარჩენი თქვენი ნება იყოს.

დავით მეფე - ეგ დიახ კარგი საჭურველი რომ არ გაქვსთ, ეგ ანაფორა რა იქნება? (სერაფიმ ბერი თავის ამხანაგებს ანიშნებს, მაშინვე ანაფორას გადაიხდიან და შორს გადააგდებენ. ნახავენ, რომ დიდრონი ხანჯლები წინ წელზედ აკრამთ და გრძელი ხმლებიც გვერდზე).

სერაფიმ ბერი - ეს ხანჯლები და ხმლები ჩვენთვის საკმაოა, ჩვენო ხელმწიფევ, და მეწინავეთაც დავდგებით ჩვენი ჯარების წინ.

დავით მეფე - მამაო სერაფიმ, თქვენს განზრახვას ვხედამ, თქვენ ბერები ველარც ერთ ვერ დაბრუნდებით ცოცხალი და თურქებსაც კეთილი არ მოუათ რა.

სერაფიმ ბერი - თუ ამისთანა შემთხვევაში არ გამოვადგებით ჩვენს ქვეყანას, მარტო ჩვენის ლოცვით რა იქნება. თვით უფალი ბრძანებს: მხნე იყავ და განძლიერდით ჩვენ, ბერებს, ახლა შემთხვევა გვაქვს და საჭიროა მოგეხმარნეთ“.[1]

შემდგომ დავითი ჯარს ასე განალაგებს: ბერები მოწინავეთ, უკან ქალები და ათი ათასი მეომარი...

ამით მთავრდება II მოქმედება. III მოქმედება კი უკვე ტფილისის შესასვლელთან მდგარი არაბების დიალოგით იწყება.

რატომ არ დაასრულა დიდგორის ბრძოლის ეპიზოდის გადმოცემა ტექსტში ალ. ორბელიანმა. ჩვენთვის უცნობია. აშკარაა ამ ბრძოლის ორგანულ გაგრძელებას იგი ტფილისის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ხედავს.

ტექსტში გამოკვეთილია ფაქტი: ორასი კაცი, რომლებიც მოწინავე რაზმში იყო, შეჭურვილი ქართველი ბერებია. ივანე ჯავახიშვილის აზრით, იმ დროს ტფილისს ამირას გარდა განაგებდა საბჭოსმაგვარი დაწესებულება, რომელთაც მაშინ ქალაქის ბერებს ეძახდნენო. (ხაზი ჩვენია - თ.გ.) ესენი, შ. მესხიას აზრით, იყვნენ „ქალაქის მოხუცებულნი“, უხუცესები, ზედაფენის წარმომადგენლები. ხომ არ იყვნენ იგივე „ქალაქის ბერები“ დიდგორის ბრძოლაში?

აღნიშნული სქემა, ლეგენდა-გადმოცემებზე დაყრდნობით, შეჰყავს დათო ტურაშვილს კინოსცენარში (თავი „დიდგორი“).

„მერე დავითის იმავე ნიშანზე ქართული ლაშქარი უცებ გაიხსნა, შუაგულიდან რამდენიმე ათეული ბერი გამოვიდა და მოწინააღმდეგისაკენ დაიძრა. უიარაღო ბერებმა, გულზე ჯვრებით, გე-

---

[1] ორბელიანი ა., დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი, 178.

ზი იმ მიმართულებით აიღეს, სადაც ილ ღაზის კარავი იყო გაშლილი. ქართველი ბერების წინამძღოლი საკმაოდ ასაკოვანი ჩანდა და სიარულისას ჯოხს ეყრდნობოდა“[1].

კინოსცენარზე მუშაობისას ავტორმა უამრავ წყაროს მოუყარა თავი, მაგრამ გამოცემულ წიგნს მიაწერა: „ლეგენდები დავით აღმაშენებელზე“. აშკარაა რეალური ფაქტი ლეგენდურ საბურველში უკეთესად წარმოაჩენს სინამდვილეს. კინოსცენარში ისევე ფიგურირებს წმინდა გიორგი გაცხადებულად ქართველთა ლაშქრის მხარდამხარ, როგორც ეს დავითის ისტორიკოსის მატიანეშია.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავდა ეჩვენებინა, როგორ ხდება მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში ისტორიული ფაქტის ინტერპრეტაცია. ამის მაგალითად სწორედ ეს ერთი ეპიზოდიც გამოდგება დიდგორის ბრძოლის დასაწყისის სურათის აღსადგენად საუკუნეებს მიღმა მწერლის ფანტაზიის წყალობით, რაც კიდევ უფრო გამოკვეთს გმირისა და ერის ურთიერთკავშირს, კინოსცენარის მიღმა დაფარულ შესაძლო რეალობას, რაც საერთოდ ლიტერატურული ტექსტის ფუნქციაშიც მდგომარეობს.

**დამოწმებანი:**


უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, „ქართული პროზა“, წ. III, თბილისი, 1982.

მეტრეველი რ., დავით აღმაშენებლი, თბილისი, 1990.

ტურაშვილი დ., ტყეების მეფე, თბილისი, 2013.

გამსახურდია კ., თხზულებანი, ტ. IV, თბილისი, 1962.

ორბელიანი ა., დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი ჟამი საქართველოსი, კრებ. ,,ახალი ქართული ლიტერატურა‘‘, ტ. I (ქრესტომათია), თბილისი, 1979.


[1] ტურაშვილი დ., ტყეების მეფე, 193.

ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1969.

კუტალია გ., „კიდევ ერთი ცნობა „ძლევაის საკვირველის“ შესახებ“, გსსუ ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებულში №4, 2013.

***Tamar Gogoladze***
*Gori State Teaching University, Professor*

**AN INTERPRETATION OF AN EPISODE OF DIDGORI STRUGGLE IN A FICTION OF VARIOUS EPOCHS**

**RESUME**

The subject matter of the presented work is the issue of a real fact and its interpretation in fiction. The issue is presented on the example of an episode of Didgori struggle.

The ideas of historians (R. Metreveli) and literary workers are discussed in the mentioned work. The corresponded extracts dealing with the strategic planning and beginning of a struggle in some fiction (a historian of Davit Aghmashenebeli, the drama by Aleksandre Orbeliani “Davit Aghmashenebeli”, a tetralogy by Konstantine Gamsakhurdia “Davit Aghmashenebeli” and the script of a film written in the XXI century) are studied.

The research of the mentioned issues clears up how a real, historic story is reflected in the laboratory of a writer.

*იგორ კეკელია*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*ისტორიის დოქტორი*

# აფხაზეთის „ალანეთი“ ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომისა და რუკების მიხედვით

ვახუშტი ბატონიშვილის (1696-1756 წწ.) ნააზრევი მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენს ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში. ევროპული ცივილიზაციისა და მეცნიერების დონეზე ამაღლებულმა, ენციკლოპედიურად განათლებულმა და მრავალმხრივმა მოღვაწემ – მთარგმნელმა, ლექსიკოგრაფმა, ისტორიკოსმა, ეთნოლოგმა და გეოგრაფ-კარტოგრაფმა შექმნა პირად დაკვირვებებსა და საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაფუძნებული საისტორიო-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ხასიათის მონუმენტური ნაშრომი ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ამასთანავე, ვახუშტის ,,აღწერა“ საქართველოსა და მისი მეზობელი რეგიონების მოსახლეობის ყოფითი კულტურისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია მისივე კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. ვახუშტი საქართველოს რუკების ორი ატლასის ავტორია. ერთზე მუშაობა დაუსრულებია 1735 წელს, მეორეზე – 1743 წელს.

ვახუშტის ძირითადად საისტორიო ხასიათის თხზულებაში მოცემულია საქართველოს რეგიონების აღწერა ადგილთა ბუნებრივი თანმიმდევრობისა (ხეობები, ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები...) და სამხედრო-პოლიტიკური დანაწილების (საერისთავოები, სასპასპეტოები, სადროშოები...) შესაბამისად. მო-

ცემულია ფიზიკურ-გეოგრაფიული (ოროგრაფიულ-ჰიდროგრაფიული, მეტეოროლოგიური) და ეკონომიკური დახასიათება.

სახელოვანი ისტორიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ამა თუ იმ რეგიონისა თუ ცალკეული გეოგრაფიული ობიექტის დახასიათებისას, მისი სარგებლიანობისა და წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით.

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის საქმეში ფასდაუდებელია მისივე კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. ორ ატლასად შეკრული, ტოპოგრაფიული დეტალურობითა და სისრულით შედგენილი რუკები ადასტურებს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი თავისი დროის უთვალსაჩინოესი კარტოგრაფი იყო.

საკუთრივ აფხაზეთზე მსჯელობისას ვახუშტი ბაგრატიონი ცნობებს ,,აფხაზეთის ალანეთზეც“ გვაწვდის: ,,ხოლო ალანი არს სუანეთის დასავლით და ბედიის ჩდილოთ. აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი სუანთა; სამხრით კავკასი ბედია-ოდიშს და ამას შორისი; დასავლით კავკასი; ჩდილოთ-ცა კავკასი. უდის შუაში სუანეთის მდინარე. მოსავლით და პირუტყვით სცან, ვითარცა სუანეთი. არამედ კაცნი კერპნი, უსჯულონი. გარნა პირველ იყვნენ ქრისტეანენი და აწ კერპნი, და რომელიმე მოჰმადიანი და მისიცა უმეცარნი. ხოლო კავკასნი, რომელნი აღვსწერეთ ამ ადგილებთა შინა, კედელის კავკასის მთიდამ, ვიდრე ჯიქეთამდე, არიან ეგრეთივე მყინვარენი მთანი, ვითარცა ქართლისანი და ოსეთისანი, სიმაღლით, მყინვარებით და ყოვლითურთ. არამედ სუანეთი და ალ-

ანი იყო კავკასისავე წილნი და მეფეთა ქართველთა თვით განიმკვიდრეს, ვითარცა აღვსწერეთ“[1].

მაშასადამე, ვახუშტის მონაცემებით, მდ. ბზიფს, შავ ზღვასა და კავკასიონს შორის მდებარეობდა ისტორიული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მხარე ,,ჯიქეთის“ სახელწოდებით. მას აღმოსავლეთით სვანეთი ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით – ბედია და მცირე კავკასიონი (,,ბედია-ოდიშს შორისი“). ვახუშტი რუკებზე არასწორად უჩვენებს ალანის გეოგრაფიულ მდებარეობას. მას ათავსებს იმ ფანტასტიური მდინარის ხეობაში, რასაც ,,სუანეთის მდინარეს“ უწოდებს. აღნიშნული მდინარე ვახუშტის რუკაზე გაივლის სვანეთს და მხოლოდ ქვედა დინებით შეესაბამება მდინარე ბზიფს[2].

ალანეთის მდებარეობას ვახუშტის მსგავსად გადმოსცემს ქართველი ისტორიკოსი ნ. დადიანიც: ,,ალანეთისა საზღვარი არს აღმოსავლეთით კავკასი და საზღვარი სუანთა, სამხრით კავკასი ბედია-ოდიშს შორის, დასავლით კავკასი, ჩრდილოთცა კავკასი. უდის შუაშიდ სვანეთის მდინარე. ალანნი იყვნენ პირველ ქრისტიანენი და ახლა რომელნიმე არიან მაჰმედიანნი. და ესენი იყვნენ კავკასოსნი წილნი“[3].

ამასთანავე, ნ. დადიანის ცნობით, ,,სვანეთს მზღვრის... დასავლეთით სვანეთსა და ოდიშს შორისი კავკასი და ალან-

---

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბილისი, 1973, 788-789.

[2] მარუაშვილი ლ., ისტორიული გეოგრაფიის ელემენტები ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში. ვახუშტი ბაგრატიონი გეოგრაფი, თბილისი, 1997, 188.

[3] დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბილისი, 1962, 152.

ის საზღვარი“[1]. თარგამოსის მიერ ძეთათვის ტერიტორიის გაყოფის აღწერისას ნ. დადიანი ეგროსისათვის განსაზღვრულ ტერიტორიას შემდეგ საზღვრებში ათავსებს: ,,და ეგრის[ს] მისცა ნაპირის ქვეყანა შავისა ზღვის, და განუსაზღვრა: აღმოსავლეთით მთაი ალანისა, დასავლეთით ზღვაი და მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადაცა ამაღლდებიან ცხვირნი კავკასიისა მთისანი. ამანცა აღაშენა სახელსა ზედა თვისსა ქალაქი, რომელსაცა აწ ოდიშად უწოდებენ“[2].

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ალანებს ხშირად ასახელებს პროკოპი კესარიელი, და უმთავრესად – ლაზიკასთან და აბაზგიასთან დაკავშირებული ამბების გადმოცემისას. პროკოპის ცნობით, სვანები ალანთა მეზობლად ცხოვრობენ[3].

ალანების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორი აგათია სქოლასტიკოსი. აგათია მოგვითხრობს ბიზანტიელთა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომ მისიმიელთა ციხე ბუკლოონი მათ 554 წელს გადაეცათ ალანებისათვის[4].

VII ს-ის ,,სომხური გეოგრაფია“ გვაუწყებს, რომ მდ. დრაკონი ,,...მოედინება ალვანიდან (არა ალბანია) და განჰყოფს აფხაზეთს და ეგრის ქვეყანას“[5]. მისივე ცნობით, სანა-

---

[1] დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 152.

[2] დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 68.

[3] გეორგიკა, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ნაკვეთი II, თბილისი, 1965, 45-47, 100, 103, 119, 153...

[4] გეორგიკა, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ნაკვეთი III, თბილისი, 1936, 86-87.

[5] Армянская география VII века по р. Х. Текст и перевод, издал К. П. Патканов, 1877, 25-26.

პირო ქალაქ სებასტოპოლისამდე და მდ. დრაკონამდე აფშილები და აფხაზები ცხოვრობენ. ეთნონიმი ,,ალვანი“ გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომა ან ფონეტიკურად სახეცვლილი ალანი უნდა იყოს. მაშასადამე, ,,სომხური გეოგრაფიის“ დამოწმებული ცნობითაც, აფხაზთა და ეგერთა ქვეყნის საზღვრად მიჩნეული მდ. კოდორის (უწინდელი დრაკონის) სათავეებში მდებარე მისიმიანეთი ალანთა ხელში იყო[1]. ეს ცნობა მიიჩნევა ადრეულ ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე ალანთა ეთნიკური (?) შემოღწევის ჯერჯერობით ერთადერთ ფაქტად[2].

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი ოსებზე მსჯელობისას წერს, რომ ბიზანტიელები იმ ხალხს, სადაც ოსები სახლობენ, ოსების სახელით არ იცნობენ და მათ ალანს ეძახიან. მაშასადამე, ჰაქსტჰაუზენს ალანები და ოსები ერთი და იგივე ხალხად მიაჩნია: ,,ოსებს კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე და ზეგნებზე უნდა ეცხოვრათ დიდ და მცირე ყაბარდოში და საკუთარი მეფეც ჰყოლიათ; მაგრამ ბათო ყაენმა ისინი იქიდან გააძევა XIV საუკუნეში და შემოეკედლნენ კავკასიის ქედს. მაგრამ მათ ძველადაც უნდა ეცხოვრათ დღევანდელ მათ სამყოფელში, რადგან ქართული ანალები ოსებს ქართველთა მეზობლებად მიიჩნევს უკვე ალექსანდრე დიდის დროიდან. ხომ არ ეხმაურება ეს გადმოცემა ოსთა გადმოსახლების შესახებ გერმანელ დამპყრობთა მიგრაციას, რომლებიც უძველეს ოსებთან იყვნენ შერეული“[3]. გერ-

---

[1] აფხაზავა ნ., ალანები და საქართველო (ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის), თბილისი, 1991, 28.

[2] აფხაზავა ნ., ალანები და საქართველო (ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის), 29.

[3] აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმანი გ. გელაშვილისა. თბილისი. ,,არტანუჯი“, 2011, 165.

მანელი მოგზაურის ვარაუდით, ჰუნების მიერ საკუთარი მიწა-წყლიდან გამოდევნილ და კავკასიაში შემოხვეწილ გოთების ტომებს უნდა დაეპყროთ და დაემორჩილებინათ კავკასიის უძველესი ხალხი ოსები ან ალანები[1].

ვახუშტის აღწერაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ალანეთი აფხაზეთის ქვეყნის ის მხარეა, რაზეც მდ. კოდორი გაივლის ბზიფამდე, ანუ კოდორის ზემო წელის ტერიტორია; კონკრეტულად კი, ჩხალთის, კლიჩის, გვანდრისა და საკენის ხეობები, ანუ ბიზანტიური წყაროების მისიმიანეთი[2]. კოდორის სათავეები თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით გულრიფშის რაიონში შედის. აღნიშნული ისტორიული მხარე, რაც წებელდის ნაწილს შეადგენს, დალის ხეობის სახელითაა ცნობილი.

საიდან უნდა მომხდარიყო ალანების შემოსვლა კოდორის ხეობის ზემო წელის ტერიტორიაზე? წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ალანები ადრეულ შუა საუკუნეებში (IV-V სს-დან მაინც) მდ. ყუბანისა და მისი შენაკადების სათავეებში მოსახლეობდნენ[3]. ე. ალექსეევას თქმით, ,,...в эпоху раннего средневековья Кубани населяли аланы“[4].

*ადრეულ შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში იყო ალანთა ორი დიდი ტომთა გაერთიანება. ყუბანის აუზში მო-*

---

[1] აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, 189.

[2] მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980, 56.

[3] Алексеева Е., Древняя и средновековая история Карачаево-Черкесии, Москва, 1971; Кузнецов В.А. Аланские племена Северного Кавказа. МИА. №106; აფხაზავა ნ., ალანები და საქართველო. ,,მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3-4, თბილისი., 1991, 24-25.

[4] Алексеева Е., Древняя и средновековая история Карачаево-Черкесии, 103.

*სახლეობდნენ დასავლეთ-ალანები ადიღეურ ტომებთან ერთად, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიის ველი და მთისწინეთი აღმოსავლეთ ალანეთის გაერთიანებას ეკავა*[1].

*ნ. აფხაზავას აზრით, ჩრდილოეთირანული წარმოშობის მომთაბარე ალანთა ტომი ახ. წ. I ს-ის მეორე ნახევარში აღმოსავლეთიდან მოვიდა და დამკვიდრდა ვოლგა-დონის ქვემოწელსა და აზოვისპირეთში. 372 წელს ვოლგის გაღმიდან შემოსულ ჰუნთა მიერ ალანთა გაერთიანების განადგურებას მოჰყვა ის, რომ „მათი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიის ველებსა და მთისწინეთს შეეფარა, ნაწილი კი, ჰუნთა შემადგენლობაში მყოფი, შეესია დასავლეთ ევროპას და შემდგომ ვანდალებთან ერთად ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნა ალან-ვანდალთა სამეფო“*[2]. *ალანთა ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო IX-XIII სს-ში არსებობდა მდ. ყუბანის სათავეებსა და თერგის შუა წელს შორის, უმეტესად ჩრდილოეთ კავკასიის ველებსა და მთიწინეთში. ნ. აფხაზავა ფიქრობს, რომ ახალი ეთნიკური ერთობა – ალან-ოსური ეთნოსი უნდა ჩამოყალიბებულიყო X-XII სს-ში, მოსული ირანულენოვანი ალანებისა და ადგილობრივ კავკასიურენოვან ტომთა შერწყმის შედეგად: „გაიმარჯვა მოსულმა ენამ და დამხვდურთა ანთროპოლოგიურმა ტიპმა...“*[3]. *XI-XIII საუკუნეებში ალანთა სამეფოსა და საქართველოს მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაზე მეტყველებს ალანეთში*

---

[1] Кузнецов В.А. Аланские племена Северного Кавказа, 131; Алексеева Е., Древняя и средновековая история Карачаево-Черкесии, 78, 80, 103; აფხაზავა ნ., გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეთა ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია (წერილობითი და არქეოლოგიური მასალების მიხედვით), თბილისი, 2010, 35.

[2] აფხაზავა ნ., ალანები, ენციკლოპედია „საქართველო“, თბილისი, 1997, 89-90.

[3] აფხაზავა ნ., ალანები, 90.

*ქართული ქრისტიანული კულტურის (არქიტექტურა, ფერწერა) ფართო გავრცელება და ხშირი დინასტიური ქორწინებები. ალანეთის, როგორც სახელმწიფოებრივ-კულტურული ერთეულის, დეგრადაცია დაიწყო მას შემდეგ, რაც იგი მონღოლებმა დაიპყრეს (1238-1239 წწ.). ,,ალან-ოსთა ნაწილმა ყივჩაყებთან ერთად უნგრეთს შეაფარა თავი, ნაწილი მონღოლებმა გადაასახლეს თავიანთი იმპერიის აღმოსავლეთით. კავკასიაში დარჩენილი ალან-ოსები მონღოლებთან ერთად ხშირად ლაშქრობდნენ საქართველოში. ამ დროიდანვე დაიწყო მათ მიერ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ხეობების ათვისება და ოსური ეთნოსის საბოლოო ფორმირება“[1]. ამავე დროს უკავშირდება ქართლის მთიანეთში ალანთა დასახლება. XIV ს-დან ალანეთში ფეხს იკიდებს ისლამი.*

კოდორის სათავეებში ოდესღაც ალან-ოსთა ექსპანსიის მოწმობად მკვლევარი დ. მუსხელიშვილი, ვახუშტის ცნობის გარდა, მიიჩნევს სოფ. ალანდას არსებობას მდინარეების – კლიჩისა და საკენის შესართავთან, სწორედ ბუქლოს//ბუკულუსის ციხესიმაგრის ნანგრევების მახლობლად[2].

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები ,,ალანთა ქვეყნის“ შესახებ ნ. აფხაზავასაც აფიქრებინებს, რომ ალანთა გარკვეული ნაწილის ჩამოსახლება კოდორის ხეობის ზედა წელზე სრულიად რეალური სურათის ამსახველია. მკვლევრის აზრით, ალანთა მნიშვნელოვანი ეთნიკური მასის შემოსვლა კოდორის ხეობაში ხდება I-IX საუკუნეებში. ამასთანავე, მეგრულსა და სვანურთან ალანურის ენობრივი ურთიერთგავლენა სწორედ აქ, კოდორის ხეობის ზემო წელზე უნდა მომხდარიყო. თუმცა კო-

---

[1] აფხაზავა ნ., ალანები, 90.

[2] მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 54-55.

დორის ხეობის ,,ალანთა“ ეთნიკური ფიზიონომია გაურკვეველია. მკვლევრის აზრით, დასადგენია, მხოლოდ ეთნონიმი შერჩათ კოდორის ხეობაში განსახლებულ ალანებს, თუ ენაც და სხვ.[1]

მაშასადამე, დაასკვნის ნ. აფხაზავა, I-IX სს-ში ქართლისა და კოლხეთ-ლაზიკის სამეფოების ურთიერთობა ალანებთან უნდა განვიხილოთ არა როგორც ქართველ-ოსთა, არამედ როგორც ქართველ-ალანთა ურთიერთობა. კოდორის ხეობის სათავეებში, ანუ ისტორიული მისიმიანეთის ტერიტორიაზე, სწორედ აღნიშნულ ხანაში უნდა მომხდარიყო ალანთა მნიშვნელოვანი ეთნიკური მასის შემოსვლა[2].

ნ. აფხაზავა სხვადასხვა ავტორთა ნაშრომების გაანალიზების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თვისობრივად ახალი ეთნიკური ერთეული – ოსი ხალხი, ალანთა და კავკასიელთა შერწყმის შედეგად, X-XII საუკუნეებისთვის უნდა მიგვეღო. ადრე შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულმა ალანთა მეტ-ნაკლებმა მასამ შედეგად მოგვცა ,,აფხაზეთის“ ქვეყანა ,,ალანის“ სახით. ბერძნულ-ბიზანტიურიდან ნათარგმნი და ქართული წერილობითი წყაროებითა და ტრადიციით ეს ,,ქვეყანა“ ,,ალანად“ იწოდება და არა ,,ოსეთად“[3].

მკვლევარი მოგვიანებით, 1998 წელს გამოცემულ ნაშრომში კვლავ დაუბრუნდა ,,აფხაზეთის ალანეთის“ საკითხს და მასზე საინტერესო მსჯელობა შემოგვთავაზა. ნ. აფხაზა-

---

[1] აფხაზავა ნ., ალანები და საქართველო (ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის), 29, 65.

[2] აფხაზავა ნ., ალანები და საქართველო (ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის), 65.

[3] აფხაზავა ნ., ალანები და საქართველო (ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის), 3-4.

ვამ აფსილთა (აფშილთა) ეთნიკურ ვინაობასა და ენობრივ კუთვნილებაზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა ლინ-გვისტურ მასალაზე (ლექსიკურ ნასესხობებზე), რაც, მისი აზრით, მიუთითებს სვანურ-მეგრულის ინტენსიურ და ძველ ურთიერთობებზე ალანურ-ოსურთან ადრეულ შუა საუკუნეებ-ში[1]. მკვლევარი იმოწმებს ვ. აბაევის მიერ მეგრულიდან, აფ-ხაზურიდან და სვანურიდან ოსურ ენაში შესული ლექსიკური ერთეულების დაფიქსირების ფაქტს. მათგან ყოფისა და კულ-ტურის სფეროს ამსახველი ნასესხობების, კერძოდ, მეგრე-ლიზმების რაოდენობა ერთ ათეულზე მეტია, ხოლო სვანიზ-მებისა – 40-ზე მეტი. მოაქვს ციტირებაც ცნობილი ოსი ენათმეცნიერის ნაშრომიდან, რომ „Осетинские слова, которые мы рассматриваем как мегрелизмы, своим характером, и значением употреблением говорят об интимности и глубине связей существовавших между двумя народами. Речь идет не о каких нибудь второстепенных малоупотребительных словах, а самых насущых обиходных понятиях: огонь, камень, жердь, стлоб, скамья, шерсть, серна, нос. К некоторым из этих слов трудно применимо даже наименование „заимствования“, мы возвращаемся настойчиво к другому лингвистическому и культурно-историческому понятию: „субстрат“[2].

ვ. აბაევი შეეცადა მიახლოებით მაინც განესაზღვრა და დაეზუსტებინა მეგრელთა და ოსთა შორის შესაძლო კონტაქ-ტების არეალი და ხანა. იგი იმოწმებს აკად. ს. ჯანაშიას მი-ერ გამოთქმულ მოსაზრებას ასეთ ურთიერთობათა შესაძლებ-ლობაზე და წერს: „По любезному осведомлению С. Н.

---

[1] აფხაზავა ნ., აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის (რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები), აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1998, 7-8.

[2] Абаев В., Осетинский язык и фолклор, т. I, М-Л. 1949, 329.

Джанашиа, мегрелский элемент был распространен в прошлом по кодорскому ущелью нынешней Абхазии факт особой важности, если иметь в виду многовековое соседство осетин-алань с Абхазией“[1].

მაშასადამე, ვ. აბაევის აზრით, მეგრელ-ოსთა შესაძლო კონტაქტის არეალი კოდორის ხეობა უნდა ყოფილიყო (ალ-ან-ოსები აფხაზეთის მოსაზღვრე ყუბანის სათავეებში მოსახ-ლეობდნენ), ხოლო შესაძლო აქტიური ურთიერთობების ხა-ნად მკვლევარი მიიჩნევს არა უმეტეს XIV საუკუნეს, ანუ ყუბანის სათავეებში ოსების განსახლების ხანას, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მათი ურთიერთობა მეგრელებთან, სვანებთან და აფხაზებთან[2]. ოსურ ენაში მეგრელიზმებისა და სვანიზმების, ასევე აფხაზური ნასესხობების, და, პირიქით, ალანურ-ოსური ენობრივი ელემენტების სვანურსა და მეგ-რულში დაფიქსირებაც, მკვლევართა აზრით, სწორედ ამ ურ-თიერთობებით უნდა აიხსნას[3].

როგორც აღვნიშნეთ, ფიქრობენ, რომ კოდორის სათავე-ებში, ფაქტობრივად მისიმიანთა ქვეყანაში, ალანები ყუბანის სათავეებიდან უნდა მოხვედრილიყვნენ[4]. ,,სწორედ აქ, კოდო-რის ხეობაში... უნდა მომხდარიყო მათი კონტაქტი მეგრულე-ნოვან ეთნიკურ მასივთან. მაგრამ აქ მისიმიელთა მოსაზ-

---

[1] Абаев В., Осетинский язык и фолклор, 329.

[2] Абаев В., Осетинский язык и фолклор, 309-322; აფხაზავა ნ., აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის (რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები), 8.

[3] Абаев В., Осетинский язык и фолклор, 294-300; ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966, 54-55; აფხაზავა ნ., აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის (რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები), 8.

[4] Алексеева Е., Древняя и средновековая история Карачаево-Черкесии, 78, 80, 103; Кузнецов В.А. Аланские племена Северного Кавказа, 131; აფხაზავა ნ., ალანები და საქართველო, 24-25.

ღვრედ აფსილები (--აფშილები) ბინადრობენ და კოდორის სათავეებში დამკვიდრებულ ალან-ოსებს მხოლოდ მათგან, ან მათი მემკვიდრეებიდან შეეძლოთ მიეღოთ ვ. აბაევის მიერ ხაზგასმული სუბსტრატული ,,მეგრელიზმები“. მეგრულენოვან ეთნიკურ მასივთან ალან-ოსთა მეზობლობა და მჭიდრო კონტაქტი საქართველო-ჩრდილოკავკასიის სხვა მოსაზღვრე რეგიონებში გამორიცხულია“[1].

მაშასადამე, ნ. აფხაზავას საბოლოო და უმთავრესი დასკვნა შემდეგია: ლინგვო-კულტურული ფაქტებით დასტურდება, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ოსთა წინაპარ ალანებს მდ. ყუბანზე ბინადრობისას, კოდორის ხეობაში შეღწევის შედეგად, აფსილ-აფშილებთან კონტაქტის გზით მიუღიათ სუბსტრატული ტიპის მეგრელიზმები, და რომ ეთნონიმ აფსილის // აფშილის წარმოების ქართული ფორმა **აფს-ილ-ი (აფშ-ილ-ი)** მიუთითებს აფსილთა მეგრულენოვნებასა და უძველესი დროიდანვე ქართველურ ეთნოკულტურულ სამყაროსთან კავშირზე[2].

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ალან-ოსთა და მეგრელ-ლაზთა ადრეულ პერიოდში შესაძლო კონტაქტების ანარეკლადაა მიჩნეული ისტორიულ-არქეოლოგიურ მეცნიერებაში ,,წებელდის კულტურის“ სახელით ცნობილ ნამოსახლარებზე ალანური კერამიკის აღმოჩენის შემთხვევებიც[3]. თვით

---

[1] აფხაზავა ნ., აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის (რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები), 10.

[2] აფხაზავა ნ., აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის (რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები), 11.

[3] Воронов Ю. Тайна Цебельдинской долины. М., 1975, 12-17; Воронов Ю., Бгажба О., Логинов В., Исследования в селе Цебельда, ПАИ. Тбилиси, 1983, 55; აფხაზავა ნ., აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის (რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები), 13; აფხაზავა ნ., გვიანანტიკური და

ამ კულტურის გავრცელების ძირითადი არეალი კოდორის ხეობას მოიცავს. ამასთანავე, შესაბამისი ეპოქის არქეოლოგიური მასალა ადასტურებს თავისი გენეზისით ,,წებელდური კულტურის“ კოლხურ კულტურასთან სიახლოვეს, რაც მოიცავს არა მხოლოდ აფსილებით დასახლებულ ტერიტორიას, არამედ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს – სვანეთს, სამეგრელოს, გურიას, აჭარას, ბარის იმერეთს, მთელ აფხაზეთს და ზოგ მოსაზღვრე რაიონს ჩრდილო-დასავლეთით[1].

რაც შეეხება ოსურ ენაში ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი სვანური ენობრივი პლასტის წარმოქმნა-დადასტურებას, ნ. აფხაზავას მიერ ეს ფაქტი კოდორის სათავეებში ალანთა ექსპანსიის შედეგად მისიმიან-სვანთა ტომის აქედან შესაძლო განდევნა-ამოწყვეტასა ან ალანთაგან ასიმილაციაზე უნდა მიგვანიშნებდეს[2].

ლინგვისტურ-არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო ძიებებისა და კატეგორიული დასკვნების გამოტანის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ დ. მუსხელიშვილისა და ნ. აფხაზავას ნოვაციები ალანეთის ლოკალიზაციის მიმართულებით, უფრო მყარ არგუმენტაციას და დამაჯერებელ მსჯელობას საჭიროებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მეგრელებთან ალანთა მჭიდრო კონტაქტების მტკიცება ოსურ ენაში ვ. აბაევის მიერ დადასტურებული ლექსიკუ-

---

ადრეშუასაუკუნეთა ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია (წერილობითი და არქეოლოგიური მასალების მიხედვით), 42-70.

[1] აფხაზავა ნ., გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეთა ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია (წერილობითი და არქეოლოგიური მასალების მიხედვით), 72.

[2] აფხაზავა ნ., გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეთა ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია (წერილობითი და არქეოლოგიური მასალების მიხედვით), 42-70.

რი ნასესხობების, სუბსტრატული ,,მეგრელიზმების“ მოშველიებით, ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგან 40-ზე მეტი სვანიზმითა და 10-ზე მეტი მეგრელიზმით ალანებთან სვან-მეგრელთა შესაძლო კონტაქტებზე საუბარი უმართებულოდ გვეჩვენება. ნასესხობათა ასეთი მცირერიცხოვანი რაოდენობისათვის ,,სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის“ (ვ. აბაევი) მინიჭება და მათზე დაყრდნობით კატეგორიული დასკვნების გამოტანა, ვფიქრობთ, ძალზე სარისკოა;

2. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ რამდენიმე ერთეული ან თუნდაც ათეული არქეოლოგიური ნივთის აღმოჩენით მთელი ტერიტორიის ეთნიკურ კუთვნილებაზე საუბარი საკმაოდ საფრთხილო და ნაჩქარევი უნდა იყოს;

3. ტოპონიმ ,,ალანდას“ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობა შეუძლებელია გამოდგეს ალანთა ტომის აქ ოდესღაც სახლობის დამამტკიცებელ საბუთად, ვინაიდან ამ ტოპონიმის წარმოქმნის თარიღი დადგენილი არ არის. გარდა ამისა, სახელწოდების კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში წარმოქმნა შესაძლებელია ამ ადგილას ოდესღაც ალანთა დროებითი, სპორადული დასახლების შედეგი ყოფილიყო.

ნ. აფხაზავა მეგრულენოვან ეთნოსთან ალან-ოსთა მეზობლობასა და მჭიდრო ურთიერთობას საქართველო-ჩრდილოკავკასიის სხვა მოსაზღვრე რეგიონებში, მათ შორის, ,,ისტორიული ოსეთის“ მოსაზღვრე რაჭაშიც, გამორიცხავს, ვინაიდან, ამ მხარეში სადღეისოდ გაბატონებულ ქართულ ეთნოლინგვისტურ სიტუაციას წინ უსწრებდა და, ზოგი მკვლევრის აზრით, გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისამდე არსებობდა მხოლოდ სვანური ენა. ამიტომ ,,რაჭაში მეგრელიზმები (=ზანიზმები) არ გვხვდება“[1].

---

[1] აფხაზავა ნ., აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის (რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები), 10.

აღნიშნული თვალსაზრისი საკამათოა შემდეგი გარემოების გამო: უკანასკნელ წლებში რაჭის სრული ტოპონიმური მასალის გამოქვეყნებამ და სტრუქტურულ-ფონეტიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ თანამედროვე ტოპონიმია (და რაჭული დიალექტის მასალა) ძირითადად ქართულია. რასაკვირველია, ეს როდი გამორიცხავს ამ მხარეში, განსაკუთრებით მთა-რაჭაში (ისტორიული მთიულეთი) სვანების მოსახლეობას და შესაბამისად, რაჭის ტოპონიმიკაში სვანური სუბსტრატის არსებობას[1]. ,,რა ვითარებაა ზანიზმებთან დაკავშირებით რაჭის ტოპონიმიაში?“ – ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პროფესორი პ. ცხადაია აანალიზებს რაჭის ო- თავკიდურიან და -ში დაბოლოებიან ყველა ტოპონიმს. ამასთანავე, მკვლევარ ალ. კობახიძის მიერ შედგენილ ,,რაჭული დიალექტის ლექსიკონზე“ მითითებით შენიშნავს, რომ რაჭაში რამდენიმე აშკარად ზანური სიტყვა დასტურდება. მაგალითად: ონდეთ ,,ძლივს, ძლივძლივობით, ოდნავ“; ოდიშურა – საშემოდგომო მსხლის ჯიში; ობროდი ,,უჭკუო, ჩერჩეტი“; ოჩოკოჩი ,,ტყისკაცი“; ოშოშია ,,ასფურცელა“... მკვლევარი აგრეთვე იმოწმებს ზანიზმებს რაჭის ტოპონიმიაში: ორჭე – გზა გლოლაში; ორჭე//ორღობე – გზა-გასასვლელი ბაჯიხევში; ორჭე//ჩიხი – გზა ლიხეთში (ორჭე ქართული ,,ვიწრო“ ლექსემის მეგრულ შესატყვისს წარმოადგენს); ჩაბინდულა//ოჩოკოჩის ტყე – ტყიანი ბნელი ხევი სოფ. ღვიარაში. ოჩოკოჩი მეგრულში ტყის კაცის, მითიური არსების აღმნიშვნელია.

პ. ცხადაიას ტოპონიმებისა და ლექსიკის გაანალიზება შემდეგი საერთო დასკვნის გამოსატანად ჭირდება: ,,სვანიზმე-

[1] ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V (მარტვილის რაიონი), 2011, 283-293.

ბი და ზანიზმები რაჭის ტოპონიმიაში არც ისე მრავალრიცხოვანია, რომ ,,ხელშესახები“ ვუწოდოთ“[1].

ამდენად, მეგრულისა და ოსურის ურთიერთობა, რაც აისახა მცირერიცხოვან ლექსიკურ ნასესხობათა სახით, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა რაჭის გზითაც და არა კოდორის ხეობის სათავეებით, ვინაიდან, გეოგრაფიული სივრცის გათვალისწინებით, კოდორის ხეობაში ალანთა მოსახლეობა ძნელი დასაჯერებელია.

ალანეთის ლოკალიზაციის საკითხს შეეხო და პრობლემის სხვაგვარად გადაწყვეტას შეეცადა ენათმეცნიერი თეიმურაზ გვანცელაძეც. მან ყურადღება მიაქცია მატიანეში – ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თამარ მეფის მამის, გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) შესახებ დაცულ შემდეგ ცნობას: ,,თუით მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად. ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთიმერითს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუადმდე. და ამას შინა სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმპიანითა“[2]. ციტირებული ადგილი მან განსაკუთრებით საყურადღებოდ მიიჩნია XII ს-ის მეორე ნახევარში ეთნიკური აფხაზეთის ადგილმდებარეობის დასადგენად. თ. გვანცელაძე ცნობის სინტაქსური ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ შერწყმული წინადადება – ,,მოიწიის და მოინადირის ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუადმდე“, სავსებით ცხადად მიუთითებს შემდეგს: ალანთა ქვეყანა იგივე აფხაზეთია; არც ალანთა ქვეყანა და

---

[1] ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, 298.

[2] ახალი ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, 15.

არც აფხაზეთი ,,ლიხთ-იმერითში“ არ შედის და პონტოს ზღვის უშუალო სიახლოვეს არ მდებარეობს[1]. **მო-** ზმნისწინიანი **მოიწიის** ფორმის გამოყენებაც, მკვლევრის აზრით, იმაზე მიანიშნებს, რომ ,,ალანთა ქვეყანა“, ანუ საკუთრივ აფხაზეთი მდებარეობდა არა პონტოს ზღვის ნაპირზე, არამედ ზღვისაგან აღმოსავლეთით, ხმელეთის სიღრმეში, ოღონდ არა ამიერკავკასიაში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში“[2].

აღნიშნული მოსაზრება საგულისხმოდ გვეჩვენება. ფრაზა – ,,ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“, იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ აფხაზეთი და ალანთა ქვეყანა ერთი და იგივეა; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ტერმინ ალანის ეთნიკური შინაარსი გულისხმობს თურქული მოდგმის ყარაჩაელ-ბალყარელთა წინაპრებს, ამასთანავე, იმავე მატიანეში მოხსენიებული ეთნონიმი ,,ალანი“ ,,ოვსის“ შესატყვისად შეუძლებელია ჩაითვალოს (რამეთუ ,,ოვსებს“ და ,,ოსეთს“ მემატიანე ხშირად ხმარობს, ხოლო ,,ალანეთს“ – ამ ერთადერთხელ!), ქართული მატიანის საანალიზო ცნობაში პოლიტიკური შინაარსის მქონე შესიტყვება ,,ალანთა ქუეყანა“ შესაძლებელია იმ პოლიტიკური გაერთიანების აღმნიშვნელი იყოს, რაც ოსებთან ან ყარაჩაელ-ბალყარელებთან ერთად აერთიანებდა ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენ, აფხაზურ-ადიღურ ტომებს, მათ შორის აფხაზებსაც[3].

---

[1] გვანცელაძე თ., ,,ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის (,,ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“). ჟურნ. ,,ქართველური მემკვიდრეობა“, II, ქუთ., 1998, 73.

[2] გვანცელაძე თ., ,,ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის (,,ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“), 74; მისივე ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. კრ. ,,აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბ., 1998, 28.

[3] გვანცელაძე თ., ,,ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის (,,ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“), 74; მისივე

,,სხვანაირად ვერ აიხსნება, – წერს თ. გვანცელაძე, – ალანთა ქვეყნისა და აფხაზეთის გაიგივება ქართველი მემატიანის მიერ“[1].

,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს დამოწმებულ ცნობაში ალანთა ქვეყნისა და აფხაზეთის იგივეობის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისის გამყარებას თ. გვანცელაძე რამდენიმე არგუმენტის მოშველიებით ცდილობს:

1. ალანთა ქვეყნისა და აფხაზეთის იგივეობის შესახებ ცნობა ,,ქართლის ცხოვრების“ უკლებლივ ყველა ხელნაწერში უცვლელი სახითაა წარმოდგენილი. მატიანის გვიანდელი გადამწერები ტექსტის ამ ადგილის ჩასწორებას იმ შემთხვევაში შეეცდებოდნენ, თუკი ჩათვლიდნენ, რომ მემატიანის ცნობა არ იქნებოდა XII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს რეალობის ამსახველი[2].

2. ეთნიკური აფხაზეთის მდ. ყუბანის აუზში მდებარეობას ადასტურებს მკვლევრის მიერ მიკვლეული იტალიელი კარტოგრაფის – ჯაკოპო გასტალდის 1561 წლის რუკა, რაზედაც ,,აფხაზეთის ოლქი“ (Abcvas regi) და ,,ქალაქი“ აყვა (Acva) მდ. ყუბანის აუზში, ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზეა აღნიშნული[3].

3. არსებობს მეტი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ციტირებული ცნობით ალანი ყარაჩაელს გულისხმობს და არა ოსს, ვინაიდან იმავე მატიანეში თუკი ოვსი და ოვსეთი

---

ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის, 1998, 28.

[1] გვანცელაძე თ., ,,ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის (,,ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“), 74.

[2] გვანცელაძე თ., ,,ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის (,,ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“), 74.

[3] გვანცელაძე თ., ,,ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის (,,ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“), 74-75.

ცალკეც არაერთგზის დასტურდება, ალანის შესახებ იგივეს ვერ ვიტყვით. ამასთანავე, მეგრულში ალანი ყარაჩაელების აღმნიშვნელია და არა ოსებისა[1].

4. 1654 წლის ლათინურ-ფრანგული რუკაც, რასაც პროფ. ი. ტაბაღუამ მიაკვლია[2], პირდაპირ ეხმიანება ,,ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ცნობას XII ს. II ნახევარში ალანთა ქვეყნისა და აფხაზეთის ერთ პოლიტიკურ ერთეულად არსებობის შესახებ, რაც გამოიხატება შემდეგში: რუკაზე კავკასიონის ჩრდილოეთით, ერთმანეთის მეზობლად არის ლათინური მინაწერები – Abkaschi hodie Abbassa ,,აფხაზი, ანუ აბასა" და Aleni ,,ალანი". რუკაზე აფხაზთა და ალანთა (ყარაჩაელთა?) ერთმანეთის მეზობლად მითითებაც ამის დასტურად უნდა ჩაითვალოს[3].

5. ყუბანის აუზში აფხაზთა ოდინდელი ბინადრობის მიმანიშნებელია ეთნოგრაფ წ. ბჟანიას მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი თქმულება, სადაც ვკითხულობთ: ,,მაშინ აფხაზეთში ცხოვრობდნენ აჰჭიფსელნი, ადიღები, აბაძეხები, ნოღაელები"[4]. ჩრდილოეთ კავკასიაში აფხაზთა ოდინდელი ცხოვრება ასახულია აფხაზური ფოლკლორის სხვა მონაცემებშიც, კერძოდ, ,,ნართების ეპოსში". ამასთანავე, აფხაზურ გვარებში – ავიძბა, ზუხბა, აშვბა, ბგანბა და სხვ., გავრცელებულია

---

[1] გვანცელაძე თ., ,,ქართლის ცხოვრების" ერთი ადგილის გაგებისათვის (,,ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი"), 75.

[2] ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, თბილისი. 1986, რუკა

[3] ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, თბილისი. 1986, 75-77.

[4] Бжания Ц. Н., Из истории хозяйства и культуры абхазов (исследования и материалы), Сухум, 1973, 294.

თქმულებები ჩრდილოეთ კავკასიიდან მათი წინაპრების მოსვლის შესახებ[1].

6. თ. გვანცელაძე იმოწმებს აფხაზი ეთნოგრაფის ლ. აკაბას ცნობას სალოცავების შესახებ. აბჟუის აფხაზეთში (ოჩამჩირის რ.) მოსახლე აფხაზურ გვართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი უმთავრესი საგვარეულო სალოცავი მდებარეობს არა მათი ამჟამინდელი საბინადროს მახლობლად, ანუ ილორის, მოქვის, ბედიისა და დრანდის ტაძრებში, არამედ ბზიფის მაღალმთიან სათავეებში. ესაა ნალკუბას წარმართული ხატი[2]. დამოწმებული ეთნოგრაფიული რეალია, თ. გვანცელაძის აზრით, ადასტურებს აფხაზთა წინაპრების მიგრაციას ჩრდილოეთ კავკასიიდან ჯერ ამჟამინდელი აფხაზეთის მაღალმთიანეთში, შემდგომ კი – შავი ზღვის ნაპირისა და ბარისაკენ[3].

მაშასადამე, თ. გვანცელაძის აზრით, საკუთრივ აფხაზეთი მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში და წარმოადგენდა ალანთა ქვეყნის ნაწილს. თვით ალანეთი კი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. ამ მიზეზით, ბუნებრივია, გიორგი III-ს ექნებოდა თავისი ვასალის – ალანთა მეფის სამფლობელოში ნადირობის შესაძლებლობა. სხვა მხრივ ალანთა ქვეყანას ფაქტობრივად საერთო არაფერი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოსთან.

---

[1] ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბილისი, 1996, 140; ზუხბა ს., აფხაზური ზეპირსიტყვიერება. აფხაზურიდან თარგმნეს ა. არაბულმა და თ. გვანცელაძემ, თბილისი, 1988, 214; გვანცელაძე თ., ,,ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის (,,ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“), 77.

[2] Акаба Л., Исторические корни архаических ритуалов абхазов, Сухум, 1984, 77.

[3] Акаба Л., Исторические корни архаических ритуалов абхазов, 77-78.

პროფ. ზ. პაპასქირი შენიშნავს, რომ ,,ისტორიანი და აზმანის“ ტექსტის ფრაგმენტის თ. გვანცელაძისეულ გაგებას არავითარი გამართლება არა აქვს. მეცნიერი თავისი არგუმენტის დასასაბუთებლად მოიშველიებს ქართული საისტორიო ტრადიციის მიერ სრულიად გარკვევით დაფიქსირებულ შემდეგ ფაქტს: არა მარტო XII საუკუნეში, არამედ თვით ლეონ II-ის დროს – IX საუკუნის დამდეგს, როდესაც შეიქმნა დასავლურ-ქართული სახელმწიფო ,,აფხაზთა“ სამეფო, ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით არსებობდა აფხაზეთის საერისთავო, თავისი კონკრეტული ეთნო-ტერიტორიული შინაარსით. ეთნიკური აფხაზები ამ პერიოდიდან ძირითადად სწორედ ამ საერისთავოში იყვნენ განსახლებულნი. ,,თუ ერთი წუთითაც წარმოვიდგენთ, რომ აფხაზეთი არ შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და მის ფარგლებს გარეთ იყო, მაშინ საკითხავია, რანაირად დაერქვა ჯერ დასავლეთ საქართველოს – IX-X საუკუნეებში, ხოლო შემდეგ XI-XII საუკუნეებში – ერთიან ქართულ სახელმწიფოს აფხაზეთი... რაც შეეხება ,,ისტორიანი და აზმანის“ მოყვანილ ფრაგმენტს, მასში იგულისხმება არა ის, რომ აფხაზეთი შედის ალანიაში, არამედ პირიქით, გიორგი III ნადირობს ალანიაში, რომელიც განიხილება აფხაზეთის ნაწილად. აქ, რასაკვირველია, იგულისხმება არა საკუთრივ აფხაზეთი (აფხაზეთის საერისთავო), არამედ დიდი აფხაზეთი, ანუ გაერთიანებული ქართული სახელმწიფო“[1].

---

[1] პაპასქირი ზ., ენათმეცნიერული გამოკვლევა აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე (რეცენზია თეიმურაზ გვანცელაძის მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე ,,აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“). წგნ.: და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბილისი, 2009, 433.

საქმე ისაა, რომ ისტორიულ წყაროებში ორი ,,აფხაზეთი" იხსენიება: ერთი კავკასიონის გადმოღმაა და სხვადასხვა პერიოდში აღნიშნავდა: 1. თანამედროვე აფხაზეთის ნაწილს; 2. დასავლეთ საქართველოს და 3. სრულიად საქართველოს; მეორე აფხაზეთს კი მრავალი წყარო, მათ შორის ევროპული რუკებიც, ჩრდილოეთ კავაკასიაში უთითებს.

საგულისხმოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ევროპული ისტორიული რუკების მონაცემთა შეკრებითა და სხვა მომიჯნავე ხასიათის ისტორიულ ინფორმაციასთან შეჯერებით შესაძლებელი ხდება დასავლეთ საქართველოს ორგანული შემადგენელი ნაწილის – აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული კონტურების, აფხაზთა განსახლების არეალის დადგენა. იტალიელი კარტოგრაფი ჯაკოპო გასტალდი 1561 წლის რუკაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. ყუბანის შუა წელზე აღნიშნავს ,,აფხაზეთის მხარეს (ოლქს, ქვეყანას)", რაც იტალიურად იკითხება როგორც ,,აბკვას რეჯი" **(Abcvas regi).** იმავე რუკაზე, ყუბანის მარცხენა შენაკადზე აღნიშნულია ქალაქ სოხუმის ამჟამინდელი აფხაზური სახელის მატარებელი დასახლებული პუნქტი Acua (იტალიურად იკითხება როგორც აკვა) ანუ **აყვა**. თ. გვანცელაძე ფიქრობს, რომ ამ რუკის მიხედვით ,,აფხაზთა წინაპრების ძირითადი მასა მაინც 1561 წლის ახლო ხანებში ჯერ კიდევ ყუბანის აუზში ცხოვრობდა, ისინი ამის შემდგომ დასახლებულან ამჟამინდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე და ქალაქ ცხუმისათვის, რომელსაც ჯაკოპო გასტალდის რუკაზე სანატოპოლი (Sanatopoli, შდრ. სხვა წყაროთა – სებასტოპოლისი, სევასტოპოლისი) ჰქვია, შეურქმევიათ თავიანთი მთავარი დასახლებული პუნქტის სახელი **აყვა** – ,,დამყაყებული წყალი"[1].

[1] გვანცელაძე თ., 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და აფხაზთა ისტორიული სამშობლოს ლოკალიზაცია (წინასწარი ცნობა),

იოან იანსონისა და დავიდ დე ვილჰელმის რუკებზეც, რომლებიც XVII ს-შია შედგენილი, Acua კავკასიონის ჩრდილოეთით, თანამედროვე ყარაჩაი-ბალყარეთის ტერიტორიაზეა აღნიშნული, ხოლო სევასტოპოლი (Savatopoli) შედის სამეგრელოს (Mingrelia, Mengrelia) მხარეში[1].

ინგლისის სამეფოს გეოგრაფის, ა. ეროუსმიტის მიერ XVIII ს-ის დასასრულს შედგენილი რუკა საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, კავკასიონის სამხრეთით, აღნიშნულია ქორონიმი **,,ABCHAS“.** კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთითაც, რუკაზე დასტურდება ქორონიმი ,,ABCHAS“[2].

**დამოწმებანი:**

ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი, 1966.

აფხაზავა ნ., ალანები და საქართველო, ,,მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3-4, თბილისი. 1991

აფხაზავა ნ., ალანები. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I, თბილისი, 1975.

აფხაზავა ნ., ალანები და საქართველო (ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის), თბილისი. 1991.

---

ჟურნ. ,,არტანუჯი“, 6, თბილისი, 1997, 28-31; გვანცელაძე თ., ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის, ჟურნ. ,,არტანუჯი“, 10, თბილისი, 2000, 56.

[1] გვანცელაძე თ., ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის, 57, 58.

[2] ნინიძე დ., ევროპული ისტორიული რუკები გვიან შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ (№1–მორდენი, ეროუსმიტი). ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 10, თბილისი, 2003, 586.

აფხაზავა ნ., ალანები, ენციკლოპედია ,,საქართველო“, I, თბილისი, 1997.

აფხაზავა ნ., აფშილთა ეთნიკური ვინაობისათვის (რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები). აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1998.

აფხაზავა ნ., გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეთა ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია (წერილობითი და არქეოლოგიური მასალების მიხედვით), თბილისი, 2010.

გეორგიკა, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ნაკვეთი II, თბ., 1965.

გვანცელაძე თ., 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და აფხაზთა ისტორიული სამშობლოს ლოკალიზაცია (წინასწარი ცნობა), ჟურნ. ,,არტანუჯი“, 6, თბილისი, 1997.

გვანცელაძე თ., ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1998.

გვანცელაძე თ., ,,ქართლის ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის (,,ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“). ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისური საუბრები, სიმპოზიუმის მასალები, II, ქუთაისი, 1998.

გვანცელაძე თ., ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის, ჟურნ. ,,არტანუჯი“, 10, თბილისი, 2000.

დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბილისი, 1962.

ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი. 1973.

ზუხბა ს., აფხაზური ზეპირსიტყვიერება. აფხაზურიდან თარგმნეს ა. არაბულმა და თ. გვანცელაძემ, თბილისი, 1988.

მარუაშვილი ლ., ისტორიული გეოგრაფიის ელემენტები ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში. ვახუშტი ბაგრატიონი გეოგრაფი, თბილისი, 1997.

მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, 1980.

ახალი ქართლის ცხოვრება, ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი. 1959.

ნინიძე დ., ევროპული ისტორიული რუკები გვიან შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ (№1–მორდენი, ეროუსმიტი). ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 10, თბილისი, 2003.

პაპასქირი ზ., ენათმეცნიერული გამოკვლევა აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე (რეცენზია თეიმურაზ გვანცელაძის მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე ,,აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“). წგნ.: და ალმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბილისი, 2009.

ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, II, თბილისი, 1986.

ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V (მარტვილის რაიონი), 2011.

ცხადაია პ., ჯოჯუა ვ., რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი (სალექსიკონო მასალა), IV, თბილისი, 2012.

ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბილისი, 1996.

აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმანი გ. გელაშვილისა. თბილისი. ,,არტანუჯი“, 2011.

Абаев В., Осетинский язык и фолклор. т. I, М-Л.. 1949.

Акаба Л., Исторические корни архаических ритуалов абхазов. Сухум, 1984.

Алексеева Е., Древняя и средновековая история Карачаево-Черкесии. Москва, 1971.

Армянская география VII века по р. Х. Текст и перевод, издал К. П. Патканов, 1877.

Бжания Ц. Н., Из истории хозяйства и культуры абхазов (исследования и материалы). Сухум, 1973.

Воронов Ю. Тайна Цебельдинской долины. М., 1975.

Воронов Ю., Бгажба О., Логинов В**.,** Исследования в селе Цебельда, ПАИ. Тбилиси, 1983.

Кузнецов В.А., Аланские племена Северного Кавказа, МИА. №106.

***Igor Kekelia***

*Akaki Tsereteli State University, Doctor of History*

## ABKHAZIA „ALANIA“ IN VAKHUSHTI BATONISHVILI’S WORK AND MAPS

Vakhushti Batonishvili’s /1696-1756/ work is considered to be very important treasure in the history of Georgian culture and science. In his work ,,Description of the Kingdom of Georgia“ he gives us information about ,,Abkhazian Alania’’.

From the view point of linguistical-archeologic and historical geography and in spite of interesting researches and couclusion, we think that the ideas of some scientists (A. Abaev, D. Muskhelishvili, N. Apkhazava) need some stronger arguments and convincing discussion.

1. To prove the close contact between Megrelians and Alans in ossetie language according to V Abaev, Talking about it is not relevant.
2. We think that discovery of a few archeological things, we can not talk about the whole territoried ethnical belonging.
3. Existing of toponym ,,alania“ on Abkhazian territory can not be the proof for the Alan tribes to live there, as the date of the orign of this toponym is not known.

*ელდარ მამისთვალიშვილი*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*
*პროფესორი*

## დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების ურთიერთობის ისტორიიდან

ვითვალისწინებ რა კონფერენციის დროის შეზღუდულობას, წინამდებარე ნარკვევში მოკლედ განვიხილავ საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის ზოგიერთ მომენტს, სხვებს კი მხოლოდ დასკვნაში ჩამოვთვლი.

დავით მეფის შეტევები სელჩუკებზე ქვეყნის გამთლიანებისათვის, დროის მიხედვით, დაემთხვა ჯვაროსანთა შეტევებს იმავე სელჩუკებზე.

საინტერესოა, რომ დავით აღმაშენებლის მთელი რიგი სამხედრო ღონისძიებები დროის თვალსაზრისით ,,საეჭვოდ“ ემთხვეოდა, ჯვაროსანთა სამეფოს ან სამთავროების წინააღმდეგ სელჩუკთა სამხედრო კამპანიებს. ქართველების მოქმედება იწვევდა სელჩუკების შეიარაღებული ძალების დაქსაქსვას, რითაც მდგომარეობას უმსუბუქებდა ჯვაროსნებსაც. ამ უკანასკნელებს, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ქართველები მიეჩნიათ ჯვაროსნებად, რომელთა მეფე დავით აღმაშენებელი მონეტებზე იწოდებოდა ,,ქრისტეს მონად“ და ,,ქრისტეს ხრმლად“[1].

საქართველოსა და იერუსალიმის სამეფოს შორის კავშირზე მიგვანიშნებს ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა, რომელთა პირველწყაროს მიგნება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ამ რიგს ის ცნობები უნდა მივაკუთნოთ, რომლებშიც გადმოცემულია საქართველოსა და მისი მეფის სიძლიერეში

---

[1] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბილისი, 1989, 32.

დარწმუნების მიზნით, როგორც იოანე ბატონიშვილი აღნიშნავდა, სელჩუკიანთა სულთნის მალიქ-შაჰის ვაჟი ყანღან მელიქ სულთნის, ბიზანტიის კეისარი ალექსი კომნენოსის და, ბოლოს, რაც ამჯერად, ყველაზე საინტერესოა, იერუსალიმის ლათინი მეფე ბალდუინ II-ის დაფარულად მოსვლა საქართველოში. ამჯერად არ დავიწყებ იმაზე საუბარს რამდენი უზუსტობაა იმ წყაროებში, რომლებშიც ამგვარი ცნობებია მოთავსებული და რამდენად შესაძლებელი იყო დასახელებული ისტორიული პირების საქართველოში საიდუმლოდ მოსვლა.

დასავლეთ ევროპაში, სწორედ ჯვაროსანთა დროიდან, საქართველო განიხილებოდა ბუნებრივი მოკავშირედ მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ზ. ავალიშვილი წერდა, „ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველო თანამედროვეა ევროპელთა იმ მძლავრ გაქანებისა, რომელიც იყო ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა“[1]. ევროპელების შეფასებით, საქართველო იყო ის ბასტიონი, რომლის გამძლეობა განაპირობებდა სირია-პალესტინაში ჯვაროსანთა მდგომარეობას. მათ ისიც იცოდნენ, რომ დავით აღმაშენებელი თავისი ქვეყნის დაცვასთან ერთად იცავდა იერუსალიმის ქრისტიანულ სიწმინდეებს, რომელთა შორის ქართველთა კუთვნილი მონასტრებიც იყო.

ანტიოქიის სამთავროს კანცლერი, „ანტიოქიის ომების“ ავტორი გოტიე, საქართველოს წინააღმდეგ მუსლიმური კოალიციის ომის დაწყების გამო შეშფოთებული წერდა: ელღაზიმ „დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში ლაშქრობა გადაწყვიტა ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად, რათა მისი დაქცევის, ანუ განდევნის შემდეგ, თავისუფლად და სრულად შეუდგეს იერუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და

[1] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, 31.

ქრისტიანთა ამოწყვეტას“[1]. გოტიე შემდეგ აღფრთოვანებული გადმოგვცემს დავითის გამარჯვებას დიდგორის ველზე, სადაც, მისი თქმით, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ორასმა ფრანგმა რაინდმა[2]. რაინდების ყოფნა დავითის ჯარში, აღქმული უნდა იქნას, როგორც სიმბოლური დახმარება, უფრო სწორად, სოლიდარობის გამოხატვა ჯვაროსნების მხრივ, მაგრამ ეს იმის მაჩვენებელიც არის, რომ ლათინები მუსლიმთა წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის საქმის კურსში იყვნენ და ამ ბრძოლას საერთო ქრისტიანული საქმისათვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. აქ უნდა გავიხსენოთ დავითის ისტორიკოსის მიერ ჯვაროსნების ომის საქართველოსათვის მნიშვნელობის შეფასება.

დავით აღმაშენებელს რომ იერუსალიმის მეფე ბალ-დუინთან (ბალდუინ I თუ II ?) კარგი ურთიერთობა ჰქონდა („რაღაც საჩუქრებს უგზავნიდა“), ამის შესახებ წერს, უკანასკნელის ისტორიკოსი[3]. მაგრამ ცნობილი არ არის, რა იგულისხმებოდა საჩუქრებში და არც ის ვიცით ისინი დიდგორის ბრძოლის წინ იგზავნებოდა თუ მის შემდეგ. მაგრამ ცხადია, იერუსალიმის პირველი მეფეები ქართველებს კარგი თვალით უყურებდნენ. ეს გამოიხატა მათ ყურადღებაში ჯვრის მონასტრისადმი.

საყურადღებოა ისიც, რომ XII საუკუნის ნორმანდიელი ქრონისტის ორდერიკ ვიტალისის მიხედვით, მეფე დავითი და კილიკიის სომხეთის მთავრის ძმა თოროს I რუბენიდი 1123-1124 წლებში მონაწილეობდნენ მუსულმანთა ტყვეობიდან რამდენიმე ანტიოქიელი რაინდი ჯვაროსანის განთავისუფ-ლებაში. ისინი ერთ-ერთი სულთნის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. განთავისუფლებული რაინდები დავით მეფესა

[1] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, 45.

[2] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, 46.

[3] Röhricht R., Geschichte des Königreichs Jerusalem (1100-1291), Innsbruck, 1898, 120, შენ. 3.

და თოროსს ანტიოქიაში დაუბრუნებიათ[1]. ნორმანდიელი ქრონისტის ეს ცნობა ზ. ავალიშვილს მცდარად მიაჩნდა[2], ხოლო შ. მესხიამ და თ. ნატროშვილმა გამოსთქვეს ვარაუდი, რომ ტყვეთა შორის შეიძლება იყო სელჩუკების მიერ 1123 წელს დატყვევებული იერუსალიმის მეფე ბალდუინიც, რომელიც ამ დროს უკვე მეორედ აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში[3]. შ. მესხია აღნიშნავდა: „სწორედ ამ წლებში, რომელზედაც ნორმანდიელი მწერალი მიგვითითებს, არაერთი სახელგანთქმული რაინდი ჩაუვარდათ ტყვედ სელჩუკებს, ხოლო 1123 წ. თვით იერუსალიმის მეფე ბალდუინ II აღმოჩნდა მათს ტყვეობაში. ვინ იცის, იქნებ დავით IV-მ მართლაც მიიღო მონაწილეობა თავისი მოკავშირის, ბალდუინ II-ის და სხვა რაინდების გამოსყიდვასა და განთავისუფლებაში“[4].

ორდერიკ ვიტალისის აღნიშნულ ცნობა საფუძვლიანად გამოიკვლია გ. ჯაფარიძემ[5]. მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დავით მეფესა და ერაყის სელჩუკთა სულთანს შორის, რომლის ტყვეობაშიც იმყოფებოდნენ ბალდუინ II და

---

[1] The Eclesiastikal Histori of Orderic Vitalis, Vol. 6, Book 11, New York, 1978, 123.

[2] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, 107,

[3] ავალიშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან, 107.

[4] მესხია შ., ძლევა **საკვირველი, თბილისი, 1972, 79; მესხია შ., საისტორიო ძიებანი, III, თბილისი, 1986, 70. ასეთივე მოსაზრებისაა თ.** ნატროშვილი (იხ. მისი, მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი, 1991, 24-25). იმავე წყაროს ცნობა უეჭველ ფაქტად მიაჩნია ო. კაზარიანს (О. Казарян, Крестоносцы и Грузия (XII-XIII вв.), შენ. 11. ინტერნეტრესურსი: http://deusvult.ru/66-krestonostsy-i-gruziya.html).

[5] ჯაფარიძე გ., ორდერიკ ვიტალისის ერთი ცნობის შესახებ. *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აღმოსავლეთმცოდნეობა,* №2, 2013, 208-220.

ჯვაროსნები, ადრე არსებული დაძაბული ურთიერთობის[1] ნორმალიზება მოხდა 1124 წლისათვის. ეს კი საშუალებას მისცემდა დავით მეფეს ჩარეულიყო და ეშუამდგომლა ტყვეების გასანთავისუფლებლად[2].

რიჰარდ ჰენიგმა გამოაქვეყნა ჟაკ დე ვიტრის პაპ ჰონორიუს III-ისადმი გაგზავნილი წერილის ფრაგმენტი, რომელიც, ვფიქრობ, ორდერიკ ვიტალისის გადმოცემის გამოძახილი უნდა იყოს. წერილი ადრესატს აცნობებდა ჯვა-როსნებისათვის დასახმარებლად წამოსული დავით მეფის შე-სახებ. ასეთივე ცნობები მიუტანიათ აღმოსავლეთის ქვეყნების ვაჭრებსაც. როგორც ჟაკ დე ვიტრის წერილიდან ვიგებთ, მთავარი ავტორები დავით მეფის შესახებ გავრცელებული ხმებისა იყვნენ *„ეგვიპტის სულთნის მიერ დატყვევებული რამდენიმე ჩვენი (ჯვაროსანი – ე. მ.) მეომარი, რომლებიც მან თავის ძმას, დამასკოს (გამგებელ – ე. მ.) კორადინს გაუგზავნა. კორა-დინმა, დამასკოს გამგებელმა, ტყვეები თავის ბატონს, ბაღდადის ხალიფას გაუგზავნა, მან კი ისინი, როგორც ძვირფასი საჩუქარი, მეფე დავითს გაუგზავნა. როცა მეფემ შეიტყო, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, ბრძანა მათთვის ბორკილები შეეხსნათ და უკან, ანტიოქიაში დაებრუნებინათ* “[3].

ორდერიკ ვიტალისი და ჟაკ დე ვიტრი ერთმანეთისაგან ერთი საუკუნით დაშორებულნი, ჩემი აზრით, ერთი ამბის სხვადასხვა ვერსიას გადმოგვცემენ. ოდერიკო ვიტალისი ამბის თანამედროვე იყო. ამიტომ მისი მონათხრობი მეტ

---

[1] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 346.

[2] ჯაფარიძე გ., ორდერიკ ვიტალისის ერთი ცნობის შესახებ, 218.

[3] Хенниг Р., Неведомые земли, III. Перевод с немецкого А. В. лисовской, предисловие и редакция И. П. Магидовича, Москва, 1962 27.

ნდობას იმსახურებს. რაც შეეხება ჟაკ დე ვიტრის, მან შეაერთა სხვადასხვა პერიოდის ცნობები და, რადგან იცოდა დამიეტასთან, სავარაუდოდ, 1219 წელს ჯვაროსანთა ბანაკში საქართველოს მეფის ელჩების ორჯერ მისვლისა და მათ მიერ მუსლიმთა წინააღმდეგ დახმარების შეთავაზება, ამის გამო თავი მოუყარა მისთვის ხელმისაწვდომ სხვადასხვა დროის ცნობებს იოანე-დავით ხუცესისა და დავით მეფის შესახებ და ისინი, მაშინ გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, ერთ პიროვნებად წარმოაჩინა. სინამდვილეში ის ქართველი მეფე, რომელმაც ჯვაროსნებს დახმარება აღუთქვა, იყო გიორგი-ლაშა[1]. ჟაკ დე ვიტრის მიერ ქართველ მეფის (გიორგი-ლაშა) დავითის სახელით მოიხსენიება, გასაკვირი არ უნდა იყოს. არსებობს ჟაკ დე ვიტრის თანამედროვე ერთ-ერთი მუსლიმანი მბრძანებლის (სავარაუდოდ რუმის სულთნის) არაბულენოვანი წერილი, გაგზავნილი გიორგი ლაშასადმი, რომელშიც ის მოხსენიებულია დავითის სახელით[2]. ეს მაფიქრებინებს, რომ მახლობელ აღმოსავლეთში გიორგი-ლაშას იცნობდნენ მისი სახელგანთქმული პაპისპაპის სახელით. ამ მოსაზრებას ამაგრებს XIV ს. პირველი ნახევრის მოღვაწე დომინიკანელი ვილჰემ ადამი, რომელიც წერს. „ამ ქართველებს ჰყავთ მეფე, რომელსაც მუდამ დავითს უწოდებენ“[3]. ვილჰემ ადამის ნათქვამის კომენტირებაზე თავს შევიკავებ.

დასასრულს აუცილებლად უნდა ითქვას ს. მარგიშვილის მიერ გამოთქმულ ერთ-ერთ, განსახილველ თემასთან

---

[1] გიორგი-ლაშასა და ჯვაროსნებს შორის ურთიერთობაზე ვრცლად იქნება სხვა დროს.

[2] XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები. *ქართულ-სპარსული ეტიუდები,* III. ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მაგალი თოდუამ, თბილისი, 1979, 5-6.

[3] Recueil des Historiens des Croisades. Documents Arméniens, t. 2. Documents Latins et Français relatifs à L’ Arménie, Paris, 1967, 534.

დაკავშირებულ მოსაზრებაზე, რომელიც, ვფიქრობ, სრულიად ეწინააღმდეგება წყაროების ჩვენებებს და აკნინებს დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს ჯვაროსნებთან ურთიერთობის შედეგებსა და მნიშვნელობას.

ს. მარგიშვილის აზრით, დავით აღმაშენებლის ჯვაროსნებთან ურთიერთობის ანალიზი ,,ადასტურებს არა საქართველოს სამეფოს სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეობას ჯვაროსანთა სახელმწიფოებთან, არამედ საქართველოს მჭიდრო რელიგიურ, სავაჭრო და დიპლომატიურ კონტაქტებს სირია-პალესტინასთან, მათ შორის, რასაკვირველია, ჯვაროსნებთანაც. რელიგიური, კომერციული და დიპლომატიური კავშირები თავისთავად არ უზრუნველყოფდნენ პოლიტიკურ სიახლოვესა და მოკავშირეობას. ამ ფაქტორებს შეიძლებოდა ხელი შეეწყო პოლიტიკური თანამშრომლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ ამის პოლიტიკური მოტივაცია (და პოლიტიკური ნება) იარსებებდა, ასეთი რამ კი დავით აღმაშენებლის ხანაში არ შეიმჩნევა“[1].

როგორც ჩანს, მკვლევარი საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის ისეთ მომენტებზე მიუთითებს, რომელთა შესახებ ცნობები დღემდე არ არის მიკვლეული. 1. არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია საქართველოს ჯვაროსნებთან ეკონომიკურ ურთიერთობაზე; 2. ს. მარგიშვილი, როდესაც ქართველებისა და ჯვაროსნების მჭიდრო რელიგიურ კონტაქტებს ახსენებს, ჩემი აზრით, იგი ამ დროს მართლმადიდებლობის კათოლიკობისაგან გამოყოფას 1054 წლიდან აითვლის და ამგვარ პირობებში სანიმუშოდ მიიჩნევს ქართველი მართლმადიდებლების კათოლიკე ლათინებთან ურთიერთობას. მაგრამ მკვლევარს მხედველობიდან გამორჩა, რომ ამ დროს გათიშვა მოხდა მხოლოდ კონსტანტინოპოლის

[1] მარგიშვილი ს., მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. ომი სელჩუკთა სამყაროს წინააღმდეგ, თბილისი, 2006, 104.

პატრიარქსა და რომის პაპს შორის. სხვა საპატრიარქოები და მათ შორის ქართული ეკლესიაც რომთან, ე. ი. დასავლეთის ეკლესიასთან 1054 წლამდე არსებულ ჩვეულებრივ ურთიერთობას აგრძელებდა; 3. პოლიტიკური და რელიგიური ინტერესების განსხვავებულობის გარდა, ს. მარგიშვილის აზრით, საქართველოსა და ჯვაროსანთა სახელმწიფოებს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებისათვის ხელის შემშლელი უნდა ყოფილიყო გე-ოგრაფიული მდებარეობაც[1]. მართლაც, სახელმწიფოებს შორის დიდი მანძილის არსებობა, ბუნებრივია, გარკვეულ დაბრკოლებას ქმნიდა, მაგრამ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში მისი გადალახვა მეტ-ნაკლები სირთულით რომ შეიძლებოდა, ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემებითაც დასტურდება[2].

საქართველოს ჯვაროსნებთან სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეობას, საქართველოს და ჯვაროსანთა სახელმწი-ფოების ინტერესებისა და პირველი ჯვაროსნული ლაშქ-რობის შემდგომი მათი ურთიერთობის გაუთვალისწინებლად, უარყოფს ო. კაზარიანიც[3].

ვფიქრობ, დღეისათვის არსებული წყაროები და სამეც-ნიერო ლიტერატურა საფუძველს იძლევა ვილაპარაკოთ დავით აღმაშენებლის ხანაში საქართველოს ჯვაროსნების სახელმწიფოებთან ურთიერთობის პოლიტიკურ მოტივი-ზაციაზე, თუ თვალს გადავავლებთ ძირითად მომენტებს:

---

[1] მარგიშვილი ს., მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, 106.

[2] მამისთვალიშვილი ე., საქართველო იერუსალიმის დამაკავშირებელი გზები, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო შრომების კრებული №3, გორი, 2007, 51-54.

[3] О. Казарян, Крестоносцы и Грузия (XII-XIII вв.), შენ. 10 http://deusvult.ru/66-krestonostsy-i-gruziya.html

1. შავ მთაზე მოღვაწე ქართველი ბერების ჯვაროსნებისადმი დახმარება ანტიოქიის აღებისათვის ბრძოლი დროს (1098 წ.);

2. „ისტორია და აზმანი შარავანდედთანის“ ცნობა, რომელშიც, ვფიქრობ, გადმოცემულია ქართველების ჯვაროსნებისადმი დახმარებაზე იერუსალიმის დაპყრობის დროს (1099 წ.);

3. ქართველებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდათ ლათინებთან სირიაში უფლის საფლავის საკათედრო ტაძრის მღვდლებისა და თავიანთი ბერების შუამავლობით;

4. საყურადღებოა, 100 მამულის ფლობა იერუსალიმის ლათინთა საპატრიარქოს მიერ საქართველოში, საიდანაც შემოსავლის მიღება უნდა დაეწყოთ 1100 წლიდან, ლათინთა საპატრიარქოს დაარსებისთანავე;

5. ჯვაროსნების ქართველებისადმი კარგი დამოკიდებულების მაჩვენებელია ჯვრის მონასტრის რესტავრაცია XII ს. პირველ ათწლედში;

6. საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედება მუსლიმების წინააღმდეგ ჯვაროსნების იმავე მუსლიმებთან ბრძოლის სინქრონულად;

7. დიდგორის ბრძოლაში ფრანგი რაინდების მონაწილეობა ქართველთა მხარეს თუნდაც დაქირავებულთა სახით, პირდაპირ თუ არა ირიბად მაინც მიგვანიშნებს დავით აღმაშენებლის ჯვაროსნულ მოძრაობასთან კავშირზე;

8. სირია-პალესტინაში შეჭირვებული ჯვაროსნების გადასარჩენად მთავარი დარტყმა საქართველოს უნდა აეღო თავის თავზე და ჯვაროსანთა სახელმწიფოები გადაერჩინა. სავარაუდოა, მოკავშირეთა ჩანაფიქრით, დავით მეფეს კოალიციის ჯარები საქართველოში უნდა შემოეტყუებინა და გაენადგურებინა, სატყუარა კი, თბილისის საამირო უნდა ყოფილიყო. დიდგორის ომში დავით მეფის გამარჯვებამ

მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა და გაუხანგრძლივა არსებობა ჯვაროსანთა სახელმწიფოებს;

9. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორდერიკ ვიტალისის ცნობა დატყვევებული ჯვაროსნების განთავისუფლების საქმეში დავით IV-ის მონაწილეობის შესახებ.

ყოველივე ზემოთ ჩამოყალიბებული არგუმენტების გათვალისწინებით სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს ჯვაროსანებთან საკმაოდ მაღალი დონის სამხედრო-პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა.

***Eldar Mamistvalishvili***

*Gori State Teaching University, Professor*

## FROM THE HISTORY OF THE RELATIONS BETWEEN DAVID THE BUILDER AND CRUSADERS

## RESUME

In my opinion,  the currrent sources and scientific literature provides basis to talk about the political motives for relations between Georgia and Crusader States.

1. The help performed by Georgian monks who laboured on the Black Mountain to the Crusaders during the fight for conquering of Antioch (1098 year).

2.The information containing in "History and Eulogies of the Sovereigns" to my mind, is transferred about the Georgians help during conquering of Jerusalem in 1099 year.

3.The Georgians had permanent contacts with the Latins in Syria by mediators of Latin priests of the Cathedral Church of Lord’s Grave and Georgian monks.

4. Latin patriarchate of Jerusalem owned 100 lands in Georgia. They got profit from them from 1100 year, from the time of establishing the Latin patriarchate.

5. A good attitude of the Crusaders towards the Georgians might be proved by restoration of the Cross Monastery in the first ten years of the 12$^{th}$ century.

6. Symbolical action of the Georgian military forces against the Moslems together with the Crusaders.

7. Participation of French knights on the Georgians side at the Didgori battle even if they were hired, directly or indirectly, points to David the Builder's alliance with the Crusaders movement.

8. The Georgians had to take the first attack on themselves when helping the Crusaders out of difficulty in Syria-Palestine. They also had to save the Crusaders states. Supposedly, according to allies intentions, David the Builder had to entice coalition's military forces to Georgia and annihilate them. A bait should have been Tbilisi Emirate. King David IV's marvelous victory in Didgori battle facilitated and extended the Crusaders' states' existence significantly.

9. Especially important is the information of Orderik Vitalis about participation of David IV in liberation of the Crusader-prisoners.

10. Taking into consideration the above-formed arguments, I am of the mind that we have right to say that Georgia, during the David the Builder's reign, had quite high level military-political interrelations with the Crusaders.

*გიორგი ნარიმანიშვილი*
*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის*
*აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, ლექტორი*

## შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიის ისტორიისათვის

შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიის მაღალი დონის და ცხოველი საგარეო ურთიერთობის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია გიორგი I-ის მიერ წარმოებული საერთაშორისო პოლიტიკა. კონკრეტულად ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ქართველი მეფისა და ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმს[1] შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობების განხილვა.

არაბი იტორიკოსის, იაჰია ანტიოქელის ცნობით საქართველოს მეფე გიორგი I ხალიფა ალ-ჰაქიმს მართლმადიდებლურ ბიზანტიაზე თავდასხმის გეგმას სთავაზობს[2]. ამ ისტორიულ ფაქტზე არაერთ ქართველ, თუ უცხოელ მეცნიერს შეუჩერებია თავისი ყურადღება[3].

---

[1] - الحاكم بأمر الله المنصور – *ალჰაქიმ ბიამრ ალლაჰ ალ-მანსურ.* 985 – 1021 წწ. მეექვსე ფატიმიანი ხალიფა, მმართველობის წლები 996 – 1021 წწ.

[2] يحيى بن سعيد بن يحيى الانتاكي، تاريخ الانتاكي المعروف بصلة تاريخ أوتيخا. حققه و و صنع فهارسه أستاذ دكتور عمر عبد السلام تدمري (طرابلس، 1990)، 380.

[3] მარიამ ლორთქიფანიძე, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, საქართველო XI – XV საუკუნეებში,* ტომის რედაქტორები: ზ. ანჩაბაძე, ვ. გოჩუა (თბილისი, 1979), 177; ვალერიან გაბაშვილი, საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI - XII სს.). – *თსუ. შრომები. ტ. 125* (თბილისი, 1968), 55-81; ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია. ტ. II* (თბილისი, 1983), 133-136; ცქიტიშვილი ოთარ, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისთვის გიორგი I -ს მეფობის ხანაში. *საქართველოს*

ჩვენი მიზანია იმის გარკვევა თუ რატომ აირჩია გიორგი I-მა მოკავშირედ მაინცდამაინც ხალიფა ალ-ჰაქიმი.

ასევე საინტერესოა ისიც, თუ რა საშუალებებითა და გზებით შეიძლებოდა ქართველთა მეფესა და ფატიმიან ხალიფას შორის საიდუმლო მოლაპარაკებების წარმოება.

1014 წელს ტახტზე ადის გიორგი I[1]. ბაგრატ III-მ[2] შვილს გაერთიანებული, ძლიერი სახელმწიფო დაუტოვა. გიორგი I-ს გამეფებისთანავე განუდგა კახეთ-ჰერეთი[3], მაგრამ ქართველთა მეფეს მეამბოხეთა შემომტკიცება არ უჩქარია. მას მთელი თავისი ყურადღება სამხრეთ საქართველოსა და ბიზანტიასთან დაპირისპირებაზე ჰქონდა გადატანილი.

საისტორიო წყაროების მიხედვით გამეფებისას გიორგი I 18 წლის[4], ზოგიერთი მონაცემით კი 12 წლის იყო[5]. გიორგის გამეფება კონსტანტინოპოლში ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს, რათა ქართულ მიწებზე თავისი პრეტენზიები გა-

---

*სსრ მეცნიერებათა აკადემია. მაცნე. №4.* თბილისი, 1968; გოჩა ბუაჩიძე, საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო. — *ქართული დიპლომატიის ისტორია, წელიწდეული 4 (* თბილისი, 1997), 39-57; როინ მეტრეველი, ჯაბა სამუშია, *მეფეთ მეფე გიორგი II* (თბილისი, 2003), 11-16; ბენიამინ სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში* (თბილისი, 1991), 186-210; Виктор Р. Розен. *Император Василий Болгаробоица. Извлечения из летописи Яхьи Антиохиискогo* (Санкт – Петербург, 1883), 61; Warren Treadgold , *A History of the Byzantine State and Society* (Stanford University Press, 1997), 529.

[1] სუმბატ დავითის-ძე, *ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა*, ქართლის ცხოვრება ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), 383.

[2] ბაგრატ III - ქართველთა მეფე 975-1014 წწ. ბაგრატ V ტაოს ბაგრატიონთა შორის, ბაგრატ II აფხაზთა მეფე 978 წლიდან, ბაგრატ III ერთიანი საქართველოს მეფე 1001 წლიდან.

[3] *მატიანე ქართლისა*, ქართლის ცხოვრება ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), 284.

[4] სუმბატ დავითის-ძე, *ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა*, 383.

[5] *მატიანე ქართლისა*, 284.

ნეცხადებინათ. გიორგის გამეფებისთანავე, 1014 წელს ბასილ II საქართველოს ახალგაზრდა მეფესთან წერილს აგზავნის და უბრძანებს მას უმალ დატოვოს ყველა ის ტერიტორია რაც დავით კურაპალატის სამფლობელოებიდან კეისარმა მამამისს, ბაგრატ III - ს უბოძა[1]. გიორგის პასუხის შესახებ გვიყვება სომეხი ისტორიკოსი არისტაკესი. იგი ამბობს, რომ გიორგიმ უხეშად და მედიდურად უპასუხა იმპერატორს, რაც ერთგვარი გამოწვევაც იყო. ქართველთა მეფე სწერდა კეისარს: „*რაც კი მამაჩემს ეპყრა საგამგებლოდ, მისგან ერთ სახლსაც ვერავის მივცემ*“[2]. განრისხებულმა და ქართველი

[1] X საუკუნის მეორე ნახევარში ტაოს მმართველმა, დავით III-მ, ბიზანტიის დახმარებით თავისი სამფლობელოები საგრძნობლად გააფართოვა. 976 წელს ბიზანტიის იმპერატორ ბასილ II-ს ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა. იმპერატორმა ეს აჯანყება დავითის მხედრების დახმარებით ჩააქრო, რისთვისაც მას, სიცოცხლის ბოლომდე, სამართავად გადასცა ე.წ. „*ზემონი ქვეყანნი*“. ვითარება იცვლება 987-989 წლებში, როდესაც იმპერატორს ბარდა ფოკა აუჯანყდა. დავით III უკვე აჯანყებულებს უჭერს მხარს და მათ დასახმარებლად ლაშქარსაც აგზავნის, მაგრამ 989 წელს ბასილმა აბიდუსთან ფოკა დაამარცხა და ქართველთა ლაშქარი იძულებულ იქნა უკან დაბრუნებულიყო. აჯანყების ჩახშობის შემდეგ იმპერატორს საშუალება მიეცა შური ეძია ფოკას მოკავშირეებზე და შეუდგა აჯანყებაში მონაწილეთა და მათ მომხრეთა დასჯას. მას შემდეგ რაც აჯანყების მოთავეები საკადრისად დასაჯა, ჯერი ტაოს გამგებელზე, დავით III კურაპალატზე მიდგა. ბასილი მის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემზადა, მაგრამ დავითმა თავი დამნაშავედ აღიარა, იმპერატორს პატიება სთხოვა და რადგანაც მემკვიდრე არ ჰყავდა, დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, ბიზანტიის იმპერატორს მთელი თავისი სამფლობელოები უანდერძა. 1001 წელს გარდაიცვალა დავით III კურაპალატი. ბასილი ტაოსკენ გაემართა, რათა დაეკავებინა მისთვის ნაანდერძევი დავითის სამფლობელოები. ტაოში მისულ იმპერატორს გურგენი და მისი ძე ბაგრატ III შეხვდნენ. ბასილს ამ მომენტისთვის მათთან ურთიერთობის გამწვავება არ აწყობდა, რადგანაც იმ დროს მისი ძირითადი საზრუნავი ბულგარეთთან ომი იყო და მან მამა-შვილი უხვად დაასაჩუქრა. ასევე ბაგრატს კურაპალატის ტიტული მისცა, ხოლო გურგენს - მაგისტროსის. ასევე სიცოცხლის ბოლომდე სამართავად მისცა მათ დავით III - ის სამფლობელოების ნაწილი.

[2] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ქართული დიპლომატიის ისტორია*, რედ., რ. მეტრეველი, (თბილისი, 2004), 109.

მეფის ახალგაზრდობით გათამამებულმა იმპერატორმა „კუთვნილი“ მიწების ძალით დაბრუნება განიზრახა. 1015 წელს ბასილმა ტაოს დასაკავებლად დიდძალი ლაშქარი გაგზავნა. ცნობა ამ ლაშქრობის შესახებ ქართულ წყაროებში არ მოგვეპოვება, თუმცა არისტაკესი მოგვითხრობს, რომ ქართველთა ლაშქარი ბერძნებს ვაჟკაცურად დაუხვდა და უკუაქცია იგი[1]. ამის შემდეგ გიორგი მეფემ ისარგებლა იმით, რომ ბიზანტიის იმპერატორი ბასილ II ბულგარეთთან ომით იყო დაკავებული და ბიზანტიის მიერ 1001 წელს მიტაცებული ქართული მიწების ნაწილი დაიკავა[2].

ბიზანტიის წინააღმდეგ შეტევაზე გადასასვლელად აუცილებელი იყო ძლიერი ზურგი. ტახტზე ასვლისთანავე გიორგი მეფე კავკასიაში თავისი პოზიციების განმტკიცებას შეუდგა და ცოტა ხანში საქართველო რეგიონის წამყვან სახელმწიფოდ აქცია. ჩრდილოეთში გიორგი მეფეს მტკიცე ზურგი ჰქონდა. ჩრდილოკავკასიელი ხალხები ჯერ კიდევ მამამისმა, ბაგრატ III კურაპალატმა შემოიმტკიცა *„ჯიქეთიდან ვიდრე გურგენადმდე“*[3], ასე რომ საქართველოს ჩრდილოეთიდან საფრთხე არ ემუქრებოდა. განჯის ამირა ფადლონი საქართველოს მოხარკე იყო. აღმავლობის გზაზე დამდგარი საქართველო XI საუკუნის დასაწყისისათვის კავკასიური სამყაროს გამაერთიანებლის როლს კისრულობდა და ასრულებდა კიდეც. ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ გიორგი I-ის მხარეზე ვასპურაკანის, ანისის და სხვა სომხური სამთავროები გამოდიოდნენ[4]. ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ გიორგის მიემხრო ცოტა ხნის წინ განმდგარი კახეთ-ჰერეთის სამეფოც,

---

[1] არისტაკეს ლასტივერტეცი, *ქართული დიპლომატიის ისტორია*, 109.

[2] ბუაჩიძე, *საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო*, 54; სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში*, 189.

[3] სუმბატ დავითის-ძე, *ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა*, 382; *მატიანე ქართლისა*, 281.

[4] ცქიტიშვილი, *მასალები,* 121.

რომლის ჯარიც გიორგი მეფეს 1021 წელს თრიალეთში შეუერთდა[1].

კავკასიაში პოზიციების განმტკიცება დასახული მიზნისკენ გადადგმულ პირველ, მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა, მაგრამ ბიზანტიასთან ფართომასშტაბიანი ომისთვის ეს არ კმაროდა. აუცილებელი იყო ძლიერი მოკავშირის მონახვა, რაც ისეთი ფართო საგარეო პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა, რომელიც გასცდებოდა ლოკალურ რეგიონს და საქართველოს დიდ პოლიტიკურ არენაზე გაიყვანდა.

გიორგი I კარგად იცნობდა იმდროინდელ მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებას და ასეთი ძალაც გამონახა. ის დაუკავშირდა ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმს. ქართველმა მეფემ მას შესთავაზა კეისრის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შეკვრა და სამოქმედო გეგმაც წარუდგინა. გეგმის მიხედვით გიორგის ჩრდილოეთიდან და ალ-ჰაქიმს სამხრეთიდან ერთდროულად უნდა დაერტყათ ბიზანტიისთვის. ორმხრივი შეტევის შედეგად იმპერატორს ძალების გაყოფა მოუწევდა და მისი დამარცხება შედარებით ადვილი იქნებოდა[2] ჩვენთვის საინტერესო ისტორიული მომენტის უკეთ და შეძლებისდაგვარად სრულად წარმოსაჩენად, აუცილებლად მიგვაჩნია მოკლედ გადმოვცეთ ხალიფა ალ-ჰაქიმის პიროვნული და პოლიტიკური პორტრეტი.

ალ-ჰაქიმი დაიბადა 985 წლის 13 აგვისტოს ხუთშაბათ დღეს, საღამოს ცხრა საათზე[3]. მას დარწმუნებით შეიძლება ეწოდოს თავისი დროისა და ალბათ, საერთოდ ისლამის ისტორიაში, ერთ-ერთი ყველაზე არაორდინალური მმართველი.

---

[1] *მატიანე ქართლისა*, 285.

[2] يحيى الانتاكي. تاريخ الانتاكي، 380 – 381; **عبد المنعم ماجد** ، الحاكم بأمر الله الخليفة المفترى عليه (القاهرة، 1982)، 134.

ლორთქიფანიძე, *საქართველოს შინაპოლიტიკური ვითარება*, 177.

[3] **محمد عبد الله عنان** ، الحاكم بأمر الله و أسرار الدعوة الفاطمية (القاهرة، 1959)، 86; حسن إبراهيم حسن. تاريخ الدولة الفاطمية في المغرب و مصر و سورية و بلاد العرب (القاهرة، 1964)، 163. **ماجد**، *الحاكم بأمر الله*، 24.

მისი თანამედროვე ისტორიკოსი, იაჰია ანტიოქელი დაწვრილებით აღწერს ხალიფას ხასიათის ყველა ასპექტს და მას ბაბილონის მეფეს, ნაბუქოდონოსორსაც კი ადარებს[1]. იაჰიას სიტყვებით ხალიფა ხშირად სეირნობდა ღამის კაიროში. მისი სეირნობის დროს სავაჭრო დახლები და ბაზრები ღია უნდა ყოფილიყო, ამიტომ ღამით კაიროში ისეთივე ხალხმრავლობა იყო, როგორც დღის საათებში[2]. ისტორიკოსი გვიყვება, რომ ერთხელ, როდესაც ხალიფა ღამის ქალაქში სეირნობდა, ძაღლის ყეფამ შეაწუხა, მან უმალვე ბრძანა კაიროში ყველა ძაღლის დახოცვა, მონადირე ძაღლების გარდა[3]. როდესაც ხალიფა შეუძლოდ იყო და ცხენზე ჯდომა უჭირდა, მას ოთხი მონა საკაცით დაატარებდა. ალ-ჰაქიმი მათ დასვენების უფლებას არც დღისით აძლევდა და არც ღამით[4]. ღამის სეირნობების დროს ალ-ჰაქიმი უბრალო ხალხისგან თხოვნებს იღებდა. ეს თხოვნები წერილობითი უნდა ყოფილიყო და არა უმეტეს ერთი ხაზისა. თხოვნა იწერებოდა ფურცლის მხოლოდ ერთ მხარეზე. ხალიფა მთხოვნელს მეორე დღეს გარკვეულ ადგილას იბარებდა, სახელოდან იღებდა თავის გადაწყვეტილებას, ან საჩუქარს და საკუთარი ხელით აძლევდა მას[5]. ალ-ჰაქიმი მოწყალებას უხვად არიგებდა და ჩვეულებრივი ხალხისთვის კეთილი მმართველი იყო. სამაგიეროდ მაღალი თანამდებობის პირების სიცოცხლეს მუდამ საფრთხე ემუქრებოდა. ყველა შიშის ქვეშ ჰყავდა. ის ცნობილი იყო თავისი სიფიცხითა და დაუოკებელი ხასიათით. ალ-ჰაქიმს შეეძლო ნებისმიერ მომენტში სრულიად უმიზეზოდ დაესაჯა რომელიმე მოხელე. მაგალითად, ცნობილია, რომ მას ძალიან უყვარდა თავისი შავკანიანი საჭურისი აინი. მიუხედავად ამი-

---

[1] يحيى الانتاكي. تاريخ الانتاكي، 330.

[2] იქვე, 250; Адам Мец , *Мусульманский ренесанс* (Москва, 1973), 24

[3] يحيى الانتاكي. تاريخ الانتاكي، 358.

[4] იქვე, 329.

[5] იქვე, 329.

სა, ერთ დღეს ყოვლად უმიზეზოდ ხალიფამ ბრძანა აინისთვის მარჯვენა ხელი მოეკვეთათ, მაგრამ მეორე დღეს უხვად დაასაჩუქრა. ცოტა ხანში ალ-ჰაქიმმა ასევე უმიზეზოდ ბრძანა მისთვის ენა ამოეჭრათ და იმწამსვე საჩუქრებით აავსო[1].

მეტად საყურადღებოა ალ-ჰაქიმის რელიგიური რეფორმები. მაგალითად, მან აუკრძალა ქალებს ჯერ ღამით, შემდგომ კი საერთოდ გარეთ გამოსვლა[2]. 1009 წელს მან აკრძალა იმ დროს ხალიფასადმი გავრცელებული მიმართვა: „*ჩვენო მბრძანებელო*“ (يا مولانا)[3]. მან მოუშვა გრძელი თმა და ფრჩხილები. იცვამდა ჯერ თეთრი, ხოლო შემდეგ შავი მატყლის ტანისამოსს, თავზე კი, შავი შემოსაკრავით გაწყობილ ცისფერ ჩალმას იხურავდა[4]. მაშინ, როდესაც მისი მემკვიდრე სასახლიდან ცხენზე ამხედრებული გამოდიოდა, ხალიფა სახედრით მიდიოდა მის გვერდით[5]. 1009 წელსვე მან ყველა მონა გაათავისუფლა[6]. ამავე დროს ალ-ჰაქიმმა ბრძანა, ყველა თავისი მხევალი ყუთებში ჩაესვათ, დაელურსმნათ და ნილოსში დაეხრჩოთ[7]. მან, ასევე ჩამოართვა მთელი უძრავი ქონება თავის დას, დედას, მამიდას და მის გარშემო მყოფ სხვა ქალებს[8]. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ვერსიით ალ-ჰაქიმის დედა ქრისტიანი იყო, ის მაინც გამოირჩეოდა შეუწყნარებლობით ყველა რელიგიისა და კონფესიის მიმართ, ისლამის შიიტური ფრთის გარდა. ალ-ჰაქიმის დროს დაიწყო ეკლესიების მასობრივი ნგრევა და მათ ადგილზე მეჩეთების

---

[1] იქვე, 309.

[2] იქვე, 307; Мец , *Мусульманский ренесанс,* 291.

[3] იქვე, 300; De Lacy o'Leary D.D., *A Short History of Fatimid Khalifate* (London 1923), 132.

[4] იქვე, 330.

[5] იქვე, 300.

[6] იქვე, 304; Мец , *Мусульманский ренесанс,* 258.

[7] იქვე, 304.

[8] იქვე, 279.

შენება[1]. მისი ბრძანებით დაანგრიეს მაცხოვრის საფლავი იერუსალიმში[2] და ალ-კუსაირის მონასტერი მუკატამის მთაზე[3]. ეკლესიების გარე კედლებზე ჯვრების გამოსახულებები ამომტვრეულ იქნა და ეს ადგილები შეილესა. ხალიფამ აკრძალა ყველა ქრისტიანული დღესასწაულის აღნიშვნა და ზარების რეკვა. აღდგა ძველი კანონი, რომლის მიხედვითაც ქრისტიანებს მძიმე ჯვრები, ხოლო იუდეველებს კი მძიმე ბურთები უნდა ჩამოეკიდათ კისერზე. ეს ბურთები, როგორც ჩანს, აღნიშნავდნენ ხბოს თავს, რომელსაც ებრაელები მოსეს რჯულის მიღებამდე თაყვანს სცემდნენ[4].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხალიფა მფარველობდა მეცნიერებას. ალ-ჰაქიმის მმართველობის ხანაში დაარსდა დარ ალ-ჰიქმა (უნივერსიტეტი), სადაც მოღვაწეობდა მრავალი მეცნიერი (კადები, ასტრონომები, ფილოლოგები და სხვა). ასევე შეიქმნა ბიბლეოთეკა - დარ ალ-ისლამი. აქ ინახებოდა ათასობით წიგნი და ხელნაწერი, რომლებიც შეგროვილი იყო, როგორც ეგვიპტიდან, ისე მთელი ისლამური სამყაროდან[5].

სწორედ ამ უცნაურ და არაორდინარულ პიროვნებას დაუკავშირდა ქართველი მეფე. რატომ იყო ეს, ერთი შეხედვით თითქოს ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება, ერთადერთი სწორი ნაბიჯი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში. ნუთუ არ შეეძლო გიორგი მეფეს დაკავშირებოდა რომელიმე ევროპულ ქვეყანას ან რომის პაპს? ან კიდევ ნებისმიერ სხვა ისლამურ ქვეყანას? რას ეყრდნობოდა ქართველთა მეფე თავის გადაწყვეტილებაში და რა შედეგების იმედი ჰქონდა? რა-

---

1 იქვე, 253.

2 იქვე, 380; Farhad Daftary, *The Isma'ilis, Their History and Doctrines*, second edition. (Published by Cambridge University Press, 2007), 180.

3 عنان، الحاكم بأمر الله، 282.

4 Мец , *Мусульманский ренесанс*,58.

5 Daftary, *The Isma'ilis*, 181.

თა გავერკვეთ, თუ რას ისახავდა მიზნად გიორგი I, საჭიროა დაწვრილებით დავეცნოთ იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას.

ბულგარეთთან კავშირის შეკვრა 1014 წლის შემდეგ შეუსრულებელ ამოცანად იქცა. გიორგი მეფის ტახტზე ასვლისთვის ეს ქვეყანა თავისი არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა. გიორგი I-ის გამეფების წელს, ანუ 1014 წელს, გარდაიცვალა ბულგარეთის მეფე სამუილ I[1]. ბიზანტიამ ამ დროისათვის თითქმის დაასრულა ამ ქვეყნის ანექსია[2]. აქედან გამომდინარე ბულგარეთის სამეფო ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა. ასევე უნდა გამოირიცხოს ევროპის სხვა ქვეყნები და რომის პაპი[3]. ბიზანტიას საკმაოდ მტკიცე პოზიციები ეკავა ევროპაში და იმპერიასთან ღია კონფრონტაციაში ჩართვას ვერც ერთი ძალა ვერ ბედავდა. ამდენად, ევროპის ქვეყნები არ გამოდგებონენ ანტიბიზანტიური კოალიციის შესაქმნელად[4].

ამ დროს ახლო აღმოსავლეთში შემდეგი ვითარებაა. აბასიანთა იმპერიის დაშლის შემდეგ, ამ რეგიონში შეიქმნა რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო[5]. ამ სახელმწიფოთა შორის ყველაზე ძლიერი იყო ფატიმიანთა სახალიფო. ფატიმიანები შიიტი მმართველები იყვნენ და სუნიტ აბასიანებს პირველობას ეცილებოდნენ. აბასიანები, რომელთა ძალაუფლება მესოპოტამიას აღარ სცილდებოდა, შიდა პრობლემების გადაჭრით იყვნენ დაკავებულები. ბიზანტიასთან ომში ჩაბმა

---

[1] სამუილ I – კომიტოპულთა გვარის წარმომადგენელი. ბულგარეთის მეფე 980 – 1014 წწ. სამუილმა მთელი სიცოცხლე ბიზანტიასთან ბრძოლას შეალია.

[2] Treadgold , *A History of the Byzantine,* 527.

[3] ბენედიქტე VIII რომის პაპი 1012 – 1024 წწ.

[4] Jonathan Shepard, Western Approaches. - *The Cambridge History of the Byzantine Empire c. 500 – 1492*. Edited by Jonathan Shepard (Cambridge University Press, 2008),557-558; Treadgold , *A History of the Byzantine,* 528.

[5] Мец , *Мусульманский ренесанс,* 14.

აბასიანებისათვის დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა. აბასიანთათვის პირველი მტერი ფატიმიანები იყვნენ, ბიზანტია კი სისხლისმღვრელ ომში იყო ჩართული ფატიმიანებთან. აბასიანებს აწყობდათ არსებული სიტუაცია, როდესაც ორი დაუძინებელი მტერი ერთმანეთს ებრძოდა. წვრილ სახელმწიფოებს კი არც ძალუძდათ და არც აწყობდათ ბიზანტიასთან ურთიერთობის გაფუჭება.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთში არსებობდა მხოლოდ ერთი რეალური ძალა, რომელიც საქართველოს ბიზანტიის წინააღმდეგ ალიანსის შეკვრისთვის გამოადგებოდა და ეს ძალა ფატიმიანთა იმპერია იყო.

აბასიანი ხალიფას წინააღმდეგ საბრძოლველად ალ-ჰაქიმმა ღაზნას სუნიტ გამგებელ მაჰმუდ ღაზნევისთან კავშირის შეკვრა სცადა, მაგრამ ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. ღაზნას მბრძანებელმა უარი თქვა გამოსულიყო თავისი ერთმორწმუნე ხალიფას წინააღმდეგ[1]. თუმცა ბრძოლის მთავარი ხაზი ფატიმიანთათვის ჩრდილოეთ სირიაზე გადიოდა.

ალ-ჰაქიმის ქმედებიდან ჩანს, რომ იგი ეძებდა საგარეო კავშირებს დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ. ასეთივე ინტერესები ამოძრავებდა გიორგი მეფეს.

ამდენად, გიორგი მეფის წინადადება იძლეოდა შესანიშნავ შანსს შეკრულიყო ანტიბიზანტიური ალიანსი საქართველოსა და ეგვიპტეს შორის. ამ კავშირის საფუძველი არა რელიგია, არამედ პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედარა იყო. ორი განსხვავებული კულტურისა და რელიგიის მქონე ქვეყნის ინტერესები, გარკვეულ დროსა და ვითარებაში, ერთმანეთს დაემთხვა, რაც საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსვლის საშუალებას იძლეოდა.

როგორც ჩანს ორივე მხარემ კარგად იცოდა პოტენციური მოკავშირის მიზნები და ინტერესები.

---

[1] **عنان**، الحاكم بأمر الله، 183. **حسن**، تاريخ الدولة الفاطمية، 262.

ჩვენი აზრით, ალ-ჰაქიმი სრულ ინფორმაციას ფლობდა საქართველოზე და მის პოლიტიკურ ამბიციებზე. ასევე გიორგი მეფეც კარგად იყო გათვითცნობიერებული იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში. ეს კავშირი სასარგებლო უნდა ყოფილიყო ორივე მხარისათვის, რამდენადაც მათი ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდა. ორივე მხარეს, შორს მიმავალ გეგმებთან ერთად, კონკრეტული მიზნებიც ჰქონდა. საქართველოს ინტერესი იყო დაებრუნებინა თავისი ისტორიული მიწები იმიერ ტაოში, ხოლო ფატიმიანთა მიზანს კი ჩრდილოეთ სირიაში თავისი ძალაუფლების განვრცობა წარმოადგენდა. ამ მიზნების მისაღწევად ორივე მმართველისათვის აუცილებელი იყო ბიზანტიის დასუსტება და დამარცხება.

იაჰია ანტიოქელის მოკლე ცნობა არ იძლევა პასუხს კითხვაზე თუ ვისი მეშვეობით უნდა მომხდარიყო კავშირის დამყარება, ან როგორ ვითარდებოდა დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის.

პროფესორ ვალერიან გაბაშვილის აზრით საქართველო-ეგვიპტის დამაკავშირებლის როლში შეიძლებოდა თბილისის საამირო გამოსულიყო[1].

თბილისი მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარეობდა. აქ მრავალი ადამიანი იყრიდა თავს მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან. თუ გავიხსენებთ ისმაილიტური „*და῾ვა*“-ს[2]

---

[1] გაბაშვილი, *საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან,* 73.

[2] دعوة – *და῾ვა*. არაბული სიტყვაა და ნიშნავს: „მოწოდება“; „დაპატიჟება“. ეს ტერმინი სხვადასხვა მნიშვნელობით რამდენჯერმე არის ნახსენები ყურანსა და თაფსირებში. ამ სიტყვამ პოლიტიკური დატვირთვა აბასიანთა ეპოქაში მიიღო და აღნიშნავდა პროპაგანდას. ფართოდ იქნა მიღებული ფატიმინათა მიერ, რომლებმაც შექმნეს ვრცელი პროპაგანდისტული ქსელი და „*და῾ვა*“-ს საშუალებით მოუწოდებდნენ ყველა მუსლიმს ეღიარებინათ ისმაილიზმი და ისმაილიტი იმამის უზენაესობა.

მოქმედების არეალს[1], ადვილი დასაშვებია, რომ ისმაილიტებს თბილისშიც ეწარმოებინათ თავიანთი პროპაგანდა. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, XII საუკუნეში ისმაილიტებმა მოკლეს თბილისის კადი. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისმაილიტური *„და'ვა"* ითვალისწინებდა არა მარტო პროპაგანდას, არამედ დაზვერვასაც და პირველ რიგში პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა[2]. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავუშვათ, რომ მოლაპარაკება ქართველთა მეფესა და ალ-ჰაქიმს შორის ისმაილიტი *„და'ი"*-ების[3] საშუალებით მიმდინარეობდა[4].

ასევე არ არის გამორიცხული, რომ ქართველი და ეგვიპტელი დიპლომატები ერთმანეთს კონსტანტინოპოლში შეხვედროდნენ და მტრის დედაქალაქში ეწარმოებინათ მოლაპარაკება. ეს ვარიანტი დასაშვებია, მაგრამ რთული შესასრულებელი. ძალზე ძნელი იყო მოლაპარაკების წარმოება კონსტანტინოპოლში ბიზანტიური მსტოვრების ზურგს უკან. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანტიბიზანტიური კოალიციის ჩამოყალიბების იდეა სწორად კონსტანტინოპოლში გაჩნდა. ბიზანტიის დედაქალაქში თავს იყრიდნენ ელჩები და დიპლომატიური მისიები მთელი მსოფლიოდან. ეს იდეალური ადგი-

---

[1] ისმაილიტი პროპაგანდიტები აქტიურად მოღვაწეობდნენ მთელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. მათი მოქმედების არეალში შედიოდა ერაყი, ირანი, იემენი, მცირე აზია, შუა აზია, კავკასია და სხვ.

[2] Paul. E. Walker, The Isma'ili Da'wa and Fatimid Caliphate. - *The Cambridge History of Egypt. Volume I, Islamic Egypt 640 – 1517.* Edited by Carl F. Petry (Cambridge University Press, 2006), 141-142.

[3] داع *და'ი* - „ის ვინც მოუწოდებს". მისიონერი, მქადაგებელი ისლამის სხვადასხვა მიმდინარეობებიში. *„და'ი"*-ები განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ ისმაილიზმის გავრცელებაში. ფატიმიანთა ეპოქაში *„და'ი"*-ები სპეციალურ მომზადებას გადიოდნენ და შემდეგ სხვადასხვა რეგიონებში იგზავნებოდნენ, რათა იმაილიზმი გაევრცელებინათ და რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოექციათ. გარდა რელიგიური მისიებისა *„და'ი"*-ები ხშირად მტოვართა როლსაც თამაშობდნენ.

[4] გაბაშვილი, *საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან,* 76.

ლი იყო სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატებისთვის, რათა გაეცნოთ ერთმანეთი და საჭირო ინფორმაცია შეეკრიბათ მათთვის საინტერესო პიროვნებასა თუ ქვეყანაზე. ფატიმიანთა დიპლომატიური მისიები არცთუ ისე იშვიათად სტუმრობდნენ ბიზანტიის დედაქალაქს (მაგალითად: 1000 და 1013 წწ.)[1]. სრულიად შესაძლებელია, რომ სწორედ ამ მისიების დროს შეხვედროდნენ ქართველები ეგვიპტელ დიპლომატებს და საფუძველი ჩაეყარათ შემდგომი მოლაპარაკებებისთვის.

როგორც შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან ჩანს ანტიბიზანტიური ალიანსი ვერ შედგა. შეთანხმების განუხორციელობლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხალიფა ალ-ჰაქიმის უცაბედი გაუჩინარება გახდა.

ხალიფა ალ-ჰაქიმი გაუჩინარდა 1021 წლის 13 თებერვალს, სამშაბათ დღეს, 37 წლის ასაკში, აქედან 26 წელი მან ეგვიპტის ტახტზე გაატარა[2]. მთელი მისი ცხოვრების მსგავსად ხალიფას სიკვდილიც იდუმალებით არის მოცული. არსებობს უამრავი ვერსია იმის შესახებ, თუ როგორ გარდაიცვალა ხალიფა. დანამდვილებით ცნობილია მხოლოდ ის, რომ ერთ დღეს ჩვეულებისამებრ ალ-ჰაქიმი მარტო წავიდა ღამით მუკატამის მთაზე[3] სასეირნოდ და სასახლეში აღარ დაბრუნებულა. ამის შემდეგ ის არც ცოცხალი და არც მკვდარი არავის უნახავს. გამოთქმული ვერსიებიდან ყველაზე დამაჯერებელი მაინც ის არის, რომელიც მის მკვლელობაზე მიუთითებს. წყაროების უმეტესობა ხალიფას მკვლელობის მთავარ დამკვეთად მის დას, სით მულქს ასახელებს[4]. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალბატონი მუდამ ჩრდილში იმყოფებოდა მაინც აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა. ის

---

[1] **عنان**، الحاكم بأمر الله، 183- 184. **ماجد**، *الحاكم بأمر الله*، 133.

[2] **ماجد**، *الحاكم بأمر الله*، 180.

[3] მუკატტამის მთა – მთა კაიროს მახლობლად.

[4] იქვე, 169;

**حسن**، تاريخ الدولة الفاطمية، 167.

ძმას ოპოზიციაში ჩაუდგა და პრობიზანტიური პოლიტიკის გატარებას ცდილობდა.

ალ-ჰაქიმის გაუჩინარების შემდეგ, სით მულქმა ჩამოიშორა ძმის მიერ დასახელებული მემკვიდრე, დამასკოს მმართველი აბდ არ-რაჰმან იბნ ილიასი, რის შემდეგაც ფატიმიანთა ტახტზე ადის სით მულქის პროტეჟე, ალ-ჰაქიმის შვილი, აზ-ზაჰირი[1].

ახალი ხალიფას მამიდა თავის საგარეო კურსს არ ღალატობს და უმალ აგზავნის სამშვიდობო დელეგაციას ბასილ II-ის კარზე და ატყობინებს იმპერატორს ყველაფერს, რაც გაკეთდა ქრისტიანთა სასარგებლოდ ალ-ჰაქიმის გარდაცვალების შემდეგ. სით მულქი მშვიდობას სთავაზობს ბასილ II-ს, რაზეც იმპერატორი უარით პასუხობს[2] ზოგიერთი წყაროს არაპირდაპირი მონაცემით ძმის სიკვდილიდან ერთ წელიწადში, მან ღალატით მოაკვლევინა ალეპოს ურჩი მმართველი, აზიზ ად-დავლაც[3]. სით მულქი გარდაიცვალა 1023 წლის 5 თებერვალს[4].

როგორც ჩანს გიორგი მეფესაც ჰყავდა საკმაოდ ძლიერი პრობიზანტიური ოპოზიცია. ჩვენი აზრით ამ ოპოზიციის მთავარ ძალას ბაღვაშთა საგვარეულო წარმოადგენდა. თრიალეთის ერისთავები უარს ამბობდნენ ბაგრატიონთა მორჩილებაზე. როგორც მემატიანე აღნიშნავს: *„სახლი ბაღვივაშთა სახლი განმამწარებელთა ... რამეთუ კუდი ძაღლისა არა გა-*

---

[1] الظاهر لإعزاز دين الله *აზ-ზაჰირ ლი-ი'ზაზი დინ ალაჰ.* 1004 – 1036 წწ. მეშვიდე ფატიმიანი ხალიფა. მმართველობის წლები 1021 – 1036 წწ.
ماجد، *الحاكم بأمر الله* ص 179-180

[2] ماجد، *الحاكم بأمر الله* ص 134.

[3] Suhayl Zakkar, *The Emirate of Aleppo 1004 - 1094* (Damsacus, 1982), 51.

[4] Heinz Halm., Sitt al-Mulk, *The Encyclopedia of Islam*. New edition. vol. IX. Prepared by a number of leading orientalists. Edited by C.E. Bosworth, E. van Dozel, W. P. Heinrichs and the late G. Lecomte. Assisted by P.J. Bearman and Mme S. Nurit. Under the patronage of the International Union of Academics (Leiden E. J. Brill, 1997), 685.

*ნემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“* [1]. ურჩი ერის-თავები ჯერ კიდევ ბაგრატ III-მ დასაჯა და თრიალეთიდან განდევნა. გიორგი I-ის დროს ეს მხარე მეფის უშუალო გამ-გებლობაშია. თუმცა, 1021 წლის შემდეგ ბაღვაშები ისევ თრიალეთში ჩანან.

ბიზანტიის დახმარებით თავისი მიზნების განხორციელ-ებას მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქიც ცდილობდა. ის ორჯერ ჩავიდა ბიზანტიის კარზე და კეისრის მიერ ნაბოძები სიმდიდრით დაბრუნდა საქართველოში. პირველად ეს მოხდა ბაგრატ III - ის ზეობის დროს, როდესაც მცხეთის კათალი-კოსი ბასილ II - ის კარზე ჩადის და სვეტიცხოვლის აღ-სადგენად დიდძალ თანხას ითხოვს და იღებს კიდეც[2]. მეორ-ად კი გიორგი I -ს ზეობისას, როდესაც მელქისედეკი 1025 წელს ბაგრატის საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ახალ-გამეფებულ კონსტანტინე კეისარს[3] ეახლა და მდიდრული საჩუქრებით დაბრუნდა[4].

ამგვარად, ბასილ კეისარს მრავალი საინფორმაციო წყარო გააჩნდა როგორც ბაგრატიონთა, ასევე ფატიმიანთა კარზე და ის მომზადებული შეხვდა შესაძლო ანტიბიზანტი-ურ ალიანსს.

1020 წელს ბულგარეთიდან დაბრუნებულმა ბასილ კე-ისარმა შეიტყო გიორგი I და ალ-ჰაქიმის მოლაპარაკებების შესახებ და უმალ სამხრეთისკენ დაძრა ლაშქარი. ფილიმი-ლეში დაბანაკებულ იმპერატორს უეცრად მოსდის ცნობა

---

[1] *ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, ქართლის ცხოვრება ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), 325-326.

[2] *მატიანე ქართლისა*,282.

[3] Κωνσταντίνος Η კონსტანტინე VIII (960 – 1028 წწ.). მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენელი, იმპერატორ ბასილი II-ის ძმა. ბიზანტიის იმპერატორი 1025 – 1028 წლებში.

[4] *მატიანე ქართლისა*, 290.

ალ-ჰაქიმის გაქრობის შესახებ[1]. შეიტყო თუ არა ბასილ II-მ ხალიფას გაქრობის ამბავი, სასწრაფოდ საქართველოსკენ გამოემართა, რათა დაესაჯა ქართველი მეფე და გიორგის მიერ დაკავებული მიწები ისევ დაეპყრო.

გიორგი მეფემ ალ-ჰაქიმის სახით ძლიერი მოკავშირე დაკარგა, ხოლო ეგვიპტის ახალ ხელისუფლებას ბიზანტიასთან ომი აღარ სურდა. ქართველთა მეფემ რამდენჯერმა სცადა მარტო გამკლავებოდა ბიზანტიას, მაგრამ მისი ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. ბიზანტიის კეისარმა საქართველოში 1020-1021 წწ. ილაშქრა[2]. პირისპირ შეხვედრა ბასიანთან მოხდა, სადაც მოწინააღმდეგენი კარგა ხანს არ იწყებენ მოქმედებას. მერე ქართველებმა უკან დაიხიეს. ბიზანტიის დადევნებულ ლაშქარსა და ქართველთა შორის დიდი ბრძოლა გაიმართა არტაანთან, რომელიც კეისრის გამარჯვებით დასრულდა. უკან დახეული გიორგი I თრიალეთში გამაგრდა, სადაც მას მაშველი ძალა მოუვიდა. ბასილ II-მ კი ჯავახეთი დაარბია და გამოსაზამთრებლად ტრაპეზუნდში დაბრუნდა. ქსიფეს და ფოკას აჯანყების ჩახშობის შემდეგ კეისარი ისევ ბასიანში მოვიდა, სადაც ქართველები დამარცხდნენ და 1023 წელს გიორგი მეფემ ბასილ იმპერატორთან ზავი დადო[3], რომლის მიხედვითაც ბიზანტიას გადაეცა 12 ციხესიმაგრე და დავით კურაპალატის მიწების ნაწილი. ასევე მან კონსტანტინოპოლში, სამი წლის ვადით, მძევლად გაუშვა თავისი შვილი ბაგრატი[4].

მეფე გიორგი I აღესრულა 1027 წლის 15 აგვისტოს თრიალეთში, სოფელ მყინვარში და დაიკრძალა ქუთაისში[5].

---

[1] ბუაჩიძე, *საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო,* 55; სილაგაძე, *არაბთა ბატონობა საქართველოში,* 193.

[2] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია. ტ. II*, 134.

[3] ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია. ტ. II*, 136.

[4] *მატიანე ქართლისა*, 289; სუმბატ დავითის-ძე, *ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა*, 385.

[5] იქვე, 290; იქვე, 385.

მთელი თავისი ხანმოკლე ცხოვრება გიორგი მეფემ ბიზანტიის მიერ მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნებას შეალია. იმპერიასთან შეუპოვარი ბრძოლის გამო „მატიანე ქართლისა“ ქართველი მეფის ზებუნებრივ სიმამაცეზე მოგვითხრობს: *„რამეთუ ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ ვითარცა უჯორცო“* [1]. აქვე აღსანიშნავია, რომ გიორგი I იყო პიველი ქართველი მეფე, რომელიც არცერთ ბიზანტიურ ტიტულს არ ატარებდა.

მატიანე ქართლისას ავტორი გამოხატავს გულისტკივილს ახალგაზრდა მეფის გარდაცვალების გამო და ამბობს: *„გარდაიცვალა გიორგი მეფე, სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არავინ იყო გამოჩენილ მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა და სავსე ყოვლითა განგებითა საჴელმწიფოთა, ... და დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკჳდრთა მამულისა და სამეფოსა მისისითა. იგლოვეს ყოველნი სიკეთისა, და სიჭაბუკისა, და ახოვნებისა მისისთჳს‘*[2].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და ეგვიპტეს შორის კავშირი ვერ განხორციელდა გიორგი I-ისა და ალ-ჰაქიმის მოლაპარაკებები ქართული და აღმოსავლური დიპლომატიის ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო და სამაგალითო ფურცელს წარმოადგენს.

**დამოწმებანი:**

არისტაკეს ლასტივერტეცი, *ქართული დიპლომატიის ისტორია*, რედ., რ. მეტრეველი, თბილისი 2004.

---

[1] *მატიანე ქართლისა,* 285.

[2] *მატიანე ქართლისა,* 290-291.

ბუაჩიძე გოჩა, საქართველო, ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო, *ქართული დიპლომატიის ისტორია, წელიწდეული 4*, თბილისი 1997.

გაბაშვილი ვალერიან, საქართველო - ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI - XII სს.). *თსუ. შრომები. ტ. 125.* თბილისი, 1968.

კოპალიანი ვასილ, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970 - 1070 წწ.*, თბილისი, 1969.

ლორთქიფანიძე მარიამ, საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, საქართველო XI – XV საუკუნეებში*, ტომის რედაქტორები: ზ. ანჩაბაძე, ვ. გოჩუა, თბილისი, 1979.

*მატიანე ქართლისა*, ქართლის ცხოვრება ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.

მეტრეველი როინ, სამუშია ჯაბა, *მეფეთ მეფე გიორგი II.* თბილისი, 2003.

სილაგაძე ბენიამინ, *არაბთა ბატონობა საქართველოში.* თბილისი, 1991.

სუმბატ დავითის-ძე, *ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა*, ქართლის ცხოვრება ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.

ცქიტიშვილი ოთარ, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისთვის გიორგი I -ს მეფობის ხანაში. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. „მაცნე“. №4,* თბილისი, 1968.

*ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი*, ქართლის ცხოვრება ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955.

ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია. ტ. II.* თბილისი, 1983.

Мец Адам, *Мусульманский ренесанс*, Москва, 1973.

Розен Виктор Р.. *Император Василий Болгаробоица. Извлечения из летописи Яхьи Антиохииского.* Санкт - Петербург.

Daftary Farhad, *The Isma'ilis, Their History and Doctrines*, second edition. Published by Cambridge University Press, 2007.

De Lacy o'Leary D.D., *A Short History of Fatimid Khalifate*, London 1923.

Halm Heinz, Sitt al-Mulk, *The Encyclopedia of Islam. New edition. vol. IX*. Prepared by a number of leading orientalists. Edited by C.E. Bosworth, E. van Dozel, W. P. Heinrichs and the late G. Lecomte. Assisted by P.J. Bearman and Mme S. Nurit. Under the patronage of the International Union of Academics. Leiden E. J. Brill, 1997.

Shepard Jonathan, Western Approaches. *The Cambridge History of the Byzantine Empire c. 500 – 1492.* Edited by Jonathan Shepard . Cambridge University Press, 2008.

Walker Paul E., The Isma'ili Da'wa and Fatimid Caliphate. *The Cambridge History of Egypt. Volume I, Islamic Egypt 640 – 1517.* Edited by Carl F. Petry. Cambridge University Press. 2006.

Treadgold Warren, *A History of the Byzantine State and Society*, Stanford University Press, 1997.

Zakkar Suhayl, *The Emirate of Aleppo 1004 – 1094,* Damsacus, 1982.

حسن إبراهيم حسن. تاريخ الدولة الفاطمية في المغرب و مصر و سورية و بلاد العرب. القاهرة 1964.

**عنان محمد عبد الله**. الحاكم بأمر الله و أسرار الدعوة الفاطمية. القاهرة، 1959.

**ماجد عبد المنعم**. الحاكم بأمر الله الخليفة المفترى عليه. القاهرة 1982.

يحيى بن سعيد بن يحيى الانتاكي. تاريخ الانتاكي المعروف بصلة تاريخ *أوتيخا*. حققه و و صنع فهارسه أستاذ دكتور عمر عبد السلام تدمري، طرابلس 1990.

***Giorgi Narimanishvili***
*Free University of Tbilisi, Institute of Asia and Africa, Lecturer*

# FOR A HISTORY OF GEORGIAN DIPLOMACY IN THE MIDDLE AGES

## RESUME

One of the fine examples of the outstanding Georgian diplomacy and active foreign relations of middle centuries is the international policy led by the King George I. Namely, our interest points on the discussion of diplomatic relations between the Georgian King and Fatimid Caliph.

As the Arabian historian – Yahya of Antioch says, the King of Georgia, George I offers the Egyptian Caliph Al-Hakim the plan of attacking the Orthodox Byzantium. This historic fact fell into attention area of many Georgian and foreign scientists (M. Lortkipanidze , V. Gabashvili, I. Javakhishvili, V. R. Rozen, W. Treadgold et al).

Our aim is to understand the reason why the King George I, chose such unusual ruler as was Caliph of Egypt – Al-Hakim Bi Amr Allah, as his allied partner.

Also it is very curious how the King of Georgians and Fatimid Caliph led their secret relationships and negotiations and exactly what ways and means were used for that.

Basis for this alliance was not religion but coincidence of political interests. Interests of two countries having different culture and religion, in certain period and condition have

coincided, which was guarantee for united power and force against common enemy.

As the events informs us, antibyzantine alliance took its real shape. Reason of non-fulfillment of this agreement became sudden death of Caliph Al-Hakim. By losing Al-Hakim, King George lost strong and powerful supporter and new leadership of Egypt didn’t wish to lead the war against Byzantium. Georgian King tried to handle with the problem of Byzantium alone but all failed and ended unsuccessfully. Georgians were defeated and in 1023 King George concluded a truce with Ceasar Basil, according to which King George gave to Byzantium 12 castles and the part of the lands of David Kurapalati. Also he sent his son Bagrat in hostage in Constantinople for three years.

*ზურაბ ოქროპირიძე,*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*
*მოწვეული სპეციალისტი*

# დავით აღმაშენებელი და შიდა ქართლი (ოქროპირიძეებისადმი გაცემული წყალობის წიგნის გამო)

ძველი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის[1] განსაზღვრებით „ზენა სოფელი" შიდა ქართლის უძველესი სახელწოდებაა. აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას[2] დასკვნით, ზენა სოფელი – შემდგომში შიდა ქართლი – ელინისტურ ხანაზე ადრინდელია. შიდა ქართლს „ზენა სოფლად" მოიხსენიებს ჯუანშერიც (XI ს.): „არჩილ მეფემ სიძეებს „ორთავ გაუყო ზენა სოფელი, რომელი არს ქართლი..."[3] ქართველთა ერთ–ერთმა უდიდესმა მეფე–რეფორმატორმა ფარნავაზმა (ძვ. წ. IV-III ს.) შიდა ქართლი ერთ საერისთავოდ გააერთიანა, რომელიც თავის მხრივ ადმინისტრაციულ ერთეულებად იყოფოდა. ერთი ასეთი წარმონაქმნი იყო მდინარეების – პატარა ლიახვისა და მეჯუდას შორის მოქცეული ტერიტორია, რომელიც გვერდისძირად მოიხსენიებოდა[4].

ლიახველებმა თანაბრად იწვნიეს ის ქარტეხილი, რაც საუკუნეების განმავლობაში მთელ საქართველოს ატყდებოდა თავს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ "დიდ თურქობად" წოდებულმა ჭირმა აღმოსავლეთ საქართველო,

---

[1] ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, „ქართლის ცხოვრება", ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, 24.

[2] ჯანაშია ს., შრომები, II, თბ., 1952, 30.

[3] ჯუანშერი, „ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ, 1955, 242.

[4] გვასალია ჯ., შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიისათვის, „ისტორიის მაცნე", №1, 1976, 143.

მათ შორის, შიდა ქართლი, ტყით დაბურულ ქვეყნად აქცია: ”ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრეს მას შინა...”[1] აღსანიშნავია, რომ ამ მძიმე ბრძოლებში ლიახველთათვის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა მათი სტრატეგიული მდებარეობა. ორივე ლიახვის ხეობიდან ადვილად უკავშირდებოდნენ ქვეყნის სხვა რეგიონებს, ძველთაგანვე არსებობდა უმოკლესი გადასასვლელები ჩრდილოეთ კავკასიაში. სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებით პატარა ლიახვის სოფლებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა დისევ-კულბითს. დისევი მდინარეების – პატარა ლიახვისა და მეჯუდას წყალგამყოფი ქედის დასავლეთ მთისწინეთში მდებარეობს. კულბითიც ლამაზ ბორცვზე გაშენებული უძველესი სოფელია, რომელიც ისე მჭიდროდ ეკვრის დისევს, რომ დროთა განმავლობაში შეერწყა მას. დისევ-კულბითში ქართლის მასშტაბით ერთ–ერთი საუკეთესო კლიმატური პირობებია: ,,...და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი... არამედ ღვინო აქაური თხელი და მომჟავო გარნა საამო არს სასმელად...“[2] – წერდა ცნობილი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი. ქართველ მეფეთა მიერ გაცემული წყალობის სიგელები, მიწის დამუშავებისას ნაპოვნი არაერთი სიძველე და სოფლის მიდამოებში მდგარი ადრეფეოდალური, შუა და გვიანდელ საუკუნეებში აგებული ტაძრები (წმინდა იოანე მახარებელის, ძელიცხოველის (X ს.), წმინდა გიორგის, კულბითის ღვთისმშობლის (XV–XVI ს.), წმინდა მარინეს (ადრე შუა საუკუნეები) სახელობის ეკლესიები და სხვები. მოწმობენ, რომ დისევ–კულბითი ძველთაგანვე იყო დასახლებული. ამ პატარა ხეობაში 18–მდე ეკლესია–მონასტერი და ციხე-კოშკია, რომელნიც

[1] უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა, ,,ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955, 320.

[2] ბატონიშვილი ვ., აღწერაი სამეფოისა საქართველოისა, თბ., 1953, 72

მტერთაგან არაერთგზის აოხრებულან. შიდა ქართლის თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ დისევის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთის წვერზე აღმართული ადრე შუა საუკუნეების სათვალთვალო ციხე-კოშკი და ხეობის შუაგულში მდგარი კულბითის ციხე. დისევის მთიანეთის ყველაზე მაღალი – ორბოძალის ქედის (ზ. დ. 1960 მ. აგებულია ზედაპირული თიხა–ფიქლებითა და ქვიშა–ქვებით)[1] ძირში, სოფლის აღმოსავლეთით უძველესი ნასოფლარი (თუ ნაქალაქარი) ნაქალაქევია. დისევის სამხრეთით, ტყეში ნასოფლარი ბერიჯვარია. ჩვენამდე მოაღწია ადრე შუა საუკუნეებში აგებულმა მონასტრის ნანგრევებმა, ბერთსადგომებმა. მრვალისმეტყველი ტოპონიმი იმაზე მეტყველებს, რომ ათასწლეულის მიღმა დისევსა და მის შემოგარენში საერო–სამონასტრო ცხოვრება ჩქეფდა. დისევ–კულბითთან მიმართებაში მეტად საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის ,,ქართლის ცხოვრების" თხზულებაში ,,მატიანე ქართლისაი" (XI ს.) გვიანდელი ჩანართი, რომელიც, მკვლევარ თედო ჟორდანიას მტკიცებით, თეიმურაზ ბატონიშვილს (1782-1846) ეკუთვნის. მასში ვკითხულობთ: ,,...წმინდამან მეუფემან კათალიკოს–პატრიარქმან მელქისედეკ მოიღო ქართლს მონასტერი პალავრა ოთხითა სოფლითა: და ცუქითი შესავალითა მისითა, ყინწვისი შესავალისა მისითა... კურბითის (იგივე კულბითი ზ.ო.) სააზნაურო კარგი სოფელი ერთი... და რაოდენი სოფელი ძუელად ჰქონდეს წმიდასა სუეტიცხოველსა და კათოლიკე ეკლესიასა და სხუა შესავალნი რაც იყვნეს მოახსენა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გაუხადნეს და მისცა სიმტკიცე შეუვალობისა... ყოველნი, რომელნი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისანი არიან ააშენა და დადგნა ყოველგან სახლნი და ააგო ეკლესიანი..."[2] მელქისედეკ კათალიკოსი საქართველოს ეკლესიას მესაჭეობ-

---

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., 1984, 561.

[2] უცნობი ავტორი, მატიანე ქართლისაი, ,,ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955, 295.

და მაშინ (1010–1033წ), როდესაც იქმნებოდა ერთიანი საქართველო. ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოდ იქცა მის მიერ ფაქტიურად მეორედ აგებული სვეტიცხოველი. "ქრონიკების" ავტორის აზრით, თეიმურაზს "ქართლის ცხოვრებაზე" მუშაობის დროს ხელთ ჰქონია ქართული ეკლესიის მეთაურის მოღვაწეობის ამსახველი ძირითადი წყარო – მელქისედეკ I-ის მიერვე შედგენილი დოკუმენტი – "დაწერილი მელქისედეკისა მცხეთის საყდრისადმი" (XI ს. 1984 წელს იგი გამოსცეს თ. ენუქიძემ, ვ.სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა), საიდანაც "...მეფის ძეს თეიმურაზს რამდენიმე ნაწყვეტი აქა-იქ "ქართლის ცხოვრებაში" ჩაურთავს, ზოგან თავისი სიტყვებიც დაუმატებია..."[1] თეიმურაზისეულ ჩანართში მრავალთან ერთად მოთხრობილია, როგორ შეუძინა სვეტიცხოველს პატრიარქმა მელქისედეკმა 135 სოფელი. სიგელში ნახსენები ბაგრატ კურაპალატი მეფე ბაგრატ IV (1027-1072). მისი მეფობის ჟამს, 1031-1033 წლებში იწერება კათალიკოსის აღნიშნული ანდერძი. სვეტიცხოვლისათვის შეძენილ სოფელთა შორის მოხსენიებული კულბითი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მჭიდრო თანაცხოვრების გამო შეეთვისა დისევს. ისტორიულად ორივე ერთ ტერიტორიულ ორგანიზმს წარმოადგენდა. მკვლევარები, ძველი ქართული პრესა, ხშირად ამ მიდამოს დისევ–კულბითად, ან ცალკე დისევად და კულბითად მოიხსენიებენ. ასეთი მაგალითები ბევრია. კულბითის ღვთისმშობლის ეკლესიას დისევის ეკლესიას უწოდებს ცნობილი მეცნიერი იოსებ მეგრელიძე.[2] 1912 წლის "სახალხო გაზეთში" (N5) ვინმე "მნახველი" აქვეყნებს პუბლიკაციას "მოწერილი ამბები": სათაურს ქვეშ უწერია სოფელი კულბითი, წერილში კი მთლიანად დისევზეა საუბარი. დისეველ–კულბითელთათვის მთავრი რელიგიური დღესასწაულიც ერთი

---

[1] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. I, თბ., 2004, 181.

[2] მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. 2, თბ., 1997, 13

იყო – იოანე მახარებელის ხსენების დღე – 21 მაისი. დისევისადმი ნაწყალობევ სამეფო სიგელში კულბითი მთლიანად დისევის საზღვრებშია მოქცეული. ე.ი. დისევის სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის დოკუმენტში კულბითიცაა ნაგულისხმევი, ისევე, როგორც რიგი გარემოებების გამო მელქისედეკ კათალიკოსის მიერ მცხეთის საყდრისადმი შენაწირ „კარგ სოფელ ერთში“ (კულბითში) დისევიც შედის. როგორც დოკუმენტი გადმოგვცემს, ეს სოფლები „ძუელთაგანვე ჰქონია წმინდასა სვეტიცხოველსა“. სვეტიცხოვლისადმი შეწირულ სოფლებს უპირველესად ევალებოდათ ქართული ეკლესიის მომარაგება სასულიერო კადრებითა და ჭირნახულით. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელი გამორჩეული უნდა ყოფილიყო როგორც უფლისადმი რწმენით, ისე ეკონომიური კუთხითაც. ეკლესიისადმი ნივთიერ შესაწირთა შორის მთავარი ადგილი მიწას – ვენახს ეკავა. ეს მიდამოები უძველესი დროიდან გამოირჩეოდა ვაზისა და ღვინის კულტურით. ვახუშტიც ხომ წერდა “ღვინო აქაურ საამო არს სასმელადო...“ ამ პერიოდის წერილობით ძეგლებში უკვე მკვიდრდება ტერმინი „ვენახი“. ღვინო აუცილებელი ელემენტია როგორც საერო, ისე საეკლესიო გამოყენების თვალსაზრისით. პურ–ღვინის სიუხვე ქართველი კაცის სულიერ–კულტურულ და მატერიალურ წინსვლას მოასწავებდა მუდამ. ვაზი მარადიულობის სიმბოლოა. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ასე გვმოძღვრავს: „მე ვაზი ვარ ჭეშმარიტი, თქვენ კი ლერწები...“ (იოანე, 15,1.5.6.). ნიშანდობლივია, რომ X-XI საუკუნეების (და შემდგომაც) ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებში ხშირად ჩნდება ვაზის ფოთლის, ყურძნის მტევნების გამოსახულება. მრავალმნიშვნელოვანია “მატიანე ქართლისაის’’ ჩანართი ფრაზა: „...ყოველნი სოფელნი, რომელნი არიან წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა (ე.ი. სვეტიცხოვლისა – ზ.ო.) ააშენა ყოველგან

სახლნი და ეკლესიანი...“[1] ცხადი ხდება, რომ ამ მიდამოს თავისი სტარატეგიული მდებარეობის გამო მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. რეგიონში საყოველთაო აღმშენებლობის, ასევე სოფლის სვეტიცხოვლისადმი კუთვნილების დასტურად სავარაუდოდ ბაგრატ მესამის მეფობის ხანაში აგებული დისევის ძელიცხოველიც კმარა. მასზე სრულად აისახა ვაზის სიმბოლიკა. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზემოთ გამოკვეთილია “განედლებული ჯვარი” და მედალიონები, ვაზის ლერწები ყურძნის მტევნებით. მის მარჯვნივ, მტევნის ქვეშ ირემი და მის ქვეშ ლომია გამოსახული. სამწუხაროდ, დრო–ჟამის გამო ველარ იკითხება ტაძრის სამშენებლო წარწერა. მეათე საუკუნეში დისევში ძელიცხოვლის სახელობის ტაძრის აგება ეჭვმიუტანელს ხდის, რომ ამ დროისათვის ის უკვე სვეტიცხოვლისადმია შეწირული. ,,სვეტი“ და ..ძელი“ ხომ იგივეობრივნი არიან. რა უნდა ყოფილიყო იმაზე დიდი სიხარული ჩვენი წინაპრებისათვის, თუ არა საქართველოში ღვთის სადიდებლად აგებული პირველი ქრისტიანული ტაძრისადმი უანგარო მსახურება, სადაც საქრისტიანოს უდიდესი სიწმინდე – უფლისა ჩვენისა იესოს კვართია დავანებული? დისევი და ოქროპირიძეების გვარი ,,ძუელთაგანვე რომ ჰქონდა სუეტიცხოველსა“, კიდევ რამდენიმე სამეფო სიგელით დასტურდება.

დავით მეფის წყალობის წიგნი, რომლითაც სამართლიანად ამაყობენ ოქროპირიძეები, აზრთა სხვაობას იწვევს მკვლევარებში. მიიჩნევა, რომ დოკუმენტის ავტორი ქართლის მეფე დავით მეათეა (1505–1525). თუმცა ოქროპირიძეების თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე ადასტურებს, რომ აღნიშნული სიგელი წმინდა დავით აღმაშენებლისეულია.[2] ყველაზე დიდმა ბაგრატოვანმა ოქროპირიძეებს გამორჩეული დამსახურებისათვის უბოძა ეს მიდამო და სოფელი დისევი

[1] უცნობი ავტორი, მატიანე ქართლისაი, 255.
[2] მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, 30-31.

„თავის სამართლიანის სამზღვრებით“ შესწირა სვეტიცხოველს. ამ აზრს იზიარებს გაზეთი „ივერიაც“ (1890, №210). მკვლევარ იოსებ მეგრელიძეს ნაშრომში „სიძველეები ლიახვის ხეობაში“, მოჰყავს ცნობილი სასულიერო მოღვაწეების – გაბრიელ დეკანოზის (ოქროპირიძე, 1824–1904, წმ. კირიონის ბიძა – დედის ძმა), მღვდლის ალექსანდრე ოქროპირიძის, დიაკვან ვლადიმერ ოქროპირიძის და სხვათა – საჩივრები: „დისევი დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ჩვენი, ოქროპირიძეების იყო და საქართველოს რუსეთთან შეერთებამდეც ჩვენ უნდა გვეკუთნოდესო“, საქართველოს დამსახურებული ექიმი, პროფესორი ბესარიონ ოქროპირიძე წერდა: „ჩვენს წინაპრებს მუდამ საჩივარი ჰქონდათ, დისევი ჩვენ დავით აღმაშენებელმა გვიბოძა და ნურავინ გვერევა შიგო...“[1] სიგელი, რომელზეც ვსაუბრობთ, XVIII ს–ის II ნახევარში სიძველის გამო ერეკლე მეორის თხოვნით განუახლებია ანტონ კათალიკოსს. იოსებ მეგრელიძე დოკუმენტს უფრო „გალობანი სინანულისანის“ ავტორისად მიიჩნევს. სახელოვან მეცნიერს, თედო ჟორდანიასაც ეეჭვება სიგელის დავით X-სადმი მიკუთვნება და თარიღთან (1516) კითხვის ნიშანს სვამს, რაც სადავო საკითხების დროს დამახასიათებელი იყო მკვლევარისთვის. წინამდებარე გუჯარის მიხედვით ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი დოსითეოზია. დავით X–ის მეფობის წლებში ქართლის კათალიკოსად იხსენიება დოროთეოს II (1507–1511, 1516, დოსითეოზი სავარაუდოდ გადამწერთა „წყალობით” იქცა დოროთეოსად ან პირიქით). 1516 წელს ქართლის კათალიკოსად სახელდება ასევე დიონისეც. დავით აღმაშენებლის დროს კი ქართული ეკლესიის მეთაური იოანეა.

ეს ის შემთხვევაა, როცა ოფიციალურ ისტორიოგრაფიას გარკვეული „ჩავარდნების“ გამო არცთუ იშვიათად ეხმა-

---

[1] მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, 30.

რება ობიექტური, მართალი, კონიუქტურისაგან თავისუფალი ე. წ. ხალხური ისტორიოგრაფია, რომელიც ზეპირი გადმოცემის მეშვეობით ავსებს და ამთელებს ჩვენს ცოდნას ამა თუ იმ ისტორიული მოვლენისა და ფაქტის მიმართ. განა ზეპირსიტყვიერებამ არ შემოგვინახა ასწლეულების მიღმა შექმნილი უმდიდრესი ხალხური შემოქმედება? განა ჰენრიხ შლიმანი ოდესმე აღმოაჩენდა ტროას, რომ არა მისი უდიდესი რწმენა, ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი ამბების ისტორიულობისა? ჩანს გვარის, სოფლის შესახებ ძველი დროიდან კოლექტიურ ცნობიერებაში დაგროვილი ცოდნა ღრმად იყო გამჯდარი ოქროპირიძეთა ყველა თაობის ხსოვნაში, რომლის შენახვა და მომავალი თაობებისადმი არგუმენტირებული გადაცემა უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენდა ეროვნულ–გვაროვნული თვითაღქმის შენარჩუნებისათვის. ჩვენს თვალსაზრისს და ხალხში დაუნჯებულ ცოდნას ამყარებს ოქროპირიძეებისადმი – დისევისადმი 1398 წელს მიერ ბოძებული კიდევ ერთი სამეფო სიგელი. დოკუმენტში წერია, რომ დისევს თავისი მონასტრითურთ განუახლდა შეწირულობა სვეტიცხოვლისადმი[1]. სიტყვაში ,,განუახლდა" წინა საუკუნეებში დისევის მცხეთის ეკლესიისადმი კუთვნილების დამადასტურებელი სიგელია (თუ სიგელები) ნაგულისხმევი. მეტად სარწმუნოა, ასეთი საბუთი თამარსაც გაეცა დისევისადმი, რადგან ხალხური გადმოცემები თამარ მეფის დისევ–კულბითთან დამაკავშირებელ არაერთ ამბავს შეიცავს. აღნიშნული სიგელი და 1392 წელს შედგენილი კიდევ ერთი საბუთი – მცხეთის საეკლესიო მამულების სია,[2] რომელშიც სხვა სოფლებთან ერთად შეტანილია სოფელი დისევი, ბუნებრივია, ეჭვს აღუძრავდა თედო ჟორდანიას დავით მეათისად მიჩნეული დოკუმენტის მიმართ. მიკვლეული მასალები იმის

[1] მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წ. I, თბ., 1964, 74.

[2] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, თბ., 1897, 195-197.

დასტურია, რომ დისევი 1516 წლამდე დიდი ხნით ადრე ეკუთვნოდა მცხეთის საყდარს. 1392 წლის გუჯარი ხელმოწერილია ასე: „მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა“ და აქვს დასმული ბეჭედი წარწერით: „მონა ღვთისა ალექსანდრე“.[1] მომდევნო, 1398 წლის დოკუმენტსაც ხელს მეფე ალექსანდრე აწერს, რაც ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. ამ დროს საქართველოს გიორგი VII მართავს. ალექსანდრე მეფე (დიდი) 1412 წლიდანაა სამეფო ტახტზე. თუმცა, საქართველოს სამეფო ხელისუფლებისათვის უცხო არ იყო თანამოსაყდრეობის ინსტიტუტიც. ზემოთქმულიდან, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქართლის მეფის მიერ გაცემული სიგელი შემდგომში არაერთხელ (დისევის მცხეთისადმი შეწირულობა) 1559 წელს განუახლებია ქართლის მეფეს სიმონ I (1556-1600),[2] 1656 წელს როსტომ მეფეს (1632-1658), გიორგი XI-ს (1676-1688, 1703-1709)[3] ბოლოს კი ერეკლე II-გან განახლებული, წარმოადგენს ძველი გუჯრის პირს, რომელიც დავით აღმაშენებლიდან უნდა მომდინარეობდეს. დოკუმენტში ნაჩვენებია მცხეთის ეკლესიისადმი ბოძებული დისევის საზღვრები. სიგელი ოქროპირიძეებს ,,კეთილგვაროვანთ'' უწოდებს. ქართველ მეფეთა მიერ მისი არაერთგზისი განახლება ადასტურებს საუკუნეების მანძილზე ოქროპირისძეთა დამსახურებას ქვეყნის წინაშე. სიონის დეკანოზის იოვანეს ,,უმეტნაკლებოდ გადაწერილი წიგნით'' იკვეთება, რომ დისევი XVIII საუკუნის ბოლომდე სვეტიცხოვლის საკუთრებას წარმოადგენდა:

,,ქ. ნებითა ღვთისათა ჩვენ მეფეთ მეფემ აფხაზეთისათა აღმოსავალ–დასავალამდე მპყრობელ პატრონმა ხელმწიფემან დავით და ძემან–ჩემან დიმიტრიმან ესე მტკიცე და უცილობ-

---

[1] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, 197.

[2] მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წ. Iთბ. 1964, 74.

[3] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, 397.

ელი შემოწირულობისა სიგელი მოგახსენეთ თქვენ ცათა სწორსა სასოსა ჩვენსა სვეტიცხოველსა და მას შინა აღმართებულსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა წმიდასა შემოგწირეთ სოფელი დისევი თავის სამართლიანის სამზღვრებითა. ასე მოგვეხსენება და შემოგვიწირავს საქარე გზამდისინ, წურბელთ წყარომდისინ და სათიბის წვერამდისინ, ღრმა გზამდისინ, ბერიჯვრის წვერამდისინ და სათიბის წვერამდისინ, საოსო გასაყარ გზამდისინ, იქით საიკორთო გზამდისინ, გახვრეტილ ქვამდისინ, სასადილო წყალმდისინ, ფურთსადგომამდისინ, წითელ კოშკამდისინ, ნასერლები, ჩხოკურის წყალამდისინ, მრგვლივ ტყემდისინ და ტბამდისინ, კვირაცხოვლის გზამდისინ, და ნაცარყანა ხევამდისინ, ზეით გზამდისინ და ქვევით შარამდისინ ეს სოფელი დისევი მრგვლივ სამზღვრით შემოგვიწირამს ყოველის კაცის უცილებლად და ულაპარაკოდ და ხელშეუშლელად მოგვირთმევია და კაცნი შემოგვიწირამს კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი მოსახლენი დავით და ნიკოლოზ და მალიაძე დემეტრე ესენი თავისის მთითა, ბარითა და აბილახტაური თავისი საწისქვილოთი, ეს ასრე მოგვიხსენებია და შემოგვიწირამს თქვენ სვეტიცხოველსა და კვართსა კათალიკოსსა დოსითეოსსა; შეიწირე მცირე ესე შესაწირავი, და ნაცვლად გვაგე დღესა მას განკითხვისასა, ხოლო დამამტკიცებელი და რომელმაც ამას შლად ხელყოსს, რისხამს ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი და სვეტიცხოველი და ჩვენთა ცოდვათა მიერ განკითხვისა დღესა მას განკითხვისასა, ხოლო დამტკიცებული ამისანი ღმერთმან აკურთხოს. დაიწერა ხელითა მღვდელმონაზონის ეგნატისათა თვესა აპრილსა იგ ქკნ [ს] სდ, ხელჩართული ესე არს. დავით მეფე ვამტკიცებ. ნებითა ღვთისათა ჩვენ ყოველის საქართველოს პატრონმა, მეფის ირაკლის შორის ძემან ანტონი დავით მკვიდრისამან გარდავაწერინე წიგნი ესე წინაშე ჩვენი-

სა სიონის დეკანოზის იოვანეს უმეტნაკლებოდ, რომელისაცა მკვიდრი ჩვენა გვაქვს“. (თარიღი 1516 წ.?).[1]

ჩანს, სიგელმა შეცვლილ-შემოკლებული სახით მოაღწია ჩვენამდე. ქართლის მეფის, დავით X სამეფო კარს შეუძლებელია არ სცოდნოდა წინა საუკუნეებში დისევის მცხეთისადმი შეწირულობის შესახებ. დოკუმენტის გადამწერი მღვდელ-მონაზონი ეგნატე არსად ახსენებს, რომ დისევი ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ეკუთვნოდა სვეტიცხოველს, რომ 1392-1398 წლებში მას განუახლდა მცხეთის საყდრისადმი შეწირულობა. საბუთში არაფერია ნათქვამი წინა ეპოქების ქართველ მეფეთა და ეკლესიის მეთაურთა შესახებ, ვის დროსაც დისევისადმი (ოქროპირიძეებისადმი) გაიცემოდა ან ახლდებოდა წყალობის წიგნები. შესაძლოა, მამა ეგნატემ კეთილსინდისიერად შეასრულა თავისი მისია და შემდგომში სხვა გადამწერთაგან შემოკლდა, განიძარცვა დოკუმენტი საჭირო ცნობებისგან. როდესაც „ქრონიკების“ ავტორი ჩვენი ისტორიის ნაკლზე წერდა, მიუთითებდა: „ზოგიერთი მატიანე დიდად დამახინჯებულია გადამწერებისაგან და ბევრჯერ აზრიც იკარგება...“[2] პირველი წიგნის წინასიტყვაობაში იგი წერს: „...მრავალი მხარე ჩვენის ისტორიისა წყვდიადით არის მოცული... თითქმის სრულიად მოკლებულია ქრონოლოგიას... ამისთვის ვახტანგ VI „შეუკრებნია კაცნი მეცნიერნი, რაც რამ ქართლის ცხოვრებისა უპოვნია, შეუმსია, შეუმოწმებია მცხეთის გელათის და სხვა ეკლესიების გუჯრებითა და დიდებულ გვართა სიგელ-გუჯრებითა...“[3] მეცნიერის განმარტებით გუჯართა დიდი ნაწილი „პეტერბურგში გაუტანიათ კანტორიდამ და ყველა დაკარგულა..“[4] ჩვენი შეხედულებებისა და დისევისადმი გაცემული სიგელის დავით ალმაშე-

[1] მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, 31.
[2] ჟორდანია თ., ქრონიკები, წ. I, 256.
[3] ჟორდანია თ., ქრონიკები, წ. I, წინასიტყვაობა, II.
[4] ჟორდანია თ., ქრონიკები, წ. I, 187.

ნებლისადმი კუთვნილების ირიბ დასტურად შეიძლება მივიჩ-ნიოთ 1534 წელს ნიკორწმინდის ხუცურად დაწერილი სიგე-ლი, გაცემული იმერთა მეფის ბაგრატ III-ის მიერ, რომელ-შიც ნათქვამია: ''...შემოვსწირეთ სოფელნი და დაბანი... თ-ქნ წ-ო გ-ი მთისა მთავარმოწამეო! როგორადაც დავით აღმაშე-ნებლისაგან და ძისა მისისა დიმიტრისაგან შემოწირული ყო-ფილიყო...''[1] და ...''ჩვენ მეფეთა მეფემ აფხაზეთისათა აღმოსა-ვალ-დასავალმდე მპყრობელ პატრონმა ხელმწიფემან დავით და ძემან ჩემმა დიმიტრიმან ესე მტკიცე და უცილობელი შე-მოწირულობისა სიგელი მოგახსენეთ...'' მსგავსება ამ ორი დოკუმენტისა მათში მოხსენებულ პირთა იდენტურობაზე მი-უთითებს. იმერთა მეფეც შეწირავს სოფლებს და დაბებს მთა-ვარმოწამე გიორგის, მაგრამ იქვე აზუსტებს: ადრე იგი და-ვით აღმაშენებელსა და მის ძეს შეუწირავსო. სამწუხაროდ, ჩვენს შემთხვევაში ასეთი განმარტებები აკლია ტექსტს. რაც შეეხება გუჯარში ნახსენებ დიმიტრის, ჩვენის აზრით იგი დიდი დავით მეფის ძეა – შემდგომში მეფე დემეტრე I. უნდა აღინიშნოს, რომ თედო ჟორდანიას ,,ქრონიკების" მეორე ტომში აღნუსხულ 1519წლის ქვათახევის[2] მონასტერზე შე-წირულობის სიგელში, 1526 წლის მცხეთისა[3] და 1550 წლის ისევ ქვათახევის სიგელებში,[4] მოხსენიებულია მეფე დავით მეათის შვილები: ლუარსაბი, ადარზანი და რამაზი. დიმიტრის ქართლის მეფის შვილად ,,ახალი ქართლის ცხოვრების" პირველ ტექსტში 1518 წელს მომხდარ ამბავთან დაკავშირებით ბერი ეგნატაშვილი იხსენიებს: ,,...მეფემან და-ვით თვისი შვილი რამაზ გაგზავნა და ყაენს წინა მიაგება და დაიხსნა საქრისტიანო და დაჰყო რაოდენიმე ხანი... და ესხნა

[1] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, 379.
[2] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, 344.
[3] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, 368-369.
[4] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, 390.

ძენი სამნი: ლუარსაბ, დიმიტრი და რამაზ"...[1] მაგრამ ამავე მოვლენაზე თედო ჟორდანიას ზემოთ დასახელებულ „ქრონიკებში"[2] რამდენჯერმეა საუბარი და არცერთხელ არ არის ნახსენები დიმიტრი, რაც ჩვენის აზრით, ბერი ეგნატაშვილის მიერ დაშვებულ უზუსტობაზე უნდა მიუთითებდეს. ავტორი მესამე ტექსტშიც ახსენებს დავით X ძეს დემეტრეს სახელით.[3] დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილიც 1524 წლის მცხეთის შეწირულობის N7 სიგელზე დაყრდნობით წერს, რომ დავით X სამი შვილი ჰყოლია: ლუარსაბი, ადარნასე და რამაზი.[4] ივანე ჯავახიშვილსაც სარწმუნოდ უფრო ამ სიგელში მოყვანილი ცნობა მიაჩნია, რადგან იგი ჯერ კიდევ დავით მეფის სიცოცხლეშია შედგენილი. თუ დავით X მართლაც ჰყავდა შვილი დიმიტრი, რატომ არ იხსენიება იგი ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში? თითქმის ყველა სიგელში ადარნასე ფიგურირებს. რის საფუძველზე იკავებს, ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, დავით X შვილებში დიმიტრი ადარნასეს ადგილს გაურკვეველია. მიუხედავად დისევისადმი წყალობის წიგნის ნაკლოვანებისა, იგი ძვირფას მასალას წარმოადგენს ამ მიდამოს, ოქროპირიძეთა გვარის ისტორიის, ჩვენი აწ ოკუპირებული ადგილ-მამულის სახელ-ტოპონიმების შესწავლისათვის, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც ცოცხალია. ზოგი მათგანი თითქოს არაფერს გვეუბნება გარემო სინამდვილის შესახებ, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს მის უშინაარსობას. ჟამთა დაუნდობელ სრბოლას დაუნისლავს ის თავდაპირველი ხატი, რაც საფუძვლად დასდებია ადგილის სახელდების პროცესს. ტოპონიმები ექოსავით

---

[1] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, „ქართლის ცხოვრება", ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959, 492.

[2] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, 335.

[3] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 353.

[4] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, 205.

გვაწვდიან გარდასულ საუკუნეთა ხმას. ყოველ მათგანს: მთას, ტყეს, წყაროს, მდინარეს თავისი ისტორია, ბიოგრაფია აქვს. მათში აირეკლა ხალხის, გვარის, მხარის ისტორია, ტკივილი, სიხარული... წინაპართ ნაკვალევი არ გამქრალა და სიცოცხლე ჰპოვეს ტოპონიმებში. ამდენად ისინი საისტორიო წყაროდაც გამოდგებიან. მათმა სწორმა გააზრებამ შეიძლება ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწიოს ამა თუ იმ რეგიონის, ჩვენ შემთხვევაში დისევ-კულბითის ისტორიულ–კულტურული და რელიგიური კუთხით შესწავლაში. სიგელში, ასევე ოქროპირიძეთა ხსოვნაში შემორჩენილი ტოპონიმები: ,,ბერიჯვარი“, ,,კვირაცხოველი“, ,,ქაშუეთი“, ,,წმინდა მარინეები“, ,,ციხეები“, ,,ნაქალაქევი“, ,,სახატო მიწები“, ,,სასეფეო ველები“ და სხვა, ამ მიდამოს უძველეს ისტორიაზე, ხალხის უფალთან და სამშობლოსთან განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე უნდა მეტყველებდეს.

საიდან მოდის გვარი ოქროპირიძე და როდის სახლდებიან ისინი ამ მიდამოში? ცნობილია, რომ გვარები X–XII საუკუნიდან ჩნდებიან. ისინი ძირითადად ადგილის, საკუთარი ან შერქმეული, სახელებიდან მომდინარეობენ. გვარი ოქროპირიძეც საკუთარი სახელიდან – ოქროპირიდან მოდის. ორივე კი მიღებულია ძვირფას ლითონ ოქროსგან. ხშირ შემთხვევაში ოქროპირი მეორადი, შერქმეული სახელია და ნიშნავს კარგ მჭევრმეტყველს, მოძღვარს. ამ სახელით უპირატესად ცნობილ, კარგ მქადაგებელ სასულიერო პირებს მოიხსენიებენ. სახელის ოქროპირის და მისგან მომდინარე გვარის შექმნის პირველწყაროდ უნდა მივიჩნიოთ IV საუკუნეში მცხოვრები უდიდესი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი და მჭერმეტყველი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე ოქროპირი, რომელიც რამდენიმე წელი აფხაზეთშიც მოღვაწეობდა(404-407). X საუკუნის დასასრულს (980–1001) ქართლის კათალიკოსი იყო წმინდა იოანე (მეოთხე) ოქროპირი, XI საუკუნის პირველ ნახევარში (1033–1048) კი იოანე (მეხუთე)

ოქროპირი, შემდგომ საუკუნეებშიც ამ სახელით არაერთი სასულიერო პირია მოხსენიებული: ოქროპირ–მოძღვარი, (XII ს.), ოქროპირი – წმინდა სამების დეკანოზი (XVII ს.), იოანე IX ოქროპირი – საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი (XVI ს.), ოქროპირი–ბოლნისის ღვთისმშობლის დეკანოზი (XVII ს.) და სხვ.[1] ნიშანდობლივია ისიც, რომ სოფლის, გვარის მფარველი უძველესი დროიდან დღემდე იოანე მახარებელია, რომელიც ქართულ სასულიერო–საისტორიო თხზულებებში არაერთხელ მოიხსენიება ოქროპირად (მაგ: ტბელ აბუსერისძის „გალობა წმიდათა იოვანეთა: ნათლისმცემელთა, მახარებელისა ოქროპირისა...“). ოქროპირი, როგორც ვთქვით, იოანე ოქროპირიდან მოყოლებული საუკეთესო მქადაგებელ სასულიერო პირთან ასოცირდება. ამიტომ უსაფუძვლოდ გვეჩვენება მკვლევარ დავით პავლიაშვილის მოსაზრება ოქროპირიძის ოქროკვერცხიშვილთან და ოქრომჭედლიშვილთან გაიგივება, რომლის ძირიც – „ოქრომჭედელი“ სულ სხვა – სამოხელეო ტერმინია. ასევე ცდება ავტორი, როდესაც წერს: „ტყვიავის სინამდვილეში ოქროპირიძეები, ოქრუაძეები, ოქრუაშვილები ერთი წარმომავლობისანი უნდა იყვნენ, რომელთა ძირი სოფ. კულბითიდან მომდინარეობს“.[2] ტყვიავში მცხოვრებმა ოქროპირიძეებმა კარგად იციან, რომ მათი თავდაპირველი საცხოვრისი დისევია. მათ დღესაც აქვთ ურთიერთობა დისეველ ბიძაშვილებთან. ოქრუაძეების ან ოქრუაშვილების არანაირი ნათესაური (სისხლისმიერი) კავშირი დისევთან არ ფიქსირდება. საინტერესოა, რის საფუძველზე აკეთებს ასეთ დასკვნას პატივცემული მეცნიერი? საერთოდ, ამ საკითხში ბევრს სცოდავს ავტორი. ჩვენ ზემოთ ვწერდით, რომ დისევ-კულბითის მჭიდრო ტერი-

[1] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, არტანუჯი, თბ., 2004, 346.

[2] პავლიაშვილი დ., შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2012, 267.

ტორიული თანაცხოვრების გამო მკვლევართა ნაწილი ხშირად დისევს კულბითად მოიხსენებს ან პირიქით. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც, მაგრამ შიდა ქართლის ისტორიის მკვლევარს უნდა სცოდნოდა, რომ ოქროპირიძეების საგვარეულო სოფელი დისევია. საინტერესოა: ისე ამთავრებს მეცნიერი პატარა ლიახვის სოფლებზე მსჯელობას, ერთხელაც არ ახსენებს დისევს, სადაც დაიბადნენ წმინდა ალ. ეპისკოპოსი, კათალიკოს–პატრიარქი ლეონიდი, წამებული ეპისკოპოსი პიროსი, სადაც ბავშვობის საუკეთესო წლები გაატარა წმინდა კირიონ მეორემ, დედით ოქროპირიძემ, სადაც დაიბადა ათეულობით ცნობილი საეკლესიო თუ საერო მოღვაწე და მთელი ქართლის მასშტაბით იყო ძლიერი საგანმანათლებლო ცენტრი.[1] ბატონი დავით პავლიაშვილი ბრმად სარგებლობს გაზეთ ‘‘ივერიის’’ (1890, №210) პუბლიკაციით, სიტყვა გადმოაქვს იგი თავის ნაშრომში, რომლის მიხედვით დავით აღმაშენებელმა მეფისადმი თავდადებისა და ერთგულების გამო უწყალობა კულბითი (უნდა იყოს დისევი, კულბითი დისევისადმი ბოძებულ სამეფო სიგელში არ ფიქსირდება, მაგრამ მის საზღვრებშია მოქცეული, ე.ი. იგიც შეწირულია სვეტიცხოველს. – ზ.ო.) ოქროპირიძეებს და მისი ნაბოძები სიგელი დღემდე ინახება ოქროპირიძეების ოჯახშიო. ,,ივერიის‘‘ ეს ცნობა, გარკვეული ცდომილების მიუხედავად, მეტად საინტერესოა და ამყარებს ჩვენს შეხედულებას, რომ წყალობის სიგელის ავტორი დიდი დავით მეფეა. გაზეთის სტატიის შეცდომის კვალდაკვალ მეცნიერი წერს: ‘‘სოფლის თავში (ნაგულისხმევია კულბითი) ცივი და ანკარა წყაროა, რომელსაც ‘‘წაბლა წყაროს’’(ასევეა მოხსენიებული ‘‘ივერიაში’’, უნდა იყოს ‘‘წამალა წყარო’’, რომელიც დისევის თავში მდება-

[1] ოქროპირიძე ზ., ოქროპირიძეების საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, თბ., 2012, 21-22.

რეობს) უწოდებენ".[1] წერილში დაშვებულ შეცდომებს პირდაპირ იმეორებს მკვლევარი თავის წიგნში.

უდავოა, ტოპონიმ „დისევის" წარმოშობა წინ უსწრებდა ოქროპირიძეთა გვარის ფორმირებას, რომელიც დავით აღმაშენებლის გამეფების (1089 წ.) ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო, ვინ იყვნენ ოქროპირიძეთა წინაპრები? გაზეთ „ივერიის" მიხედვით (რასაც სიგელიც ამტკიცებს) სოფელი დისევი

ერთგული სამსახურისათვის დავით აღმაშენებელს უბოძებია ოქროპირიძეებისათვის,[2] რასაც იზიარებს ცნობილი მკვლევარი იოსებ მეგრელიძე. ვერსიის სისწორეს ადასტურებენ ოქროპირიძეთა საგვარეულოს ცნობილი მოღვაწეები.[3] მელქისედეკ კათალიკოსის მიერ შედგენილი ანდერძით მცხეთის საყდრისადმი, დისევ–კულბითი ჯერ კიდევ XI საუკუნემდე ეკუთვნოდა „წმიდასა სვეტიცხოველსა". ისტორიკოსი როლანდ თოფჩიშვილი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ოქროპირიძეთა წინაპარი, სახელად ოქროპირი ლიახვის ხეობის უკიდურესი ზემო წელიდან, ისტორიული დვალეთიდან[4] დასახლდა დისევში. ზემოაღნიშნულ ვერსიასთან ეს თქმულება თითქმის არ მოდის წინააღმდეგობაში. დვალეთი ისტორიული ქართული პროვინცია იყო, უმამაცესი ხალხით დასახლებული. იგი ჯერ კიდევ V საუკუნიდან ვახტანგ გორგასალმა ნიქოზის საეპისკოპოსოს დაუქვემდებარა. IX–XI ს–ში ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა არაბთაგან და შემდეგ თურქ–სელჩუკთაგან არაერთგზის მოოხრებული, ხალხისგან დაცარიელებული შიდა ქართლის აღორძინებას. ამიტომ მთიანი რეგიონებიდან ხდებოდა ქართველთა

---

1 პავლიაშვილი დ., შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები, 250.

2 „ივერია", 1890, №210

3 მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, 30-31.

4 თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, თბ., 2002, 38.

გარკვეული ნაწილის ჩამოსახლება ბარში. თუ დვალეთიდან ოქროპირიძეთა წინაპრის წარმომავლობის ვერსიას ვირწმუნებთ, მაშინ იგი დისევში უნდა მოსულიყო X-XI საუკუნეებში. ვინ იყო ოქროპირი? ვფიქრობთ, იგი თავისი დროის გამორჩეული სასულიერო მოღვაწე უნდა ყოფილიყო და არც მისი დისევს გამოჩენა იყო შემთხვევითი. როგორც არაერთი მაგალითით ვნახეთ, ოქროპირის სახელით უმეტესად ცნობილ სასულიერო პირებს იხსენიებდნენ. თუ ჩვენს დროში სახელების და გვარის შექმნის პროცესი გამარტივებულია, მისი წარმოშობის გარიჟრაჟზე, როგორც შესავალშიც ვთქვით, იგი პიროვნების, ოჯახის მემკვიდრეობით სახელს აღნიშნავდა, ადამიანთა ჯგუფების ერთობას, რაობა–ვინაობას განსაზღვრავდა. ,,გახსოვდეს ვისი გორისა ხარო" – ასე მოძღვრავდა გვარის უხუცესი ახალგაზრდებს. საინტერესო სურათი იკვეთება: ქართლის კათალიკოსი მელქისედეკი ათეულობით სოფელთან ერთად გამოირჩევს შიდა ქართლის რამდენიმე სოფელს სვეტიცხოვლისადმი შესაწირად ,,შესავალითა მისითა". ბუნებრივია, იგი კარგად იცნობს ამ მიდამოს, არაერთხელ მოილოცავს აქაურ სიწმინდეებს. ნეტარხსენებული მელქისედეკის შემდეგ: ,,და გარდაიცვალა წმიდა ესე და აწ წარუმართენ ღმერთმან ოქროპირს, მელქისედეკისგან შვილად გაზრდილსა. დაჯდა კათალიკოს–პატრიარქად ოქროპირი და ამანცა მრავალი შემატა დიდსა კათოლიკე ეკლესიასა. წმიდამან ამან კათალიკოს–პატრიარქმან ოქროპირმა მრავალნი ეკლესია აღაშენა და განაახლა..."[1] მოცემულ თვალსაზრისთა განხილვის შემდეგ, ალბათ, შეიძლება დაიშვას ვერსია, ხომ არ არის ერთი და იგივე პიროვნება დისეველი და მელქისედეკისაგან ,,შვილად გაზრდილი" ოქროპირი? მითუმეტეს, რომ ორივე ოქროპირის ცხოვრების ხანა საინტერესოდ ემთხვევა ერთმანეთს დროში. მაგრამ როგორადაც არ უნდა იყ-

[1] უცნობი ავტორი, მატიანე ქართლისაი, ,,ქართლის ცხოვრება", ტ. I, 296.

ოს, ერთი რამ უდავოა: გვარის მესაძირკვლე დისეველი ოქროპირია, გამორჩეული სასულიერო მოღვაწე. საერთოდ, სახელის და გვარის სათავეში კი საქრისტიანოს დიდი ბურჯი – იოანე ოქროპირი, მჭევრმეტყველი დგას, ვინც უფლისაგან სათნოყოფილი ასე მოძღვრავს ადამიანთა მოდგმას: „მუდამ ასაზრდოვე შენში ღვთისადმი მადლიერების გრძნობა, რათა არ დაკარგო ეს ნიჭი და ამით მისგან მომდინარე მრავალი ძღვენიც. ნუ იქნებით უზრუნველნი... ეს არის უფლისათვის ჩვენს მიერ გაღებული მსხვერპლი. არაფერია უფრო წმინდა, ვიდრე ენა, რომელიც უბედურების დროს ჰმადლობს უფალს!..”[1] საქრისტიანოს უდიდესი ბურჯისაგან ოქროპირისძეთა გვარის წარმოშობა მეტად სანდომიან საქმედ მიგვაჩნია, რადგან განა ვინმე არ ისურვებს ისეთ საძირკველს, რომელიც უკვდავებაზეა დაშენებული, ვინმე უარყოფს ისეთ მამას, ვისაც ჩვენთვის მარადიული ფასეულობების ჩანერგვა განუზრახავს?

დისევის შესახებ არსებობს რამდენიმე ლეგენდა. ერთ–ერთის მიხედვით ეს მიდამო ერთ ქალბატონს ეკუთვნოდა. იმ ხანებში ქართველებს მნიშვნელოვანი ომი მოუგიათ. ომში თავი უსახელებია მის ძმას და დას მისთვის აქაურობა უჩუქებია. ამიტომ ამ ადგილისთვის დისეული, ე.ი. დის ნაჩუქარი დაურქმევიათ. ლეგენდის სასარგებლოდ მეტყველებს პატარა მდინარის – დისეურას სახელწოდებაც (დისეული – დისეური), რომელიც შუაზე ჰყოფს სოფელს. ფოლკლორული წყაროს ერთ–ერთი ვერსიით ხეობის ამ ნაწილს დავით აღმაშენებლის და ფლობდა. როდესაც გვირგვინოსანმა მეფემ აქ მცხოვრებნი ვაჟკაცობისთვის მიწითა და ტყით დაასაჩუქრა, დამაც თავის წილ მათ კუთვნილი სოფელი აჩუქა. ცნობილია, რომ ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი ასეთი ტიპის ლეგენდა–თქმულებები ხშირ შემთხვევაში ისტორიული სინამ-

[1] „საპატრიარქოს უწყებანი”, №40, 2010; 8.

დვილის მითოლოგიზირებული ასახვაა. აღნიშნული ლეგენდე-ბის თავისებურ პოეტურ გააზრებას წარმოადგენს დისეველი პოეტის, სახალხო მთქმელის ზურაბ ოქროპირიძის ლექსი „დისევი საჩუქარია“.

„ულამაზესი ნაწილი მთელ საქართველოს მხარისა,
დავითის ნაწყალობევი ოქროპირიძის გვარისა...
იყო აქ ოქროპირიძე თავი და თავი მთავარი,
აქ ლოცულობდა დავითი, აქ ლოცულობდა თამარი.
აქ ლოცულობდა გიორგი  ლაშა, თავისი ამალით,
და განა ცოდვას არ ვიდენთ ამ  ისტორიის დამალ-ვით?!“

თუ ზემოთმოტანილ საარქივო მასალებს, ისტორიულ სიგელ–გუჯრებს, ხალხურ გადმოცემებს ლიტერატურულ წყაროებსაც მივაშველებთ, დისევის ხეობა დიდი დავით მე-ფის არცთუ იშვიათი მასპინძელი ყოფილა. ქართული მწერ-ლობის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, თავის ტეტრალოგიაში „დავით აღ-მაშენებელი“ წერს: „...საერთოდ, სიტყვაძვირი ჭყონდიდელი ბევრს ლაპარაკობდა შიდა ქართლის ციხეების შეკეთებისა და ცხენების გამო. სწუხდა: „...სამი რემა წაასხეს მერემეთა, სამივე ამოუწყვეტია იქაურ ხალხს... ორბოძალის ქედზე ბა-ლახი სცოდნია ეგეთი, უკუეთუ არა იქაურმა ცხენმა მოსძო-ვა, მოაკვდინებს თურმე უთუოდ, მერემეთუხუცესი შემკრთა-ლია ფრიად: რა პირით დავუხვდეთო ამის შემდეგ პატ-რონს!..“[1] გავიხსენოთ რა დროა, „დიდ თურქობად“ რომ დამკვიდრდა ქართულ მატიანეში. დამცრობილი, შეშინებული, კლდე–ღრეებს შეხიზნული ქართველობა. მეისტორიე გად-მოგვცემს, რომ მტერთაგან „მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადმე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა... წმინდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თვისთა, ხოლო

[1] გამსახურდია კ., დავით აღმაშენებელი, წ. II, თბ., 2011, 219-220.

საკურთხეველი ღმრთისაი ადგილად არაწმინდებისა...“[1] კრიტიკული მდგომარეობაა შიდა ქართლში, აქ წყდება ქვეყნის ბედი (სამწუხაროდ, ათი საუკუნის შემდეგაც არ შეიცვალა სურათი). ამიტომ წმინდა მეფე აქაურ ციხეებს ამაგრებს, თავისი სამყოფელიც ნაჭარმაგევში გადმოაქვს. აქედან, „ზენა სოფლიდან“ ყალიბდება საქართველოს გათავისუფლების დიადი გეგმა. დავითის ისტორიკოსს შემოუნახავს წმინდა მეფის შიდა ქართლური ცხოვრების ქრონიკები. იგი თავად სტუმრობდა შიდა ქართლის ხეობებს, ნუგეშს სცემდა დარბეულ, მთაში გახიზნულ ხალხს. თხზულებიდან ირკვევა, რომ ანონიმი ავტორი დავითის თანამედროვე და მასთან დაახლოებული პირია. იგი აღწერს, როგორ ხვდებოდნენ და შემწეობას სთხოვდნენ „დაჭირვებულნი” და “მიმძლავრებულნი“ დავით მეფეს. მემატიანის ცნობით, ამ გაჭირვებულ ადამიანთა ხილვისას მეფე ბევრჯერ აცრემლებულა.[2] ჩვენის აზრით, დისევის მთიანეთი დავით მეფის ცხენოსანი ჯარის საწვრთნელ–მოსამზადებელი ადგილი იყო და იგიც არაერთხელ ეწვეოდა დისევსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს. ნაჭარმაგევიდან დისევამდე ხომ სულ რაღაც 25 კმ–ია. ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ მეფე პირადად ხელმძღვანელობდა ლაშქრის გაზრდა-გამრავლებას, იარაღითა და ცხენებით აღჭურვას, მათ წვრთნას. „წვრთნაში“ ისტორიკოსი გულისხმობს „მცირედ ბრძოლებს სწავლითა გუარიანად და ღონიერად წინაძღომით...“[3] ახალგაზრდა მეფე მტერს მოსვენებას არ აძლევდა, გამარჯვების გემოს ასწავლიდა, ბრძოლებს აჩვევდა ლიახველებს, ახალისებდა თავდადებულ მოლაშქრეებს. წმინდა მეფე ჭეშმარიტი ღვთისმოსავი იყო. ასეთი ქრისტესმიერი ხედვით უბრუნებდა იმედს ქართველ ხალხს. ქაოსიდან,

[1] უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955, 320.

[2] უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა, 354.

[3] უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა, 358.

შიშიდან, წესრიგში აბრუნებდა. ჯარის ზრდასთან ერთად მტკიცე სამხედრო დისციპლინას ამყარებდა მოლაშქრეებში“ ,,...საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულველი და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო...“[1] დავითის ისტორიკოსი ყველაფერს ვერ აღწერდა, ბუნებრივია, ვერ აღწერდა მეფის ენერგიული ქმედებებით იმედმიცემული ხალხი ნელ–ნელა რომ უბრუნდებოდა თავიანთ საცხოვრისს, განადგურებულს და გავერანებულს (როგორც ახლაა დისევ–კულბითის და მთლიანად ლიახვის ხეობები) შამბ–ეკალ გადავლილს. უეჭველია, მეფე თავის ხალხს დაახმარდა, სამეფო ხაზინიდან სახსრებს გამოუყოფდა საკუთარ მიწაზე მობრუნებულთ მეურნეობის აღსადგენად, დანგრეულ–დამწვარი სახლებისა და ციხე–ტაძრების შესაკეთებლად. აუცილებლად შეარჩევდა თვალქორა და მგლისმუხლა ლიახველ ვაჟკაცებს სამეფო ჯარისთვის. იქ, ხიზნობაში დაბადებული პატარები კი, ჩიტებს რომ დასდევენ შურდულებით, მომავალში ყველაზე დიდი ბაგრატიონის მიერ წარმოებული სახელოვანი ომების თანამონაწილენი და ქართული ეკლესიის ღირსეული მსახურნი იქნებიან. როცა გავიაზრებთ ამ ისტორიას, ცხადი გახდება დისევის შესახებ არსებული ლეგენდის სინამდვილე: წმინდა მეფე უფლისა და სამშობლოსადმი ერთგულების გამო გამოარჩევს ,,კეთილგვაროვან ოქროპირიძეებს“ და უწყალობებს სოფელ დისევს საკმაოდ ვრცელი ტერიტორიებით. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება, მას თავისი წინაპირობები აქვს...

**დამოწმებანი:**

უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა, ,,ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილია ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.

[1] უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა, 352.

ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.

უცნობი ავტორი, მატიანე ქართლისაი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.

ჯუანშერი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955.

ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959.

ბატონიშვილი ვ., აღწერაი სამეფოისა საქართველოისა, თბ., 1953.

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967.

ჯანაშია ს., შრომები, II, თბ., 1952.

ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. I, თბ., 2004.

ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, თბ., 1897.

მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, წ. 2, თბ., 1997.

გვასალია ჯ., შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ისტორიის მაცნე, №1, 1976.

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წ. I, თბ., 1964.

გამსახურდია კ., დავით აღმაშენებელი, წ. II, თბ., 2011.

თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისათვის, თბ., 2002.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, არტანუჯი, თბ., 2004.

ოქროპირიძე ზ., .„ოქროპირიძეების საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია”, თბ., 2012.

პავლიაშვილი დ., შიდა ქართლის ისტორიის ნარკვევები”, თბ., 2012.

ქ.ს.ე. ტ. 7, თბ., 1984.
„ივერია“, 1890, №210.
„სახალხო გაზეთი“, 1912, №5.
„საპატრიარქოს უწყებანი“, 2010, №40.

***Zurab Okropiridze***
*Gori State Teaching University, Specialist by Contract*

**DAVIT AGMASHENEBELI AND SHIDA KARTLI (FOR THE PATENT GIVEN TO OKROPIRIDZES)**

**RESUME**

In the work the focus is on the patent, according to this King Davit contributed village Disevi with the local “noble surname of Okpopiridzes” to Svetitskhoveli Cathedral. It is considered that the author of the deed is King of Kartli Davit X (1505-1525). Famous representatives of Okropiridze surname, researcher I. Megrelidze, newspapers: “Iveria” (1890, N210), “Sakhalkho Gazeti” (Public Newspaper) (1912, N5), folk narrations confirm that the author of patent is Davit Agmashenebeli. And Davit X as Erekle II only renewed it. This version is also confirmed by “Kartlis Tskhovreba” and other archival materials. Disev-Kulbiti had been contributed to Svetitskhoveli Cathedral yet by Melkisedek I (1010-1033). In the following years (1392, 1398, 1559, 1656 etc) Georgian Kings not once renewed the contribution of Disevi to Svetitskhoveli. There we also consider relations of Davit Agmashenebeli, caring for residents of Liakhvi, his attempt for increasing and development of battle of Shida Kartli.

*ზურაბ პაპასქირი*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*
*პროფესორი*

# ე.წ. „ბიზანტიური თანამეგობრობის“ არსისა და ამ თანამეგობრობაში ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ადგილის გარკვევის საკითხისათვის

ბიზანტიის იმპერია, როგორც ცნობილია, მსოფლიო ბიზანტინისტიკაში უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა დამკვიდრდა ცნება „*The Byzantine Commonwealth*“ – „ბიზანტიური თანამეგობრობა“. ამ ფორმულის ავტორია დიდ ბრიტანეთში მოღაწე, გამოჩენილი რუსი ბიზანტინოლოგი დიმიტრი ობოლენსკი (1918-2001). მან ჯერ კიდე 1971 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი ფუნდამენტური და ამავე დროს განმაზოგადებელი სახელწოდებით: „*The Byzantine Commonwealth. Eastern Europe 500-1453”* (New York. Praeger Publishers, 1971)“ – *„ბიზანტიური თანამეგობრობა. აღმოსავლეთ ევროპა 500-1453*“.[1] მეცნიერის აზრით, ე.წ. *„ბიზანტიური თანამეგობრობაში“* იგულისხმება ვასალურ და ბიზანტიაზე ორიენტირებულ სახელმწიფოთა წრე, რომლებიც ქმნიდნენ ერთგვარ კულტურულ-პოლიტიკურ ერთობას. ეს ერთობა შორს იყო როგორც შუა საუკუნეების დასავლეთევროპული ვასალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან, ისე სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოკიდებულების თანამედროვე წარმოდგენებისაგან. დ. ობოლენსკის განმარტებით “commonwealth” („თანამეგობრობა“ – “Содружест-

[1] 1998 წელს გამოვიდა ამ ნაშრომის რუსული თარგმანი. იხ.: **Д. Оболенский**. Византийское Содружество Наций. Шесть византийских портретов. М., 1998.

во”) წარმოადგენდა „ზეეროვნულ ერთობას“ (“наднациональная общность”), რომელიც ეფუძნება იმპერატორის უზენაესი ხელისუფლების აღიარებას მთელი ქრისტიანული სამყაროს მიერ. ბიზანტიური კულტურისა და სამართლებრივი სისტემის არეალში ყოფნას.[1]

აღსანიშნავია, რომ ბიზანტინოლოგთა ერთი ნაწილი იმთავითვე გამოვიდა ე.წ. „ბიზანტიური თანამეგობრობის“ დ. ობოლენსკისეულ გაგებაში გარკვეული კორექტივების შეტანის ინიციატივით. მაგალითად, ა. კაჟდანი არ დააკმაყოფილა „ბიზანტიური თანამეგობრობის“ მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპით შემოფარგლვამ და მოითხოვა მასში იტალიის, კავკასიის, და თვით ევფრატისპირეთის ჩართვა. ამასთან, მეცნიერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ „შუა საუკუნეების იდეურ-პოლიტიკურ რეალობას (იმპერიისადმი) დამოკიდებულების შესახებ ტერმინებით გამოხატულსაც კი, არაფერი ჰქონდა საერთო რეალურ დამოკიდებულებასთან“, და რომ „ბიზანტიური თანამეგობრობის“ იერარქია უფრო თვითშეგნების ფაქტორს წარმოდგენდა, ვიდრე პოლიტიკური დაქვემდებარებისა“.[2]

აკად. გ. ლიტავრინის (ის პირველი გამოეხმაურა „ბიზანტიური თანამეგობრობის“ დ. ობოლენსკისეულ ფორმუ-

---

[1] **Д. Оболенский**. Византийское Содружество Наций.., 11, 13. იხ. აგრეთვე: **А. Войтенко.** Д. Оболенский. Византийское Содружество Наций. Шесть византийских портретов. Отзыв. – http://old.russ.ru/journal/kniga/99-03-04/voit.htm.

[2] «Идейно-политическая действительность средневековья, даже оформляемая в терминах зависимости, не имела ничего общего с реальной зависимостью... Иерархия «Византийского содружества» была скорее фактором самосознания, нежели политического подчинения...». **А. П. Каждан.** D. Obolensky. The Byzantine Commonwealth. Eastern Europe 500-1453. London, Weidenfeld and Nicolson, 1971. Аннотация/отзыв. – *Византийский временник*, т. 35. М., 1973, 262.

ლას[1]) აზრით, „თანამეგობრობის“ წევრი ქვეყნების რეალური ინტერესები ძალზე დაშორებული იყო ერთმანეთისაგან. ამ ქვეყნების მიერ ეს ერთობა განიხილებოდა როგორც კულტურულ-კონფესიური ერთობა, ხოლო პოლიტიკურ მხარეზე ყურადღებას მხოლოდ ბიზანტია ამახვილებდა.[2] იგივე მკვლევარი სხვა პუბლიკაციაში ავითარებდა აზრს, რომ „ბიზანტიური თანამეგობრობის“ შექმნა უპირველეს ყოვლისა გამოვლინდა კულტურული ურთიერთობების გამყარებაში ბიზანტიასა და „თანამეგობრობაში“ შემავალ ქვეყნებსა და ამ თვით ქვეყნებს შორის“. თუმცა „რელიგიურ-ეკლესიური ერთობა ზოგჯერ შესამჩნევ გავლენას ახდენდა პოლიტიკურ ურთიერთობებზე „თანამეგობრობის“ სახელმწიფოებს შორის“.[3]

გ. ლიტავრინმა ამ ბოლო დროს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი „ბიზანტიური თანამეგობრობის“ კონცეფციის ახლებური გააზრების აუცილებლობას. კერძოდ, მეცნიერის აზრით, საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვებს: „გააჩნდა თუ არა სინამდვილეში ფართო აღმოსავლურ-ქრისტიანულ არეალს, გადაჭიმულს წმინდა მიწიდან ბალტიისპირეთამდე რაიმე პოლიტიკური და იურიდიული სტრუქტურა? თუ არსებობდა რაიმე კონკრეტული ხელშეკრულებითი, გარდა საეკლესიოსი, ურთიერთობები ამ ქვეყნებისა არეალის ცენტრთან (ბიზანტიასთან) და თვით ამ ქვეყნებს შორის? და ბოლოს, რამდენად ჰქონდა პრაქტიკუ-

---

[1] **Г. Г. Литаврин.** Д. Оболенский. Византийское сообщество государств. Восточная Европа. 500-1453. – *Вопросы истории,* № 2, 1972, 180-185.

[2] **Г. Г. Литаврин.** Византия, Болгария, Древняя Русь (IX – начало XII вв.). СПб., 2000, 355.

[3] «Образование указанного сообщества выразилось прежде всего в упрочении именно культурных связей между Византией и входящими в сообщество странами, как и между самими этими странами. Церковно-религиозное единство оказывало иногда заметное влияние и на политические отношения между государствами сообщества». **Г. Г. Литаврин.** Введение. – ***Культура Византии.*** второя половина VII-XII в. М., 1989, 8-9.

ლი მნიშვნელობა საიმპერატორო კარის მიერ კულტივირებულ ფიქტიურ-ოჯახურ-ნათესაური კავშირების სისტემას ბასილევსებსა და იმ აღმოსავლურ-ქრისტიანული ქვეყნების მმართველებს შორის (ახლობლობის სხვადასხვა ხარისხით), რომლებიც გარს ერტყა იმპერიას? ხომ არ იყო ეს სისტემა ერთ-ერთი ცერემონიალურ-დიპლომატიური მეთოდი, არეალში იმპერიის გავლენის შემდგომი გაზრდისკენ გამიზნული?“.[1] ზოგიერთი მკვლევარი უფრო შორს მიდის და თვლის, რომ ე.წ. „ბიზანტიური თანამეგობრობა“ სულაც არ წარმოადგენდა „რეალურ კონსტრუქციას“ და ის მხოლოდ თავისმოტყუება (იმპერიის მხრიდან) იყო.[2]

„ბიზანტიური თანამეგობრობის“ თავისებური მოდელი წარმოადგინა ამერიკელმა მკვლევარმა გ. ფოუდენმა (G. Fowden). მან განავრცო „ბიზანტიური თანამეგობრობის“ დ. ობოლენსკისეული არეალი და მასში კავკასიაც მოაქცია. გარდა ამისა, გ. ფოუდენმა ბიზანტიური თანამეგობრობის ორ პერიოდი გამოყო, რომელთაგან პირველი იმპერატორ კონსტანტინეს გაქრისტიანებიდან და მსოფლიო IV საეკლესიო

---

[1] «Имел ли в действительности обширный восточнохристианский ареал, простиравшийся от Святой Земли до Балтики, какую-либо политическую и юридическую структуру? Существовали ли какие-нибудь определённые договорные, помимо церковных, связи этих стран с центром ареала (Византией) и между собой? Имела ли, наконец, какое-либо практическое значение культивируемая императорским двором система фиктивных псевдо-родственных семейных связей василевса (с разной степенью близости к нему) с правителями окружающих империю восточнохристианских стран? Не была ли эта система не более чем одним из церемониально-дипломатических приёмов с целью ещё более упрочить в ареале влияния империи?». **Г. Г. Литаврин.** Предисловие. – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов Москва 20-21 октября 2008 года. М., 2008, 4.

[2] **С. А. Иванов.** Византийское миссионерство: можно ли сделать из «варвара» христианина? М., 2003, 343.

კრების მიერ დიოფიზიტობის აღიარების შემდგომ პერიოდში მოაქცია, ხოლო მეორე ბალკანეთის ხელახალ გაქრისტიანებას დაუკავშირა.[1] ამასთან, მეცნიერის აზრით, კავკასია ბიზანტიურ თანამეგობრობაში გარკვეულ როლს თამაშობდა მხოლოდ პირველ პერიოდში, მეორე პერიოდში კი იგი საერთოდ ვერ ხედავს კავკასიის, კერძოდ, საქართველოს ადგილს ბიზანტიურ თანამეგობრობაში.[2]

საქართველო-კავკასიისადმი გ. ფოუდენის ამ მიდგომის მცდარობა მკაფიოდ აჩვენა სტ. რეპმა (Stephen H. Repp).[3] ამასთან ამერიკელი ქართველოლოგი შეეცადა წარმოეჩინა საკუთრივ ქართული სამყაროს როლი და ადგილი ე.წ. „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“. მისი დაკვირვებით, „მიუხედავად იმისა, რომ კავკასია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ჯერ კიდევ აქემენიდთა დროიდან მოყოლებული, ირანული სამყაროს წევრი იყო, **აღმოსავლეთ საქართველომ, სომხეთმა და კავკასიის ალბანეთმა შეიტანეს წვლილი**“ ჯერ კიდევ **„პირველი ბიზანტიური თანამეგობრობის ჩამოყალიბებაში**“.[4] სტ. რეპის შეხედულებით IX-X საუკუნეებში – „ბიზანტიური თანამეგობრობის კრისტალიზაციის“ ხანაში – ადგილი ჰქონდა „კავკასიის რელიგიური და პოლიტიკური კულტურის“ ინტენსიურ „გაბიზანტიელებას“. „მეორე თანამეგობრობის ჩამოყალიბება, – აღნიშნავს მკვლევარი, – ზუსტად ისევეა დავალებული კავკასიისაგან, როგორც აღმოსავლეთ ევროპის

---

[1] **G. Fowden.** Empire to Commonwealth: Consequences of Monotheism in Late Antiquity. Princeton University Press, 1993, 169.

[2] **G. Fowden.** Empire to Commonwealth.., 104-109; **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის შექმნა: გაბიზანტიელება, კოსმოპოლიტობა და ქართველი მთაწმინდელები. – *ლოგოსი.* სამეცნიერო ჟურნალი. №6, 2011, 61.

[3] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., 61-62.

[4] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., 62

სლავებისაგან. ორივე შემთხვევაში, არაბერძნულმა საზოგა-დოებებმა არა მარტო შეითვისეს, არამედ თავისი წვლილიც შეიტანეს იმპერიასა და თანამეგობრობაში“.[1]

მეცნიერის დასკვნით, თუ პირველი თანამეგობრობის კავკასიელი მონაწილეებიდან „უფრო სომხები და სხვადასხვა სომხური მიწები დომინირებდნენ... მეორე თანამეგობრობაში უკვე ქართული სამეფო-სამთავროები ეუფლებიან წამყვან როლს“. ამ მხრივ სტ. რეპი განსაკუთრებით გამოჰყოფს ტა-ო-კლარჯეთს, ანუ, როგორც ის უწოდებს, ამ ახალ პოლი-ტიკურ გაერთიანებას – „ნეო-ქართლს“.[2] მისი სავსებით მარ-

---

[1] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., 62-63. იხ. აგრეთვე: **Stephen H. Rapp Jr., Paul Crego**. Languages and Cultures of Eastern Christianity: Georgian. (The Worlds of Eastern Christianity, 300-1500, 5.) Farnham, UK: Ashgate, 2012.

[2] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., 63. ავტორმა ეს ტერმინი პირველად იხმარა ნაშრომში: **Stephen H. Rapp JR.** Imagining history at the crossroads: Persia, Byzantium, and the architects of the written Georgian past /by Stephen Harold Repp, Jr. vol. 1, unpublished Ph.D. dissertation (Ann Arbor, 1997). იხ. აგრეთვე: **Stephen H. Rapp JR.** Studies in medieval Georgian historiogrephy: Early texts and Eurasian contexts. – *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium,* vol. 601; t.113. Lovanil in Aedibus Peeters, 2003, 14-15 და ა.შ. ტაო-კლარჯეთის „ნეო-ქართლად“ წარმოსახვა მიუღებლად მიაჩნია ნ. ნიკოლოზიშვილს. მისი აზრით, სტ. რეპს „აბსოლუტურად უმართებულოდ შემოაქვს ხმარებაში ტერმინები „ქართლი ლტოლვილებაში“ (Kartli-in-exile) და „ნეო-ქართლი“ (neo-Kartli) ტაოს რეგიონის მიმართ. ამ შემთხვევაში იგი ბრმად ქმნის კ. თუმანოვის ტერმინის ანალოგს, რომელმაც კილიკიის სომხური სამეფოს მიმართ შემოიღო ტერმინი „არმენია ლტოლვილებაში“ (Armenia-in-exile) და „ნეო-არმენია“ (neo-Armenia). თუმანოვის მიერ შემოღებულ ტერმინს თავისი ლოგიკური საფუძველი აქვს, რადგან კილიკია არასოდეს ყოფილა სომხური ქვეყანა და, მით უმეტეს, არც სომეხთა ისტორიული სამშობლო, მაგრამ ტაოში ქართველური ტომების სახლობა უხსოვარი დროიდან დღემ-დე ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. ამდენად, გაუმართლებელია ტაოს ეწოდოს „ნეო-ქართლი“ ან „ქართლი ლტოლვილებაში“ (**ნ. ნიკოლოზიშვილი.** Studies in medieval Georgian historiogrephy: Early texts and Eurasian contexts. – *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium,* Vol. 601; T.

თებული შენიშვნით, სწორედ „ტაო-კლარჯეთი აღმოჩნდა უმნიშვნელოვანესი დამაკავშირებელი, რომლის მეშვეობითაც მოხდა ბიზანტიური კულტურის შეღწევა საქართველოს მიწა-წყალზე“. უფრო მეტიც, სტ. რეპი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც „სომეხი ბაგრატიდებისა და არწრუნის სამეფოები დანებდნენ ბასილი II-ს ექსპანსიონისტურ პოლიტიკას“. მათგან განსხვავებით „ქართველებმა მოახერხეს ტაო-კლარჯეთში რელიგიური და პოლიტიკური ძალების კონსოლიდირება და საფუძველი ჩაუყარეს ბაგრატ III-ის მიერ გაერთიანებული ქართული სამეფოს დაარსებას, რომელიც მომავალში პანკავკასიურ იმპერიად“ მოგვევლინა „დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების მეფობის ხანაში“.[1]

ამერიკელი მკვლევრის დაკვირვებით, „მეცხრე-მეათე საუკუნეებში და მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში მოხდა კავკასიის, კერძოდ, საქართველოს კულტურის უპრეცედენტო ხარისხით „გაბიზანტიელება“, თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ სელექციის, ადაპტაციისა და სინკრეტიზმის მექანიზმები. შემდგომში, „გაბიზანტიელების“ პროცესი ორმხრივი მოძრაობის ქუჩას დაემსგავსა. ქართველები არა მარტო ითვისებდნენ ბიზანტიურ კულტურას, არამედ, თავის მხრივ ამდიდრებდნენ

---

113. Lovanil in Aedibus Peeters, 2003, რეცენზია. – *კადმოსი.* ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. №2. 2010, 298, http://kadmos.iliauni.edu.ge/index.php/kadmos/article/viewFile/70/60). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენც მიგვაჩნია, რომ პარალელი კ. თუმანოვისეულ – „არმენია ლტოლვილებაში“ /Armenia-in-exile/ და „ნეო-არმენია“ /neo-Armenia/ რამდენადმე უადგილოა, სტ. რეპის მიერ შემოთავაზებული ტერმინის – „ნეო-ქართლის“ /neo-Kartli/ (და არა „ქართლი ლტოლვილებაშის“ /Kartli-in-exile/, რომელიც ნამდვილად ქმნის გარკვეულ უხერხულობას) გამოყენება შეიძლება და არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისითაც.

[1] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., 63.

მას ქართული და კავკასიური კულტურის ასპექტების შეტა-ნით, და ამ გზით, მონაწილეობდნენ თავად ბიზანტიური კულტურის არსებითი ბუნების ჩამოყალიბებაში“.[1]

სწორედ ამ ჭრილში განიხილავს სტ. რეპი ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მოღვაწეობას. მის შეხედულებით, „გიორგი და ექვთიმე ქართველები და კავკასიელები იყვნენ, მაგრამ ამასთანავე – ბიზანტიელებიც, რა თქმა უნდა, ათონ-ელები დიდი სიფრთხილით ეპყრობოდნენ ქართულ მემკვიდ-რეობას. ამავე დროს, ისინი მცდელობას არ აკლებდნენ თავი-ანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ ის გარემოება, რომ სა-ქართველო ქრისტიანობის უძველესი წარმომადგენელი იყო კავკასიაში და ამ გზით კიდევ უფრო მყარად ჩაერთოთ თავი-ანთი სამშობლო ბიზანტიურ სივრცეში“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ სურდათ მსოფლიო ორთოდოქსულ, და საერ-თოდ, თანამეგობრობის სფეროში საქართველო უფრო სრული ინტეგრაციით ჩაერთოთ და უფრო ვრცელის, უფრო მნიშვნე-ლოვნის ნაწილად ექციათ.[2]

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბი-ზანტია-საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ურთი-ერთობები საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი,[3] ბოლო

---

[1] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., 63.

[2] **სტ. რეპი.** კავკასია და მეორე ბიზანტიური თანამეგობრობის.., 66.

[3] **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურ-თიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969. იხ. აგრეთვე: **ვ. კოპალიანი.** საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XII საუკუნეთა მიჯნა). – *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები.* თსუ შრომები. ტ. 125. თბ., 1968, 83-121; **მ. კახაძე.** ქართველები ბიზან-ტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. თბ., 1954; **შ. ბადრი-ძე.** საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპას-თან. თბ., 1984; **Н. Ю. Ломоури.** К истории восстания Варды Склира. – *თსუ შრომები*, ტ. 67. თბ., 1957; **И. М. Нодия.** Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Марии. – *ბიზანტინო-*

დრომდე „ბიზანტიური თანამეგობრობის“ დ. ობოლენსკისული ფორმულა არ გახდარა საგანგებო მსჯელობის საგანი და არც არავის უცდია საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები განე-ხილა აღნიშნული „თანამეგობრობის“ ფაქტორის გათვა-ლისწინების ფონზე.[1] და ეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ დ.

---

*ლოგიური ეტიუდები.* ეძღვნება აკად. ***სიმონ ყაუხჩიშვილის*** დაბადებიდან 80 წლისთავს. თბ., 1978; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* ტ. III. თბ., 1979; **М. Д. Лордки-панидзе.** Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988; **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории грузино-византийских взаимоотношении (70-е годы X в.). – *Византийский Временник*. Т. 40. М., 1979, 92-95; **ზ. პაპასქირი.** ერთია-ნი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს სა-გარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990; **ზ. პა-პასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. *საქარ-თველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იან წლებში.* თბ., 1991, 37-40; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида. *Из истории международных отношений. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001; **გ. ბუაჩიძე.** ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში“. – *ქართული დიპლო-მატია.* წელიწდეული, ტ. 3. თბ., 1996, 96-116; **ჯ. სამუშია.** ბიზანტიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის – „იბერიის თემის“ დაარ-სების თარიღისათვის. – *სამეცნიერო პარადიგმები.* კრებული მიძღვნილი ***ნათელა ვაჩნაძის*** 70 წლისთავისადმი. თბ., 2009 და სხვ.

[1] საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ცალკეული ეტაპების ამ კუთხით გააზრების პირველი მცდელობა მოცემულია ჩვენს ბოლოდ-როინდელ პუბლიკაციებში. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X საუკუნის I ნახევარი). – *ისტორიანი.* სამეცნიერო კრებული მიძღვნილი ***როინ მეტრეველის*** დაბა-დების 70 წლისთავისადმი. გამომც. *„არტანუჯი“.* თბ., 2009, 158-180; **З. Папаскири.** Т. н. «Византийское Содружество Наций» и меж-дународное положение грузинских политических образований в I половине X столетия. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических иссле-дований Кавказа (Баку, Азербайджан). CA&CC Press, Швеция. 2011. Т. 5. Вып. 3-4, 147-168; **Z. Papaskiri.** The Byzantine Commonwealth and the

ობოლენსკის მონოგრაფიის გამოცემამდე დიდი ხნით ადრე ქართული ბიზანტინისტიკის ფუძემდებელმა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ბიზანტინიზმზე, როგორც თავისებურ ფენომენზე. მეცნიერის განსაზღვრებით, ბიზანტინიზმს ოთხი რამ აერთიანებდა: „ელინიზმი, რომანიზმი, ქრისტიანობა და აღმოსავლური ელემენტები“.[1] ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, საქართველო არამხოლოდ კულტურულად შედიოდა „ბიზანტიურ ორბიტში“,[2] არამედ ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაც „აშკარად ... ბიზანტიურ დაღს“ ატარებდა.[3] მართალია, ქართველმა მეცნიერებმა ბევრი რამ გააკეთეს ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების სიღრმისეული კვლევის მიმართულებით, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მათ შრომებში სათანადო ასახვა ჰპოვა „ბიზანტიური კულტურული წრის“ დ. ობოლენსკისეულმა ფორმულამ. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ XX ს. 80-90-იან წლებში გამოცემულ ფუნდამენტურ მონოგრაფიებსა[4] და შემაჯამებელ სტატიებში,[5] არაფერია ნათქვამი არც

---

International Status of the Georgian Political Units in the First Half of the 10th Century. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan). CA&CC Press®. Sveden. 2011. Vol. 5. Issue 3-4, 126-144.

[1] **ს. ყაუხჩიშვილი** ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან. IV-VII საუკუნეები. თბ., 1948, 27; *ბიზანტია ქართულ წყაროებში.* რედაქტორები: ***ნელი მახარაძე, ნოდარ ლომოური.*** თბ., 2010, 3.

[2] **ს. ყაუხჩიშვილი** ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან.., 32.

[3] **ს. ყაუხჩიშვილი** ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან.., 33.

[4] **ე. ხინთიბიძე.** ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის. თბ., 1982; **ვ. ასათიანი.** ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში. თბ., 1996 და სხვ.

[5] **ე. ხინთიბიძე.** უახლესი ტენდენციები ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის მიმართულებით. – *ბიზანტინოლოგია საქართველოში.* რედაქტორები: ***ნელი მახარაძე, თინა დოლიძე.*** თბ., 2007.

„ბიზანტიური კულტურული წრის“ ფორმულაზე და არც ქართული სამყაროს ადგილზე ამ სივრცეში.

გ. წულაია, ალბათ, პირველი იყო ქართველ მეცნიერთაგან, რომელმაც წამოსწია ეს პრობლემა და შეეცადა მიეჩინა ქართული სამყაროს ადგილი და მნიშვნელობა „ბიზანტიური კულტურული წრის“ ქვეყნებს შორის. მისი დაკვირვებით, ქართველთა კულტურის ელინისტური ტრადიციებიდან გამომდინარე, ისინი ბუნებრივად ეზიარებოდნენ ელინიზირებულ ტერიტორიებზე წარმოქმნილ ბიზანტიურ სამყაროს.[1] სხვა ადგილას მკვლევარი მსჯელობს საქართველოს პოლიტიკური და კულტურული პოტენციალის ზრდაზე „ბიზანტიური სამყაროს ფარგლებში“ («в пределах «византийского мира»), რომლის შედეგადაც საქართველო – „პატარა ქვეყანა“ უკვე VIII საუკუნეში იმპერიის სერიოზულ მეტოქეს წარმოადგენდა («**маленькая страна уже с VIII в. выступала здесь серьезным соперником самой империи**»).[2]

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევრის ეს დასკვნა რამდენადმე გაუგებარია. ჯერ ერთი, ამ პერიოდში საქართველო რეალურად ერთიან სახელმწიფოს არ წარმოადგენდა[3] და მე-

---

[1] «Эллинистические традиции культуры грузин способствовали естественному процессу приобщения их к образовавшемуся на эллинизированных территориях византийскому миру». იხ. **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект исторического процесса в раннефеодальной Грузии (V-X вв.). – *Кавказский этнографический сборник.* IX. М., 1989, 38.

[2] **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект исторического процесса.., 44 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[3] მართალია, ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია საკმაოდ დამაჯერებელი ვარაუდი, რომ ჯუანშერის თხზულებაში დაფიქსირებული ქართლი-ეგრისის ერთიანობა (VIII ს. I მესამედში) და სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის სახლის ეგიდით საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნა ახლოს უნდა იყოს ისტორიულ რეალობასთან (ამის შესახებ იხ.: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, 270, 579; **ზ. ალექსიძე.** ქართული და სომხური წყაროები VII ს-ის დამდეგს

ორეც, VIII საუკუნის მთელ მანძილზე ქართული პოლიტიკური ერთეულები ძირითადად არაბთა სახალიფოს უპირისპირდებოდნენ და ამ დაპირისპირებაში ბიზანტიის იმპერია მათ მოკავშირედ გამოდიოდა. მხოლოდ VIII ს. მიწურულიდან თუ შეიძლება საუბარი გარკვეულ ანტიბიზანტიურ ტენდენციებზე და ისიც არა მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ დროს, როგორც ცნობილია, იმპერიას განუდგა დასავლეთ საქართველოს ლიდერი ,,აფხაზეთის ერისთავი“ ლეონ II, რომელმაც თავი ,,აფხაზთა“ მეფედ გამოაცხადა. რაც შეეხება დანარჩენ საქართველოს, ის მკვეთრად ადგა ანტიარაბულ კურსს, რომლის ზურგს უკან უდავოდ ოფიციალური კონს-

---

ქართლისა და ეგრისის საეკლესიო ერთიანობის შესახებ. – *ეპისტოლეთა წიგნი.* სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა *ზ. ალექსიძემ.* თბ., 1967, 173, 181-186; **გ. აბრამიშვილი.** სტეფანოზ მამფალის წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977, 36-37; **ა. ბოგვერაძე**. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბ., 1979, 98-100; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. II. თბ., 1980, 76-77; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ., 2003, 376-383; **Т. Г. Папуашвили.** Взаимоотношения грузин и абхазов на фоне политической обстановки в Эгриси Абхазии в VII-VIII вв. – წგნ.: **Г. А. Амичба, Т. Г. Папуашвили.** Из истории совместной борьбы грузин и абхазов против иноземных завоевателей (VI-VIII вв.). Тб., 1985, 64-65; **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში. – *ქართული დიპლომატია,* წელიწდეული, თსუ. ტ. IV. თბ., 1997, 297-300; **ზ. პაპასქირი.** კიდევ ერთხელ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ VIII საუკუნეში. – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.* V. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლ. თბ., 2008, 451-452), მაგრამ ისიც ცხადია, რომ რეალურად ასეთი სახელმწიფო არ არსებობდა, ვინაიდან მურვან იბნ მუჰამმადის სადამსჯელო ექსპედიციის შედეგად არჩილის ხელისუფლება აღმოსავლეთ საქართველოში სრულიად ნომინალური იყო. **ზ. პაპასქირი.** კიდევ ერთხელ საქართველოს.., 452.

ტანტინოპოლი იდგა.[1] ეს მკაფიოდ გამოვლინდა თუნდაც არაბთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართლის უკანასკნელი ერისმთავრის აშოტ ბაგრატიონისათვის სულ ცოტა დიპლომატიური მხარდაჭერით, რომელიც გამოიხატა მისთვის კუროპალატის ტიტულის მინიჭებაში.[2]

სათანადო არგუმენტაციას საჭიროებს გ. წულაიას სხვა დებულებაც, თითქოს ადრე შუა საუკუნეებში ქართველურ ტომთა კულტურული განვითარების პროცესი საქართველო-ბიზანტიის საკონტაქტო ზონებში მაინცდამაინც მიმდინარეობდა ქართულ-ბიზანტიური მეტოქეობის პირობებში **(«в обстановке византийско-грузинского соперничества в контактных зонах Грузии и Византии»)**.[3] მართალია, ჩვენ, პრინციპში, არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო მეცნიერის მომდევნო დასკვნისა იმის შესახებ, რომ ეს არ იყო ბრძოლა ბიზანტიური კულტურული გავლენის წინააღმდეგ, არამედ ამ ზონების ადგილობრივი ,,აბორიგენი, გენეტიკურად ქართველური მოსახლეობა“ («аборигенное, генетически картвельское /грузинское/ население») იბრძოდა მხოლოდ ,,ბიზანტიის ხელისუფალთა ანექსიონისტური გეგმების“ წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქართული ტერიტორიების ინკორპორა-

[1] ქართული პოლიტიკური სამყაროს საგარეო-პოლიტიკური იერსახის შესახებ VIII საუკუნეში დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** კიდევ ერთხელ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური.., 436-460.

[2] **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის იმპერია და ქართული პოლიტიკური სამყარო IX ს. I მეოთხედში. *ტაო-კლარჯეთის სამთავროს წარმოქმნა.* – კრებ.: *საქართველო და მსოფლიო.* ისტორია და თანამედროვეობა. გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმი, 2009.

[3] **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект.., 44 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

ცია,[1] მაგრამ არ მიგვაჩნია მართებულად ამ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენებზე აქცენტირება. წყაროთა (კონსტანტინე პორფიროგენეტი)[2] მონაცემებით, მართლაც დასტურდება მწვავე სასაზღვრო კონფლიქტების არსებობა იმპერიასა და ქართველ ბაგრატიონებს შორის და ისიც მხოლოდ X საუკუნეში[3] (და არა ადრეულ შუა საუკუნეებში ზოგადად).

უდავოდ სწორია გ. წულაიას დებულება, რომ ქრისტიანობის განსაკუთრებულობის იდეა, ქართველებისა და „ბიზანტიური კულტურული წრის" სხვა ხალხების „რომეიზაციის" საფრთხეს ქმნიდა.[4] ამას ვერ ვიტყვით მეცნიერის სხვა თეზისზე, რომლის თანახმადაც იოანე საბანის ძის შემდგომი ეპოქის წერილობითი წყაროები თითქოს ირიბად ადასტურებდ-

---

[1] «Борьба была направлена лишь против аннексионистских планов византийских правителей, стремившихся инкорпорировать в свое государство стратегически важные и природно богатые части прилегавших к империи территорий расселения картвельских племен». **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект исторического процесса.., 44 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[2] **კონსტანტინე პორფიროგენეტი.** De administrando imperio. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა.* ტ. IV, ნაკ. II, თბ., 1952, 265-266; 280-287.

[3] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **შ. ბადრიძე.** „ქართველთა სამეფოს" პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. – *თსუ შრომები*, 113, 1965, 255-261; **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო.., 158-180; **З. Папаскири.** Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских политических образований в I половине X столетия, 160-164; **Z. Papaskiri.** The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First.., 137-141.

[4] «Идея исключительности христиан ... как показал исторический опыт грузинам, как и прочим народам «византийского культурного круга», не дала ничего положительного, но лишь подводила к опасности растворения в ромеях...». **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект исторического.., 50.

ნენ, რომ უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის იდეამ შეაღწია ხალხის ფართო მასებში, რომლის გამოც მოსახლეობის „დემოკრატიული ქვედა ფენები“ («демократические низы населения») გადაიქცნენ რომეიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად რეზერვად.[1]

ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში არა გვაქვს არავითარი მინიშნება იმის თაობაზე, რომ ქართული მოსახლეობის „დემოკრატიულ ქვედა ფენებში“ შეაღწია ანტიბიზანტიურმა განწყობილებებმა და მით უფრო, რომ ის იქცა იმპერიის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ომის „ძირითად რეზერვად“. პირიქით, ოფიციალური კონსტანტინოპოლი, როგორც წესი, ურჩი ქართველი პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ ამხედრებდა სწორედ სოციალური სიდუხჭირით შეწუხებული საზოგადოების „ქვედა ფენებს“. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა თუნდაც XI ს. 30-იან წლებში განვითარებული მოვლენები, როდესაც იმპერიის ხელისუფლებამ მის მიერვე ორგანიზებულ ბაგრატ IV-ის გადასაყენებლად მიმართულ სამხედრო აქციებში აქტიურად ჩართო სწორედ დაბალი ფენების წარმომადგენლები *„... მას ჟამსა გავზავნა პარკიმანოზმან და პროედროსმან იოვანე, ბანელი ხარტულარი, წარიყვანა თანა ვალანვი ლაშქრითა დიდითა და მისცა თანა დემეტრე კლარჯი, ძე სუმბატისი, რეცა შესატყუევნელად ქუეყანისა კაცთათჳს, და ამით მიზეზითა მოიქცეს* ***მრავალნი კაცნი*** *მის ქუეყანისანი* ***წურილისა ერისაგან***“.[2]

---

[1] **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект исторического процесса.., 50.

[2] *მატიანე ქართლისაჲ – ქართლის ცხოვრება*. მთ. რედაქტორი. ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008, 279 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ**). ის, რომ უცხოელი დამპყრობლები თავიანთი იმპერიული პოლიტიკის გატარებისას არც თუ ისე იშვიათად ეყრდნობოდნენ ქვედა ფენებს ჩანს ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებიდანაც. *„ხოლო ბინქარან, ეპისკოპოსი მცხეთელთაჲ, რომელი იყო სპარსი ცეცხლისმსახური, ასწავებდა ქართველთა სჯულსა თჳსსა, არამედ არა ვინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა* ***წულილისა ერ-***

გ. წულაია იმდენად გაიტაცა „დემოკრატიული ქვედა ფენების“ როლის წინა პლანზე წამოწევის სურვილმა, რომ მას, ფაქტობრივად, ეჭვი შეაქვს ქართველ აგიოგრაფთა მიერ აღწერილი „ისტორიების“ მთავარ პერსონაჟთა სოციალურ წარმომავლობაში. ასე მაგალითად, მეცნიერის დასკვნით *„დავითისა და კონსტანტინეს წამების“* მთავარი გმირები სულაც არ უნდა ყოფილიყვნენ ფეოდალური არისტოკრატიის ელიტის წარმომადგენლები და ავტორის მიერ მათი არგვეთის მთავრებად გამოცხადება მხოლოდ ეპოქისათვის დამახასიათებელი მეფე-მთავართა და წარჩინებულ ფეოდალთა „თუალახმით“ – ზღვარგადასული ქება-დიდებითაა გამოწვეული.[1] სხვა რაიმე ხელმოსაკიდი არგუმენტი, რომლის გამოც შეიძლება ეჭვის შეტანა დავითისა და კონსტანტინეს სოციალურ წარმომავლობაში მკვლევარს არ მოჰყავს.

ასეთია, ზოგადად მდგომარეობა ქართულ ისტორიულ ბიზანტინისტიკაში. როგორც ვხედავთ, ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ აქტიურად ჩავრთულიყავით მეცნიერული ბიზანტინისტიკისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული პრობლემის ირგვლივ მიმდინარე დებატებში. არადა, ზოგადად დ. ობოლენსკის კონცეპტუალური მიდგომა, მთლიანობაში, ასახავს ისტორიულ რეალობას. ანუ ბიზანტიის იმპერია მისი არსებობის მთელ მანძილზე[2] ნამდვილად მოიაზრე-

---

***ისავანი*** *მოაქცია ცეცხლისმსახურებასა, და შეერია ქართლსა შინა* ***ერსა წულილსა*** *ცეცხლისმსახურებაჲ“* (**ჯუანშერი.** ცხორება ვახტანგ გორგასლისა. *ქართლის ცხოვრება.* მთ. რედაქტორი. ***რ. მეტრეველი.*** თბ., 2008, 157, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

[1] «...ничем не сдерживаемого славословия грузинских писателей и поэтов представителям феодальной верхушки и их царственным сюзеренам... ». **Г. В. Цулая**. Этнокультурный аспект.., 61-62.

[2] დ. ობოლენსკის აზრით, 1180-1240 წლების კრიზისის მიუხედავად „ბიზანტიური თანამეგობრობა“ არათუ შენარჩუნდა, როგორც «целостное общество», არამედ გვიან შუასაუკუნეებში ის კიდევ უფრო

ბოდა (და არა მხოლოდ იმპერიის მესვეურთა,[1] არამედ მეზობელი ქრისტიანული ქვეყნების მხრიდანაც), ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამყაროს ცენტრად, ლიდერად.[2] უფრო მეტიც, არა თუ მართლმადიდებლური ქვეყნები, არამედ გრიგორიანული სომხეთიც განიხილებოდა ,,ბიზანტიური თანამეგობრობის“ წევრად. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსახურებს ცნობილი სომეხი მკვლევრის ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანის

---

განმტკიცდა. **Д. Оболенский**. Византийское Содружество Наций. Шесть византийских портретов, 218; **В. А. Золотовский.** Военные аспекты внешней политики Византии при первых Палеологах (К уяснению специфики «Византийского содружества наций»). – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов Москва 20-21 октября 2008 года. М., 2008, 56.

[1] ამის შესახებ იხ.: **Ю. Г. Соколов.** К проблеме «Византийского содружества государств»: страны византийского круга глазами ромеев в первой половине XIII в. – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов Москва 20-21 октября 2008 года. М., 2008, 120-126.

[2] ამ თვალსაზრისით, უთუოდ ნიშანდობლივია ის, რომ X ს. არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში «Византийское содружество государств ... рассматривалось как геополитическая реальность» (**И. Г. Коновалова.** Представление о Византийском содружестве государств в арабской географической литературе X в. – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов Москва 20-21 октября 2008 года. М., 2008, 76). კერძოდ, ალ-ისტახრი და იბნ ჰაუკალი გამოყოფდნენ 4 იმპერიას (,,მამლაქათ“-ს) «**являющиеся**, по их мнению, **столпами миропорядка**: Халифат (*мамлакат ал-ислам*), которым управляет из Багдада повелитель правоверных (*амир ал-муминин*); **Византия (*мамлакат ар-Рум*), во главе которой стоит царь (*малик*), живущий в Константинополе;** Китай (*мамлакат ас-Син*), правитель (*сахиб*) которого проживает в городе Кайфэн; Индия (*мамлакат ал-Хинд*) во главе с царем (*малик*), живущим в городе Канаудж» (**И. Г. Коновалова.** Представление о Византийском содружестве государств.., 77, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**)

შენიშვნა იმის შესახებ, რომ „ბიზანტიური კულტურული წრის ქვეყნებთან იმპერიის ურთიერთოებების იდეოლოგიური და დიპლომატიური ასპექტები ქმედით გავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალიებზე ამ ქვეყნებში, განსაკუთრებით იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ადგილი ჰქონდა შემხვედრ გავლენას მეზობელი ქვეყნებისა საკუთრივ ბიზანტიაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემია სომხეთისა და ბიზანტიის ისტორიულიი პოზიციები“.[1]

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ვ. არუთიუნოვა-ფიდანიანის ეს დასკვნა არის მორიგი ტირაჟირება (ერთგვარად შეფარვით) სომხური ისტორიოგრაფიის (როგორც შუა საუკუნეების, ისე თანამედროვე) „ისტორიული მითისა“ სომხეთისა და სომხების განსაკუთრებული როლის შესახებ ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ ფონზე, ვფიქრობთ, შუა საუკუნეების საქართველოს საგარეო-პოლიტიკური იერ-სახის გააზრებისას, ამ მიმართულებით კვლევის გააქტიურება და ე.წ. „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს როლისა და ადგილის უფრო მკაფიოდ წარმოჩენა მეტად საშური საქმეა.

---

[1] «идеологический и дипломатический аспекты взаимоотношений империи со странами византийского культурного круга действенно влияли на политические, административные и экономические реалии в отношениях контрагентов, в особенности там и тогда, где и когда активно проявлялось встречное влияние соседних стран на империю. Особенно наглядны в этом отношении исторические позиции Армении и Византии». იხ.: **В. А. Арутюнова-Фиданян.** Контактные зоны в системе «Византийского содружества государств». – *Русь и Византия.* Место стран византийского круга во взаимоотношениях Востока и Запада. Тезисы докладов XVIII Всероссийской научной сессии византинистов Москва 20-21 октября 2008 года. М., 2008, 16.

***Zurab Papaskiri***
*Sokhumi State University, Professor*

# THE CONCEPT OF THE SO CALLED "BYZANTINE COMMONWEALTH" AND THE PLACE OF THE GEORGIAN CULTURAL-POLITICAL WORLD IN THIS "COMMONWEALTH"

## RESUME

The concept of the "Byzantine Commonwealth" appeared after famous Russian Byzantinist D. D. Obolensky, who had been living in the Great Britain, published his fundamental monograph "The Byzantine Commonwealth. *Eastern Europe, 500-1453*" *(London, 1971)*. According to the point of view of scholar, "Byzantine Commonwealth" represented a kind of "supranational community" based on the unity of the Orthodox beliefs and the idea of primacy of the Byzantine Emperor. The article presents a short historiographical review of some publications dedicated to the issue of the place and role of the Georgian World in the cultural and political life of Byzantine Empire. It is noted that although the Georgian-Byzantine relations have been studied relatively well, the Georgian Byzantinistcs displayed surprising and inexplicable indifference regarding the comprehension of Obolensky's formula of "Byzantine Commonwealth" towards Georgian political formations.

*გიორგი სოსიაშვილი*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*
*პროფესორი*

## აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ

უცხოელ მოგზაურთა ცნობებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის სრულყოფილი შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. XX საუკუნის დასაწყისი ის პერიოდია, რომელიც განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმებით ხასიათდება მთელს მსოფლიოში და, ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა. ახალმა საუკუნემ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. აღნიშნული პერიოდის ირგვლივ არაერთი უცხოური წყაროა გამოვლენილი და შესწავლილი. ვფიქრობთ, ამ მხრივ, ძალზე საყურადღებო ცნობები მოეპოვება ამერიკელ მკვლევარ-მოგზაურს – აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონს, რომელმაც კავკასიის რეგიონის გავლით არაერთხელ იმოგზაურა ირანსა და ინდოეთში. შთაბეჭდილებათა წიგნებში: ,,სპარსეთი წარსული და აწმყო‘‘, ასევე ,,კონსტანტინოპოლიდან ომარ ხაიმის სახლამდე‘‘ ჯეკსონმა საინტერესო ცნობები დაგვიტოვა საქართველოს შესახებ. აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონი დაიბადა 1862 წელს ნიუ-იორკში. პაპის პატივსაცემად, რომელიც ნიუ-იორკის ალდერმანის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე იყო, ახალშობილს აბრაჰამ ვალენტინ უილიამსი დაარქვეს. ჯეკსონი სწავლობდა ნიუ-იორკის როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლებში. 1879 წელს მან ჩააბარა კოლუმბიის კოლეჯში, რითაც საფუძველი ჩაეყარა მომავალი მკვლევრის

აკადემიურ კარიერას. იგი აშშ-ში ირანისტიკის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი გახდა. ჯეკსონს თითქმის არასოდეს მიუტოვებია კოლუმბიის უნივერსიტეტი, გარდა იმ პერიოდისა, როდესაც იგი უცხო ქვეყნებში სამოგზაუროდ იმყოფებოდა.[1] თავდაპირველად უილიამსი კლასიკურ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს სწავლობდა, მაგრამ, ამავდროულად, ის დიდ ინტერესს ამჟღავნებდა შედარებითი ფილოლოგიის მიმართაც. სწავლობდა ანგლო-საქსურ, სპარსულ და სანსკრიტულ ენებს. სანსკრიტული ენების შესწავლაში მას ედვარდ დელავენ პერი ეხმარებოდა. მან სანსკრიტული ენის შესწავლა კოლეჯის ბოლო საფეხურზე დაიწყო და პერის შთაგონებით, ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ, 1883 წელს, სწავლა მაგისტრატურის საფეხურზე განაგრძო. სანსკრიტის შესწავლის შემდეგ მან ავესტური ენის შესწავლა დაიწყო, რომელსაც ე. უოსბურნ ჰოპკინსი ასწავლიდა. 1884 წელს აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონმა მაგისტრის აკადემიური ხარისხი მოიპოვა. ჯეკსონის მიერ უძველეს ხელნაწერთა წარმატებით გამოკვლევის გამო, ინდოეთში მცხოვრებმა ფარსებმა კოლუმბიის უნივერსიტეტს ზოროასტრიზმის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი გადასცეს. ხელნაწერებზე ჩატარებული ნაყოფიერი კვლევების შედეგად ერთი წლის შემდეგ ჯეკსონს ხელნაწერთა დოქტორის ხარისხი მიენიჭა, ხოლო 1886 წელს მომავალი მოგზაური ფილოსოფიის დოქტორი გახდა. თუმცა, სამეცნიერო ხარისხების ჩამონათვალი ამით არ დასრულებულა. ჯეკსონმა მუშაობა გააგრძელა იურისპრუდენციაში. ამ სფეროში მისი კვლევითი საქმიანობა 1904 წელს წარმატებით დასრულდა. მას კოლუმბიის უნივერსიტეტში სამართლის საპატიო დოქტორის

[1] William W. Malandra, Encyclopedia Iranica, “Abraham Valentine Williams Jackson”, 2007;
http://www.iranicaonline.org/articles/jackson-abraham-valentine-williams.

წოდება მიენიჭა.[1] 1887 წელს ჯეკსონმა ერთი წლით კოლუმბიის უნივერსიტეტში ანგლო-საქსური და ინდო-ირანული ენების ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა. ჰარვარდის უნივერსიტეტის სანსკრიტული ენის სპეციალისტის – ჩარლზ როკველ ლენმანის პირადი წერილის შემდეგ, რომელიც მან კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს გაუგზავნა (იგი ჯეკსონის გერმანიაში სასწავლებლად გაგზავნას ითხოვდა), უილიამსი წელიწადნახევრით გერმანიაში, ქალაქ - ჰალეში გაემგზავრა, რათა უფრო ღრმად შეესწავლა ავესტური და სანსკრიტული ენები (კარლ ფრიდრიხ გელდნერის ხელმძღვანელობით), პრაკრიტული და სანსკრიტული ენები (რიჩარდ პიშელეს ხელმძღვანელობით) და ანგლო-საქსური (ედვარდ სივერსის ხელმძღვანელობით). მან 1891-1892 წლებში ბერლინში გელდნერთან კვლავ გააგრძელა ანგლო-საქსურ ენებზე მუშაობა. სწორედ გელდნერი მიაჩნდა ჯეკსონს თავის მოძღვრად და მეგობრად. ჯეკსონი დიდ ყურადღებას უთმობდა და აფასებდა ირანულ ტრადიციებს, რაც კარგად ჩანს მის ნაწარმოებში „ზარატუსტრა“, ასევე მისი მოგზაურობის პერიოდში შექმნილ ორ ნაწარმოებში, „სპარსეთი, წარსული და აწმყო“ და „კონსტანტინოპოლიდან ომარ ხაიამის სახლამდე“.[2] 1891 წელს ჯეკსონი კოლუმბიის უნივერსიტეტში ინგლისური ენის ასისტენტ-პროფესორად აირჩიეს. 1895 წელს ჯეკსონი პროფესორი გახდა და ინდო-ირანული ენების და ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დაინიშნა. მის სამეცნიერო საქმიანობაში ინგლისური ლიტერატურა საბოლოოდ აღმოსავლურ მეცნიერებათა კვლევამ გადაწონა.

---

[1] William W. Malandra, Encyclopedia Iranica, “Abraham Valentine Williams Jackson”, 2007; http://www.iranicaonline.org/articles/jackson-abraham-valentine-williams.

[2] William W. Malandra, Encyclopedia Iranica, “Abraham Valentine Williams Jackson”, 2007; http://www.iranicaonline.org/articles/jackson-abraham-valentine-williams.

ჯეკსონი ამერიკის აღმოსავლური საზოგადოების დირექტორი გახდა და დიდი წვლილი შეიტანა ამ საზოგადოების ჟურნა-ლის დაარსებაში. აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის გარდა ჯეკსონი დიდ დროს უთმობდა სამეცნიერო მოღვაწე-ობასაც. ჯეკსონმა ძველი სპარსული რელიგიის შესწავლას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა მათ შორის: ***Zoroaster, the Prophet of Ancient Iran***, New York, 1898; Die iranische Religion, in ***Grundriss*** II, pp. 612-708; The Religion of the Achaemenian Kings: The Religion According to the Inscriptions, ***JAOS*** 21, 1900, pp. 160-84; The Ancient Persian Conception of Salvation According to the Avesta, or Bible of Zoroaster, ***American Journal of Theology***, April-May 1913, pp. 195-205; ***Zoroastrian Studies: The Iranian Religion and Various Monographs***, New York, 1928, repr. New York, 1965; The Religion of the Achaemenian Kings: The Religion According to the Inscriptions, ***JAOS*** 21, 1900, pp. 160-84; The Ancient Persian Conception of Salvation According to the Avesta, or Bible of Zoroaster, ***American Journal of Theology***, April-May 1913, pp. 195-205; The Location of Farnbāg Fire, the Most Ancient of the Zoroastrian Fires, ***JAOS*** 41, 1921, pp. 81-106. მის კალამს ეკუთვნის ასევე „ავესტური გრამატიკა" (***An Avesta Grammar in Comparison with Sanskrit***, Part I: ***Phonology, Inflection, Word-Formation***, Stuttgart, 1892); „ავესტური საკითხავი," (***Avesta Reader: First Series***, Stuttgart, 1893); „ზარატუსტრა, ანტიკური ირანის წინასწარ-მეტყველი" (1899);[1] ევროპაში ხშირი სამეცნიერო ვიზიტების გარდა ჯეკსონს თავიდანვე იტაცებდა მოგზაურობა. სწორედ მეცნიერულმა ცნობისმოყვარეობამ და თავგადასავლებისადმი ლტოლვამ არაერთხელ ჩაიყვანა ის ირანსა და ინდოეთში. ყველაზე რთული გამოდგა მისი 1903 წლის მოგზაურობა სპარსეთსა და ცენტრალურ აზიაში, რამაც ასახვა ჰპოვა მის

---

[1] The Encyclopedia Americana, 1920.

ნაწარმოებში „სპარსეთი, წარსული და აწმყო“ (***Persia Past and Present: A Book of Travel and Research***, New York, 1906). ამას მოჰყვა ორი მოგზაურობა 1907 და 1910 წლებში. ეს მოგზაურობები აღწერილ იქნა მის ნაწარმოებში „კონსტანტინოპოლიდან ომარ ხაიამის სახლამდე“ (***From Constantinople to the Home of Omar Khayyam: Travels in Transcaucasia and Northern Persia for Historic and Literary Research***, New York, 1911). 1931 წლის ზაფხულში ჯექსონს განუკურნებელი სენი შეეყარა. 1935 წელს მკვლევარი აკადემიურ საქმიანობას ჩამოცილდა. ღვაწლმოსილ მეცნიერს კოლუმბიის უნივერსიტეტში ემერიტუსის წოდება მიენიჭა. იგი გარდაიცვალა 1937 წლის 8 აგვისტოს. მკვლევარს დასამთავრებელი დარჩა წიგნი „მანიქეველიზმი“. თუმცა მან ამ თემაზე რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა: The Second Evocation: The Manichaean System of Cosmogony, ***JRAS***, Centenary supplement, 1924, pp. 137-55; The Doctrine of Metamorphosis in Manichaeism,” ***JAOS*** 45, 1925, pp. 246-68; ***Researches in Manichaeism, with Special Reference to the Turfan Fragments***, New York, 1932; თანამედროვენი ჯექსონს ახასიათებდნენ, როგორც დახვეწილ ინტელიგენტს, მომთხოვნ მასწავლებელს, რომლის სამართლიან გადაწყვეტილებებს ყოველთვის დიდ პატივს სცემდნენ კოლუმბიის უნივერსიტეტში. მისი ყოფილი სტუდენტი და შემდგომში კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალის რედაქტორი (სტუდენტის სახელი და გვარი, სამწუხაროდ, მის ბიოგრაფიაში ვერ მოვიძიეთ – გ.ს.) იხსენებდა ეპიზოდს ჯექსონის მიერ წაკითხული ლექციიდან: „მოლოდინი გვქონდა, რომ მოხუცი ფილოლოგი რაიმე საინტერესოს გვეტყოდა დარგთაშორის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, ჩვენ გაოცება ვერ დავმალეთ, როდესაც სურათზე აღბეჭდილ ქარავანში ჩვენი პროფესორის სახე ამოვიცანით.“[1] როგორც აღვნიშნეთ, აბრაჰამ ვალენტინ უილიამს

[1] Obituaries and biographical sketches. B[oris] A. B[akhmeteff],

ჯეკსონის წიგნებში: ,,სპარსეთი წარსული და აწმყო“, აგ-რეთვე მის წიგნში ,,კონსტანტინოპოლიდან ომარ ხაიმის სახლამდე“ დაცულია საინტერესო ინფორმაცია საქართვე-ლოს შესახებ. (პირველ წიგნში ერთი თავი ეთმობა თბილისს – საქართველოს დედაქალაქს, ხოლო მეორე ნაშრომის ერთ-ერთ თავში ,,შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ“ აღწერილია დასავლეთი საქართველო, კერძოდ შავი ზღვის სანაპირო ქა-ლაქი ბათუმი და მცირე ადგილი ეთმობა ქალაქ თბილისს).[1] ჯეკსონის წიგნი: ,,სპარსეთი წარსული და აწმყო“ 1906 წელს ნიუ-იორკში გამოიცა. როგორც შესავალში წერს, ავ-ტორი ამ წიგნზე სამი წელი მუშაობდა. მას ირანში 1903 წელს უმოგზაურია, თუმცა მანამდე ის სამეცნიერო მივლინე-ბით ნამყოფი იყო ინდოეთსა და ცეილონში. მოგზაური წერს: „1903 წლის იანვრის ბოლო იყო, როდესაც კოლუმ-ბიის უნივერსიტეტიდან ნახევარი წლით განთავისუფლების ნებართვა მივიღე, რათა კვლავ ვწვეოდი აღმოსავლეთს“[2]. ჯეკსონის დაინტერესების საგანს წარმოადგენდა უძველესი რელიგია – ზოროასტრიზმი და ასევე ირანში არსებული სიძველეები. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, წიგნში ერთად იყო თავმოყრილი მოგზაურობის შთაბეჭდილებები და მეცნი-ერული კვლევები. მისი ჩანაწერები გათვლილი იყო როგორც სტუდენტებზე, ისე ფართო მკითხველზე. ჯეკსონს უსარგებ-ლია მის ხელთ არსებული სხვადასხვა წყაროებით, საიდანაც მდიდარ ინფორმაციას იღებდა არამარტო ირანის, არამედ მთელი აზიის შესახებ. იგი ასახელებს იმ წყაროებს, რომელ-თაც წიგნზე მუშაობის პროცესში იყენებდა. მათ შორის: ჰე-

---

obituary in **Columbia University Quarterly**, New York, USA, 29, 1937, pp. 181.

[1] გ. სოსიაშვილი, აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონის ცნობები თბილისის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ,,მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 2014.

[2] Abraham Valentine Williams Jackson, **Persia Past and Present: A Book of Travel and Research**, New York, 1906, 1.

როდოტეს, არაბ მწერლებს, კერ პორტერს.* ჯეკსონი წიგნის შესავალში მადლიერებით იხსენიებს კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს ნიკოლას მიურეი ბატლერს სამეცნიერო მივლინებაში გაწეული ხელშეწყობისათვის. წიგნზე მუშაობისას მას დახმარებას უწევდნენ ყოფილი სტუდენტები: პროფ. ლუის ჰ. გრეი, რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტში ინდო-ირანული ენების მიმართულებით მუშაობდა, ასევე ჯორჯ კრისტიან ოტო ჰაასი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი. წიგნის შესავალში ჩანს აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონის მოგზაურობის მარშრუტი. ამერიკელი მეცნიერი ნიუ-იორკიდან ბერლინში ჩავიდა, სადაც თავის მასწავლებელს პროფ. კარლ ფრიდრიხ გელდნერს შეხვდა. აქედან ჯეკსონი სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრა. მისთვის დახმარება გაუწევია ყოფილ მოსწავლეს – მონტგომერ შუილერ უმ-

* ჯეკსონის მიერ ნახსენები კერ პორტერი არის ინგლისელი მხატვარი და მოგზაური რობერტ კერ პორტერი, მან აღმოსავლეთის ქვეყნებში იმოგზაურა 1817, 1818, 1819 და 1820 წლებში. გამოსცა ორ ტომიანი ნაშრომი „TRAVELS GEORGIA, PERSIA, ARMENIA, ANCIENT BABYLONIE, During the 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker porter, Vol. I, London, 1821; TRAVELS GEORGIA, PERSIA, ARMENIA, ANCIENT BABYLONIE, During the 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker porter, Vol. II, London, 1822; პორტერმა ძალზე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა საქართველოს შესახებ, რომელიც შესულია მისი თხზულების მეორე ტომში, აქ არის უაღრესად საინტერესო ინფორმაცია იმდროინდელი ქართული ქალაქების და სოფლების შესახებ. პორტერი აღწერს ქართველთა ცხოვრების წესს. საყურადღებოა მისი დაკვირვება ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილის მოღვაწეობის შესახებ. იხ. გ. სოსიაშვილი, რობერტ კერ პორტერის ცნობები ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები“, კონფერენციის მასალები, ქუთაისი, 2013, 72-73.

ცროსს. იგი ამერიკის საელჩოში მდივნად მუშაობდა. სანკტ-პეტერბურგიდან ჯეკსონი მოსკოვში ჩავიდა, სადაც გარკვეული პერიოდი დაჰყო. აღსანიშნავია, რომ ჯეკსონს ვაშინგტონიდან ოფიციალური რეკომენდაცია ჰქონდა, რის გამოც მას ყველგან დიდი პატივით იღებდნენ. მოგზაური მოსკოვიდან მატარებლით ვლადიკავკაზში ჩავიდა. ჯეკსონი საინტერესოდ აღწერს კავკასიონს: ,,პირველად მოვკარი თვალი კავკასიის გიგანტურ ბარიერს, რომელიც ღრუბლიანი ცისკენ აღმართული იყო და შუბლშეკრული გადმოჰყურებდა ქვემოთ გაშლილ თეთრ სივრცეს. კლდეებზე ზოგგან თოვლი აღარ იდო და ალაგ-ალაგ მყოფი ღრმა ხეობები, ტიტანის დაჭრილ, პირქუშ სახეზე დარჩენილ ღრმა ნაჭრილობებს მოგაგონებდათ. დღე მიიწურა და ზემოთ აღნიშნული სცენა საღამოს შთამბეჭდავ დიდებულებაში გარდაისახა. პრომეთეს უძველესი მითი გაცოცხლდა ჩემს წარმოდგენაში. შორს, სივრცეში დაიხატა სვავებით დაფარული მწვერვალი, სადაც ბორკილდადებული ნახევრად ღმერთკაცი იყო მიჯაჭვული, რომელსაც ღმერთისთვის ცეცხლი მოეპარა კაცთა მოდგმის საკეთილდღეოდ.“[1] ამერიკელ მოგზაურს განსაკუთრებით ხიბლავდა კავკასია. იგი ფლობდა ინფორმაციას უძველესი კოლხეთის შესახებ. მასში განსაკუთრებულ აღტყინებას იწვევდა ბერძნული მითი ოქროს საწმისზე. ის ერთგან წერს: ,,მთებიდან მომდინარე ნაკადულებმა და ალაგ-ალაგ თოვლისაგან თავისუფალ ადგილებში შეგროვილმა ცხვრის ფარამ გონებაში აღმიდგინა კოლხეთისა და ოქროს საწმისის ისტორია. მოგზაურობისას შევიტყვე, რომ ტრადიციის მიხედვით წარსულში მწყემსებს ჩვეულებად ჰქონდათ ახალგაკრეჭილი ცხვრის ტყავში ჩამალული ოქროს მარცვლების ძებნა, როდესაც იმ ნაკადულიდან ამოიღებდნენ მას, სადაც რეცხავდნენ. მთიდან წამოსული მდინარის ნაკადი ოქროს მარცვლებს სწირავდა მატყლის კუ-

[1] Abraham Valentine Williams Jackson, **Persia Past and Present: A Book of Travel and Research**, New York, 1906, 3.

ლულებს. ლეგენდა ამ მდიდრული ჯილდოს შესახებ როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული.“[1] ჯექსონი ვლადიკავკაზიდან ბაქოში გაემგზავრა. ხოლო ბაქოდან კი თბილისში. თუ რატომ აირჩია ასეთი მარშრუტი, ამას თვითონვე განმარტავს: „იმის ნაცვლად, რომ გზა კასპიის ზღვის გადაკვეთით გამეგრძელებინა და თეირანისაკენ წავსულიყავი, რატომღაც, უფრო რთული გზა ავირჩიე და გეზი ტიფლისისაკენ ავიღე. მინდოდა შევსულიყავი სპარსეთში აზერბაიჯანის გავლით. ეს არის მხარე, რომელმაც, როგორც მე ვიცი, ზოროასტრიზმს შთაბერა სული.“[2] მატარებლით ბაქოდან თბილისამდე მანძილის გავლას ჯექსონმა 14 საათი მოანდომა და შეღამებისას ჩავიდა. გზად გაიარა ელისაბედპოლი, იგივე განჯა. ეს სახელი განჯას რუსეთის ხელისუფლებამ მას შემდეგ უწოდა, რაც რუსეთის იმპერიამ კავკასიაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი. „მატარებლით 14 საათია საჭირო ბაქოდან ტიფლისში ჩასასვლელად. მარშრუტის დიდი ნაწილი კვეთს კავკასიის სამხრეთ ნაწილს, რომლის გასწვრივაც ჩვენ ერთი დღის წინ ვიმგზავრეთ. სურათი ისეთი საუცხოო არ არის, მაგრამ ბარი გამოირჩევა ბუნების სილამაზით. სამხრეთ ნაწილში არსებული ქედი პარალელს ავლებს მის მონათესავე ჯაჭვთან ჩრდილოეთით. კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე ის ძალიან დიდი ჩანს სარკინიგზო ზოლთან სიახლოვის გამო. ნახირი, იგივე ნაირი იყო, როგორიც ჩვენ წინა დღეს ვნახეთ, მაგრამ ყოველ ნაბიჯში შემხვედრი აქლემების ჯოგი გვამცნობდა, რომ აღმოსავლეთს მივუახლოვდით.“[3] ჯექსონის წიგნში „სპარსეთი წარსული და აწმყო“ ცალკე თავი ეთმობა თბილისს. ამერიკელი მოგზაური საქართველოს დედაქალაქში რამდენიმე დღე დარჩა და თბილისის შესახებ ძვირფასი ცნო-

[1] The same, 3.

[2] The same, 4-5.

[3] Abraham Valentine Williams Jackson, **Persia Past and Present: A Book of Travel and Research**, New York, 1906, 5.

ბები დაგვიტოვა. იგი აღწერს ქალაქის იერსახეს, მოგვითხრობს მისი დაარსების შესახებ (რაც სავარაუდოდ მისი ქართველი გიდის – როსტომის ნაამბობი უნდა იყოს), ჯექსონი აღწერს ასევე თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ხალხს. დიდ ადგილს უთმობს საქართველოს დედაქალაქში მცხოვრებ იეზიდებს. ჯექსონს დაწვრილებით აქვს აღწერილი თბილისის განლაგება. მოგზაური აქ არსებულ არაერთი ღირსშესანიშნაობის შესახებ გვესაუბრება. იგი განსაკუთრებით მოხიბლულა კავკასიის მუზეუმის ხილვით. ჯექსონმა კავკასიაში მეორედ 1911 წელს იმოგზაურა. აღნიშნული მოგზაურობის ამსახველი შთაბეჭდილებები შესულია მკვლევრის მეორე წიგნში: „კონსტანტინოპოლიდან ომარ ხაიამის სახლამდე," რომელიც ნიუ-იორკში 1911 წელს გამოიცა (**Abraham Valentine Williams Jackson, From Constantinople to the Home of Omar Khayyam: Travels in Transcaucasia and Northern Persia for Historic and Literary Research**, New York, 1911). როგორც თვითონ აღნიშნავს, აღნიშნულ წიგნში „აღწერილია მარშრუტი – კონსტანტინოპოლიდან შავი ზღვისა და კასპიის ზღვის სანაპიროების გასწვრივ, ჩრდილო ირანის გადაკვეთით რუსეთის აზიაში.[*] ჯექსონის აღმოსავლეთში მოგზაურობის ხარჯები კოლუმბიის უნივერსიტეტს დაუფინანსებია. ამის გამო უნივერსიტეტის პრეზიდენტს ნიკოლას მურეი ბატლერს იგი განსაკუთრებული მადლიერებით იხსენიებს. აღმოსავლეთში მოგ-

---

[*] ტერმინი „რუსეთის აზია" განსხვავებული ფორმით – „აზიური რუსეთი" არაერთ სხვა მოგზაურსაც აქვს გამოყენებული, მათ შორის ავსტრიელ მოგზაურ ქალს–იდა პფაიფერს, რომელიც კავკასიაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში იმყოფებოდა, იხ. იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, ქართული თარგმანი გერმანულ ტექსტთან ერთად გამოსცა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გ. სოსიაშვილმა, თბ., 2013, 21.

ზაურობის დროს მკვლევარს სხვადასხვა სახის (მათ შორის აღჭურვილობით) დახმარებას უწევდნენ: ვაშინგტონის, თეირანის, სანკტ-პეტერბურგის მაღალი წრის წარმომადგენლები. ნიუ-იორკიდან ჯეკსონი ევროპაში ჩამოვიდა და ერთი დღე პარიზში გაჩერდა. პარიზიდან ჯეკსონი კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც რამდენიმე დღე დარჩა. დაწვრილებით აღწერა ძველი ბიზანტიის დედაქალაქი, აქედან კი რუსული გემით ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გაემგზავრა. ჯეკსონმა მოინახულა იალტა, ფეოდოსია. შემდეგ კი გაგრაში გაემგზავრა. აღსანიშნავია, რომ იგი გაგრას რუსების საყვარელ კურორტად იხსენიებს.* აქედან ამერიკელი მოგზაური ბათუმში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე დღე დარჩა. ბათუმიდან ჯეკსონი მატარებლით თბილისში გაემგზავრა, სადაც იგი მხოლოდ ერთი დღე გაჩერდა. თბილისიდან ჯეკსონი მატარებლით ბაქოში გაემგზავრა. ამერიკელი მოგზაურის აღნიშნულ თხზულებაში საქართველოს არც თუ დიდი ადგილი აქვს დათმო-

---

* გაგრას როგორც საკურორტო ადგილს რუსეთის ხელისუფლებამ XIX ბოლოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. ამ დროისათვის საქართველოში ნამყოფი ფრანგი მოგზაური ბარონი დე ბაი აღნიშნავს, რომ გაგრის, როგორც კურორტად ჩამოყალიბების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა გრაფმა ალექსანდრე ოლდენბურსკიმ. დე ბაი წერდა: „გაგრა გახდება მოდური კურორტი, სადაც მხოლოდ ფუფუნება დაისადგურებს“, ბარონი დე ბაი საქართველოში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლეილა მაღრაძემ, თბ., 2011, 134–135; გ. სოსიაშვილი, რუსეთ–საქართველოს ურთიერთობა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, ფრანგი მოგზაურის ბარონ დე ბაის ცნობების მიხედვით, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის მასალები, თბ., 2014, 545–553. აღსანიშნავია, ისიც რომ შავი ზღვის სანაპიროს ათვისებით ამ დროისათვის ბევრი რუსი მესაკუთრე იყო დაინტერესებული, ბარონი დე ბაი საქართველოში. . . 124.

ბილი, თუმცა მისი ცნობები ძალზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს საქართველოს შავი ზღვისპირა ტერიტორიის, ასევე საქართველოს დედაქალაქის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, მოგზაური ახსენებს გაგრას, როგორც რუსების საყვარელ კურორტს. მოხსენიებული აქვს ფოთი, რომლის ისტორიის შესახებ მეცნიერს საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია ჰქონია. როგორც იგი აღნიშნავს, ფოთი სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა  მთელს აღმოსავლეთში, სანამ ის ბათუმმა არ ჩაანაცვლა. ჯეკსონს, როგორც ჩანს, არაერთი წყარო ჰქონდა წაკითხული კავკასიის ისტორიული საქარავნო გზის შესახებ, რადგან ამ საკითხზე ის დაწვრილებით საუბრობს და ბევრ მნიშვნელოვან დეტალზე ამახვილებს ყურადღებას. მის თხზულებაში საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ქალაქი ბათუმი, რომლის განვითარება და მნიშვნელოვან საპორტო ქალაქად ქცევა მოგზაურის აზრით რუსეთის ინტერესებში შედიოდა. ის მოკლედ მიმოიხილავს ქალაქის ისტორიას, ხაზს უსვამს 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ბათუმი რუსეთის ხელში გადავიდა. მისი აზრით, სწორედ აქედან დაიწყო ქალაქის განვითარება. ის აღწერს ქალაქის გარეგნულ სახეს, მოსახლეობას. ჯეკსონის ცნობით ბათუმის მოსახლეობას შეადგენდნენ: რუსები, სომხები, ბერძნები, რომლებიც მის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, ხოლო მოსახლეობის მუსლიმანური ნაწილი თურქები, თათრები და ირანელები დასავლეთ ნაწილში. მისი თქმით, განსხვავებული ეთნოსების და სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანების ცხოვრება ქალაქში მუდმივ არეულობას იწვევდა. ერთ-ერთი არეულობის დროს, 1909  წელს, აქ ამერიკელი კონსული დაღუპულა. ჯეკსონის ცნობით, ბათუმს ძალზე დიდ ფუნქციას სძენდა ნავთობსადენი, რომლითაც საპორტო ქალაქი ბაქოდან ექვსასმილიანი სადენით ნავთობს იღებდა. ბათუმში მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებების პერსპექტივა

არსებობდა. ქალაქის შემოგარენზე საუბრისას ის აღწერს ბათუმიდან ნახევარი საათის სავალზე არსებულ თამარ მეფის სასახლეს, რომელიც მას ფრაგმენტების სახით უნახავს. ქვეყნის აღწერისას, ასევე სხვადასხვა ხალხთა წარმომავლობაზე საუბრისას იყენებდა: ანტიკურ წყაროებს, თანამედროვე ავტორთა ნაშრომებს, ასევე მისი წინამორბედი მოგზაურების ჩანაწერებს. მოგზაურობის დროს იგი ფოტომასალასაც იღებდა. ძალზე საინტერესოა, რომ ბათუმში ყოფნისას მან რამდენიმე ფოტო გადაიღო, რომელიც დასახელებულ წიგნშია შეტანილი. ეს ფოტოები ჩვენს წინაშე აცოცხლებს XX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოს ერთ-ერთ მსხვილ საპორტო ქალაქს. როგორც აღვნიშნეთ, ბათუმიდან ჯექსონი თბილისში მატარებლით ჩავიდა და საქართველოს დედაქალაქში ერთი დღე დარჩა. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რკინიგზის გაყვანას. როგორც მოგზაური წერდა: „მოგზაურობა, რომელიც ანტიკურ პერიოდში ორ კვირას საჭიროებდა, ახლა მარტივად, 24 საათზე ნაკლებ დროში, სარკინიგზო გზის საშუალებით იფარება, რომელიც შავ და კასპიის ზღვებს აერთებს.“ თბილისში ყოფნისას მას დაუთვალიერებია ბაზარი, ფუნიკულიორი, საბაგირო გზით მოუნახულებია მამა დავითის მთა. ჯექსონი ყოფილა ასევე კავკასიის მუზეუმშიც. ვფიქრობთ, ამერიკელი მეცნიერის და მოგზაურის აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯექსონის ცნობები არაერთი საინტერესო დეტალით გაამდიდრებს XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ ჩვენი ცოდნის თვალსაწიერს.

# თავი 2
# თბილისი, ტრანსკავკასიის დედაქალაქი

*„პართიელნი[1] და მიდიელნი[2], ელამიტები[3] და შუამდინარეთის[4], იუდეის[5], კაბადოკიის[6], პონტოსა[7] და აზიის მკვიდრნი“.*

ახალი აღთქმა, თავი 9.2

თბილისი არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელი. ეს იმ ქალაქთაგანია, სადაც დასავლური ცივილიზაცია შეერწყა აღმოსავლურ ტრადიციებს, მაგრამ ამისი ნიშნები არასოდეს გაქრება. იქ იმდენ ენაზე საუბრობენ, რამდენზეც მოციქულებმა სულთმოფენობის დღესასწაულზე დაიწყეს საუბარი და იმდენი ენის ტიპი არსებობს, რამდენიც ძველსა თუ თანამედროვე ცხოვრებას შეუძლია დაიტიოს. ქალაქის სავსე ქუჩებში, ცხვრის ტყავში შემოსილ კავკასიის მკვიდრს ურთიერთობა აქვს სომეხთან, ქართველთან, ირანელთან, ქურთთან, თურქთან და მონღოლთან, ან მაუდში გამოწყობილი ევროპულად ჩაცმულთან ერთად დასეირნობს. მუდმივად გადაადგილებადი ჯგუფები და ცვალებადი ფერები ეჯიბრებიან ერთმანეთს მრავალფეროვნებაში. ადგილობრივი უბნების ვიწრო ქუჩები, ბაზრების ლაბირინთები და ჯიხურებს შორის არსებული ხალხით სავსე ადგილები აღმოსავლურია, მაგრამ ქალაქის ევროპული ნაწილები, ფართო ქუჩებით, გრძელი გამზირებითა და დიდი მოედნებით, დასავლურია და მეტყველებს რუსულ წინსვლაზე.

რადგანაც იგი ტრანსკასპიის დედაქალაქია, თბილისში განთავსებულია სამოქალაქო და სამხედრო ორგანოების შტაბი. იგი წარმოადგენს  მთავრობის ადგილსამყოფელს. მისი კომერციული თვალსაზრისით ზრდა შესამჩნევი იყო უკანას-

კნელ წლებში; ქალაქის გული ძგერს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორმაგი პულსით და მასზედ ლტოლვა ას სამოცი ათასი მაცხოვრებლის მხრიდან სულაც არ არის გადაჭარბებული.

ისტორიულად თბილისი ყოველთვის გახლდათ ინტერესის საგანი, რადგანაც იგი ძველი საქართველოს დედაქალაქი იყო. ცნობილია, რომ მას ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში პოპულარობა მოუტანა ქართველმა მეფემ ვახტანგ გორგასალმა[8], რომელსაც მოეწონა ეს ადგილი გოგირდის აბანოების სამკურნალო თვისებების გამო. ამ ცხელი წყაროების მნიშვნელობის შესახებ გვიამბობს მეათე საუკუნის არაბი მოგზაური იბნ ჰაუკალი[9], რომელიც აღნიშნავს: „წყალი ცხელია ცეცხლის გარეშე“ და იქვე დასძენს: „თბილისი არის სასიამოვნო ადგილი და გააჩნია ბევრი საკვები; მას აქვს ორი თიხის კედელი, მოჰყავთ ბევრი ხილი. აქვე განვითარებულია სოფლის მეურნეობა“. მეთოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, იგი, ისევე როგორც აზიის სხვა ბევრი ქვეყანა, განადგურებული იქნა თემურ ლენგის[10] მიერ. თბილისის მეტროპოლისად განვითარებას მუდმივად თან სდევდა თურქების ხშირი თავდასხმები, ამას თან ერთვოდა ირანელების ბატონობა 1801[11] წლამდე, ხოლო ამის შემდეგ თბილისი ხელში ჩაიგდეს რუსებმა და ქალაქი დარჩა რუსეთის მთავრობის ბატონობის ქვეშ, სადაც კავკასიის შერეული მოსახლეობის ურჩი ხასიათის გამო აქ დროდადრო არეულობები და აჯანყებები[12] ხდებოდა.

ქალაქი ნაწილობრივ მდებარეობს მთაზე. უძველესი ციხესიმაგრე, ასევე ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისკენ არსებული შემაღლებული ადგილები, ქალაქს ტერასულ[13] ეფექტს სძენს. მის ცენტრში ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მოედინება მდინარე მტკვარი[14], რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. მდინარეს ძველად კიროსად მოიხ-

სენიებდნენ.* სწრაფი დინების ორივე მხარეს, რომელიც ქალაქის სამხრეთ ნაწილს ქმნის, არის თბილისის უძველესი უბნები, ქართული ნაწილი (ავლაბარი[15]) აღმოსავლეთ, ანუ მარცხენა სანაპიროზეა, ბაზრები კი - დასავლეთით, ანუ მარჯვენა სანაპიროზე, ხოლო ჩრდილოეთით რუსული ნაწილი მდებარეობს შესანიშნავი შენობებით, ფართო გამზირებით და გრანდიოზული ალექსანდრეს ბაღით[16]. იგი ესაზღვრება ბაზრებს, მდინარის იმავე მხარესაა და ქალაქის ცენტრს წარმოადგენს. ამ ადგილას, ერთ-ერთი ხიდის გადაკვეთისას, ჩვენ შევდივართ გერმანულ უბანში[17], რომელიც გადაჭიმულია ქართული კვარტლის ჩრდილოეთიდან და მისი სახელი მომდინარეობს ვიურტემბერგელი ემიგრანტებისგან[18], რომლებმაც გასული საუკუნის დასაწყისში რელიგიურ შეხედულებათა გამო დატოვეს თავიანთი სამშობლო და თბილისი ახალ საცხოვრებლად გაიხადეს.

რუსულ უბანში არის მდიდრული შენობები, რომელიც განკუთვნილია ადმინისტრაციისთვის, ფოსტისთვის და ბანკისთვის, აგრეთვე ეკლესიებისთვის, თეატრებისთვის, კლუბებისთვის, მაღაზიებისთვის, სასტუმროებისთვის, კერძო საცხოვრებლებისა, თუ ოფიციალური ადგილებისთვის, ასევე ბაღებისა და პარკებისთვის. ყველა მათგანი გადმოსცემს დასავლურ იდეებს. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შენობათაგანია კავკასიის მუზეუმი[19] საილუსტრაციო მასალის მდიდრული კოლექციით, რომელიც დაკავშირებულია კასპიისა და შავი ზღვის რეგიონებთან. აქ სტუდენტი იპოვის დოქტორ გუსტავ რადეს[20] მიერ რუდუნებით და ყურადღებით დაგრო-

* მტკვარს „კურის“ (Koor) სახელით იხსენიებს ინგლისელი მოგზაური რობერტ ლაიალი და იქვე მიუთითებს, რომ ბერძნები მტკვარს „კიროსს“ უწოდებდნენ. იხ. Travels in Russia, the Krimea, the Caucasus and Georgia, by Robert Lyul M. D. P. L. S. vol. I London, 1825, 494.

ვილი ანტიკვარული ქონების საწყობს, რომელსაც მან თავისი ცხოვრების წლები მიუძღვნა. როდესაც თბილისში ჩამოვედი, მე გავიგე, რომ ეს ენთუზიასტი და ერუდირებული კოლექციონერი სერიოზულად იყო ავად, რაც მისი უკანასკნელი ავადმყოფობა აღმოჩნდა. უსუსური მდგომარეობის მიუხედავად იგი დაჟინებით მოითხოვდა ჩემს მისვლას და გამომიგზავნა გიდი, რომელიც გამიძღვებოდა მუზეუმში. იგი ძალზე მეგობრულად მომესალმა და ბოლოს ისე თბილად დამემშვიდობა, რომ ყოველთვის მემახსოვრება.

მუზეუმი უნდა დაათვალიერო გულდასმით. იგი შეუდარებელია, როგორც განსაკუთრებული კოლექცია, რომელიც წარმოაჩენს ბუნების ისტორიას, ფლორასა და ფაუნას, კავკასიის ეთნოლოგიასა და არქეოლოგიას – რეგიონისა, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა როგორც ხიდი აზიასა და ევროპას შორის. კასპიის ზღვის ბინადართა და ცხოველთა ექსპონატებიდან ორმა ნიმუშმა ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რადგანაც ისინი ნახსენებია ავესტაში, ანუ ზოროასტრიულ ბიბლიაში. ერთ-ერთი მათგანი გიგანტური ზუთხის საუკეთესო ნიმუში იყო, რომელიც ცნობილია როგორც *accipenser huso*, თხუთმეტი ფუტის[21], თუ მეტი სიგრძის თევზი, რომელიც, ჩემის აზრით, მოხსენიებულია ავესტაში, როგორც *kara masya* ანუ მატსია. მეორე იყო ველური ტახების კოლტი, რომელიც ტაქსიდერმისტმა[22] შესანიშნავად გააკეთა და ასახავს *varāza*-ს, ანუ ზოროასტრიულ ტექსტებში აღწერილი გარეული ტახის მთელ სისასტიკესა და აგრესიულობას.

ჩვენთვის, დასავლეთელებისთვის, თბილისის მთავარი ხიბლი მდგომარეობს არა მის ევროპულ მახასიათებლებში, არამედ მის აღმოსავლურ იერსა და ნანგრევებში, რომელიც გვიჩვენებს უძველეს ცივილიზაციას. შუასაუკუნეების აღმოსავლური სული ჩანს ციხესიმაგრეში, რომელიც ქალაქს გვირგვინად ადგას და მასზე ძველისძველი გალავნებით

მბრძანებლობს. უფრო ძველია კოშკის ნანგრევები და მორღვეული წყალსადგომი, რომელიც თბილისის სამხრეთით ბოტანიკურ ბაღს[23] გადაჰყურებს. ხიდები, რომელიც მტკვარს (კიროსი) კვეთენ და ქალაქის ორ მხარეს აერთიანებენ, ნაწილობრივ ძველია და ნაწილობრივ ახალი. ყველაზე საინტერესო, თავისი ხალხმრავლობით ცნობილი თათრების მეიდნის[24] ხიდია, რომელიც ადგილობრივი ბაზრების ერთ-ერთ რაიონს უკავშირდება. ეს ბაზრები არ არის ირანული ბაზრებივით აღმოსავლური, მაგრამ მათი ხალხმრავალი ჯიხურები, გამოფენილი საქონლის მრავალფეროვნება, ასევე დაღესტნური ხალიჩებისა და კავკასიური იარაღის შემოთავაზება, მიმზიდველ ადგილს ხდის მათთვის, ვისაც აღმოსავლეთში ჯერ არ უმოგზაურია.

## იეზიდები ანუ ეშმაკის თაყვანისმცემლები

თბილისში სამ-ოთხდღიანი ვიზიტის განმავლობაში, მე შევაგროვე დამატებითი ინფორმაცია იეზიდების,[25] ანუ ეშმაკის თაყვანისმცემლების შესახებ, რომლებმაც ყურადღება მიიქციეს ზოროასტრიზმის[26] – უძველესი სპარსული რელიგიის შესახებ ჩემს მიერ უწინ  გაკეთებულ კვლევების პერიოდში. ჩემი ინფორმატორები იყვნენ შვედი მისიონერი, მისი უწმინდესობა ე. ჯონ ლარსონი[27] და მისი მეუღლე, რომლებმაც ბევრი სამუშაო ჩაატარეს თბილისსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ იეზიდებთან, გაეცნენ მათ ტრადიციებს, ადათ-წესებსა და რწმენას.

იეზიდებს ძირითადად შეხვდებით კავკასიაში, სომხეთსა და ქურთისტანში[28], თუმცა ისინი გაცილებით დიდ ტერიტორიაზე არიან გაფანტულნი, ხოლო მათ ძირითად სამყოფელს

წარმოადგენს მესოპოტამიაში არსებული მოსულის პროვინცია. ისინი მთელი ისტორიის მანძილზე იდევნებოდნენ, ამიტომ მათი რიცხოვნობა დიდი არ არის; კავკასიის რეგიონში თორმეტი ათასი იეზიდია, ხოლო რამდენიმე ათასი იეზიდი ცხოვრობს თბილისის შემოგარენში. ისინი არ უწოდებენ თავისთავს იეზიდებს, არამედ იყენებენ საკუთარ საგვარეულო სახელებს, ან სურვილისამებრ იწოდებიან როგორც დასნი. ეს ტერმინი მომდინარეობს მოსულის მახლობლად არსებული იეზიდების საგვარეულოდან. ამ საგვარეულოს საცხოვრებელი ძველი ნინევიის ახლოსაა და მათი რელიგიის ერთ-ერთ სამშობლოდ ითვლება. იეზიდის სახელს სხვადასხვა ახსნა მოეძებნა; ერთ-ერთი მათგანი უკავშირდება იაზდანს, სპარსულ ენაში ღმერთის აღმნიშვნელ სიტყვას, რადგანაც იეზიდებს სწამთ ღმერთი, თუმცა ჩვეულებისამებრ ისინი მასზე არ საუბრობენ. მეორე ვარიანტი იყო მისი დაკავშირება ქალაქთან იეზდი (იაზდი). მესამე - სახელი მოდის იეზიდისგან, საძულველ მუსულმან ხალიფასაგან, რომელმაც მუჰამედის[29] შვილიშვილი ჰუსეინი[30] მოკლა, ის ჰუსეინი, რომელიც იეზიდების იგავებში მათი რწმენის დამცველად იყო მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს იეზიდების სახელის წარმოშობის რამდენიმე ვარიანტი, ჩემი შეფასებით, არც ერთი ვარიანტი არ შეიძლება მივიჩნიოთ დამაჯერებლად. (ტექსტის ამ ნაწილს მოსდევს ავტორის ვრცელი მსჯელობა იეზიდების რელიგიის შესახებ, რომელიც გამოვტოვეთ – გ.ს).

რაც შეეხება იეზიდების სოციალურ სტატუსს, მათ თბილისსა და ერევანში[31] დაბალი სოციალური კლასის წევრებად მოიხსენიებენ და მინდა ვთქვა, რომ ასევეა ყველა სხვა ტერიტორიაზეც. ისინი თბილისში დასაქმებულები იყვნენ მენაგვეებად და ძირითადად მძიმე სამუშაოებზე. ამის გამო, ისინი ყველაზე უფერული ტანისამოსით იყვნენ შემოსილნი. ისტორიები, რაც მათზე თქმულა, მაგონებს ინდოეთში არსებულ „დამგველთა კლასს“; მაგრამ თბილისში რუ-

სული მუნიციპალური განკარგულებებით იეზიდების მოვალეობები სხვათა ხელში გადავიდა, რამაც განაპირობა მათი ძირითადი საქმიანობის შეცვლა ბოლო ერთი, თუ ორი წლის განმავლობაში.

ზოგადად, ისინი მიეჩვივნენ ქალაქგარეთ ცხოვრებას და დღის განმავლობაში მხოლოდ სამუშაოსთვის ჩამოდიან ქალაქში. მეუღლეები კი დიასახლისები არიან და მიჰყვებიან სოფლის მეურნეობას, ძირითადად მიწათმოქმედებას. მოთხოვნა იეზიდების ოჯახებისა არის მწირი და როგორც ჩანს, ისინი კმაყოფილები არიან არსებული ცხოვრების სტილით. დამატებით უნდა ითქვას, რომ თბილისის გარშემო მცხოვრები იეზიდები, მიუხედავად მათი გაუბედურებული შესახედაობისა, მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების მფლობელები არიან.

თბილისში ყოფნის ბოლო დღეები შემდგომი მოგზაურობისთვის სამზადისს დავუთმე, რადგან სპარსეთი ჯერ კიდევ დარჩენილი იყო სასტუმროებისა და რკინიგზის გარეშე. თეირანის გარდა სპარსეთში მოგზაურობისათვის, შეიძლება ვთქვათ, რომ უმძიმესი პირობებია.

ქარავანისთვის ტვირთი უნდა იყოს მსუბუქი და რაც შეიძლება მჭიდრო, აუცილებელია სალაშქრო მსუბუქი საწოლი, რომელიც მოგზაურობისას საწოლის, მერხის და სასადილო-მაგიდის მაგივრობას გაგიწევთ.

რაც შეეხება ტანსაცმელს, კარგად უნდა დავიმახსოვროთ, რომ ზამთარში, ცივ მთებში ძლიერი სიცივეები იცის და ზაფხულში უდაბნოს სიცხეც ასევე ძალიან აუტანელია. ნებისმიერ შემთხვევაში შავი, დაბურული სათვალეები შესანიშნავად გიცავს თოვლისგან, მზისგან თუ მტვრისგან. აუცილებელი სამზარეულოს მოწყობილობისა და სამგზავრო ნივთების გარდა, მე აგრეთვე თან წავიღე ტყავის ქამრების მარაგი, ბოქლომები, ორი კამერა, რამდენიმე წიგნი რუკის ჩათვლით, უბრალო საჩუქრები და სხვადასხვა ნივთი, რომელიც შეიძლება დამჭირდეს ხანგრძლივი მოგზაურობისას. გამოცდი-

ლებამ მიჩვენა, რომ ამ ნივთების ჩასალაგებლად ორი მძიმე ტყავის ჩემოდანი და სამგზავრო ჩანთა სრულებით საკმარისი იყო, შეიძლებოდა პატარა ტომარა კიდევ დამემატებინა. ქარა-ვანთან ერთად მოგზაურობისას აუცილებელია  თან იქონიო რამდენიმე პატარა, ვიდრე ერთი ან ორი დიდი ფუთა, რადგა-ნაც ისინი ასე უფრო ადვილი გასანაწილებელია, რათა სა-პალნე ცხენმა წონასწორობა უკეთ დაიცვას.

სასტუმროში დავიქირავე ქართველი გიდი, მოხუცი როსტომი[32], რომელიც  საზღვრამდე გამიძღვა; მისი სახელი ძალიან მომეწონა, რადგან მან ისტორიული რუსტამი[33], სპარსი გმირი გამახსენა. როგორც გიდი, ის კარგად ინფორ-მირებული იყო და ლინგვისტურადაც შესანიშნავად მომზადე-ბული, რადგანაც ის არა ნაკლებ 6 ენაზე საუბრობდა. ჩვენი კომუნიკაციის ძირითადი ენა ფრანგული იყო.

ბარგი, გასაშლელი ლოგინისა და ბალიშის ჩათვლით, მოხერხებულად იყო შეკრული, საბოლოო სამზადისი დას-რულდა და რამდენიმე საათით ადრე მე უკვე მატარებელში ვიჯექი, საიდანაც 15 საათიანი მგზავრობა იწყებოდა ერევ-ნისკენ, სადაც რკინიგზა არარატის მთის[34] ჩრდილქვეშ სრულდება.

## კონსტანტინოპოლიდან ომარ ხაიამის სახლამდე
## თავი II

## შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე

ჯერ კიდევ განთიადი იყო, როდესაც კარზე საშინელმა ბრახუნმა გამაღვიძა და მომესმა, ,,სერ, გაიღვიძეთ - პორტში რუსული გემი შემოვიდა და მზად არის ათ საათზე სევასტოპოლისა და ბათუმისაკენ გასასვლელად.“ ეს დემეტრიოსის ხმა იყო, ჩვენი ბერძენი მეგზურისა კონსტანტინოპოლში, რომელიც გავაფრთხილეთ, რომ ეცნობებინა ყოველი ახალი ამბავი ნებისმიერი გემის, ტანკერის, ან რაიმე მისი მსგავსის შესახებ, რომელსაც შეეძლო შავი ზღვის გავლით ბათუმში გადავეყვანეთ, ვიდრე ბათუმის მიმართულებით მიმავალი ყოველკვირეული გემი მოვიდოდა. დროის დაზოგვის შესაძლებლობამ ძალიან გაგვახარა. ხოლო დემეტრიოსი, რომელსაც საშინლად სძულდა საქმის ადრე დაწყება, ან გვიან საღამომდე მუშაობა, ჩვენს სწრაფ გამგზავრებას სიხარულით შეხვდა. ერთგული კურიერის წყალობით ბარგის ჩალაგებასა და ამგვარ წვრილმან საქმეებში დრო არ დაგვიკარგავს, მან არ დააყოვნა ჩვენი ნივთების სასტუმროდან გემზე გადატანა და ყოველივე ამის წყალობით გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე უკვე ,,*პუშკინის*“* წინა გემბანში მოვთავსდით. შესანიშნავი დილა იყო, რუსული კალენდრის მიხედვით აღდგომის კვირა იდგა, ჩვენი აღდგომიდან** ორი კვირის მოგვიანებით. კაპიტანი, ოფიცრები და ეკიპაჟი, ისევე როგორც მგზავრები დასვენებისა და იუმორის ხასიათზე იყვნენ. ყველა, ხიდიდან დაწყებული ბულვარამდე ერთმანეთს კოცნიდა და ბედნიერ

---

* გემის სახელწოდება – გ. ს.

** მოგზაური გულისხმობს კათოლიკური კალენდრით არსებულ აღდგომას – გ. ს.

აღდგომას უსურვებდა. ძრავების ხმა გაისმა და გემმა ბოსფორის[35] გავლით ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ აიღო კურსი. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ ხუთდღიანი მოგზაურობა გველოდა. სტამბოლი[36], გალათა[37], პერა[38], შორეული სკუტარი[39] აზიის მხარეზე ნელ-ნელა გაფერმკრთალდა და გაუჩინარდა. მათი ადგილი სწრაფად დაიკავეს აღმოსავლურ-დასავლური არქიტექტურის შესანიშნავმა ნიმუშებმა, რომელიც ბოსფორის სრუტის სანაპიროს ბოლომდე გასდევს. პირველად ჩვენს თვალწინ, საუკუნის წინათ სულთან აბდ ალ-მაჯიდის[40] მიერ აგებული „დოლმა ბახჩე“-ს სასახლის[41] თვალის მომჭრელი ბრწყინვალება გადაიშალა. მის უკან კი სარკისებურ ლურჯ ბოსფორში ჩირაგანის[42] მარმარილოს ფასადი გამოჩნდა, რომლის აღმართვაც 1867 წელს სულთან აბდ ალ-აზიზის[43] სახელს უკავშირდება (დაწვამდე 1911); თითქმის ნახევარ მილზე, ზღვის სანაპიროს გასწვრივ გადაშლილიყო ბრწყინვალე ხედი, სამეფო სასახლეებით, რაც უცხოთათვის მიუღწეველი იყო და საოცნებო, აკრძალულ მხარეს წარმოადგენდა. ამ ორი მეფური სასახლის მიღმა, ბრწყინვალე მარმარილოს ფონზე მთის წვერზე მოჩანდა მათნაირად გასაოცარი არა, თუმცა უფრო სახელგანთქმული ილდიზ კიოსკი[44], ახლახანს გადაყენებული სულთან აბდ ალ-ჰამიდ მეორის[45] სამფლობელო. ამ სასახლის ბედი, რომელსაც დღესაც არ აკლია სახელი და დიდება, უფრო და უფრო გაფერმკრთალდა და, შეიძლება ითქვას, გაუფერულდა კიდეც ბოლო დროინდელი ცვლილებების, განსაკუთრებით 1908 წლის რევოლუციის[46] გამო. ჩვენი გემი უკვე ღრმად იყო ბოსფორის ამ ცნობილ წყლებში შესული, რომელიც ხანდახან მხოლოდ ერთი, ან ორი მილის სიგანისაა, ხანდახან კი გაშინებს თავისი თვრამეტი მილის სიგანითა და აგრესიულობით. იგი ოლიმპოსავით[47] ძველია. გავრცელებული თქმულება მოგვითხრობს, თუ როგორ გადაკვეთა ხარის სახიანმა ზევსმა[48] ეს წყლები, როდესაც იგი ულამაზეს, გაცოფებულ

იოს[49] მისდევდა. სწორედ ამ მითმა დაუდო დასაბამი ამ სიტყვის ეტიმოლოგიას, ბოსფორი როგორც ოქს-ფორდი. მაგრამ ახლა საკმარისია მითებსა და ლეგენდებზე საუბარი! ისტორიიდან ცნობილია, რომ არა მხოლოდ გოთების[50] ვან-დალურმა ტომებმა, არამედ ქრისტიანებმაც ილაშქრეს ამ ვიწრო სრუტეზე. ჰეროდოტე[51] მოგვითხრობს, როგორ მოუძ-ღოდა დარიოს დიდი[52] სპარსელთა ურიცხვ არმიას ამ სრუ-ტის გადასალახად. 513 წ. ქრ. შ-მდე გამართული ლაშქრო-ბის მიზანი გემებისაგან გაკეთებულ ხიდის მეშვეობით საბერ-ძნეთის დაპყრობამდე სკვითების დალაშქვრა იყო.[1] ჩვენ შეგ-ვიძლია თვალნათლივ დავინახოთ ეს ადგილი, რომელიც რუ-მაილის ციხე-ქალაქის დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს. ეს არის თურქული ციხესიმაგრე, აშენებული 1452 წელს. ეს იყო ის ადგილი, სადაც თვით დიდებულმა დარიოსმა დაიდგა გვირგვინი, როდესაც ის აზიიდან ევროპისაკენ მომავალ თა-ვის ურიცხვ არმიას ადევნებდა თვალს. სწორედ ამ დიდებუ-ლი მოვლენების მომსწრე გამხდარა ეს საოცარი ადგილი!

რაც უფრო წინ მიიწევდა ჩვენი გემი, კიდევ უფრო ნათლად ვხედავდით, თუ როგორ ვიწროვდებოდა, ხან კი ის-ევ ფართოვდებოდა სანაპირო ზოლი. ჩიტების ჭიკჭიკი და ძაღლების ყეფის ხმა ჩაგვესმოდა ამ ვიწრო სანაპიროს გას-წვრივ.[2] ერთ-ერთი კუნძული კვლავ დგას მარცხნივ, ევრო-პულ სანაპიროსთან ახლოს; მეორე კი მარჯვნივ, აზიატიკის სანაპიროს რომ ესაზღვრება, წყლისგან თითქმის ჩარეცხილია და ოდნავღა მოჩანს.[3] იმ დღიდან მოყოლებული, როცა იაზ-ონმა[53] და არგონავტებმა[54] ეს მხარე გაცურეს, „მოხეტიალე კლედეები“, როგორც მათ ჰომეროსი უწოდებს, სამუდამოდ მიეწებნენ ზღვას. ჩვენმა ორთქმავალმა-გემმა ანტიკური არ-

[1] Herodotus, History, 4. 83-80, and cf. Justi, Geshichte Irans, in Grundr. iran. Philol. 2 442-443; see also Grosvenor, Constantinople, I. 166.

[2] Pliny, Nat, Ilist. 6.1.2.

[3] Grosvenor, 1, 199-205.

გოს მსგავსად სწრაფად, ყოველგვარი სირთულის გარეშე ჩაუქროლა მათ.[1]

ამ განსაკუთრებულ დღეს ზღვას რომ გავყურებდი, უნებლიედ ოტელოს ღიმილი გამახსენდა: ,,პონტოს ზღვა, რომლის ყინულოვანი დინება და ძალდატანება თავისთავად გიზიდავს"[2]. ცაში ატყორცნილი რუსული და ბერძნული ტაძრის გვერდით კლდეში ამოკვეთილი ფოროსის თაღის გასწვრივ, ციცაბო, ზიგზაგისებური დაქანებაა. მყარი პიკებისა და ბასრი კლდეების ველურ ბუნებაში, ლურჯ ევქსინს[55] თავზე რომ დაჰყურებენ აღფრთოვანებას ვერ მალავ და ამ სილამაზით გამოწვეული სიამოვნება გიორმაგდება. ეს გაორმაგებული შეგრძნება, თითქოსდა დადნა და მზის ჩასვლით გამოწვეულ ესთეტიკურ სიამოვნებას შეუერთდა, როცა იალტას[56] მივუახლოვდით. სამანქანო გზა მწვანე ეზოებითა და მდიდრული ჩრდილოვანი ხეებით დამშვენებულ სააგარაკო სახლებს შორის გადიოდა. ამ გზას სამეფო პარკამდე მივყავდით, სადაც ხე-მცენარეების უმრავლესობა ტროპიკული წარმომავლობისა იყო. ჩვენი ეტლიც ამ ქუჩაზე მიჰქროდა, სანამ ,,სასტუმრო რუსეთის" ტერასას არ მიღწია. როდესაც სიბნელე ჩამოწვა, სასტუმრო და მისი შემოგარენი ელექტრო ნათურებით განათდა. განათებული იყო ასევე ფართო გზაც, რომელიც ეშვებოდა ბაქანთან, საიდანაც ჩვენი გემი აღმოსავლეთისაკენ უნდა გამგზავრებულიყო. ჩვენი ხომალდი, შავ ზღვაში თუ ამინდიც ხელს შეგვიწყობდა, ისეთივე სასიამოვნო იყო, როგორც იახტა. ფეოდოსიაში[57] ვიზიტმა ნათლად დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება თანამედროვე კომერციულმა პორტმა მემკვიდრეობით მიიღოს გარდასული დღეების დიდება. მილესიანების[58] მიერ ჩვენს წ-აღ-მდე მეექვსე საუკუნეში თეოდოს-

[1] Homer, Od, 12. 59 ff. Apollonius Rnodius, 2. 255-620. Compare many more references in Gruppe, Gr. Myth. Und Religionagesch. pp. 396, n. 13, 397, n. 3 Munich, 1906.

[2] Shakespeare, Othello, 3.3. 453-455.

იის სახელწოდებით დაარსებული ნავსადგური მალევე გადაიქცა საბერძნეთის ბეღელად და დღესაც არ დაუკარგავს თავისი ტრადიცია იყოს მარცვლეულის ექსპორტის ძირითადი ცენტრი.* გენუელები[59] ამაყობდნენ, რომ ამ ტერიტორიას, როცა მათ ზღვაზე ბატონობის ამბიცია ჰქონდათ სწორედ ისინი ფლობდნენ მეცამეტე საუკუნეში. ფეოდოსიის ფასი თურქებმა კარგად იცოდნენ, რომლებმაც ის მოგვიანებით დაიპყრეს. მოგვიანებით კი რუსებმა დააფასეს ეს ადგილი და იგი მათ მფლობელობაში გადავიდა. სანაპიროზე არსებული ქალაქის უძველესი კედლები ნათლად გვიჩვენებს მის დიდ ისტორიულ წარსულს. აქ ბევრი კომერციული ადგილი და თვალისმომჭრელი ვილაა, რომლებიც უმდიდრესი ვაჭრების საკუთრებას წარმოადგენენ, თუმცა ახალი რუსული ქალაქი მაინც თანამედროვეა. კიდევ ერთი დღე და ჩვენს წინაშეა გაგრა[60], რუსების საყვარელი კურორტი და ზღვის სანაპირო, რომელიც გაშლილია ფიჭვის ტყიან მთებსა და ზღვას შორის. ეს ადგილი ისეთი პოპულარულია, რომ თითოეული გემი უამრავ მგზავრს ემსახურება ყოველდღე. მგზავრებს შორის, რომლებიც გემზე ამოვიდნენ იყო რამდენიმე ისეთი, რომელიც კავკასიას კარგად იცნობდა და შეეძლო მოეყოლა ძველი ამბები გმირული შეტაკებებისა და სისხლისმღვრელი კონფლიქტის შესახებ მაჰმადიანებს, სომხებსა და ქრისტიან რუსებს შორის არეულობის პერიოდში, რომელსაც მალევე რუსეთ-იაპონიის ომი[61] მოჰყვა. მომდევნო დღეს, როდესაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მივუახლოვდით, ნელნელა გამოჩნდა კავკასიის გოლიათი მთები და თვალი მოვკარით ფოთის შორეულ ხედს, რომელიც ბერძნების ფაზისი[62] იყო. ერთ დროს ეს ქალაქი სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა მთელს აღმოსავლეთში, მანამდე, სანამ ის არ ჩაანაცვლა ბათუმმა[63], რომელიც მისგან ორმოციოდე მილის დაშორებით მდებარეობს. საუკუნეების განმავლობაში ფოთი[64] იყო პორტი, საიდ-

ანაც საბერძნეთის და რომისაკენ ტრანზიტულ გემებს საქონელი გადაჰქონდათ, რომლებიც კასპიის ზღვიდან შემოდიოდა ტრანსკავკასიური გზის გავლით. ამ საკითხის შემთხვევით გახსენებამ ერთ-ერთ მგზავრთან საუბარი წარმოშვა ანტიკური ხანის ვაჭრობაზე აღმოსავლეთში. მან მომითხრო ორი, ამჟამად დანგრეული, პორტის შესახებ სოხუმს კალესა[65] და ფოთს შორის, რომლიდანაც იწყება დიდი კედლის ზოლი, ძლევამოსილ ბურჯს  დერბენტს[66] რომ უერთდება კასპიის ზღვასთან, რაზეც  საუბარი მეხუთე თავში გვექნება. მგზავრის თქმით, ერთ-ერთი ტრადიციის მიხედვით მისი წარმოშობა მიეწერება ალექსანდრე დიდს[67]; მაგრამ მეორე ტრადიცია მის წარმოშობას მონღოლთა შემოსევას უკავშირებს. ისტორია მოგვითხრობს, რომ ის აშენდა ინდოეთიდან მომავალი ქარავნების დასაცავად. ეს კიდევ ერთი ვერსია იყო, რომელიც როგორც  ვიცოდი თავდაცვითი პოზიციების გამაგრების საკითხს უკავშირდებოდა დერბენტში, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი და ის კიდევ ერთხელ ამტკიცებს, თუ რა დამაჯერებელია მონათხრობი მისი ნამდვილი წარმოშობის შესახებ. გათენდა მეორე დილა და ჩვენი ხომალდი უსაფრთხოდ მიუახლოვდა ბათუმს, რომლის უკან ძლიერი მთაგრეხილების თოვლიანი ხედი იშლება. ბათუმი გადაიქცა ზუსტად ისეთად, როგორიც შესაძლოა ფოთი ყოფილიყო უკეთესი სიტუაციის შემთხვევაში. იმის მიუხედავად, რომ ფოთი არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა, ბათუმი თავდაპირველად არ წარმოადგენდა ისეთ ქალაქს, რომ მნახველისათვის თავი მოეწონებინა. რუსეთი ყოველმხრივ ცდილობდა მისი ადგილმდებარეობის ათვისებას.* ქალაქის ისტორია, ისევე როგორც ის-

---

* მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ბათუმმა, როგორც ქალაქმა მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო აქ არაერთი საწარმო გაიხსნა. მათ შორის: საექსპორტო კასრების დამამზადებელი მანუფაქტურები, ლითონდამამუშავებელი მექანიკური ქარხნები და სხვ. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI. თბ., 1972,

ტორია მისი ტერიტორიული მეტოქისა (აქ ჩვენი აზრით ფოთს უნდა გულისხმობდეს მოგზაური – გ. ს.) არის ძალიან ხანგრძლივი, რადგან სწორედ მის ახლოს იყო განლაგებული ანტიკური პეტრა[68] და კიდევ უფრო ადრე ბათუსი. თურქებს ის დიდი ხანი ჰქონდათ დაპყრობილი, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხეს ქალაქს, მიუხედავად ყველა იმ დამამცირებელი გამონათქვამებისა, რაც მათი მმართველობის პერიოდში გაისმოდა.[*] ქალაქმა ფეხზე წამოდგომა იწყო მაშინვე, როდესაც ის რუსეთს დაუთმეს ბერლინის 1878 წლის ხელშეკრულების შედეგად[69] და ამ დროიდან მოყოლებული ბათუმი გადაიქცა განვითარებულ ქალაქად, თავისი გაცხოვე-

---

51, 56; ბათუმის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც იგი ბაქოს ნავთობის საექსპორტო ნავსადგურად გადაიქცა. ბათუმი საექსპორტო ჭურჭლის მთავარი მწარმოებელი პუნქტი გახდა. იგი დიდ სავაჭრო–სამრეწველო ცენტრად ჩამოყალიბდა, რასაც ნიადაგი შეუმზადა ჯერ კიდევ 1879–1886 წლებში ბათუმში „პორტო ფრანკოს" არსებობამ. რუსეთი აქტიურად იყო დაინტერესებული ნავთობის ექსპორტით. იგი კონკურენციას უწევდა აშ.შ ნავთობის კომპანიებს. ბაქოს ნავთობის გადაზიდვას ფაქტობრივად რკინიგზა ვერ აუდიოდა, ამიტომ გადაწყდა ბაქო–ბათუმის ნავთობსადენის გაყვანა, რითაც დიდად იყვნენ დაინტერესებულნი არამარტო ადგილობრივი, არამედ უცხოელი კაპიტალისტები. მილსადენის აგება საბოლოოდ 1897 წელს დაიწყო და 1906 წელს დასრულდა. მილის წლიური გამტარიანობა 60 მლნ. ფუთს უდრიდა, რამაც ბათუმის როგორც სამრეწველო–სავაჭრო ცენტრის ფუნქცია კიდევ უფრო გაზარდა. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. VI, 63; 1919–1920 წლებში საქართველოში ნამყოფი ინგლისელი ჟურნალისტი ბეჩჰოფერი ბათუმს ევროპისკენ გამავალ ამიერკავკასიის ჭიშკარს უწოდებდა. როგორც უცხოელი ჟურნალისტი აღნიშნავდა, ნავთობის მილი ბაქოდან ბათუმამდე რკინიგზას მიჰყვებოდა, შემდეგ ნავთობი ევროპაში გემებით გაჰქონდათ. იხ. გ. გელაშვილი, ინგლისელი ჟურნალისტი ბეჩჰოფერი ბათუმის შესახებ, (1919–1920 წლები), ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, ტ. II. თბ., 2012, 80–81.

[*] აქ შესაძლებელია მოგზაური გულისხმობდეს თურქების დამოკიდებულებას ადგილობრივ მაცხოვრებლებზე;

ლებული ბიზნესით[1] და მზარდი საექსპორტო ვაჭრობით. ის დღევანდელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის შერწყმას განასახიერებს. მისი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ: რუსები, სომხები და ბერძნები, რომლებიც მის აღმოსავლეთ ნაწილში სახლობენ; ხოლო მუსლიმანური ნაწილი, - თურქების, თათრებისა და ირანელებისაგან შემდგარი - უფრო დასავლეთ მხარეში სახლობს.* მისი სასეირნო და ღირსშესანიშნაობებით სავსე გზა გადის საზოგადოებრივ ბაღებსა და სკვერებზე, ასევე მთავარ ბულვარზე, რომელიც ზღვას გადაჰყურებს.** აქაური მცენარეები ტროპიკულია, ირ-

---

[1] On the noticeable improvement the took place, see expecially Brugsh Im Lande der Sonne, Berlin, 1880, 20-26.

* 1921 წლის მონაცემებით ბათუმში სულ 35200 სული მოსახლე იყო, იხ. მ. ფუტკარაძე, ბათუმის მოსახლეობის დინამიკის თავისებურებანი, ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი, 2013, გვ. 327; 1922 წელს ბათუმის ეთნოსტრუქტურული სურათი ასე გამოიყურებოდა: ქართველები შეადგენდნენ ქალაქის 30, 5%, სომხები–24, 6 %, რუსები–17, 6 %, ბერძნები–12, 6 %, ებრაელები–6, 1%, სპარსელები–2,9%, დანარჩენი ეთნიკური ჯგუფი ერთ პროცენტს არ აღემატებოდა, იხ. ო. თურმანიძე, ბათუმის მოსახლეობა XX საუკუნის 20–30–იან წლებში, ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი 2013, 331–332; 1915 წელს ბათუმში მყოფი ინგლისელი ჟურნალისტის—ბეჩჰოფერის ცნობით, ბათუმში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ: რუსები, თურქები, ბერძნები, სპარსელები, ბერძნები, თათრები, ასირიელები, ებრაელები, სომხები, მანჯურიიდან ჩამოსული ჩინელები, ასევე ჩრდილოეთ კავკასიური მოდგმის ხალხები: ლეკები, ჩერქეზები, იხ. გ. გელაშვილი, ინგლისელი ჟურნალისტი ბეჩჰოფერი ბათუმის შესახებ (1919–1920 წლები), ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, II, ბათუმი 2012, 79;

** ცნობილია, რომ ბათუმის ბულვარის ისტორია 1885 წელს იწყება. ზღვის სანაპირო ზოლში ბულვარის გაშენების იდეა, რომელიც ბათუმის პოლიცმაისტერ ვოზნესენსკის ეკუთვნოდა, ბათუმის ოლქის გენერალ–გუბერნატორის–ა. სმეკალოვის ინიციატივით განხორციელდა. იხ. ნ. ინაიშვილი, ბათუმის ისტორიული ბულვარის განვითარება, ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი 2013, 71.

გვლივ მრავლად იხილავთ პალმების გადაშლილ კენწეროებს, მაშინ, როდესაც შორეულ მთებზე ჯერ კიდევ თოვლია. ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობაა ალექსანდრე ნევსკის* რუსული კათედრალური ტაძარი, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის დასავლეთ სანაპიროს არქიტექტურას - მუსლიმანურ სალოცავებს. ხოლო, რაც შეეხება ქალაქის საქმიან ნაწილს, აქ ევროპული ტიპის ბანკის შენობებს, სავაჭრო სახლებს, მაღაზიებს, ღვინის სახლებს და კაფეებს შეხვდებით, აქვეა პატარა ჯიხურები და ბაზრები, რომლებიც ქალაქის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მსგავსად კავკასიის სხვა ქალაქებისა, აქაც რადიკალურად განსხვავებული რასების არევ-დარევის მუდმივი პროცესი მიმდინარეობს. სწორედ ერებისა და ხალხების, ისევე როგორც მათი იდეალებისა და პოლიტიკური შეხედულებების რადიკალური განსხვავება დროდადრო იწვევდა აჯანყებებსა და სისხლისღვრებს. ერთ-ერთ ამ არეულობაში ორი წლით ადრე, ვიდრე ჩვენ ამ ქვეყანას ვეწვეოდით ამერიკელი კონსული უბედური შემთხვევის გამო ბომბით იქნა მოკლული**, რაზეც ინფორმაცია ადგილობრივ პრესაში არ გამოქვეყნებულა. ირგვლივ სიწყნარე სუფევდა, საქმიანი გარემო მაინცდამაინც შესამჩნევი არ იყო. ისინი, ვისთვისაც ვაჭრობა უცხო არ არის და ამ სფეროში ერკვევიან, აქ არსებულ ვაჭრობას აქტიურ საექსპორტო ვაჭრობას უწოდებენ. ბათუმი ნავთობს ბაქოდან[70] ტიფლისის გავლით პირდაპირი კავშირით იღებს და ეს ხდე-

---

* იგულისხმება ალექსანდრე ნეველი - გ. ს.

** აღსანიშნავია, რომ ბათუმში პოლიტიკური არეულობა ჯერ კიდე 1905–1907 წლების რევოლუციის დროს დაიწყო, რამაც არაერთი ადამიანი (მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე) შეიწირა. არეულობა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა, რაც განპირობებული იყო ერთის მხრივ მოსახლეობის უკმაყოფილებით მეფის რუსეთის მიმართ, მეორეს მხრივ კი რამდენიმე ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების გადაკვეთით, იხ. ო. გოგოლიშვილი, ფრანგები ბათუმში, კრებ. ზურაბ პაპასქირი — 60, თბ., 2013, 315–317.

ბა არა მხოლოდ რკინიგზით, არამედ ექვსასი მილის სიგრძის მილსადენითაც. ამ ყველაფერმა ბათუმს დასავლეთისთვის კასპიის ნავთობის ჭებიდან საწვავის ტვირთგადაზიდვის თვალსაზრისით მთავარი შტაბის ფუნქცია მისცა. ეს მშვენიერი გზა გამოიყენება არა მხოლოდ ხე-ტყის, ტყავის, თაფლის, ცვილის ექსპორტირებისათვის, არამედ ყველა იმ პროდუქტისათვის, რომლითაც ვაჭრობენ და აქ ვერ ჩამოვთვლი. მინერალური რესურსები მოიპოვება მოსაზღვრე მთებში და აი, რით ხიბლავს კავკასია ევროპულ და ამერიკულ ქალაქებს. ყველა რისკიანი კაპიტალდაბანდება გვაიმედებს, რომ შემოსავალი გაიზრდება, რაც სავაჭრო ქალაქის მთავარ პერსპექტივას წარმოადგენს. ისტორიული ნაწილი, რომლითაც დავინტერესდით, არის მეფე თამარის[71] სასახლის ნანგრევები, რომელიც საქართველოს ჩვენი წ. აღ-ის 12-ე საუკუნეში მართავდა. მას მიაწერენ არაერთი შენობის აგებას, რომლებმაც სახალხო აღიარება მოიპოვეს კავკასიაში, თუმცა ახლა ყველაფერი ნანგრევებშია მოქცეული. ბათუმიდან ნახევარი საათის სავალზე, მაღლობზეა აღმართული განადგურებული ციხესიმაგრე, რომელიც სევდიანად გამოიყურება.* ვიწროდ გადაჭიმულა გზა, რომელიც ზღვის ნაპირს გასდევს. აქ უმთავრესად ნოტიო ჰავაა, მაგრამ შუადღით მძიმე ატმოსფერომ სქელი ჰაერი მძიმე ღრუბლებად გარდაქმნა. ასე, რომ შეუძ-

---

* სამეცნიერო კვლევების შედეგად დასტურდება, რომ ბათუმის სიახლოვეს არსებულ თამარის ციხე–დარბაზის ადგილზე მდებარეობდა ადრეკოლხური ხანის სამოსახლო „გორა". ბათუმის, იგივე თამარის ციხე გორა – სამოსახლოს წარმოადგენდა. ამ ადგილზე მოსახლეობის ცხოვრების უწყვეტი კვალი ჩანს ჩვ. წ. აღ. მდე მეორე ათასწლეულიდან, იხ. ნ. მიქელაძე, უცხოელების თვალით დანახული ძველი ბათუმი და მისი შემოგარენი, ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, II, ბათუმი, 2012. 47; ჯეკსონის მსგავსად ბათუმის სიახლოვეს თამარის ციხეს იხსენიებს ფრანგი ორიენტალისტი ჟან მურიე, რომელიც აჭარაში მეცხრამეტე საუკუნის 80 წლებში იმყოფებოდა, ჟან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, თბ., 1962, 8.

ლებელია ერთი შეხედვით მოავლო თვალი დანგრეულ კედლებს, ეს განსაკუთრებით რთულდება ფოტოგრაფირებისთვის. მოზრდილ მიწა-ყრილთან გაშლილა დაცემული ციხესიმაგრის ნანგრევები. სიმაღლის მბრძანებლური ხასიათი უფრო ძლიერდებოდა ჩქარი დინებით, რომელიც ბრუნდება და ჩქარი კურსით მიედინება ზღვაში. მე ფოტოზე აღვბეჭდე თავდაცვითი ნაგებობის კვლავაც შენარჩუნებული ციტადელი, რომელიც შექმნილი იყო ყველა სიკეთისა და კეთილშობილების განსახიერების მქონე  ამორძალი დედოფლისათვის. მისი სახე ერთნაირად გამოხატავს სინაზესაც და სიძლიერესაც. ლეგენდები თამარის სათნოებებზე კვლავ ცოცხლობს ქართველების გულებში. ყველასათვის ცნობილია მისი მეფობის წლები (1184-1213). იგი თავისი ისტორიული მიღწევებით დახასიათებულია როგორც გამოჩენილი ქალი-მმართველი, მათ შორის, რომელთაც ბედმა ერის მართვა არგუნა.[1] თამარის ციხის მოშორებით, ერთი მილის მანძილზე, ჩვენი ცხენები და ეტლები ხიფათს გადაეყარნენ. ამას შეეძლო ჩვენი მოგზაურობისათვის უბედურობაც კი მოეტანა. მდინარის ქანქარა ხიდიდან ცხენები უცაბედად გადაცვივდნენ და თან გადაიყოლეს მიბმული ეტლი. საბედნიეროდ, ტრანსპორტიდან გადმოხტომა მოვახერხეთ. ცხენები სასწაულებრივად გადარჩნენ, იქ ჩაცვივდნენ, სადაც  წყალი ღრმა აუზს იკეთებდა დაკბილულ კლდეებს შორის. ცხოველთა ბრძოლა საბოლოოდ მათი გადარჩენით დასრულდა და ვაგონიც აღვადგინეთ. შინისაკენ მიმავალი გზა გავაგრძელეთ და შიშით ვუყურებდით ყველა საეჭვო ადგილს, საბოლოოდ უსაფრთხოდ მივაღწიეთ ქალაქს, საიდანაც უნდა გავმგზავრებულიყავით ტიფლისში[72] მზის ჩასვლიდან 2 საათის შემდეგ. რკინიგზით გასავლელი

[1] See Holldack, Von der Sage und dem Reich der Grusinischen Königin Tamara, Leipzig, 1906 (dissertation), and consult the interesting chapter on Tamara in Shoemaker, Heart of the Orient, New York, 1904, 40-64.

მარშრუტი ბათუმიდან ტიფლისისა და ბაქოს გავლით კვეთს კოლხეთის, იბერიის და ალბანეთის ანტიკურ ისტორიულ მიწას. გვიანი პერიოდის საქართველოს ახლომდებარე რაიონების და თანამედროვე პერიოდის მთელი ეს ტერიტორია ცნობილია, როგორც ტრანსკავკასია. მოგზაურობა, რომელიც ანტიკურ პერიოდში ორ კვირას საჭიროებდა გავლას, ახლა მარტივად იფარება 24 საათზე ნაკლებ დროში, სარკინიგზო გზის საშუალებით, რომელიც შავ და კასპიის ზღვებს ერთმანეთთან აკავშირებს. ერთი საათი ძლივს იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც ბათუმიდან გამოვემგზავრეთ, ჩრდილოეთით მივუყვებოდით ზემოთხსენებულ ანტიკურ საქარავნო მარშრუტს აზიიდან ევროპისაკენ. ქუთაისის[73] რეგიონი თითქმის შეესაბამება ანტიკურ კოლხეთს, მედეას[74] სამშობლოს, იასონის მიზანს, როდესაც ეძებდა ოქროს საწმისს[75]. მთელი ღამის სიარულის მიუხედავად კარგად აღჭურვილ რუსულ მანქანებს გასაჭირი არ ეტყობოდათ და ჩვენი დანიშნულების ადგილზე, კავკასიის დედაქალაქში (თბილისში – გ.ს.) დილით ადრე ჩავედით. ბედნიერი ვიყავი, ქართველ მოხუც როსტომთან შეხვედრით, რომელიც ჩემი გიდი იყო ირანში ოთხი წლის წინ და ასევე ჰოვანეს აგოფიანის ნახვით, რომელსაც ფამილარულად ჯონს ვეძახდით, ანუ ეს იყო იგივე ჩვენი ამერიკელი კურიერი, რომელიც გვახლდა ამ მოგზაურობაში. ვწუხდით, რადგან ახალგაზრდა თავრიზელი ირანელი საფარ ალიბეგის მოძებნა ვერ შევძელით, იგი დიდი ხნის წინ ჩემთან ერთად იმყოფებოდა სპარსეთში. იგი ისევ თან მახლდა, თუმცა შემდეგი მოგზაურობაც ამტკიცებდა, რომ წინა მოგზაურობა იყო მისთვის ყველაზე სარგებლიანი, რადგანაც მან სამედიცინო განათლება გაიღრმავა.[1] ტიფლისში დარჩენა მხოლოდ ერთი დღით გვქონდა გადაწყვეტილი, რადგან მე ძლიერი შთაბეჭდილებების ქვეშ რამდენიმე დღე

---

[1] See Jackson, Persia, 55-56.

დავყავი იქ 1903 წელს და ამის შესახებ დავწერე კიდეც.[1]
[*]

ქალაქი წყნარად გამოიყურებოდა, როდესაც ის პირველად ვნახე, ხოლო მას შემდეგ მან გადაიტანა ხშირი დაპირისპირებები და ბრბოთა არეულობები; ახლაც კი მეგობრები მაფრთხილებდნენ, გავცლოდი ყველა თავშეყრის ადგილს. საბედნიეროდ, ჩვენ არ შეგვხვედრია უსიამოვნო შემთხვევები. ვისიამოვნეთ მთელი დღე ბაზარში ხეტიალით. ხელახლა ვესტუმრეთ კავკასიის მუზეუმს და დავათვალიერეთ სხვადასხვა საინტერესო ადგილები ამ აყვავებულ, სხვადასხვა ეროვნებებით სავსე ქალაქში. საკმარისი დრო გვქონდა და საღამოს ფუნიკულიორის საბაგირო გზას გავუყევით წმინდა დავითის გორაკისაკენ[76], საიდანაც გადმოვხედეთ ქალაქს და საბოლოოდ ვისიამოვნეთ მშვენიერი ხედით, ვიდრე ბაქოსკენ მიმავალ გზას შევუდგებოდით. ერთდღიანი მგზავრობის შემდეგ მატარებელი შევიდა ბაქოს მშვენიერ სადგურში, რომელშიც უკვე მეოთხედ ვიმყოფებოდი. მე ყოველთვის ვთვლი, რომ ნამდვილი მოგზაურობა სპარსეთისაკენ სწორედ რომ კასპიის ზღვით იწყება. მომდევნო ორ თავში მოგაწვდით მის სანაპიროზე არსებული სავაჭრო ურთიერთობების სრულ აღწერილობას.

[1] See my Persia, 8-15.

[*] ავტორი გულისხმობს 1906 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ წიგნს: „სპარსეთი: წარსული და აწმყო“.

## შენიშვნები:

[1] **პართია (პართიის სამეფო)** (ბერძნ. Παρθία) – ძველი სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა ქრ. შ. 247 წელს კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელი თურქმენეთის ტერიტორიაზე. სახელმწიფოს მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ პართელები, სპარსელები, სომხები, ქურთები და სხვ.

[2] **მიდია** (ძვ. ბერძნ. Μῆδοι) – ძველი სახელმწიფო და ძველი ეთნოგრაფიული მხარე ირანის დასავლეთით – მდინარე არაქსიდან ფარსის საზღვრებამდე, სამხრეთით ზაგროსის მთიანეთიდან დასავლეთით დეშთე-ქევირის უდაბნომდე. მიდიელთა ირანულენოვანი ტომები ისტორიისთვის ძვ. წ. IX საუკუნიდან არიან ცნობილნი, როდესაც ისინი შუა აზიიდან (სხვა ვერსიით, კასპიისპირა ჩრდილოეთ კავკასიიდან) ირანში გადასახლდნენ.

[3] **ელამიტები** - ელამი – ძველი სახელმწიფო სპარსეთის ყურის აღმოსავლეთ ნაპირზე, თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე. არსებობდა IV - III ათასწლეულებში. დედაქალაქი სუსა.

[4] **შუამდინარეთი, მესოპოტამია** – რეგიონი ახლო აღმოსავლეთში, მოიცავს ტერიტორიას ტიგროსსა და ევფრატს შორის. შუამდინარეთი თითქმის მთლიანად მოიცავდა დღევანდელ ერაყს და სირიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, აგრეთვე ირანისა და თურქეთის მცირე ტერიტორიას.

[5] **იუდეა** (ებრ. იეჰუდა; ებრ. ერეც–იეხუდა, „იეჰუდას მიწა“) – ისრაელის მიწის ფართო ისტორიული ოლქი სამარიიდან (შომრონი) სამხრეთით მდებარეობს.

[6] **კაპადოკია** (ბერძნ. Καππαδοκία, „ლამაზი ცხენების ქვეყანა“) – აღმოსავლეთ მცირე აზიაში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ოლქის სახელწოდება.

[7] **პონტო - პონტოს სამეფო** – ელინისტური სამეფო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ძირითადად დასახლებული იყო კაპადოკიელებით.
[8] **ვახტანგ გორგასალი** – (დ. დაახლ. V საუკუნის 40-იანი წლები – გ. 502) — ქართლის მეფე, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე და სარდალი.
[9] **იბნ ჰაუკალი** - X ს. არაბი გეოგრაფი
[10] **თემურ ლენგი,** ტამერლანი (1336-1405) – შუააზიელი მხედართმთავარი, ემირი (1370-1405), გათურქებული მონღოლური ტომის ბეგის თარაღაის შვილი. თემურ ლენგის ლაშქრობები გამოირჩეოდა სისასტიკით. იგი რვაჯერ შემოესია საქართველოს, რითაც უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის შემდგომ განვითარებას.
[11] **1801 წელი** – რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რიგითი გუბერნიის სტატუსით მათი შეერთება
[12] **აჯანყებები** – რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ანექსიის შემდეგ პერმანენტულად ხდებოდა ანტირუსული აჯანყებები. მაგალითად, 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, 1810 წლის იმერეთის აჯანყება, 1812 წლის კახეთის აჯანყება, 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყება, 1832 წლის შეთქმულება, 1841 წლის გურიის აჯანყება და სხვ.
[13] **ტერასა** - ტერასა [ფრანგ. terrasse] – 1. საცხოვრებელ სახლს მიშენებული აივანი, რომელსაც აქვს ბოძებზე დაყრდნობილი სახურავი. 2. ტერასები - ფერდობზე კიბე-კიბე გაჩენილი ან გაკეთებული ჰორიზონტალური ან ოდნავ დაქანებული ბაქნები.
[14] **მტკვარი** – ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე, რომელიც სათავეს იღებს თურქეთში. ერთვის კასპიის ზღვას აზერბაიჯანის

ტერიტორიაზე. სიგრძე 1515 კმ. საქართველოში მოქცეულია მტკვრის შუაწელის დაახლოებით 400 კმ მონაკვეთი.

[15] **ავლაბარი** – თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანი. მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს.

[16] **ალექსანდრეს ბაღი** - დღევანდელი 9 აპრილის (ზედა) და გოგლა ლეონიძის (ქვედა) ბაღები

[17] **გერმანული რაიონი** – ქალაქ თბილისის ჩრდილოეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე და რკინიგზის სადგურის სამხრეთით გაშლილია სუფთა გერმანული უბანი, სადაც ვიურტემბერგიდან გადმოსახლებული (1818) გერმანელების შთამომავლები სახლობენ.

[18] **ვიურტემბერგელი ემიგრანტები** – საქართველოში გერმანელთა დასახლებული პუნქტები XIX საუკუნეში წარმოიშვა. 1804 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სამხრეთ კავკასიაში ვიურტემბერგელი ემიგრანტების დასახლების გადაწყვეტილება მიიღო. 1817-1818 წლებში საქართველოში ცარიზმის ხელშეწყობით ჩამოსახლდნენ ვიურტემბერგელი გერმანელები, რომლებმაც აღმოსავლეთ საქართველოში შექმნეს რამდენიმე კოლონია.

[19] **კავკასიის მუზეუმი** - მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი კერა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1852-1919 წლებში. კავკასიის მუზეუმი, როგორც კომპლექსური სამხარეთმცოდნეო დაწესებულება, დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან (რგსკგ) მწერალ ვლადიმერ სოლოგუბის ინიციატივით. მის შექმნაში მონაწილეობდნენ რუსი და ქართველი მოღვაწეები (ადოლფ ბერჟე, ი. ბარტოლომეი, ნიკოლოზ ხანიკოვი, ალექსანდრე ნიკოლაი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გ. ერისთავი, რაფიელ ერისთავი და სხვა). 1853 წლის დამდეგს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ აირჩია

კავკასიის მუზეუმის დირექცია (დირექციის თავმჯდომარე ა. ნიკოლაი, ერთ-ერთი დირექტორი ვ. სოლოგუბი, ზედამხედველი ა. ბერჟე).

[20] **გუსტავ რადე** (1831-1903) — რუსი (წარმოშობით გერმანელი) ბუნებისმეტყველი, მოგზაური, გეოგრაფი, ნატურალისტი და ეთნოგრაფი. იყო კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი. შეაგროვა დიდძალი ზოოლოგიური, ბოტანიკური, ეთნოგრაფიული ხასიათის კოლექციები.

[21] **ფუტი** - სიგრძის ინგლისური საზომი; უდრის 12 დუიმს (ე. ი. 30,5 სმ-ს).

[22]**ტაქსიდერმისტი** - ტაქსიდერმიის სპეციალისტი. (ტაქსიდერმია [ბერძ. taxis მოწყობილობა და derma კანი, ტყავი] - ცხოველთა ფიტულების დამზადება).

[23] **ბოტანიკური ბაღი** - თბილისის ბოტანიკური ბაღი, ყოფილი სამეფო ბაღი, სოლოლაკის ქედის სამხრეთით, მდინარე წავკისისწყლის (ლეღვთახევის) ხეობაში მდებარეობს. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ ბაღი სახელმწიფო საკუთრება გახდა. 1845 წელს მას ბოტანიკური ბაღი ეწოდა.

[24] **თათრების მეიდანი** - თათრის მოედანი. „თათრის მოედანი" ეწოდებოდა დღევანდელი გორგასლის მოედნის ადგილას მდებარე თბილისის ერთ-ერთ უძველეს მოედანს. ვახუშტი ბაგრატიონი მას „ციხის მოედანს", ხოლო ჟან სარდენი „სამხედრო მოედანს" უწოდებდა.

[25] **იეზიდები** – ეთნიკური ქურთების მცირერიცხოვანი რელიგიური განშტოება, რომლის მიმდევრები ძირითადად ჩრდილოეთ ერაყსა და თურქეთში ცხოვრობენ, შედარებით მცირერიცხოვანი თემები სომხეთში, საქართველოში, აგრეთვე ირანში, სირიასა და უკრაინაში. იეზიდები ერთ ღმერთს

აღიარებენ და თაყვანს სცემენ მთავარანგელოზ მალაქ-ტაუსს, რომელიც ფარშევანგის სახით ჰყავთ წარმოდგენილი.

26 **ზოროასტრიზმი** – (ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობა, ატროშანი, მაზდეანობა), ერთ დროს სასანიდური სპარსეთის ოფიციალური რელიგია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სპარსეთის აქამენიდთა და პართთა იმპერიებში. რელიგია ასევე ცნობილია, როგორც ზარათუსტრიანიზმი.

27 **ჯონ ლარსონი** – არ იძებნება.

28 **ქურთისტანი** (თარგმანში: ქურთების მიწა) – ეთნოგეოგრაფიული რეგიონი ევრაზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომლის ფარგლებში ქურთები მოსახლეობის აბსოლუტურ ან შედარებით უმრავლესობას წარმოადგენენ. ისტორიულად მდებარეობს ყოფილი ჰურიტების სამეფოების ტერიტორიაზე (ქურთები წარმოშობით ჰურიტებისგან არიან).

29 **მუჰამედი** - მაჰმადი, (570/571-632), ისლამის დამაარსებელი, რელიგიური მქადაგებელი და პოლიტიკური მოღვაწე. მუსლიმანური ტრადიციისა და ყურანის მიხედვით, ალაჰის უკანასკნელი მოციქული, წინასწარმეტყველი.

30 **ჰუსეინი** - წინასწარმეტყველ მუჰამედის შვილიშვილი. იაზიდ იბნ მუავიას ბრძანებით მოკლეს მუჰამედის შვილიშვილი იმამ ჰუსეინი, რამაც ბიძგი მისცა სუნიტებსა და შიიტებს შორის განხეთქილების წარმოშობას.

31 **ერევანი** – სომხეთის დედაქალაქი და უდიდესი ქალაქი. მდებარეობს მდინარე რაზდანზე.

32 **როსტომი** - ქართველი გიდი, რომელიც მეორე მოგზაურობის დროსაც თან ახლდა აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯეკსონს.

33 **რუსტამი** - შესაძლებელია აქ ავტორი გულისხმობს სპარსული ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლის „შაჰნამეს“ ცნობილ გმირს – რუსტამს. „შაჰნამე“ ირანელ მეფეთა ისტორიული ქრონიკების, ეპიკური თხზულებების, მითოლოგიური გადმოცემებისა და ლეგენდების კრებულია. მისი

ავტორია სპარსული პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი ფირდოუსი.

[34] **არარატის მთა** - არარატი – ვულკანური მასივი მდინარე არაქსის შუაწელში (მარჯვენა ნაპირზე), თურქეთში, სომხეთის საზღვრის მახლობლად. ბიბლიის მიხედვით არარატის მთაზე გაჩერდა ნოეს კიდობანი.

[35] **ბოსფორი** – შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე, რომელიც აზიურ და ევროპულ ნაწილებად ყოფს სტამბოლს.

[36] **სტამბოლი** – ძველი კონსტანტინოპოლი, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქი.

[37] **გალათა** – კონსტანტინოპოლის გარეუბანი, ოქროს რქის ყურის ჩრდ. ნაპირზე. მოგვიანებით ის სტამბოლის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო ცენტრი გახდა.

[38] **პერა** J არ იძებნება.

[39] **სკუტარი** J არ იძებნება.

[40] **სულთანი აბდ ალ-მაჯიდი** – (დაიბ. 1823 წლის 23 აპრილს, გარდ. 1861 წლის 25 ივნისს). იყო ოსმალეთის ოცდამეთერთმეტე სულთანი, მაჰმუდ II მემკვიდრე. მის სახელს არაერთი რეფორმა უკავშირდება. მან საფუძველი ჩაუყარა ოსმალეთის იმპერიის მოდერნიზაციას, რითაც ოსმალეთი მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახს.

[41] **„დოლმა ბახჩე“** – თურქი სულთნების სასახლე სტამბოლში, ბოსფორის ევროპულ მხარეს. აგებულია 1842-53 წლებში აბდულ-მეჯიდ I-ისთვის.

[42] **ჩირაგანი (Cheraghan)** – არ იძებნება.

[43] **სულთანი აბდ ალ-აზიზი** – (9/18 თებერვალი 1830–4 ივნისი 1876), ოსმალეთის იმპერიის ოცდამეთორმეტე სულთანი. იგი იმპერიას მართავდა 1861 წლიდან 1876 წლამდე. ის იყო სულთან მაჰმუდ მეორის ვაჟი. ტახტი გადაეცა მისი ძმისგან – აბდულმაჯიდ პირველისაგან 1861 წელს. მისი ყველაზე დიდი

მიღწევა იყო ოსმალეთის საზღვაო ფლოტის მოდერნიზაცია. მან ააშენა პირველი რკინიგზა. მის სახელს სხვა კულტურულ ღონისძიებებთან ერთად უკავშირდება სტამბოლოს არქეოლოგიური მუზეუმის დაარსება.

44 **ილდიზ კიოსკი** (Yildiz Kiosk) – თურქეთის სულთნების სასახლე სტამბოლში.

45 **სულთანი აბდ ალ-ჰამიდი მეორე** – (დაიბ. 21/22 სექტემბერი, 1842 – გარდ. 10 თებერვალი, 1918) — ოტომანთა იმპერიის 34-ე სულთანი. მისი მმართველობა დაემთხვა იმპერიის დაცემის ხანას, ის მმართველობდა 31 აგვისტო 1876 წლიდან მის გადაყენებამდე, 27 აპრილი 1909 წლამდე. აბდულ-ჰამიდ II იყო უკანასკნელი ოტომანი სულთანი რომელიც მართავდა აბსოლუტური ძალაუფლებით, 1909 წელს ის შეცვალა მეჰმედ V -მ.

46 **1908 წლის რევოლუცია** – ახალგაზრდა თურქების რევოლუცია — თურქეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელმაც დაამხო სულთან აბდულჰამიდ II-ის დესპოტური რეჟიმი ოსმალეთის იმპერიაში და აღადგინა 1876 წლის კონსტიტუცია.

47 **ოლიმპო** – (ბერძნ. Ὄλυμπος) — უმაღლესი მთათა მასივი საბერძნეთში (2917 მ), ეროვნული პარკი. ძველბერძნულ მითოლოგიაში ოლიმპო ღმერთების სამყოფელი უწმინდესი მთა იყო. მასივი მდებარეობს თესალიასა და მაკედონიას (საბერძნეთის რეგიონი) საზღვარზე, საბერძნეთის სიდიდით მეორე ქალაქ სალონიკიდან დაახლოებით 100 კილომეტრში.

48 **ზევსი** – (ძვ. ბერძნ. Ζεύς) — ძველბერძნულ მითოლოგიაში ცის, ელვისა და ქუხილის ღმერთი, რომელიც მთელ მსოფლიოს განაგებდა. ოლიმპიელების მეთაური, ტიტანების, კრონოსისა და რეას მესამე შვილი.

49 **იო** – (ბერძნ. Ἰώ) — ბერძნულ მითოლოგიაში ინაქისა, ძველი არგოსის მეფე და ამავე დროს მდინარის ღმერთი.

[50] **გოთები** J ჩამოყალიბდნენ სკანდინავიაში. დაახლოებით 230 წელს, გუთები ჩამოვიდნენ შავიზღვისპირეთში. როდესაც გუთებს პირველად რომაელები შეეჯახნენ, გოთები ორ შტოდ გაიყვნენ. (ოსტგუთები და ვესტგუთები).
[51] **ჰეროდოტე** J „ისტორიის მამად“ წოდებული ძველი ბერძენი ისტორიკოსი, მოღვაწეობდა ძვ. წ. აღ. V საუკუნეში.
[52] **დარიოს დიდი** J აქემენიდური ირანის მეფე, ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე, მოღვაწეობდა ძვ.წ. აღ. დაახ. ძვ. წ. 380 - 330 წ. წ.
[53] **იაზონი** J მითიური გმირი, არგონავტების მითის მიხედვით სწორედ ის ჩამოვიდა საქართველოში სხვა ბერძენ ზღვაოსნებთან ერთად ოქროს საწმისის წასაღებად.
[54] **არგონავტები** J ბერძნულ მითოლოგიაში გმირთა ჯგუფი, რომელთაც ტროას ომამდე იასონთან ერთად კოლხეთში იმოგზაურეს ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.
[55] **ევქსინი (Euxin)** – იგივე ევქსინის პონტო, შავი ზღვის ძველი სახელწოდება.
[56] **იალტა** – ქალაქი ყირიმში, სამხრეთ უკრაინა, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე. ქალაქი მდებარეობს ძველი ბერძნული კოლონიის ნამოსახლარზე.
[57] **ფეოდოსია** J ყირიმის ნახევარკუნძულზე არსებული ტერიტორიული ერთეული.
[58] **მილესიანები** (Milesians) – იგივე მილესელები. ძველი ბერძენი კოლონისტები კუნძულ მილესიდან, რომლებმაც არაერთი ახალშენი დააარსეს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში.
[59] **გენუელები** — გენუელებმა ადგილას, სადაც ამჟამად სოფელი ალახაძეა, დააარსეს ფაქტორია „სანტა-სოფია“, ხოლო ბიჭვინთის კონცხზე — „პიცუნდო“. XVI საუკუნეში გენუელები და ვენეციელები შავი ზღვის სანაპიროდან ოსმალებმა განდევნეს.
[60] **გაგრა** J ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ზღვისპირა კურორტი.

[61] **რუსეთ-იაპონიის ომი** J მიმდინარეობდა 1905 წლის 27 ივლისამდე. ომი დაიწყო მანჯურიაზე და კორეაზე ბატონობისათვის.

[62] **ფაზისი** J იგივე ფასისი, თანამედროვე ფოთი, საქართველოს ერთ–ერთი უძველესი ქალაქი. იგი წარმოიქმნა მდინარე ფაზისის ქვემო წელზე მცხოვრებ უძველეს მოსახლეობათა საფუძველზე ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში.

[63] **ბათუმი** J ქალაქი საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი.

[64] **ფოთი** J უძველესი ქართული ქალაქი, ძველი ფაზისი. იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნავსადგურს, რომლის მეშვეობითაც ევროპელები საქართველოში გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზით აზიას და ინდოეთს უკავშირდებოდნენ.

[65] **სოხუმი** – ისტორიულ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ზღვისპირა ქალაქი.

[66] **დერბენტი (Derbent)** – (ძვ. ქართ. დარუბანდი) — ქალაქი დაღესტანში. მოსახლეობის მთავარი შემადგენელი ეთნიკური ჯგუფებია: ლეზგები, აზერბაიჯანელები და თაბასარანელები.

[67] **ალექსანდრე დიდი** J ალექსანდრე დიდი, მაკედონელი (ძვ. წ. 356-ძვ. წ. 323), ასევე ალექსანდრე III — მაკედონიის მეფე (ძვ. წ. 336-323), ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მხედართმთავარი ისტორიაში.

[68] **პეტრა** – ისტორიული ციხე–ქალაქი ეგრისის სამეფოში, ახლანდელი სოფელ ციხისძირის ტერიტორიაზე. ბერძნებმა მას პეტრა უწოდეს.

[69] **ბერლინის 1878 წლის ხელშეკრულება** – ბერლინის კონგრესის საბოლოო აქტი (13 ივნისი - 13 ივლისი, 1878), რომლითაც დიდმა ბრიტანეთმა, ავსტრო-უნგრეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, რუსეთმა და ოსმალეთის მთავრობამ ცვლილებები შეიტანეს იმავე წლის 3 მარტს დადებულ სან სტეფანოს ხელშეკრულებაში.

ხელშეკრულებით ამ ქვეყნებმა ცნეს რუმინეთის, სერბეთისა და მონტენეგროს სრული დამოუკიდებლობა, ასევე ბულგარეთის ავტონომია, თუმცა ეს უკანასკნელი რჩებოდა ოსმალეთის ფორმალურ ვასალად და იყოფოდა ორ სამთავროდ (ბულგარეთისა და აღმ. რუმელიის), რამაც ხელი შეუშალა "დიდი ბულგარეთის" შექმნის რუსულ გეგმას. ოსმალეთის პროვინცია ბოსნია-ჰერცეგოვინა და ყოფილი ნოვი პაზარის სანჯაკი ავსტრო-უნგრეთის ოკუპაციის ქვეშ მოექცა, თუმცა ფორმალურად ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო.

[70] **ბაქო** – აზერბაიჯანის დედაქალაქი.

[71] **მეფე თამარი** – (დ. დაახ. 1160 – გ. 1213) — საქართველოს მონარქი 1184 წლიდან, გიორგი III-ის ასული, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი. თამარს საქართველოს ოქროს ხანაში მოუწია მეფობა და უაღრესად წარმატებული მმართველი აღმოჩნდა.

[72] **ტიფლისი, თბილისი** J საქართველოს დედაქალაქი.

[73] **ქუთაისი** — საქართველოს ერთ–ერთი ყველაზე დიდი ქალაქი. მდებარეობს დასავლეთ საქართველოში.

[74] **მედეა** — მითიური პერსონაჟი. კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილი, სწორედ მისი დახმარებით მოახერხა იაზონმა კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცება.

[75] **ოქროს საწმისი** – ბერძნულ მითოლოგიაში ცხვარი ქრიზომალოსის ოქროს ტყავი.

[76] **წმინდა დავითის გორაკი** – მამადავითის მთა თბილისში (მთაწმინდა), სადაც მდებარეობს მთაწმინდის მამადავითის სახელობის ეკლესია, ეკლესიის ირგვლივ კი მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

**დამოწმებანი:**

ბარონი დე ბაი საქართველოში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლეილა მაღრაძემ, თბ., 2011.

გოგოლიშვილი ო., ფრანგები საქართველოში, კრებ: ზურაბ პაპასქირი – 60, თბ., 2013.

ვარშანიძე ნ., კახიძე ე., ბათუმის დემოგრაფიული ვითარების იმპერიული ხედვა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში და მისი თანამედროვე ანალოგიები, ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, II, ბათუმი, 2012.

თურმანიძე ო., ბათუმის მოსახლეობა XX საუკუნის 20–30–იან წლებში, ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, III ბათუმი, 2013.

იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში, ქართული თარგმანი გერმანულ ტექსტთან ერთად გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013.

ინაიშვილი ნ., ბათუმის ისტორიული ბულვარის განვითარება, ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი, 2013.

ლომოური ნ., დასავლეთ საქართველოს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962.

მიქელაძე ნ., უცხოელების თვალით დანახული ძველი ბათუმი და მისი შემოგარენი, ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, III, ბათუმი, 2012.

ჟან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, თბ., 1962.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972.

სოსიაშვილი გ., რობერტ კერ პორტერის ცნობები ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობის შესახებ, კრებ. ქუთაისური საუბრები, ქუთაისი, 2013.

სოსიაშვილი გ., რუსეთ–საქართველოს ურთიერთობა XIX საუკუნის I ნახევარში, ფრანგი მოგზაურის ბარონ დე ბაის ცნობების მიხედვით, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის მასალები, თბ., 2014.

სოსიაშვილი გ., აბრაჰამ ვალენტინ უილიამს ჯექსონის ცნობები თბილისის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 2014.

Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonie, During the 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker porter, Vol. I, London 1821;

Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonie, During the 1817, 1818, 1819 and 1820, By Sir Robert Ker porter, Vol. II, London 1822;

Travels in Russia, the Krimea, the Caucasus and Georgia, by Robert Lyul M. D. P. L. S. vol. I London 1825.

**Abraham Valentine Williams Jackson Persia Past and Present: A Book of Travel and Research**, New York, 1906.

**Abraham Valentine Williams Jackson, From Constantinople to the Home of Omar Khayyam: Travels in Transcaucasia and Northern Persia for Historic and Literary Research**, New York, 1911.

William W. Malandra, “Abraham Valentine Williams Jackson”, Encyclopedia Iranica, 2007.

http://www.iranicaonline.org/articles/jackson-abraham-valentine-williams.

Obituaries and biographical sketches. B[oris] A. B[akhmeteff], obituary in **Columbia University Quarterly**, New York, USA, 29, 1937.

The Encyclopedia Americana, 1920.

*Giorgi Sosiashvili*
*Gori State Teaching University, Professor*

# ABRAHAM VALENTINE WILLIAMS JACKSON AND HIS NOTES ABOUT GEORGIA

## RESUME

The notes by foreign travellers are very important for studying different periods of the history of Georgia totally. Foreign sources make an important base for the Georgian source studies. The beginning of the XX century is the period when the whole world experienced political and economical cataclysm, and neither Georgia was an exception. In the new century the country, having a great history, faced an important challenge. Many foreign sources have been studied around the mentioned period. We consider that an American researcher and traveller Abraham Valentine Williams Jackson should be paid attention, who travelled in Iran and India via the Caucasus several times. He was named after his grandfather, who was an ex head of Alderman Council in New York. Jackson studied in private and public schools. In 1879 he entered the University of Columbia, and here he started his academic career. He became one of the most distinguished representatives of Iranian studies in the US. Jackson had never left the University of Columbia except the period, when he travelled in foreign countries. As we have already mentioned the most part of Abraham Valentine Williams Jackson's books consists of the notes about Georgia. In one of his books "Persia Past and Present" he writes about Georgia, namely about Tbilisi. In the introduction of the book there is given a route of Abraham Valentine Williams Jackson. From New York the American scientist went to Berlin, where he met his teacher professor Karl Friedrich Geldner. From here Jackson left from Saint Petersburg. His former student Montgomery Schuyler Junior helped him. He worked as a secretary at the Embassy of the

US. From Saint Petersburg Jackson went to Moscow, where he stayed for some period. It should be mentioned that Jackson had an official recommendation from Washington, that’s why he was warmly welcomed everywhere. From Moscow he went to Vladikavkaz by train. From here he left for Baku, then he went to Tbilisi. He describes Tbilisi, its population, dressing style. Especially he writes about Yazidis living in Tbilisi and describes their religion. During his travels the Georgian guide Rostom accompanied him. In his book “From Constantinople to the Home of Omar Khayyam” the second chapter “From the Black Sea to the Caspian Sea” there is an important information about Georgia. During travelling Jackson used ancient sources, works by modern authors and also the notes by preceding travellers to describe any particular country with its history and population. During travelling he used to take photos. As he mentions, sometimes he used to take with his own or his friend’s camera living in Iran. While being in Batumi he took some photos which are shown in the mentioned book. These photos make alive one of the largest seaports in Georgia in the 10s of the XX century. The University of Columbia financed all the expenses of Jackson’s travelling in the East. After that he had always expressed great gratitude towards the University president Nickolas Murray Butler. During his travelling in the East the researcher was supported indifferent ways (among them with equipment): high rank society members from Washington, Tehran, Saint Petersburg. From New York Jackson came to Europe and spent a day in Paris. He had a wish to go from Paris to Constantinople and to go to Asia crossing the Caucasus via the Black Sea. As the researcher mentions, during his previous travelling he went to the Caspian basin via Russia. From Paris Jackson went to Constantinople where he stayed for some days. He described the capital of the ancient Byzantium in details and travelled to the North Black Sea basin with the Russian ship. Jackson

visited Yalta, Feodosiya. Then went to Gagra. We should say that he mentions Gagra as the favourite resort for Russians. From here the American Traveller went to Batumi and stayed there for some days. From Batumi he travelled to Tbilisi by train. He stayed in Tbilisi only for one day. In the capital of Georgia he was in 1903 too and stayed for some days. Jackson visited the sites of the city during his second visit too and described it in his story. From Tbilisi Jackson travelled to Baku by train. In Jackson's story there is not much information about Georgia, but there are very interesting notes about the territories in the Black Sea basin and about the capital of Georgia as well. As we have mentioned, the traveller mentions Gagra as the favourite resort for Russians. Also he had quite much information about Poti too. He writes that Poti was a trade centre and played a great role in the whole East until Batumi changed it. Jackson seems to have been acquainted with many sources about the historical Caucasian trade road, as he talks about it in details and underlines some facts. In his story Batumi is described in details, he considers that its development and being a seaport city was the interest of Russia. He shortly surveys history of the city. Underlines the Berlin Contract in 1878, according to which Batumi was taken in hand of Russia. He considers that the city began development from this period. He describes the city and its population: Russians, Armenians, Greeks, who live in the east part, but the Muslim part – Turkish, Tatars and Iranians lived in the west. He thought that living of people with different ethnicity and political vision caused permanent chaos. During one of the chaotic situation in 1909 an American consul died. The oil-pipe-line made Batumi functional city, from which the seaport city got oil from Baku with six hundred long pipe. Batumi was a perspective city for the capital investment. While describing the surrounding of Batumi he writes about the Queen Tamar's Palace. As we have mentioned, from Batumi

Jackson travelled to Tbilisi by train and spent a day in the Capital of Georgia. Railway road was very important for him. While being in Tbilisi he visited bazaar, Funicular, and visited Father Davit's Mountain by ropeway. Jackson also visited the Museum of Caucasus. We consider that the information about Georgia in the 10s of the XX century given by the American scientist and traveller Abraham Valentine Williams Jackson will greatly enrich our knowledge about the history of Georgia.

***Гиви Гамбашидзе***
*Музей истории евреев Грузии*

# Надпись «Патриарха Востока Мелкизедека» из грузино-ингушского христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия)

Лапидарные и строительно-керамические письменные памятники церковной архитектуры – органический компонент этих строений и, наряду со значимостью самих письменных памятников, представляют интерес с точки зрения освещения истории тех памятников, откуда они происходят.

Христианский храм Ткобя-Ерда (илл. 1), выделяющийся как своими историко-культурными и архитектурно-декоративными аспектами на Северном Кавказе, так и с точки зрения исторических взаимоотношений средневековой Грузии и Ингушетии, заслуживает внимания и в том отношении, что из этого храма происходят надписи, относящиеся к трем иерархам грузинской церкви: епископа Гиорги (X век), католикоса Арсена II (955-980 гг.) и католикоса-патриарха Грузии Мелкиседека I (1010-1033 гг.).

Поскольку ранее нами опубликованы надписи епископа Гиорги (илл. 3-6.)[1] и католикоса Арсена II

---

[1] Гамбашидзе Г., К вопросу о культурно-исторических связях средневековой Грузии с народами Северного Кавказа, Тбилиси, 1977, 9; Гамбашидзе Г., Три лапидарные надписи епископа Георгия (X в.) из христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия). Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа», Тбилиси, 2004, 47-48; Гамбашидзе Г.Г., Изображение епископа Георгия (X в.) из храма Ткобя-Ерда (Ингушетия).

(обнаруженные нами на плоских и желобчатых черепицах во время археологических раскопок 1969-1970 гг.) (илл. 7-9)[1], в данной статье остановимся на надписи католикоса-патриарха Грузии Мелкиседека I [2].

На надпись в поле декоративной арки западного фасада храма обратили внимание Штедер в 1781 г. (6: 734), М. Энгельгардт – в 1811 г., который скопировал надписи и посчитал, что они выполнены на грузинском языке[3].

В связи с изучением древностей из храма Ткобя-Ерда, в том числе, надписей, значителен вклад Вс. Миллера и особенно – зарисовка рельефной композиции западного фасада храма (относящегося ко времени поздней реконструкции), где возвеличивающая Мелкиседека I мемориальная лапидарная надпись была встроена в повернутом виде (илл. 2, 10).[4] Важно и то, что им опубликованы копии надписей, сделанные ок. 1870 г. известным грузинским знатоком древностей Д. Бакрадзе

---

Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа», Баку, 2009, 246-250.

[1] Гамбашидзе Г., К вопросу о культурно-исторических связях средневековой Грузии с народами Северного Кавказа, 9; 4. Гамбашидзе Г.Г., Строительно-керамическая надпись «Арсении М» из христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия). Сб. «Археологические памятники феодальной Грузии», VI, Тбилиси, 1998 (на груз. яз. с русским резюме), 89-108.

[2] Гамбашидзе Г., К вопросу о культурно-исторических связях средневековой Грузии с народами Северного Кавказа, 9; 5. Гамбашидзе Гиви, Лапидарная надпись католикоса-патриарха Грузии XI века Мелкиседека I из христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия), научная сессия: «Культурно-исторические процессы мира и Грузия», Тезисы докладов, Тбилиси, 1993 (на груз. яз.), 46-47.

[3] M. Engelhardt und Parrot. Reise in die Krym und den Caucasus, Berlin, 1815, 237-241; Чубинашвили Г.Н., Ткоба-иерди (к вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии), «Вопросы истории искусства», т. II, Тбилиси, 2002, 155.

[4] Материалы по археологии Кавказа, вып. I, Москва, 1888, 8-21, таб. I, с. 19 – рис. 30.

(который, следует отметить, сам сомневался в правильной передаче надписей)[1]. Прочтение данной надписи Д.Бакрадзе (илл. 11):

«Христе, прослави
строителя (хра)ма
сего) патрона Да-
вида (Эристова?
Асского?)»

Прочитанное в этой надписи Д. Бакрадзе имя Давида впоследствии вызвало его идентификацию с царем Грузии Давидом IV Строителем (1089-1125 гг.), что, со своей стороны, повлияло на датировку храма XII веком некоторыми авторами.

Несколько иначе читал эти надписи (надписи №1 и №2 по Вс. Миллеру, перенесенные в начале XX века из храма Ткобя-Ерда во Владикавказский музей) А. Шанидзе, который считал, что они не древнее XII века. В этой информации, дошедшей до нас от Л. Семенова [2], не приведены ни копии надписей, ни их прочтения и, как отметил Г. Чубинашвили[3], их копии не обнаружил у себя и А. Шанидзе.

Касаясь истории вопроса, важно отметить, что на основе ознакомления с фотографиями присланных в 1909 г. из Владикавказа Я. Медведевым Э. Такаишвили, в рассматриваемой надписи Э. Такаишвили впервые прочитал: «Патриарх Востока … Кизед (?)» (илл. 12).[4]

---

[1] Материалы по археологии Кавказа, вып. I, 19.

[2] Л. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1928 и 1929 гг. Известия ИИК, II- III, Владикавказ, 1930, 385.

[3] Чубинашвили Г.Н., Ткоба-иерди (к вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии), 156.

[4] Чубинашвили Г.Н., Ткоба-иерди (к вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии), 156.

Г. Чубинашвили с некоторой вероятностью читал в этой надписи: «Х.Возвеличь патриарха Востока Мельхиседека, аминь» (илл. 13).[1] Что касается датировки, он связал их с рельефами в арке западного фасада, т.е. датировал рубежом X-XI веков, отмечая при этом, что прямых показателей против отнесения их к XII-XIII векам привести не может[2]. Основываясь на палеографии буквы «А» и находя параллели в памятниках чеканки и рукописей, Р. Шмерлинг относила эту надпись к началу XI века, с чем соглашался и Л. Мусхелишвили, предлагая, к тому же, считать «патриархом Востока Мелкиседека» известного грузинского церковного деятеля первой трети XI века католикоса Мелкиседека I[3].

Вышеупомянутая надпись, изученная и скопированная нами (илл. 14, 15) в Грозненском краеведческом музее (Чеченская республика, РФ) в 1969 г., исполнена на четырехугольном песчанике (разм.: 50 х 42 х 12 см); по всей плите неглубоко высечен древнегрузинским шрифтом «асомтаврули» текст (размер букв: ≈ 7 х 5 см) в пять строк:

1. Kead
2. aɤmsvI
3. sa Ṗ ṭ rk
4. mkizeḳ
5. a n

с раскрытием титлов и в переводе:

---

[1] Чубинашвили Г.Н., Ткоба-иерди (к вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии), 156.

[2] Чубинашвили Г.Н., Ткоба-иерди (к вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии), 156.

[3] Чубинашвили Г.Н., Ткоба-иерди (к вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии), 156.

**«Христе, возвеличь патриарха Востока Мелкизедека, амень»**

Отметим, что В. Силогава к расшифрованному нами тексту добавляет слово «всего» перед словом «Востока»[1].

Из палеографических данных отметим: двухлинейность письма, неразделенность слов и неприменение разделительных знаков и титлов; вместе с вышеотмеченными датирующими данными особо отметим очертания букв «», «», «», находящие параллели в памятниках грузинской эпиграфики X-XI вв.[2]

Вслед за Л. Мусхелишвили, мы уверены, что в этой мемориальной надписи упоминается известный иерарх грузинской православной церкви Мелкиседек I (1010-1033 гг.).

Представляет интерес упоминание как «Патриарха Востока» – католикоса-патриарха Мелкиседека I [3], одного

---

[1] Силогава В., Патриарх Грузии X века (Пархальская надпись). «Ошки», Тбилиси, 2006 (на груз. яз.), 165.

[2] Чубинашвили Г.Н., Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959, илл. 44, 129, 137, 145, 182; Р. Шмерлинг, Церковь в сел. Дарквети, Ars Georjika, №6, 1963, 189, рис. 4; Шошиашвили Н., Корпус грузинских надписей, Тбилиси, 1980 (на груз. яз.), 28-29.

[3] Так Мелкиседек I упоминается им самим – см. «Памятники грузинского права», т. III, Тбилиси, 1970, с. 19 (на груз. яз.). Отметим, что в том же документе в подтверждениях царя Баграта III и последующих иерархов церкви Мелкиседек I упоминается как «Католикос Картли» (см. там же, с. 25-26); так же «Католикосом Картли» он именуется в надписи вновь построенном им кафедральном соборе Светицховели (1010-1029 гг.) (см. Вахтанг Беридзе, Древнегрузинская архитектура, Тбилиси, 1974, с. 55, на груз. яз.), а также: в надписи Хоренийской церкви 1029 г. (см.: Н. Бердзенишвили, Дневник Джавахетской экспедиции 1933 г. «Вопросы истории Грузии», кн. I, Тбилиси, 1964, с. 106, на груз. яз.), в надписи церкви Каурме (там же, с. 75), в надписи церкви села Саджа (Дманисскмй район) (информация докт. ист. наук, директора Центра культуры Дманиси Джумбера Копалиани – за что приносим ему благодарность).

из патриархов тогдашнего христианского мира, в лапидарной надписи храма Ткобя-Ерда[1].

В связи с именованием Мелкиседека I «Патриархом Востока» отметим, что уже глава грузинской церкви Иоане (980-1001 гг.) упоминается как «патриарх Картли и Всего Востока», вместе с Давидом Куропалатом, основоположником объединения Грузии, в надписи Пархальской трехнефной базилики (961-973 гг.; в исторической Тао – в сегодняшней Турции)[2] ; «Патриархом Всего Востока» именует иерарха грузинской церкви и участник Феррарско-Флорентийского («Вселенского») собора 1437-1439 гг. эклесиарх константинопольской церкви Сирополус[3].

В связи с этим термином отметим также, что в титулатуре грузинских царей Багратионов той эпохи (X-XI вв.) к происходящему из номенклатуры византийского императорского двора титулу куропалата (или новелисимуса – в случае Баграта IV) добавляется: «Всего Востока» («Востока») (Давид, Баграт III, Гиорги I, Баграт IV), подразумевая под этим «Грузию» и «Всю Грузию», а также то, что «упоминание этого титула неслучайно и отражает тогдашнее видение правового положения и деятельности этих царей[4]. Примечательно, что именно в

---

[1] Об истории грузинской церкви и ее месте в православном диптихе – см.: Архиепископ Ананиа Джапаридзе. История грузинской апостольской церкви в 4-х тт., т. II, Тбилиси, 1998 (на груз. яз.), 237-245; Грузинская православная церковь. «Энциклопедический словарь Грузинской православной церкви», Тбилиси, 2002 (на груз. яз.), 813-817.

[2] Силогава В., Патриарх Грузии X века (Пархальская надпись). «Ошки», Тбилиси, 2006 (на груз. яз.), 157-167, таб. 50-54.

[3] Архиепископ Ананиа Джапаридзе. История грузинской апостольской церкви в 4-х тт., т. II, Тбилиси, 1998 (на груз. яз.), 247.

[4] Копалиани В., К вопросу о куропалате «Всего Востока», «Мацне», серия Истории, археологии, этнографии и истории искусств,

эту эпоху возникает изотеистическая (о божественном происхождении) теория происхождения царской династии Багратионов[1].

Представляется, что в мемориальной надписи, возвеличивающей Мелкиседека I, именование его «Патриархом Востока» является отражением процесса объединения Грузии – Кавказа от Черного до Каспийского моря[2] в эпоху Баграта III (978-1014 гг.) и параллельно - объединения грузинской церкви[3] в период деятельности

---

Тбилиси, 1972, №3 (на груз. яз.), 171-176. В этой связи отметим, что в греческой ктиторской надписи на иконе св. Георгия из грузинского монастыря св. Екатерины на Синае царь Багратион (по Д. Клдиашвили – Давид IV – см. Д. Клдиашвили, Синодик грузинской церкви монастыря св. Екатерины на Синае, Тбилиси, 2008, с. 54 (на груз. яз.)) упоминается как «царь Всего Востока»; Силогава В., Патриарх Грузии X века (Пархальская надпись), 166.

[1] Гамбашидзе Г., Памятники ареала грузинской культуры в странах Северного Кавказа. «Грузинский язык». Энциклопедия, Тбилиси, 2008 (на груз. яз.), 515.

[2] Сумбат Давидович. Жизнь Багратионов. «Картлис цховреба» (История Картли), т. I, Тбилиси, 1955 (на груз. яз.), 382; Ломтатидзе Г.А., Выступление на заключительном заседании сессии 14 мая 1959 г. «Материалы по археологии Дагестана», т. II, Махачкала, 1961, 293-298; Мусхелишвили Д.Л., Взгляд сквозь глубь веков. «Литературная Грузия», Тбилиси, №4-6. 2003; 23. Гамбашидзе Г., Грузинская апостольская церковь и памятники христианской религии и грузинского культурного круга в странах Северного Кавказа (к истории религиозно-культурных отношений средневековой Грузии и Северного Кавказа). «20 веков христианства в Грузии», Тбилиси, 2004, (на груз. яз. с русским резюме), 296-307.

[3] Существующие в Западной и Восточной Грузии два католикосата, церкви Северного и Восточного Кавказа, а также православные церкви Армении объединяются и создается единый патриархат (см.: Архиепископ Ананиа Джапаридзе. История грузинской апостольской церкви в 4-х тт., 213-226; Грузинская православная церковь. «Энциклопедический словарь Грузинской православной церкви», Тбилиси, 2002 (на груз. яз.), 815).

воспитанника и близкого родственника царя Баграта III - католикоса-патриарха Мелкиседека I (1010-1033 гг.).

Все это явилось отражением государственного могущества и авторитета грузинской церкви и должно рассматриваться в контексте сложных межгосударственных и конфессиональных отношений с Византийской империей, Константинопольским и Антиохийским Патриархатами и, возможно, в контексте столкновения их интересов в северокавказском пространстве[1].

## СНОСКИ И ЛИТЕРАТУРА:

Гамбашидзе Г., К вопросу о культурно-исторических связях средневековой Грузии с народами Северного Кавказа, Тбилиси, 1977.

Гамбашидзе Г., Три лапидарные надписи епископа Георгия (X в.) из христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия). Международная научная конференция

[1] До объединения Грузии в северо-западной части Северного Кавказа распространителем христианства выступает Византия (на территории исторической Алании существование подвластной Константинопольскому патриархату Аланского архиепископства, впоследствии – митрополитства) вместе с западно-грузинским царством Абхазети (особо следует отметить деятельность в этом направлении абхазского царя Гиорги II (922-957 гг.) – см. В.А.Кузнецов – «Зодчество феодальной Алании», Орджоникидзе, 1977, с. 9-25). В центральной и восточной частях Северного Кавказа – Картли и Кахети, а после объединения – центральная власть Грузии и Грузинская апостольская православная церковь ( Гамбашидзе Г., Грузинская апостольская церковь и памятники христианской религии и грузинского культурного круга в странах Северного Кавказа (к истории религиозно-культурных отношений средневековой Грузии и Северного Кавказа), 303-304).

«Археология, этнология, фольклористика Кавказа», Тбилиси, 2004.

Гамбашидзе Г.Г., Изображение епископа Георгия (X в.) из храма Ткобя-Ерда (Ингушетия). Международная научная конференция «Археология, этнология, фольклористика Кавказа», Баку, 2009.

Гамбашидзе Г.Г., Строительно-керамическая надпись «Арсении М» из христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия). Сб. «Археологические памятники феодальной Грузии», VI, Тбилиси, 1998 (на груз. яз. с русским резюме).

Гамбашидзе Г., Лапидарная надпись католикоса-патриарха Грузии XI века Мелкиседека I из христианского храма Ткобя-Ерда (Ингушетия), научная сессия: «Культурно-исторические процессы мира и Грузия», Тезисы докладов, Тбилиси, 1993 (на груз. яз.).

А. Генко, ЗКВ, V, 1930.

M. Engelhardt und Parrot. Reise in die Krym und den Caucasus, Berlin, 1815.

Чубинашвили Г.Н., Ткоба-иерди (к вопросу о культурных связях Ингушетии и Грузии), «Вопросы истории искусства», т. II, Тбилиси, 2002.

Материалы по археологии Кавказа, вып. I, Москва, 1888.

Семенов Л., Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1928 и 1929 гг. Известия ИИК, II- III, Владикавказ, 1930.

Чубинашвили Г.Н., Грузинское чеканное искусство, Тбилиси, 1959.

Шмерлинг Р., Церковь в сел. Дарквети, Ars Georjika, №6, 1963.

Шошиашвили Н., Корпус грузинских надписей, Тбилиси, 1980 (на груз. яз.).

Архиепископ Ананиа Джапаридзе, История грузинской апостольской церкви в 4-х тт., т. II, Тбилиси, 1998 (на груз. яз.).

Грузинская православная церковь. «Энциклопедический словарь Грузинской православной церкви», Тбилиси, 2002 (на груз. яз.).

Памятники грузинского права, т. III, Тбилиси, 1970, (на груз. яз.).

Беридзе В., Древнегрузинская архитектура, Тбилиси, 1974, (на груз. яз.).

Бердзенишвили Н., Дневник Джавахетской экспедиции 1933 г. «Вопросы истории Грузии», кн. I, Тбилиси, 1964, (на груз. яз.).

Силогава В., Патриарх Грузии X века (Пархальская надпись). «Ошки», Тбилиси, 2006 (на груз. яз.).

Копалиани В., К вопросу о куропалате «Всего Востока», «Мацне», серия Истории, археологии, этнографии и истории искусств, Тбилиси, 1972, №3 (на груз. яз.).

Клдиашвили Д., Синодик грузинской церкви монастыря св. Екатерины на Синае, Тбилиси, 2008, (на груз. яз.).

Гамбашидзе Г., Памятники ареала грузинской культуры в странах Северного Кавказа. «Грузинский язык». Энциклопедия, Тбилиси, 2008 (на груз. яз.).

Сумбат Давидович. Жизнь Багратионов. «Картлис цховреба» (История Картли), т. I, Тбилиси, 1955 (на груз. яз.).

Ломтатидзе Г.А., Выступление на заключительном заседании сессии 14 мая 1959 г. «Материалы по археологии Дагестана», т. II, Махачкала, 1961.

Мусхелишвили Д.Л., Взгляд сквозь глубь веков. «Литературная Грузия», Тбилиси, №4-6. 2003.

Гамбашидзе Г., Грузинская апостольская церковь и памятники христианской религии и грузинского культурного круга в странах Северного Кавказа (к истории религиозно-культурных отношений средневековой Грузии и Северного Кавказа). «20 веков христианства в Грузии», Тбилиси, 2004, с. 296-307 (на груз. яз. с русским резюме).

Кузнецов В.А., «Зодчество феодальной Алании», Орджоникидзе, 1977.

***Givi Gambashidze***

*Museum of Jewish History of Georgia*

**INSCRIPTION FROM THE CHURCH TKOBIA-YERDA (INGUSHETIA) OF "PATRIARCH OF ORIENT MELKIZEDEK"**

(Annotation)

ნაწილს არ სწამდა, რომ რუსეთის თუნდაც განახლებული ხელისუფლება, – ,,რუსის დემოკრატია“ და მისი დამფუძნებელი კრება გადაჭრიდა საქართველოს თავისუფლების პრობლემას. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატი დავით ვაჩნაძე სკეპტიკურად უყურებდა ამ შესძლებლობას და წერდა: ,,ჩვენ არა გვწამს, რომ ერთს მშვენიერ დღეს ჩრდილოელი მეზობელი მოვა და კეთილი სამარიტელივით მალამოს დასდებს ყველა ჩვენს ჭრილობას.“[1] ,,საქართველოს ტერიტორიულ ავტონომიის საკითხი არა მოწყალების საკითხია, არამედ პირდაპირი იურიდიული ხასიათის მოთხოვნაა“ – მიუთითებდა გაზეთი ,,ჩვენი ქვეყანა“ და დასძენდა: ,,ამ მოთხოვნით საერთაშორისო კონგრესზე უნდა წარვსდგეთ, იქ უნდა ვიომოთ მთელის ძალღონით, ბრძოლის ფუძედ კი გვექნება 1783 წლის ხელშეკრულება.“[2]

---

[1] გაზ. ,,საქართველო”, 1917 წ., 21 სექტემბერი.

[2] გაზ. ,,ჩვენი ქვეყანა“, 1917 წ., 30 მაისი.

რუსეთის მრავალეროვნული სახელმწიფოსათვის დიდი გამოწვევა იყო ერთაშორისი ურთიერთობების პრობლემა, რომელიც ახალ, რევოლუციურ ხელისუფლებას წინამორბედისაგან მემკვიდრეობით გადაეცა. სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა დროებით მთავრობას არ შეუცვლია, რუსეთი კვლავ უნიტარულ სახელმწიფოდ რჩებოდა, მაგრამ აღინიშნებოდა ხელისუფლების დეკონცენტრაცია - ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციათა და კომპეტენციის ნაწილი რეგიონარულ ორგანოებს გადაეცემოდა.[1]

ცნობილია, რომ 1917 წლის 1 სექტემბერს დროებითმა მთავრობამ რუსეთი რესპუბლიკად გამოაცხადა, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, იქნებოდა ეს რესპუბლიკა უნიტარული თუ ფედერაციული. მანამდე, დროებით მთავრობასთან არსებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც მომავალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება ევალებოდა, მოამზადა მისი მუხლების მონახაზი ავტონომიის (ფედერაციის) შესახებ. ხაზს უსვამდა რა სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და განუყოფლობის პრინციპს, პროექტი ფინეთისათვის რუსეთის შემადგენლობაში განსაკუთრეებულ სტატუსს ითვალისწინებდა, ასევე დასაშვებად მიაჩნდა საოლქო ავტონომიები, მაგრამ არაფერს ამბობდა ავტონომიის უფლებაზე ეროვნული ნიშნით, დოკუმენტში სიტყვაც არაა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის თაობაზე და უგულვებელყოფილია ერთა უფლების პრინციპი თვითგამორკვევის შესახებ.[2]

ეს პროექტი სრულად ასახავდა რუსეთის იმდროინდელი მთავარი პოლიტიკური ძალის, კადეტთა პარტიის მსოფლმხედ-

---

[1] Хованских А.Ю., Закрепление принципа федерализма в период Временного правительства, март-октябрь 1917 года. http://www.superinf.ru/view_helpstud.php?id=3192

[2] Воронов С.Н., Национальный вопрос и временное правительство http://etnokonf.astrobl.ru/document/1512 ასევე, Хованских А.Ю. Закрепление принципа федерализма в период Временного правительства, март-октябрь 1917 года.

ველობას და პროგრამულ დებულებებს. კადეტებს შეუძლებლად მიაჩნდათ რუსეთის მოსახლეობისათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭება ნაციონალური ნიშნით.

დროებითი მთავრობა არ ჩქარობდა, მისი პოლიტიკა ეროვნულ საკითხში არათანმიმდევრული, წინააღმდეგობრივი და გაუბედავი იყო. რუსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი მთავრობა კვლავინდებურად დამფუძნებელი კრების პრეროგატივად მიიჩნევდა. ამ ფონზე ნაციონალური ელიტების მოთხოვნები იზრდებოდა და ფართოვდებოდა.

არარუსი ხალხები თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ფედერაციულ გარდაქმნას მოელოდნენ, რასაც თვალნათლივ ცხადყოფს ამ ხლხების ინტერესთა წარმომჩენი ძირითადი პოლიტიკური პარტიების პროგრამათა ანალიზი.[1] საგულისხმოა ისიც, რომ ზოგიერთი ხალხი მსგავს მისწრაფებას ეროვნულ თუ რელიგიურ ფორუმებზეც გამოხატავდა. კერძოდ, 1917 წლის მაისში მოსკოვში გამართულმა სრულიად რუსეთის მუსლიმთა ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკად ჩამოყალიბებას მოითხოვდა ეროვნულ-ტერიტორიულ-ფედერაციულ საწყისებზე.[2]

1917 წლის ივნისში უკრაინამ ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის შექმნა გამოაცხადა. უმაღლესი ხელისუფლება კიევში ჩამოყალიბებულ ცენტრალურ რადას დაეკისრა. რუსე-

---

[1] Анисин Ю.В., Национальные проблемы России в программах и тактике партий революционно-демократического лагеря. М., 1991; ასევე, Национальный вопрос в России в программных документах политических партий, организаций и движений России. Начало XX века: Документы и материалы. Томск, 1998.

[2] Рзаева Г., Революция в Закавказье (1917-1918 годы), Віче № 6, 2010 http://www.viche.info/journal/1914/ ასევე, Исхаков С.М., Российские мусульмане и революция (весна 1917 г.— лето 1918 г.) М., 2004.

თის დროებითმა მთავრობამ, ა. კერენსკის ხელმოწერილი ოქმით, აღიარა მისი ლეგიტიმურობა.[1]

სამხრეთ კავკასიაშიც შეუნელებლად იზრდებოდა თვითგამორკვევისაკენ სწრაფვა. მუსლიმთა საგანგებო ყრილობამ შექმნა მუსლიმური ეროვნული კომიტეტი, რომელმაც საქართველოში თავისი ფილიალი გაიჩინა. დაშნაკთა ინიციატივით ჩამოყალიბდა სომეხთა ეროვნული კომიტეტი. საკუთარი ეროვნული საბჭოები შექმნეს საქართველოში მოსახლე რუსებმა, ასევე აფხაზებმა და ოსებმა. ქართველები ყველა მათგანს ჩამორჩნენ. ეროვნული იდენტობის ძიებისა და თვითგამორკვევის გზაზე ისინი 1917 წლის პირველ ნახევარში მხოლოდ იმით დაკმაყოფილდნენ, რომ ეკლესიის ავტოკეფალია აღიდგინეს და პოლიტიკურ პარტიათა გამაერთიანებელი ორგანო, „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო", დააფუძნეს.

1917 წლის აგვისტოში, დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით, მოსკოვში მოწვეულ იქნა რუსეთის ისტორიაში უმაგალითო ხალხთა კრება, რომელსაც სახელმწიფო თათბირი უწოდეს. მის მუშაობაში მრავალრიცხოვან სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლების გარდა სხვადასხვა საზოგადოებრივი, კოოპერატიული, სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების, სამეცნიერო და სამხედრო წრეების, ცალკეულ ეროვნებათა, მუშებისა და ჯარისკაცთა დელეგატები მონაწილეობდნენ.

ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის – ოზაკომის სახელით თათბირზე სიტყვა წარმოთქვა აკაკი ჩხენკელმა. მან განაცხადა: „ამიერკავკასიის ერნი თანაზიარნი არიან არა თუ მარტო ერთმანეთს შორის, არამედ მთლიანად რუსისა და სხვა ხალხებთან, რომლებიც ცხოვრობენ დიდ სახელმწიფო-

[1] Павленко Ю., Храмов Ю., Укра'шська державнють у 1917-1919 рр. (историко-генетичний аналь). Киев, 1995, 43.

ში... ჩვენ აღარ გვყავს ,,ინოროდცები“ რუსეთში, არის მხოლოდ ერთადერთი რუსი ხალხი. ჩვენ, ბედნიერნი ვართ, რომ გვაქვს ერთი სამშობლო.“[1] ეს იყო ოფიციალური პირის, ამიერკავკასიაში დროებითი მთავრობის რწმუნებულის, თვალსაზრისი და არა საქართველოს პოზიცია.

ქართველი ერის გულისთქმა უფრო მკაფიოდ გამოხატა იოსებ მაჭავარიანმა, რომელიც შეკრებაზე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით გამოვიდა. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა თათბირის მონაწილეებს: ,,თუ რუსეთის მდგომარეობით გამოწვეული შიში და თქვენი სამშობლოსადმი სიყვარული გულწრფელი არის, თუ თქვენი დაპირება, რომ ამ ომს თქვენ აწარმოებთ ჩაგრულ ერთა განთავისუფლებისათვის, არ არის აღვირახსნილი მოტყუება მთელი ქვეყნისა, მაშინ ნაციონალური პატიოსნება რუსეთის ერისა პირდაპირ გავალებთ, რომ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნენ პოლიტიკური უფლებანი საქართველოსი.“[2]

ქართველ დელეგატის ამ გამოსვლას დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია. როგორც გაზეთი ,,საქართველო“ შენიშნავდა: ,,მოსკოვის თათბირზე გაძახილი ქართველის ხმა დიდ თეატრის დარბაზის კედლებშივე ჩაკვდა: ხელმწიფების მქონე ხალხი მას არ გამოეხმაურა.“[3] გაზეთის პუბლიცისტს აქ მხედველობაში ჰყავდა რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება, რომელსაც საქართველოს მიმართ თავისი დამოკიდებულება მართლაც არ გამოუხატავს. მაგრამ, ზოგადად, ამ თათბირზე კერენსკიმ არათუ მხარი დაუჭირა ჩაგრულ ერთა მისწრაფებებს, არამედ თითქმის რეალობად ქცეული ფინეთისა და უკრაინის თავისუფლებაც კი გაკიცხა.

---

[1] გაზ. ,,საქართველო“, 1917 წ., 19 აგვისტო.
[2] გაზ. ,,საქართველო”, 1917 წ., 23 აგვისტო.
[3] გაზ. ,,საქართველო”, 1917 წ., 10 სექტემბერი.

რუსეთის საზოგადოებრივ აზრს შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოს მომლოდინე პოლიტიკა, რომელიც აკაკი ჩხენკელმა კიდევ ერთხელ ცხადად გამოთქვა იმავე პერიოდში პეტროგრადში მოწვეულ დემოკრატიულ თათბირზე. რუსი მწერალი და ჟრნალისტი სერგეი კონდურუშკინი (1873-1919) გაზეთ ,,ზემლიაში" დაბეჭდილი წერილით საგანგებოდ გამოეხმაურა ჩხენკელის ხენებულ გამოსვლას. ავტორმა მოიწონა ა. ჩხენკელის სიტყვა და მიესალმა პოზიციას, რომ ქართველებს არ სურთ დამატებითი სიძნელე შეუქმნან რუსეთს - საერთო სამშობლოს. კონდურუშკინმა შეაქო ქართველები იმისათვის, რომ ისინი ,,რწმენით და მოთმინებით იცდიან," რომ მათ ,,გამოიჩინეს სახელმწიფოებრივი ნიჭი" და სხვ. ს. კონდურუშკინის სტატია მთავრდებოდა ფრაზით: ,,თითქოს მზადაა ყველა პირობა, რომ ,,ქართული რესპუბლიკა" გამოცხადდეს. მაგრამ ქართველებში კეთილშობილური სიდინჯე და დარბაისლობაა. ... ქართველები იცდიან."[1]

ხსენებული ამბებიდან ახლო ხანებში, უკრაინის ცენტრალური რადას ინიციატივით, კიევში რუსეთის ერთა ყრილობა გაიმართა.

ამ ხალხმრავალი ფორუმის იდეა სრულიად უკრაინის ეროვნულ კონგრესს ეკუთვნოდა, რომელმაც 1917 წლის აპრილში დაავალა ცენტრალურ რადას, მოეწვია იმ ერების წარმომადგენლები, რომლებიც იზიარებდნენ რუსეთის ფედერაციული მოწყობის პრინციპს ან პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებას ესწრაფვოდნენ.[2] ცენტრალურმა რადამ ინფორმაცია ყრილობის თაობაზე იმპერიის ყველა კუთხეში დაგზავნა. მონაწილეობის მსურველ

---

[1] გაზ. ,,საქართველო", 1917 წ., 30 სექტემბერი.

[2] Солдатенко В. Ф., Українська революція. Історичний нарис: Монографія. К.: Либідь, 1999, 143.

თითოეულ ერს შეეძლო ყრილობაზე ათკაციანი დელეგაცია გაეგზავნა.

რუსეთის ჩაგრულ ერთა წარმომადგენლების შეკრებას წინ უძღოდა მრავალი ისეთი ფაქტი და მოვლენა, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ყრილობის შემადგენლობასა და მიმდინარეობაზე. კერძოდ, ყრილობის მუშაობაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ ფინელებს, ხოლო პოლონელები მხოლოდ სტუმრის (დამკვირვებლის) სტატუსითა და მოკლე მისალმებით შემოიფარგლნენ. პოლონეთისა და ფინეთის საკითხს, როგორც ადრე, ახლაც საერთაშორისო ყურადღება ჰქონდა,[1] რის გამოც ამ ერთა მესვეურები თავისუფლებისათვის ბრძოლაში რუსეთის შიდა შესაძლებლობებს დიდ ანგარიშს აღარ უწევდნენ.

ფინეთმა ჯერ კიდევ 1917 წლის მარტში ავტონომია გამოაცხადა და დაიწყო მზადება სრული დამოუკიდებლობისათვის. დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა ფინეთის დიდი სამთავროს კონსტიტუცია და სათანადო მანიფესტით ქვეყანას ავტონომიურობა დაუდასტურა.[2] ივლისში ფინეთის სეიმმა მიიღო კანონი, რომელიც ზღუდავდა პეტროგრადის კომპეტენციებს საგარეო და სამხედრო პოლიტიკის საკითხებში. საპასუხოდ დროებითმა მთავრობამ დაითხოვა სეიმი,[3] რომლის შენობა რუსეთის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს, მაგრამ დანიშნა ახალი არჩევნები.[4] ასეთ და-

---

[1] Файзрахманов А. Ш., Проблема государственного устройства на национальных съездах западных регионов России в 1917 г. http://www.dissercat.com/content/problema-gosudarstvennogo-ustroistva-na-natsionalnykh-sezdakh-zapadnykh-regionov-rossii-v-19

[2] Воронов С.Н., Национальный вопрос и временное правительство http://etnokonf.astrobl.ru/document/1512

[3] Молчанов Л., О межгосударственном размежевании России и Финляндии в 1917–1920 годах. Международная жизнь. 2009. № 12, 122–134. http://www.amberbridge.org/article?id=87

[4] გაზ. ,,ერთობა“, 1917 წ., 6 სექტემბერი.

ძაბულ ვითარებაში, ფინეთის პოლიტიკურ ძალებს კიევში წარმომადგენლების გაგზავნაზე არც უფიქრიათ. რაც შეეხება პოლონეთს: 1916 წლის აგვისტოში, გერმანიისა და ავსტრიის ჯარებით ოკუპირებულ ქვეყანაში პოლონეთის სამეფოს შექმნა გამოცხადდა. 1917 წლის მარტში რუსეთის დროებითმა მთავრობამ ცნო პოლონეთის უფლება დამოუკიდებლობაზე რუსეთთან ,,თავისუფალი სამხედრო კავშირის" პირობით.[1]

კიევის ყრილობის წინ მიაჩნდათ, რომ ერთა წარმომადგენლების შეკრება იმ ძალების დიდი დემონსტრაცია იქნებოდა, რომლებიც ამა თუ იმ სახით ავტონომიის იდეას ემხრობიან და რუსეთის მომავალ დამფუძნებელ კრებაში შეძლებდნენ კოლექტიურად დაპირისპირებოდნენ ცენტრალისტურ მიდრეკილებას. სჯეროდათ, რომ ყრილობა არა მხოლოდ ფორმას გამოძებნიდა, არამედ საშუალებასაც იპოვიდა ეროვნული საკითხის გადასაჭრელად.

განსაკუთრებული აღფრთოვანება ქართველ ფედერალისტთა შორის შეიმჩნეოდა. მათი პარტიული ორგანო ,,სახალხო საქმე" შენიშნავდა, რომ ეროვნული ბრძოლის მოედანზე ახალი ხანა იშლება; ეროვნული საკითხი თავს აღწევს თეორიის სფეროს და პრაქტიკულ საქმედ გვევლინება. ,,ერები გამოდიან ხელიხელჩაკიდებული, საერთო იმედითა და გეგმით გაერთიანებულნი."[2] იგივე გაზეთი ერთ-ერთ მოწინავე წერილში მიუთითებდა: ,,თვით სინამდვილემ დაამტკიცა ფედერალიზმის სიცოცხლე. ... ფედერალისტური აზროვნება რუსეთის სახელმწიფოებრივ აზროვნებად გადაიქცა. ... ფედერალიზმი ისეთი აზროვნებაა, რომელიც მოკლე ხანში შესაძლებელია საფუძვლად დაედოს რუსეთის სახელმწიფო წესწყობილებას."[3]

---

[1] Сб. указов и постановлений Временного правительства. Вып. 1, отд.VII, №1.

[2] გაზ. ,,სახალხო საქმე", 1917 წ., 8 სექტემბერი.

[3] გაზ. ,,სახალხო საქმე", 1917 წ., 14 სექტემბერი.

ფედერალისტთა ამგვარ ოპტიმიზმი გადაჭარბებულად მიაჩნდა ეროვნულ-დემოკრატიულ პერიოდულ გამოცემას გაზეთ ,,საქართველოს". 1917 წლის 14 სექტემბრის გაზეთის მოწინავეში გამოთქმული იყო აზრი, რომ ,,ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის იდეას დიდი შანსი არა აქვს თუ საკითხი საკანონმდებლო გზით წავიდა. ... თვით ჩაგრულ ერებშიც საკმაოდ ძლიერია ცენტრალისტური ტენდენციები. ... კულტუროსან ერთაგან პოლონეთმა დამოუკიდებლობა მიიღო, ფინლანდია სრულ გამოყოფას სცდილობს. ... ეს საგრძნობლად შეამცირებს კულტუროსანი პერიფერიების ძალას და ველიკოროსების პოლიტიკურ წონას გაადიდებს. ამგვარად, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩაგრული ერების პერსპექტივები მაინცა და მაინც სახარბიელო იყოს დღეს-დღეობით. დღევანდელი მთავრობაცა და საკუთარი მდგომარეობაც ამ ერებს ლოდინს უკარნახებს დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, დამფუძნებელ კრებაში კი ადვილი მოსალოდნელია დამარცხება, ვიდრე გამარჯვება."[1]

რაც შეეხება ქართველ სოციალ-დემოკრატებს, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ინდეფერენტულად განეწყვნენ ერთა ყრილობის მიმართ. მათ თავიანთი წარმომადგენელი არ გაუგზავნიათ კიევში და დიდი ხალისით არც ინფორმაცია გაუვრცელებით ამ მოვლენის შესახებ. მენშევიკური პარტიული ,,ერთობა" მხოლოდ დეპეშების რუბრიკით გამოქვეყნებული მოკლე ცნობებით შემოიფარგლა და ისიც მხოლოდ სამი დღის განმავლობაში (16-19 სექტემბერი), მაშინ, როდესაც თათბირი ერთი კვირა გაგრძელდა.

სოციალ-დემოკრატების ამგვარი პოზიცია გააკრიტიკა ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სამსონ ფირცხალავამ. მისი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატები შედიან ეროვნულ საბჭოში, მათ მაინც დიდი შიში აქვთ ეროვნების. ,,მათ პრაქტიკულ მუშაობას აშკარად ემჩნევა

[1] გაზ. ,,საქართველო", 1917 წ., 14 სექტემბერი.

უნდობლობა ერისა, ეროვნებისა, ეროვნული შემოქმედებისა. რუსეთის რევოლუციას თუ იხსნის რამე, - მხოლოდ ერების შემოქმედება. ...არა შიში ეროვნებისა, არამედ იმედი ეროვნებისა - აი, რა უნდა იყოს სადღეისო ლოზუნგი."[1]

ცნობილია, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ეროვნული სეპარატიზმის წინააღმდეგი იყვნენ, რაც მათი აზრით, ხელს შეუშლიდა ,,საერთო დემოკრატიზაციის პროცესს". ისინი კმაყოფილდებოდნენ კულტურული ავტონომიის მოთხოვნით და უარყოფდნენ პოლიტიკური ავტონომიის იდეას. ეს თვალსაზრისი ფეხმოკიდებული იყო სოციალ-დემოკრატიის მიმდევარ მრავალრიცხოვან მასაშიც, განსაკუთრებით გლეხურ წრეებში. შემთხვევით არ წერდა ჟურნალი ,,თეატრი და ცხოვრება": ,,ავტონომია რომ ახსენო, ამის გაგონებას [გლეხობას - ო. ჯ.] თხუთმეტი წლის კატორღა ურჩევნია, ხანჯალზე აგაგებს."[2] ამ გარემოებას ნოე ჟორდანიაც ეხებოდა და მიუთითებდა: ,,როგორი ხონჩითაც არ მიგერთმია ქართველი ხალხისათვის პოლიტიკური ავტონომია, ხონჩიანად უკან დაგიბრუნებდაო."[3]

ფედერალისტები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ქართველი ხალხი, რომ ავტონომია ერის ყოველმხრივი განვითარებისა და დაწინაურების აუცილებელი პირობაა.[4] ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის მიღწევას ეროვნულ საკითხში საქართველოს პროგრამა-მინიმუმად სახავდა ავტონომისტთა ჯგუფი, რომელშიც ივანე გომართელი, პავლე საყვარელიძე და სხვ. შედიოდნენ.[5] აღსანიშნავია, რომ 1917 წლის აგვისტოში ი. გომართელმა ცალკე ბროშურად გამოსცა ნაშრომი ,,საქართველოს ტერიტორიალ-

---

[1] გაზ. ,,სახალხო საქმე", 1917 წ., 16 სექტემბერი.
[2] ჟურნ. ,,თეატრი და ცხოვრება", 1917, №23, 3.
[3] ო. ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990, 8.
[4] ჟურნ. ,,განათლება", 1917, №3, 200.
[5] ჟურნ. ,,თეატრი და ცხოვრება", 1917, №25, 2-3.

ური ავტონომია ანუ ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობა”.

რა აზრისა იყო ქართველი საზოგადოების ნაწილი - უპარტიო ინტელიგენცია ეროვნულ საკითხში? დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია იზიარებდა საქართველოს ავტონომიის იდეას და მის დროულ მიღწევას მოითხოვდა. ეს კარგად ჩანს დუტუ მეგრელის ლექსიდან ,,პატარა სიმღერა”, რომელიც იმხანად დაიბეჭდა. ლექსში ასეთი სტრიქონებია:

,,უკრაინა და ფინეთი,
ესტონეთი და ლიტვია
ერთის გრძნობით გამსჭვალულან,
ერთ მიზნისკენ მიილტვიან:
ყველას თავისუფლება სურს,
თავგანწირვით იბრძვის მისთვის...
შენ რას უცდი საქართველოვ?!
რატომ შენი ხმა არ ისმის...
როგორც ქართველს თავი მომწონს
წერეთლით და ჩხეიძეთი,
რომ თაყვანს სცემს, ვით უკეთესს
თვის ბელადებს მთლად რუსეთი
და საწყენად მხოლოდ ის მაქვს,
ის აღმივსებს გულს სევდითა,
რომ ჩვენებურ ვინინჩენკოს[1]
ვერა ვხედავთ მათ გვერდითა...”

საქართველოს ავტონომიისაკენ მოუწოდებდა ჟურნალ ,,თატრისა და ცხოვრების” რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმ-

---

[1] მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ვლადიმირ ვინინჩენკო იყო უკრაინის ცენტრალური რადას ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ედაშვილიც,[1] ასეთივე აზრს ავითარებდა ჟურნალი ,,განათლება" და სხვ.

ასეთი ვითარება იყო ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრში, როდესაც 1917 წლის შემოდგომაზე კიევში ერთა წარმომადგენლების ყრილობა დაინიშნა.

ყრილობა 1917 წლის 8 სექტემბერს კიევის პედაგოგიური მუზეუმის დარბაზში გაიხსნა. მის მუშაობაში 93 დელეგატი მონაწილეობდა (ზოგიერთი ცნობით, დელეგატთა რიცხვი 92-ს შეადგენდა), რომლებიც ასე იყვნენ წარმოდგენილნი: ბელორუსი - 8, ლატვიელი - 10, ლიტველი - 10, ებრაელი - 10, ესტონელი - 4, მოლდოველი - 4, პოლონელი - 6, კაზაკი - 10, თათარი - 10, თურქი - 5, უკრაინელი - 9, რუსი - 3, ქართველი - 2. კიევის ერთა ყრილობას საქართველოდან ორი წარგზავნილი, ფედერალისტი იოსებ ბარათაშვილი და ეროვნულ-დემოკრატი იოსებ მაჭავარიანი ესწრებოდა.

ყრილობა გახსნა და შეკრებილთ მიესალმა ცენტრალური რადას თავმჯდომარე, ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ გრუშევსკი, რომელიც ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს.

ყრილობის პრეზიდიუმში მის გარდა არჩეულ იქნენ უკრაინის, ლატვიის, ლიტვის, ყირიმელ თათართა და საქართველოს წარმომადგენლები. ქართველთაგან ეს პატივი წილად ხვდა იოსებ ბარათაშვილს.[2]

---

[1] ჟურნ. ,,თეატრი და ცხოვრება", 1917, №27, 5-6: №38, 2.

[2] ცნობილი ადვოკატი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ი. ბარათაშვილი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო. 1906 წელს იგი რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოწვევის სათათბიროს დიდხანს მუშაობა არ დასცალდა, იმპერიის მაღალ სახელმწიფო ორგანოში მონაწილეობამ ი. ბარათაშვილს ავტორიტეტი შესძინა.

მ. გრუშევსკიმ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ყრილობაზე ჩამოვიდა და დარბაზში იმყოფებოდა რუსეთის დროებითი მთავრობის წარმომადგენელი მ. სლავინსკი. უკრაინელი პოეტი და პუბლიცისტი მ. სლავინსკი პეტროგრადში მოღვაწეობდა. დროებით მთავრობაში მას მინდობილი ჰქონდა განსაკუთრებული თათბირის ხელმძღვანელობა, რომელიც პროვინციების რეფორმის საკითხებზე მუშაობდა.[1]

მ. გრუშევსკიმ იმედი გამოთქვა, რომ ყრილობას მოჰყვება რეალური ზომები, რადგან ,,ყველას უნდა, რომ რუსეთის სახელმწიფო ერების საპყრობილე[?]ს მაგიერ ერების სასახლედ გარდაიქცეს."[2] მომხსენებლის აზრით, ფედერაციას დამოუკიდებლობისაკენ კი არ მივყავართ, არამედ იგი სხვა პერსპექტივის გზაა, რომელიც კაცობრიობის მოწინავე მოაზროვნეებმა ადრევე გაკვალეს: ეს არის გზა ევროპის ფედერაციიდან მსოფლიო ფედერაციისაკენ.[3]

დროებითი მთავრობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა მ. სლავინსკიმ. მან აღნიშნა: ,,მინისტრთა თავმჯდომარემ დამავალა გადმოგცეთ, რომ თავისუფალი რუსეთი მხოლოდ დეცენტრალიზებული შეიძლება იყოს."[4] ეს პროცესი უკვე დაწყებულია. დროებითი მთავრობა დამფუძნებელ კრებამდე უფლებამოსილი არ არის, დააკანონოს ფედერაციული წყობილება, მაგრამ იგი ხელს არ შეუშლის მუშაობას ადგილებზე ავტონომიის მიმართულებით.

მ. სლავინსკის სიტყვით, რუსეთის რევოლუციამ არნახული ბიძგი მისცა ეროვნულ იდეას, თუმცა ეროვნული ჩაგვრა პო-

---

[1] http://estnauki.ru/istoriya/8-statii-po-istorii/376-ukrainskoe-nacionalno-osvoboditelnoe-dvizhenie.html

[2] ,,ერთობა", 1917 წ., 16 სექტემბერი.

[3] В. Стойко, З'їзд народів у Києв і 1917 року http://shron.chtyvo.org.ua/Stoiko_Volodymyr/Zizd_narodiv_u_Kyievi_1917_roku.pdf, 22.

[4] გაზ. ,,ერთობა", 1917 წ., 16 სექტემბერი.

ლიტიკური თავისუფლების პირობებშიც შეიძლება განვითარდეს. ამიტომ ისეთი სისტემა უნდა იქნას შემოღებული, რომ ეს ჩაგვრა აღარ იყოს, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ფედერაციული მოწყობისას. მთავრობამ უკვე გამოაცხადა რესპუბლიკის შექმნა. იმედია, დამფუძნებელი კრება ნაბიჯს უკან არ გადადგამს და გზას გაუხსნის ფედერაციულ წესრიგს. რუსეთი ვებერთელა ქვეყანაა, ახალი წეს-წყობილება ერთბაშად ვერ დამკვიდრდება. ამას დიდი მოსამზადებელი მუშაობა დასჭირდება და ასეთი სამუშაო უნდა გასწიოს დღევანდელმა ყრილობამაც.[1] გამოთქმულია მოსაზრება, რომ გამოსვლის ბოლო ნაწილი პირადად მ. სლავინსკის შეხედულებას გამოხატავდა და არა დროებითი მთავრობისას,[2] მაგრამ ამის გარკვევას ახლა არსებითი მნიშვნელობა არც აქვს.

ყრილობის პლენარულ სხდომებზე რამდენიმე მოხსენება მოისმინეს. მათ შორის, ი. გაევსკის (უკრაინელი სოციალისტ-რევოლუციონერი): ,,ფედერაცია სახელმწიფო სამართლის თეორიის შუქზე,“ ბ. ვოროხოვის (ებრაული სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია ,,პოალე-ციონი“): ,,ფედერალიზმი ეკონომიკური თვალსაზრისით,“ ნ. სირიკინის (სიონისტი): ,,სახელმწიფო ერი და ეროვნული სახელმწიფო“ და ა. კუშნირის (უკრაინელი სოციალ-დემოკრატი) ,,ფედრალური შტატები.“ შემდეგ წარიმართა სექციური მუშაობა.

საქართველოს წარგზავნილთ ტრიბუნა ყრილობის მეორე დღეს დაეთმოთ. სიტყვით პირველი იოსებ მაჭავარიანი[3] გამოვიდა. იგი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სა-

---

[1] Історичні зошити. О. П. Реєнт, Б.І.Андрусишин, З’їзд поневолених народів,
histans.com/JournALL/Preprint/1994/8.pdf 18.

[2]http://estnauki.ru/istoriya/8-statii-po-istorii/376-ukrainskoe-nacionalno-osvoboditelnoe-dvizhenie.html

[3] იოსებ მაჭავარიანი - ქართველი მთარგმნელი და პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ცნობილი წარმომადგენელი იყო.

ხელით მიესალმა ტარას შევჩენკოს სამშობლოს და მის თავისუფლებისმოყვარე ხალხს. შემდეგ მან მოკლედ მიმოიხილა ქართველთა და უკრაინელთა ბედის მსგავსება მეფის თვითმპყრობელობის პირობებში. ი. მაჭავარიანმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინა და საქართველო რუსეთს დაუკავშირდნენ 1654 და 1783 წლების ტრაქტატების ძალით, მაგრამ რომანოვთა რუსეთმა ვერაგულად დაარღვია ეს ხელშეკრულებები და მფარველობის მოიმედე ქართველი და უკრაინელი ერები მძიმე მონობის უღელქვეშ მოაქცია.

ორატორის სიტყვით, ახლა, როდესაც ძველი რუსეთი დაიმსხვრა და ,,მონობის ჯაჭვი“ დაწყვეტილია, რუსეთის ხალხმა ეროვნული პატივის და სახელის ძალით დაუყოვნებლივ უნდა აღადგინოს იმ ერთა პოლიტიკური უფლებანი, რომელნიც რუსეთის შემადგენლობაში შედიან.

ი. მაჭავარიანმა განაცხადა, რომ ,,ყოველ ხალხს, რაგინდ მცირე იყოს იგი თუ დიდი, აქვს თანასწორი უფლება დამოუკიდებელი არსებობისა. საჭიროა ძლიერი ეროვნული ორგანიზაცია და ერთსულოვანი მუშაობა რუსეთის ერთა შორის. საჭიროა ფაქტობრივი განხორციელება საკუთარი უფლებისა, რათა მივაღწიოთ ჩვენი სამშობლოს პოლიტიკურ უფლებათა აღდგენას.“ უკრაინამ დაიწყო ეს საქმე. ჩვენც ამ გზით მივდივართ – აღნიშნა ქართველმა დელეგატმა და განმარტა, რომ, თუ აქამდე საქართველო ხმას არ იღებდა, ეს მთელი კავკასიის მრავალფეროვნებით აიხსნება. დღეს ეს სიძნელე გადალახულია. ,,თუ ქართველი ერი საუკუნეთა სარბიელზე ატარებდა ალმართულ საღმრთო სიყვარულს პოლიტიკური თავისუფლებისადმი, თუ იგი 3 ათასი წლის განმავლობაში ეთაყვანებოდა ამ ღმერთს, დღესაც ამავე გზით მიდის თავისუფლებისაკენ მომზირალი,“ – დასძინა ი. მაჭავარიანმა და გამოსვლა ასე დაასრულა: ,,ყოველი ერი, ვისაც არ ჩაჰქრობია უკეთილშობილესი გრძნობა სიყვარულისა თავისუფლებისადმი, ყველა

ხალხი, ვისაც შერჩენია შემოქმედებითი ძალა და ძლიერი ენ-ერგია თავისუფლების მოსაპოვებლად, იგი ჩვენთან ერთად იქნება, ჩვენ გამოგვყვება.“[1]

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუ-ციო პარტიის წარმომადგენელიმა იოსებ ბარათაშვილმა აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი ძმური თანხმობით ცხოვრობდა ყველა ხალხთან, განსაკუთრებით კი ამიერკავკასიის მუსლიმებთან. რე-ვოლუციურმა მთავრობამ ვერ შეძლო იმ წინააღმდეგობების დაძ-ლევა, რომლებიც ხელს უშლიან ახალი ცხოვრების მშენებლო-ბას. მართალია, ძველმა რეჟიმმა მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ, რუსეთის ხალხებს შესწევთ მასთან გამკლავების ძალა თუ მიაღწევენ სასურველ თანხმობას. ამისათვის კი საჭიროა გართიანება თანასწორობის, ძმობისა და ურთიერთსიყვარულის ლოზუნგით.

ი. ბარათაშვილის აზრით, ყველაზე დემოკრატიულ რეს-პუბლიკასაც კი არ ძალუძს სრულად დააკმაყოფილოს ერების მოთხოვნები. როდესაც ცნობენ პიროვნების თავისუფლებას, უფ-რო მეტად უნდა ცნონ ერის, როგორც კოლექტიური პიროვნების უფლება.

ი. ბარათაშვილმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ უკრაინის დემოკრატიამ შეძლო თავისი მისწრაფების ხორცშესხმა და დღეს მისი ავტონომია უკვე რეალობაა. ქართველი დელეგატი არ მოერიდა რუსეთის ხელიუფლების კრიტიკას. მისი სიტყვით, ერ-თა ყრილობა მოიწვია რადამ და არა დროებითმა მთავრობამ, რო-მელიც თითქოს უფრო მნიშვნელოვანი საკითხებითაა დაკავებუ-ლი, მაგრამ არ ვიცით, რომელია ეს საკითხები. და ეს ხდება მა-შინ, როდესაც რუსეთი დგას დიდი საშიშროების წინაშე, რო-გორც საგარეო, ისე საშინაო ვითარების მხრივ. ხსნის გზა სა-

[1] „საქართველო“, 1917 წ., 26 სექტემბერი.

ხელმწიფოს სრული დეცენტრალიზაციაა, რომელიც არ ნიშნავს დაშლას.[1]

ორატორმა მადლობა გადაუხადა უკრაინის ცენტრალურ რადას ყრილობის ორგანიზებისათვის. მან მოუწოდა რუსეთის ერებს, ძმურად გაუწოდონ ერთმანეთს ხელი და შექმნან ერთნაირი პირობა ცხოვრებისა არამპყრობელ ერებისათვისაც. გამოსვლა კი დაასრულა ფრაზით: ,,საქართველო ახლო ხანში იტყვის თავისუფალ სიტყვას თავის ბედის შესახებ.”[2]

ყრილობამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია, რომლებშიც ნათქვამია: 1. რუსეთში მცხოვრებ ყოველ ერს ეროვნულ-პერსონალური ავტონომიის დამყარების უფლება აქვს; 2. ეროვნულ-ავტონომიური ინსტიტუტის კომპეტენციასა და შინაურ ორგანიზაციის ფორმას აწესებს ამა თუ იმ ერის დამფუძნებელი კრება.

ყრილობამ აგრეთვე საჭიროდ სცნო ეროვნებათა საბჭოს დაარსება, რომელსაც რუსეთში ავტონომიური და ფედერაციული წეს-წყობილების დასამკვიდრებელი ღონისძიებანი უნდა შემუშავებინა.[3] ეროვნებათა საბჭომ, რომლის ადგილსამყოფლადაც ქალაქი კიევი განისაზღვრა, პრეზიდიუმის თავმჯდომარედ მ. გრუშევსკი აირჩია. პირველი რიგის ამოცანად საბჭოს დამფუძნებელი კრებისათვის წარსადგენი ფედერაციის შესახებ კანონპროექტის მომზადება დაეკისრა.[4]

---

[1] Історичні зошити. О. П. Реєнт, Б.І.Андрусишин, З’їзд поневолених народів,

histans.com/JournALL/Preprint/1994/8.pdf 14.

[2] ,,სახალხო საქმე”, 1917 წ., სექტემბერი. ასევე, http://mirslovarei.com/content_pol/sezd-narodov-i-oblastej-rossii-sezd-narodov-federativnyj-sezd-6755.html

[3] გაზ. ,,სახალხო საქმე”, 1917 წ., 21 სექტემბერი.

[4] http://estnauki.ru/istoriya/8-statii-po-istorii/376-ukrainskoe-nacionalno-osvoboditelnoe-dvizhenie.html

კიევში გამართული ერთა ყრილობა, როგორც წარმომადგენლობითი პოლიტიკური ფორუმი, საერთო რუსეთის მასშტაბის თვალსაჩინო მოვლენა იყო. მან ერთმნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნას და ფართო უფლებებით აღჭურვილი ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიების ჩამოყალიბებას.

ყრილობის დელეგატები სულდგმულობდნენ იმედით, რომ მათი შეკრება იქნებოდა პირველი ქვა ევროპის, შემდეგ კი მსოფლიო ხალხთა ფედერაციული ერთობის მშენებლობაში. მ. გრუშევსკის მოგონებების თანახმადაც, ერთა ყრილობამ მის მონაწილეთა მაღალი ჰუმანური მიდრეკილებანი, საზეიმო განწყობა, აღმავლობა და ენთუზიაზმი გამოავლინა, მაგრამ ეს იყო და ეს. ყრილობა ისტორიაში დარჩა, როგორც ,,ხალხთა ოქროს სიზმარი.“[1]

სავსებით სწორია უკრაინელი მკვლევარი ვ. სტოიკო, რომელსაც დაასკვნის: ვერ შეძლო რა ეპასუხა დროის მოთხოვნისათვის, ფედერალიზმი უნდა ჩამოსულიყო ისტორიის სცენიდან. ხოლო ხალხთა ყრილობა, რომელსაც ამ მსოფლმხედველობის დამკვიდრების გზაზე ქვაკუთხედის როლი უნდა ეთამაშა, მხოლოდ დაკარგული შესაძლებლობებისა და დამსხვრეული ილუზიების მონუმენტად დარჩა.[2]

ერთა ყრილობა, ცარიზმის დამხობით გამოწვეულ ახალ სინამდვილეში, რუსეთის იმპერიის ხალხებისათვის იყო თანაცხოვრების უკეთესი ფორმის ძიების მაგალითი, დემოკრატიის ზღურბლზე მდგომ, მომავლის რუსეთში ფედერალიზმის დამ-

---

[1] Історичні зошити. О. П. Реєнт, Б.І.Андрусишин, З’їзд поневолених народів,

histans.com/JournALL/Preprint/1994/8.pdf 10.

[2] В. Стойко, З’їзд народів у Києв і 1917 року

http://shron.chtyvo.org.ua/Stoiko_Volodymyr/Zizd_narodiv_u_Kyievi_1917_roku.pdf, 22.

კვიდრების თავისებური ტესტი, რასაც ვერ მოჰყვა სასურველი შედეგი.

კიევის ყრილობამ გაფანტა ეიფორიის ბურუსი და არარუს ხალხებს რეალობაში დაბრუნებისაკენ უბიძგა. პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე, რომელიც კიევის ყრილობის დასრულებისთანავე გაიხსნა, ბელორუსიისა და უკრაინის წარმომადგენლებმა უკვე ერების შეუზღუდავი თვითგამორკვევის უფლება მოითხოვეს.[1]

გარკვეული ცვლილება აღინიშნა საქართველოს პოლიტიკური სპექტრის სამოქმედო ტაქტიკაშიც. პოლიტიკურმა პარტიებმა ახლა კურსი ქვეყნის შიგნით ეროვნულ კონსოლიდაციზე აიღეს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გ. ვეშაპელის სიტყვით: ,,ვერც რუსეთის დროებითი მთავრობა, ვერც დამფუძნებელი კრება და ვერც საერთაშორისო კონგრესი საქართველოს საკითხს ვერ გადასწყვეტს სათანადოდ... ქართველი ერის ნებისყოფის კანონიერი ორგანო არის მხოლოდ საქართველოს ეროვნული კრება, რომლის მოწვევა უნდა იქცეს ინტერპარტიული საბჭოს უმთავრეს მიზნად.“[2] ფედერალსტთა პარტიაც მივიდა დასკვნამდე, რომ საჭიროა საქართველოს შიდა ძალების შეკავშირება, საერთო პოლიტიკური პლატფორმის შემუშავება და ეროვნული ყრილობის მოწვევა, რომელიც ,,უზენაესი გამომხატველი იქნება საქართველოს ნებისყოფისა.”[3]

ამის პარალელურად, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები განაგრძობდნენ საქმიანობას საქართველოს ეროვნული უფლებების აღიარ-

---

[1] Воронов С.Н. Национальный вопрос и временное правительство http://etnokonf.astrobl.ru/document/1512

[2] გაზ. ,,საქართველო“, 1917 წლის 13 სექტემბერი.

[3] გაზ. ,,სახალხო საქმე”, 1917 წ., 16 სექტემბერი.

ებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მისაღწევად. ვარლამ ჩერქეზიშვილის, მიხეილ წერეთლის, გიორგი მაჩაბლისა და სხვა ქართველ პატრიოტთა ძალისხმევით საქართველოს საკითხი თანდათან საერთაშორისო პოლიტიკის ორბიტაშიც ექცეოდა.

კიევის ყრილობის შემდგომ ქართული პოლიტიკური სპექტრის ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის გააქტიურდა და უფრო მიზანმიმართულ გახდა.


***Otar Janelidze***

*Gori State Teaching University, Doctor by contract*


## THE 1917 ASSEMBLY OF THE NATIONS IN KIEV AND GEORGIA

## RESUME


After the February Revolution of 1917, main social-political forces of Georgia shared the principle: “Free Georgia in free Russia” and expected that the Constituent Assembly of Russia will solve the issue of arrangement of the state system in the country. The majority of other depressed by the Empire peoples neither requested rapid disintegration from Russia. Further activation of the political elites of these peoples in national issues was caused by inconsistent and indecisive actions of the temporary government.

In Kiev, September 8-15, 1917 there was held an Assembly of Representatives of the Nations of Russia. More than 90 delegates participated in its work. From Georgia a Federalist Ioseb Baratashvili and National-Democrat Ioseb Machavariani attended the assembly.

I. Machavariani demanded restoration of political rights of Georgia and I. Baratashvili raised a question of recognition of the nation’s rights as of a collective person other than personal freedoms.

The Assembly voted for transformation of Russia into a Federal State and establishment of national-territorial autonomies equipped with a wide range of rights.

The Assembly of the Nations was an example of an attempt to find a better form of cohabitation among the peoples of the Empire.

It was also a peculiar test of establishment of federalism in Russia, which was not followed by a desirable result. After the Kiev Assembly there were noted more determined activities for national freedom in Georgian political specter.

*მამუკა ჯოლბორდი*
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,*
*პროფესორი*

## „ოქროს ხანის“ ქართველ მემატიანეთა წიგნიერებისა და მსოფლმხედველობის შესწავლისათვის („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“)

„ქართლის ცხოვრების“ მემატიანეთა შორის ფაქტების სიუხვით, მათი სანდოობითა და თხრობის სანიმუშო კულტურით გამორჩეული ადგილი უკავია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. მისი საისტორიო თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ასე ჰქვია მას მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“), როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, „დაწერილია მშვენიერი მხატვრული, კეთილშობილური ენით და ისეთის გულწრფელობით და იმდენად საგულისხმოდ, რომ მკითხველი უნებლიედ მისდევს მის მსჯელობას.... იგი მრავალ ქრონოლოგიურ ცნობებს შეიცავს და უაღრესი ნდობის ღირსია“ [1].

ნ. ბერძენიშვილის აზრით, „დავითის ისტორიკოსის შემდეგ ჩვენს ძველ ისტორიოგრაფიას აღარაფერი ახალი (იდეის განვითარების თვალსაზრისით) არ მოუცია“[2].

თხზულების ავტორის ვინაობისა და მისი დაწერის სავარაუდო თარიღის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ივ. ჯავახიშვილი სრული დარწმუნებით ვერ ასახელებდა მატიანის სავარაუდო ავტორს, თუმცა მისი შინა-

---

[1] ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.VIII, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1997, 220

[2] ბერძენიშვილი ნ., კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, 46

არსიდან გამომდინარე, მას დავით IV აღმაშენებლის თანამედროვედ, სამეფო კართან დაახლოებულ საერო პირად მიიჩნევდა, თხზულებას კი 1123-1126 წლებით ათარიღებდა. თ. ჟორდანია თვლიდა, რომ დავითის მემატიანე სამღვდელო პირი იყო. მისი მოსაზრებით, იგი შეიძლება ყოფილიყო იოანე კათალიკოსი, სვიმონ ჭყონდიდელი ან არსენ კათალიკოსი (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. XVI), თხზულებას კი 1130 წელს შექმნილად აცხადებდა. მკვლევართა დიდი ნაწილი (კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე, ა. ბოგვერაძე, რ. მეტრეველი, ჯ. ოდიშელი, კ. გრიგოლია, ბ. ლომინაძე) მაინც იქითკენ იხრება, რომ დავითის ისტორიკოსი არსენ ბერი საღირის ძეა და, სავარაუდოდ, იგი დაწერილია 1130-იან წლებში. ივ. ლოლაშვილის აზრით, ქრონიკის ავტორი იოანე ჭიმჭიმელია, ი. ანთელავა კი მის შემქმნელად დავით აღმაშენებლის საწოლის მწიგნობარს (შემდგომში გელათის მოძღვართმოძღვარს) ანტონ გოდობრელს მიიჩნევდა.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ საინტერესო და სანდო წყაროა თანამედროვე მკვლევარებისათვის. მისი შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია მიმდინარეობს და მრავალი საგულისხმო

---

* ამ საკითხების შესახებ ვრცლად იხილეთ: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ II, თბ., 1981; ა. ბოგვერაძე, დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ, კრებ. „ქართული ისტორიოგრაფია“, II, თბ., 1971, ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის ვინაობა, ტფ., 1913; ჯ. ოდიშელი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბ., 1963, ივ. ლოლაშვილი, არსენ ბერისა და დავით აღმაშენებლის ვინაობისათვის, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, 1966, №3; კ. გრიგოლია, ისევ დავითის ისტორიკოსის ვინაობის შესახებ, მრავალთავი, III, თბ., 1973, რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990; ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, თბ., 1953; ი. ანთელავა, XI-XIV საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988.

მოსაზრებაა გამოთქმული ავტორის სავარაუდო ვინაობისა და წარმომავლობის, დაწერის თარიღის, მისი პირველწყაროების შესახებ. სწორედ ამ უკანასკნელთან კავშირში, ჩვენი მიზა-ნია, უკვე ჩატარებული კვლევა-ძიებისა და საისტორიო ტექსტის ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩინოთ თხზულების ავტორის წიგნიერებისა და მსოფლმხედველობის საკითხები. როგორც მატიანის შესწავლა ადასტურებს, შუა საუკუნეების ქართველ ქრონისტს თავისი ეპოქის შესაბამისი, საკმაოდ ღრმა და საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული. იგი შესანიშნავად იცნობდა ბიბლიას, ასევე, ,,ოქროს ხანის" სხვა მემატიანეებთან ერთად, ,,... როგორც ეროვნულ, ისე მე-ზობელი ხალხების (ბერძნების, რომაელების, ირანელების) ისტორიასა და ლიტერატურას და ისტორიულ პიროვნებათა უფრო ნათლად წარმოჩენისათვის მატიანეებში შემოაქვთ ის-ტორიულ-მითოლოგიური სიუჟეტები და სახეები[1]. იგი არაერ-თხელ ახსენებს იერემიას წიგნს, მოციქულთა წიგნებს, სო-დომ-გომორის ამბავს, ირანული ეპოსის გმირებს-ქაიხოსროს, ბარამგურს და სხვ. ასევე ბიბლიურ პერსონაჟებს მოსეს, და-ვითს, სოლომონს, ნაბუქოდონოსორს, მოციქულ პავლეს. და-ვითის ისტორიკოსი დავით წინასწარმეტყველს ღვთის მამად აცხადებს, დავით აღმაშენებელს კი გონებითა და წინდახედუ-ლობით ადარებს ბიბლიურ დავითს.... მისი აზრით, ქართველი დავითის სიბრძნე მსგავსად ებრაელი დავითისა, ემყარებოდა უფლისადმი შიშსა და მოკრძალებას....[2]. ამ დიდებულ ქარ-თველს ცხოვრებისეულ მრწამსად სიყრმიდანვე გადაუქცევია ბიბლიური დავითის შეგონება: ,,იტყჳს სოლომონ: დასაბამად

---

[1] ახვლედიანი გ., ,,ქართლის ცხოვრების" ფოლკლორული წყაროები, თბ., 1990, 93-124

[2] მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 1998, 16-17

სიბრძნისა მოიგე სიბრძნე", ხოლო დავით, მამაჲ ღმრთისაჲ: დასაბამად სიბრძნისა შიში უფლისაჲ"[1]

როგორც ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, დავითის მემატიანე საერო განათლებისა და აზროვნების პიროვნება იყო კარგად იცნობდა საერო ხასიათის ძველ ბერძნულ წარმართულ მწერლობას. თვითონ წიგნიერი ადამიანი მკაცრად კიცხავს მეფის იმ „მაბრალობლებს", რომლებიც აღაშფოთა ერთ-ერთი ბრძოლის წინ მეფის „დაუდევარმა" საქციელმა-წიგნის კითხვაში გართულმა ლამის ბრძოლა რომ წააგო.

მიუხედავად იმისა, რომ დავითის ისტორიას შესავალი ნაწილი აკლია, სადაც, სავარაუდოდ, მიზნებსა და მეთოდებზე იქნებოდა საუბარი, ჩვენ თხზულების მთლიანი შინაარსიდან მაინც შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გამოტანა ქართველი ქრონისტის შეხედულებაზე ისტორიის შესახებ და ზოგადად მის მსოფლმხედველობაზე. დავითის ისტორიკოსი, როგორც მკვლევარები მიიჩნევენ, ეფრემ მცირეს მოძღვრების მიმდევარია და თავის თხზულებას წერდა „ჴელოვნებითა რიტორობისათა", „ჯეროვნად რიტორობისათა". როგორც მემატიანე აღნიშნავს, იგი მისდევს ანტიკური მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებს-ჰომეროსს და არისტობულეს, იოსებ ფლავიუსის და სხვათა დამკვიდრებულ ტრადიციებს. მათგან პირველმა შეაქო ტროას ომის გმირები, მეორემ-ალექსანდრე მაკედონელი, მესამემ კი იმპერატორ ტიტეს მიერ ებრაელთა განადგურება აღწერა. ამ მწერლებმა, რადგან არ ჰქონდათ საკმარისი რაოდენობით „ნივთნი საქმეთანი", მოინდომეს მასალის უქონლობა „რიტორობის ხელოვნებით" აენაზღაურებინათ[2]. იგი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით მისი ეპოქის ისტორიული პიროვნებების მოღვაწეობას მსოფ-

---

[1] „ქართლის ცხოვრება", მთ., რედაქტორი რ. მეტრეველი, თბ., 2008, „ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი", 331

[2] კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, 263-264

ლიო ისტორიული მოვლენების კონტექსტში განიხილავს, მოჰყავს რა სათანადო მაგალითები ბიბლიური, ბერძნულ-რომაული, სპარსული და სხვა ქვეყნების ისტორიიდან. მისი აზრით, ნიჭიერების მიუხედავად, პიროვნების როლის შეფასებისას, ისტორიკოსმა უნდა გაითვალისწინოს ის პოლიტიკური რეალიებიც, რომლებშიც კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებას უხდება მოღვაწეობა[1].

ქართველი მემატიანე აღფრთოვანებულია მეფის ღირსებებით და ეპითეტებს არ იშურებს მისი დახასიათებისას. ბუნებრივია, ქართველი მონარქის გონივრული საშინაო და საგარეო გადაწყვეტილებებისა და სწორი სამხედრო-სტრატეგიული მოქმედებების, პიროვნული სრულყოფილების წარმოსაჩენად ავტორი ხშირად იშველიებს წარსულის თვალსაჩინო მაგალითებს ძველი და ადრეული შუა საუკუნეების ისტორიიდან. რა თქმა უნდა, ქართველი მემატიანისათვის ყველაზე ავტორიტეტულ თხზულებებად ბიბლია და ბერძენ-რომაელ ავტორთა ნაშრომები იქცა. დავით აღმაშენებელი ყველაზე ხშირად შედარებულია ალექსანდრე მაკედონელთან. ავტორის აზრით, ის ,,ახალი ალექსანდრეა‘‘, ,,მეორე ალექსანდრეა‘‘. მატიანის შესწავლა ადასტურებს, რომ ქართველი ისტორიკოსი ძალზე კარგად იცნობს ელინისტური სამყაროს ისტორიას. იგი წერს: ,,დაიპყრა დასავლისანი ევროპი, იტალია, რომი და აფრიკეთი, და მათითა წარტანებითა დაიპყრა ეგჳიპტე, შესრულმან კარქედონით, და მიერ ეგჳპტით პალესტინე და ფინიკე, და კილიკიასა თჳსად შემქმნელი, წინა განეწყო დარიოსს, და რაჟამს სპარსეთი მოირთო მაშინღა სძლო პიროს ჰინდოსა და ეგრეთ ღა ამით ყოვლითა მოვლო ყოველი ქვეყანა‘‘[2]. როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორადაა აღნიშნული, ,,ქართლის ცხოვრების‘‘ ქრონიკებში

---

[1] ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.VIII, 210-220

[2] ,,ქართლის ცხოვრება‘‘, 342-343

და მათ შორის დავითის ისტორიკოსთანაც ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ინფორმაცია ფსევდო-კალისთენეს რომანიდან ე. წ. „ალექსანდრიანი"-დან მომდინარეობს, რომლის ძველი ქართული თარგმანი არსებობდა (მას ჩვენამდე არ მოუღწევია). გარდა ამ საისტორიო თხზულებისა, ქართველ მკვლევართა ნაწილი (კ.კეკელიძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ.) მიიჩნევს, რომ დავითის მემატიანე იყენებს ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთ ისტორიკოსს არისტობულეს (375-285 წწ.), რომელიც მასთან ძალზე დაახლოებული პირი იყო და თან ახლდა ლაშქრობებში როგორც ინჟინერი[1].

მატიანეში დავითის ნადირობის აღწერისას, იგი შედარებულია ებრაული წარმოშობის გმირთან მოსიმახოსთან, რომელიც ალექსანდრეს ჯარში გამორჩეული მოისარი იყო: „მოსიმახოს ვინმე ითქუმის ებრაელი მოისრობისა და კეთილმმართველობისათჳს ალექსანდრეს სპათა შორის მჯობად, და აქილევი-კენტავროსისგან განსწავლულად მოისრობისა ელ-ილენთა შორის, ხოლო ბაჰრამჯური-სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკჳრველთა"[2]. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავდა, ეს ცნობა ამოღებულია გიორგი ამარტოლის ხრონოღრაფიიდან[3]

ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად, ქართველი მემატიანე შესანიშნავად იცნობს ანტიკური სამყაროს ბევრ სხვა გამოჩენილ პიროვნებასაც. მაგ., პტოლემეოსს (იგივე პტოლემაჲოს მეორე ფილადელფოსი (283-246 წწ.), რომელიც ცნობილი მწიგნობარი იყო და პტოლემეოს I სოტერის დროს

[1] ყაუხჩიშვილი თ., ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი), მაცნე, ისტორიის სერია, 1973, №4, 28

[2] „ქართლის ცხოვრება", 332

[3] კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981, 29

დაარსებული ალექსანდრიის ბიბლიოთეკა კიდევ უფრო გაამდიდრა).

ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ, ბერძნულ-რომაულ სამყაროში, ყველაზე გამორჩეული პიროვნება და სახელმწიფო მოღვაწე იყო კონსტანტინე I დიდი (306-337 წ. წ.). დავითის ისტორიკოსიც, როცა დიდი ქართველი მონარქის საეკლესიო მოღვაწეობაზე წერს, ბუნებრივია, მას ადარებს ქრისტიანობის რომის იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად გამომცხადებელსა და ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრების მთავარ ორგანიზატორს. როგორც სწორად შენიშნავს თ. ყაუხჩიშვილი, კონსტანტინე ისეთი პოპულარული ფიგურა იყო შუა საუკენეებში, ქართველ მემატიანეს „ნებისმიერ ქრონოგრაფიაში შეეძლო მის შესახებ წაეკითხა“[1].

გარდა კონსტანტინე დიდისა, ქართულ მატიანეში მოხსენიებულნი არიან რომის იმპერატორები ვესპასიანე (69-79) და ტიტე (79-81), რომელთა შესახებ ცნობები ქართულ ქრონიკაში იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა ომის ისტორიიდანაა“, რადგან სწორედ ამ ორი სახელმწიფო მოღვაწის პერიოდში აიღეს რომაელებმა იერუსალიმი და დაიმორჩილეს იუდეა. არ არის გამორიცხული ეს ცნობები დავითის ისტორიკოსმა გიორგი ამარტოლის თხზულებიდან ამოიღო, რადგან ეს საისტორიო ნაწარმოებიც მოგვითხრობს ამ ცნობილი ისტორიული ფაქტის შესახებ.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ქართველ მემატიანეს დავით IV-ის მიერ 1122 წელს თბილისის აღება იმდენად დიდ გმირობად მიაჩნია, რომ ქართველ მეფეს ჰომეროსის გმირებს ადარებს: „ხოლო ამად რაჲ თხრობად მოვიწივე, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი გამომეტყჳელნი, ვიტყჳ უკუე უმიროსს არისტოვლეს ელლინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელსა; რომელთაგანმან ერთმან ტროად-

[1] კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 29

ელთა და აქეველთანი შეამკჳნა თხრობანი, თუ ვითარ აღამ-ემნონ და პრიამოს, ანუ აქილევი და ეკტორ, მერმეცა ოდისე-ოს და ორესტი ეკუეთნეს, და ვინ ვის მძლე ექმნა; და მეორ-ემან ალექსანდრესნი წარმოთქუნა მჴნე-კაცებანი და ძლევა-შემოსილობანი; ხოლო მესამემან ვესპასიანე-ტიტოჲსმიერნი მეტომეთა თჳსთა ზედანი ჭირნი მისცნა აღწერასა....“[1]. აქვე ქართველი მემატიანე ასახელებს ტროას ომის ხანგრძლივო-ბას-28 წელს. თ. ყაუხჩიშვილი, საკითხის დეტალურად შეს-წავლის საფუძველზე, ვფიქრობთ, სწორ დასკვნას იძლევა, რომ დავითის მემატიანე სარგებლობდა როგორც ანტიკური, ისე ბიზანტიური წყაროებით. მიუხედავად იმისა, რომ ანტი-კური წყაროებით ტროას ომი ტრადიციულად 10 წლით გა-ნისაზღვრება, ხოლო ბიზანტიურში-28 წლით, თ. ყაუხჩიშვი-ლის თქმით, „ომის ხანგრძლივობა 28 წელი უფრო მისაღები იყო ჩვენი ავტორისათვის (ვიდრე მასზე ნაკლები, 10 წელი) და ამიტომ აირჩია ეს ვარიანტი“[2]

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ჰომეროსს შუა საუკუნეების საქართველოში უკვე VI-VIII საუკუნეებიდან იცნობდნენ, თუმცა, სავარაუდოდ, პოემის გად-მოკეთებული ვერსიის სახით. აქვე საფიქრებელია, ბერძნული სამყაროს შესახებ ცნობების წყარო ქართულ მატიანეებში გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებში დაცული „ელინთა მეზ-ღაპრეობის“ ეფრემ მცირესეული კომენტარებია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ დავითის მემატიანემ იცოდა ბერძნული ენა და მწერლო-ბა და შესაბამისად სარგებლობდა ბერძნული წყაროებით (სა-წინააღმდეგო აზრი ჰქონდა პ. ინგოროყვას). ამ აზრს კიდევ უფრო ამყარებს თ. ყაუხჩიშვილის მართებული დასკვნა: „მი-უხედავსად იმისა, რომ „ისტორიაში“ (იგულისხმება დავითის

[1] „ქართლის ცხოვრება“, 325-326

[2] ყაუხჩიშვილი თ., ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი), 33

ისტორიკოსის თხზულება, მ. ჯ.) საგანგებო, უეჭველი ნიშანი ბერძნულის გავლენის, ან ბერძნული წყაროს გამოყენებისა არ გვხვდება, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ დავითის დროს, ათონელების, ეფრემ მცირის, არსენი იყალთოელის, იოანე პეტრიწის გვერდით ისეთი კარის ისტორიკოსი, რომელიც მხოლოდ ქართულ ნაწერ წიგნებს კითხულობდა და ისტორიის წერისას მხოლოდ მათ ეყრდნობოდა?“[1].

როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორადაა ჩამოყალიბებული, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავისი მსოფლმხედველობით, იდეურ-პოლიტიკური მრწამსით, საქართველოს მეფის, სამეფო კარის, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მომხრე და მხარდამჭერთა დასს ეკუთვნოდა[2]. ისტორიული პროცესების შეფასებისას იგი პროვიდენციალიზმს ეყრდნობა, იყენებს რემინისცენციებს სასულიერო ხასიათის ლიტერატურიდან. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, აქ პირველად არის აღიარებული ღვთისსწორობის იდეა (იზოთეოსი)-დავითი „მესიის მახვილია“, მისი სახელით ღმერთი მოქმედებს.

გ. კუჭუხიძის აზრით: „მე-XI-ს-ის საქართველოში მკაფიოდ ყალიბდება სახე-იდეალი ქრისტიანი მეფისა, რომელიც ერთდროულად არის დიდი ღვთისმოსავიც და დიდი მეომარიც. დავით IV-ისადმი მიძღვნილ ნაწარმოებში ქრისტეანი მეფე-მეომრის სახე იხატება....“[3]

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დავით აღმაშენებლის დროიდან ქართულ აზროვნებაში აქტიურად იჭრება იმპერიალისტური, დიდმპყრობლური ტენდენციები.... ქართული აზ-

---

[1] ყაუხჩიშვილი თ., ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი), 35

[2] მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი, თბ., 1990, 19

[3] კუჭუხიძე გ., ქრისტეანი მეფის სახე-იდეალი „დავით აღმაშენებლის“ ცხოვრებაში, კრ. ლიტერატურული ძიებანი, 2001, №21, 87-96

როვნება ცდილობს, ამ მიზნის მიღწევის ყველა საშუალება გამოძებნოს, საჭირო იდეოლოგიური საფუძველი და გამართლება შეიმუშაოს[1]. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ არსენ ბერის მიძღვნა დავით IV აღმაშენებელს ,,მეფეთ-მეფეს" უწოდებს და ებრაელთა ლეგენდარულ მეფე დავითს, ალექსანდრე მაკედონელს, ოქტავიანე ავგუსტუსს და კონსტანტინე დიდს ადარებს. დავით IV აღმაშენებლის ანონიმი მემატიანე კიდევ უფრო შორს მიდის და მას ალექსანდრე მაკედონელზე მაღლა აყენებს, მაგრამ თუ დავითის სახელი შორს არაა განთქმული, დავითის ისტორიკოსის აზრით, ამის მიზეზი იყო ის, რომ დავითი პატარა ქვეყნის მბრძანებელი იყო და სხვა პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. ,,ქართველთა ოდენ სპითა ვერცარა ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი..."

მის თხზულებაში საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მიზნები ქვეყნის გარემომცველ რეგიონსაც სცილდება და მთელ მსოფლიოს მოიცავს[2]. ამდენად, ,,ოქროს ხანის" ქართველი მემატიანეებისათვის, კერძოდ კი დავითის ისტორიკოსისათვის იდეალური ლიდერი ის პიროვნებაა, ის მონარქია, რომელიც ბრძენი და მკაცრი მმართველია, მკაფიოდ გამოხატული ნაციონალური ინტერესებით, ქვეყნის უსაფრთხოებაზე დღენიადაგ მზრუნველი.

დაბეჯითებით ძნელია მტკიცება იმისა, ვის მიერაა დაწერილი ,,ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", საერო პირია

---

[1] კობალაძე ვ., საერთაშორისო ურთიერთობის თეორიული საკითხები ქართულ აზროვნებაში XII-XIII საუკუნეებში (მონღოლთა შემოსევამდე), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 7, თბ., 2000, 174-175

[2] კობალაძე ვ., საერთაშორისო ურთიერთობის თეორიული საკითხები ქართულ აზროვნებაში XII-XIII საუკუნეებში (მონღოლთა შემოსევამდე), 174-176

მისი ავტორი, თუ სასულიერო. თხზულების შესწავლა ადასტურებს, რომ მას მრავალმხრივი, მისი ეპოქის შესაბამისი საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა მიღებული. ამასთან მემატიანე ქვეყნის ინტერესების მტკიცე დამცველი და სამეფო იდეოლოგიის მკაფიოდ გამომხატველია. ვფიქრობთ, სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო-მონარქი და სამეფო კარი არ დაუშვებდნენ დავით IV აღმაშენებლის შესახებ შექმნილი და „ქართლის ცხოვრებაში" შეტანილი საისტორიო თხზულების ავტორი შემთხვევითი პირი ყოფილიყო.

**დამოწმებანი:**


ახვლედიანი გ., „ქართლის ცხოვრების" ფოლკლორული წყაროები, თბ., 1990.

ბერძენიშვილი ნ., კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965.

კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981.

კობალაძე ვ., საერთაშორისო ურთიერთობის თეორიული საკითხები ქართულ აზროვნებაში XII-XIII საუკუნეებში (მონღოლთა შემოსევამდე), ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 7, თბ., 2000.

კუჭუხიძე გ., ქრისტეანი მეფის სახე-იდეალი „დავით აღმაშენებლის" ცხოვრებაში, კრ. ლიტერატურული ძიებანი, 2001, №21.

მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, 1998.

მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი, თბ., 1990.

„ქართლის ცხოვრება", მთ., რედაქტორი რ. მეტრეველი, თბ., 2008, „ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი".

ყაუხჩიშვილი თ., ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი), მაცნე, ისტორიის სერია, 1973, №4.

ჯავახიშვილი ი., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.VIII, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1997.

***Mamuka Jolbordi***

*Gori State Teaching University, Professor*

**RESUME**

On the basis and analyses of the work of David the Builder's chronicler, the world outline and literacy of the XII century Georgian historian, who was the author of "Life of David – the King of Kings" is studied in the paper. It has been supposed that, according to the variety of different historical sources and views of authority's ideology the chronicler introduces the activities of great Georgian monarch fully and objectively.